ვ. სიხარულიძე

ამიერკავკასიის ხალხთა ფრაკვენი ენციკლოპედია

გამოვცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1970

დოკუმენტური მასალების საფუძველზე, კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით ავტორი მოგვითხრობს, როგორ იბრძოდნენ და როგორ ღვწიან დღეს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები აზერბაიჯანელი, სომეხი დ ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის, როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა ამ ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, როგორი გრანდიოზული წარმატებები მოიპოვეს მათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წიგნში წაჩვენებია, რომ ყველა ამ წარმატების საფუძველი იყო და არის ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, მათი ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლასა და შრომაში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია ხალხთა მეგობრობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. მისი დაუღალავი ზრუნვის შედეგად ხალხთა შორის დამკვიდრდა ახალი ტიპის მეგობრული დამოკიდებულება, რომლის მსგავსი ისტორიაში ცნობილი არ არის.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი სასიცოცხლო ძალა ისაა, რომ იგი შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძირეულ ინტერესებს და წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების ცოცხალ განსახიერებას, უძლიერეს იარაღს კომუნიზმისათვის ბრძოლის გზაზე. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, ხელს უწყობს სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას, კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აჩქარებს საბჭოთა ხალხის წინსვლას კომუნიზმისაკენ. ამიტომ კომუნისტურ პარტიას თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა — ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველი, კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა საწინდარი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი წარმოიშვა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნებათა მშრომელების ერთობლივ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იყო უცხოელ დამპყრობთა და საერთო შინაური მტრების — მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ხალხთა მეგობრობის ახალი ეტაპი დაიწყო მუშათა მოძრაობის წარმოშობისთანავე. რუსეთის გმირი მუშათა კლასის სახით რუსეთის ყველა ერის ჩაგრულმა და ექსპლოატირებულმა მშრომელებმა საიმედო ხელმძღვანელი პოვეს მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ბრძოლაში. რუსეთის მუშათა კლასი გახდა ის რეალური ძალა, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის მეთაურობით სათავეში ჩაუდგა რუსეთის ყველა ერის ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მასებს და წაიყვანა ისინი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტიპის ლენინურმა პარტიამ თავიდანვე თავის თავს უწოდა არა რუსული, არამედ რუსეთის პარტია და თავის რიგებში გააერთიანა ყველა ერისა და ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებიც თავდადებული იყვნენ სოციალიზმის გამარჯვების საქმისათვის. კომუნისტურმა პარტიამ თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე გააჩაღა შეუპოვარი და თანმიმდევრული ბრძოლა ძველი სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა და განკერძოებულობის წინააღმდეგ, ახალი სამყაროსათვის, ყველა ერის მშრომელთა ერთიანობისათვის, ისეთი საზოგადოებრივი წყობილებისათვის, რომელშიც არ შეიძლება იყოს არავითარი პრივილეგია ამა თუ იმ ერისათვის, არავითარი ჩაგვრა ადამიანისა ადამიანის მიერ.

ამ საერთო ბრძოლაში ნაწრთობი ხალხები უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის თანდათან ძლიერდებოდა მეგობრული ურთიერთობა.

კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდად აფასებდა ხალხთა პროგრესულ ტრადიციებს, ღრმად სწავლობდა მათი ისტორიული განვითარების გზებს. რუსი, უკრაინელი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და რუსეთის სხვა ხალხები ოდითგანვე ცხოვრობდნენ მეგობრულად, თანხმობით, დიდი ხნის წინათ გაიბა მათ შორის ეკონომიური და კულტურული კავშირი, რომელიც დროთა ვითარებაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მაგრამ ექსპლოატატორული საზოგადოების პირობებში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებასა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე, რაც ერებს შორის წინააღმდეგობებსა და ომებს იწვევს, ხალხთა მეგობრული დამოკიდებულე-

ბა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე და გამხდარიყო საზოგადოების მამოძრავებელ ძალად. ამიტომ შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა ოქტომბრამდელი პერიოდის ხალხთა მეგობრობის ცალკეული მომენტები იმ ნამდვილად მტკიცე, ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიურ, აულტურულ თანამშრომლობად და კავშირად, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის შემდეგ დამყარდა და წარმოადგენს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

ასევე შეცდომა იქნებოდა სათანადოდ არ შეგვეფასებინა ოქტომბრამდელი პერიოდის ხალხთა მეგობრობა თუნდაც მის ცალკეულ გამოვლინებათა მიხედვით. ასეთი მიდგომა მიგვიყვანდა ჩვენი პარტიის ოქტომბრამდელი პერიოდის მოღვაწეობის შეუფასებლობამდე, მოღვაწეობისა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის პროლეტარიატის გარშემო სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა რევოლუციური ძალების შემჭიდროებისაკენ. ამ შემთხვევაში ხალხთა წარსულს განვიხილავდით ცალმხრივად, ვერ დავინახავდით იმ ღრმა განსხვავებას, რომელიც „ორ რუსეთს“ — რეაქციულ და რევოლუციურ რუსეთს შორის არსებობდა, რადგან, როგორც ცნობილია, თუ რეაქციული რუსეთი თიშავდა ხალხებს, რევოლუციური რუსეთი აერთიანებდა და რაზმავდა მათ ცარიზმის დასამხობად. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

ამრიგად, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ადრეული ისტორიის მართებული გაგების ერთადერთი სწორი გასაღები არის ლენინიზმის ცნობილი დებულება თითოეულ ბურჟუაზიულ ერში „ორი ერის“ არსებობის შესახებ.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ისევე ძველია, როგორც თვით ამ ხალხთა ისტორია, მაგრამ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პერიოდი ამ მეგობრობისა იმ დროიდან იწყება, როცა ამიერკავკასიის ხალხები დიდ რუს ხალხს დაუკავშირდნენ. ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შორის ბევრი რამ იყო საერთო შორეულ წარსულში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცნენ, მათ სავსებით ერთნაირ პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაში მოუხდათ ცხოვრება. ყველა მათგანმა განიცადა რუსეთის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მძლავრი კეთილმყოფელი ზეგავლენა და ამავე დროს მეფის რუსეთის კოლონიუ-

რი ჩაგვრის უღელი. ამიერკავკასიის ხალხებში ერთნაირ ვითარებაში წარმოიშვა და განვითარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც თავისი სამართლიანობის გამო ყოველთვის მხარს უჭერდნენ რევოლუციური რუსეთის სახელოვანი წარმომადგენლები. ერთნაირი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ვითარებამ XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე განაპირობა ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნა ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მსვლელობაში საფუძველი ჩაეყარა რუს და ამიერკავკასიის ხალხთა ახალ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც თანდათან ბოლოს უღებდა განკერძოებულობას, სულ უფრო აახლოებდა მათ საერთო მიზანთან. ამიერკავკასიის მუშები და გლეხები ჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მთელი რუსეთის მუშებსა და გლეხებს.

ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დარაზმვის უპირველესი პირობა ის იყო, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპები დაედო საფუძვლად მისი ავანგარდის—ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ფაქტიურად იყო ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მუშებისა და გლეხებისა, რომლებიც ერთად ებრძოდნენ ნაციონალისტურ პარტიებს, ჯგუფებს, მიმდინარეობებს და სულ უფრო ორგანიზებულად წარმართავდნენ თავიანთ ბრძოლას ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ეს პრინციპები, რომლებიც ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა საფუძვლად დაუდეს თავიანთ ორგანიზაციებს, წითელ ზოლად გასდევს მათ მთელ მოღვაწეობას.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ეს ერთიანობა, რომლის კონტურები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ისახება, გაფორმდა 1903 წლის მარტში მთელი მხარის ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე, რომელმაც შექმნა რსდმპ კავკასიის კავშირი და აირჩია გამაერთიანებელი ცენტრი — კავშირის კომიტეტი.

შემდეგში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების გამაერ-

თიანებელ ცენტრებს, ისე როგორც მათში შემავალ კომიტეტებსა და ორგანიზაციებს, მეფის მთავრობა, ხოლო თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები სისტემატურად არბევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ, მაგრამ ისინი რუსეთის იმ მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთა „ხელმძღვანელ კომიტეტებსა და ცენტრებს მუდამ აპატიმრებენ და ისინი მუდამ კვლავ წარმოიშვებიან“[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 1906 წელს შეცვალა ამიერკავკასიის „გაერთიანებულმა“ საოლქო კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ერთ პარტიად ფორმალური გაერთიანების გამო. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ მასში უმრავლესობას მენშევიკებმა მიაღწიეს, მაშინვე საფუძველი ჩაეყარა ახალ ბოლშევიკურ ცენტრს — „ბოლშევიკების ლიტერატურულ ბიუროს“. 1915 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბაქოს კონფერენციაზე შეიქმნა ბოლშევიკების კავკასიის ბიურო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობებმა ხელოვნურად დააქუცმაცეს ამიერკავკასიის ხალხები, მოწყვიტეს ისინი დიდ რუს ხალხს და ამიერკავკასიის ხალხებს შორის გამალებით შეუდგნენ შუღლისა და მტრობის თესვას. ამ მძიმე პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციები კვლავ ერთიანი დარჩნენ, ისინი განაგრძობდნენ მთლიანი სახით არსებობას და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ განკერძოებისა და განცალკევების ტენდენციას, რომელთაც იმპერიალისტები და მათი მსახური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები ხელოვნურად ნერგავდნენ. 1917 წლის ოქტომბერში კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო ყრილობამ შექმნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და სამხარეო ბიურო. 1920 წლის აპრილში იქმნება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელმაც თავისი მოღვაწეობა დააგვირგვინა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით ამიერკავკასიაში.

1922 წლის თებერვალში ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველ ლეგალურ ყრილობაზე შეიქმნა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 119.

ხარეო კომიტეტი, რომელმაც 1936 წლამდე იარსება და გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლასთან ერთად.

ასეთი იყო გაერთიანების ის ფორმები, რომლითაც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ურღვევი მთლიანობით დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან დაყველანი ერთად კი თავიანთ მოწინავე ავანგარდთან — ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

გასაგებია, რომ პარტიული ორგანიზაციების ამ ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ძალების აღმავლობისათვის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის, რაც კანონზომიერი და აუცილებელი საფეხური იყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის ურთიერთობის განსავითარებლად.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ავტორის ცდას გააშუქოს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე მითითებით, უჩვენოს, თუ როგორ ატარებდნენ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ცხოვრებაში დიდი ლენინის მიერ შემუშავებულ ბრძნულ ეროვნულ პოლიტიკას, როგორ ამარცხებდნენ და ანადგურებდნენ მმართველ და შემთანხმებლურ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს და ნერგავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, როგორ და რა პირობებში გადაწყდა ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხი ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გახორციელების საფუძველზე, რარიგად ამაღლდა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების დონე და გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, რაოდენ წარმატებით იზრდებიან და ვითარდებიან ამიერკავკასიის ხალხები ამჟამად სსრ კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში.

ავტორი მიზნად ისახავს თანმიმდევრულად გადმოსცეს ვ. ი. ლენინის შრომებში, სტატიებში, სიტყვებსა და პირად წერილებში, აგრეთვე პარტიულ დოკუმენტებში (ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების გადაწყვეტილებებში) გაფანტული შეფასებები, მითითებანი და დირექტივები, რომლებიც შეეხებიან ამიერკავკასიის

ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობას რევოლუციური მოძრაობისადმი, მისი ერთიანობის შენარჩუნებას, დაცვასა და განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, ხოლო შემდეგ — ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, ეროვნული საკითხის გადაწყვეტასა და სოციალიზმის მშენებლობას, და, ამრიგად, უჩვენოს ის მჭიდრო და სისტემატური კავშირი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არსებობდა, ერთი მხრივ, ვ. ი. ლენინსა და პარტიის ცენტრალურ ორგანოებსა და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს შორის, უჩვენოს ის, რომ მხოლოდ დიდი ლენინის მიერ შემუშავებული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებით კომუნისტურმა პარტიამ შეძლო კავკასიაში შეექმნა „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“[1], ააშენა სოციალიზმი და ამიერკავკასიის ხალხთა მთელი ძალები წარმართა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ.

ავტორი მთელ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) დ. შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით და ცდილობდა მოეცა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მართალი სურათი.

შრომაში გამოყენებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები, განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის ის შრომები, რომლებიც შეეხებიან რევოლუციური მოძრაობისადმი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების, სოციალიზმის მშენებლობის, ეროვნული პოლიტიკისა და ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის საკითხებს. ჩვენ ვისარგებლეთ საარქივო მასალებით, პრესაში გამოქვეყნებული წერილებითა და მხატვრული ლიტერატურით, რომლებშიც ასახულია ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა და მისი ისტორიული წარსული.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის საკითხები ქართველი ავტორებიდან გააშუქეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ლ. ებანოიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ეხს., მე-4 გამოც., ტ. 32, 33. 397.

გ. ბრეგაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ა. იოსელიანმა და სხვებმა. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის საკითხები ასახულია მრავალ წიგნში და სისტემატურად შუქდება პერიოდულ პრესაში. მაგრამ საკუთრივ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის საკითხებზე დღემდე ძლიერ მცირე გამოკვლევებია. ამ მხრივ საყურადღებო შრომას წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ა. სურგულაძის ნაშრომი „ამიერკავკასიის ხალხთა ტრადიციული მეგობრობა", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ვ. კოპალიანის „ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ გ. სიხარულიძის „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები", საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მიერ 1962 წელს გამოცემული წიგნი „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი", რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 40 წლისთავს. ამ შრომაში გამოქვეყნებულია ცალკეული სტატიები, როგორიცაა: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. აგლაძის „ხალხთა მეგობრობის დიადი პროგრამა", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. მერკვილაძის „საქართველოს კომუნისტები ამიერკავკასიის ფედერაციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. სიხარულიძის „ვ. ი. ლენინი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ ამიერკავკასიაში" და სხვ.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიის ცალკეული საკითხები, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი ამიერკავკასიაში და სხვა საკითხები, დაკავშირებული ამ ხალხთა მეგობრობასთან, გაშუქებულია ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ხაჭაპურიძის, მ. ორახელაშვილის, ი. ცინცაძის, შ. მესხიას, ნ. მახარაძის, ი. კაჭარავას, ი. ტაბაღუას, ვ. ესაიაშვილის, დ. გვრიტიშვილის, გ. ჭკვანიას, ლ. გორგილაძის, ა. კიკვიძის, ე. ბურჭულაძის, პ. რატიანის, მ. დუმბაძის, ი. მირცხულავას, ი. მელქაძის, გ. მეგრელიშვილის, მ. ბარამიას, ნ. სტურუას, გ. ფირცხალავას, მ. ცერცვაძის,

მ. ქოჩიაშვილის, პ. ცქვიტარიას, ა. იოსელიანის, ს. ჩხარტიშვილის, ს. ბერიძის, დ. მაისურაძის, ლ. ბარამიას, ს. თოიძის, ვ. ონიანის, ზ. შველიძის, დ. ენუქიძის, კ. ივანიძის, კ. ბაბილოძის, დ. ჯიბლაძის, ნ. ჩახვაშვილის, გ. დევდარიანის, ზ. გეგეშიძის, დ. გოგოხიას, ფ. ლომაშვილის, ნ. ნიკოლაიშვილის, გ. ძიძარიას, მ. ჯიჯეიშვილის, ა. მერცხულავას, ი. მაჩაიძის, ა. ართილაყვას, კ. დოლიძის, ა. კინწურაშვილისა და სხვა ისტორიკოსთა მთელ რიგ ნაშრომებში.

თავი I

ისტორიული წარსულიდან

ამიერკავკასია შორეული წარსულიდან წარმოადგენს ყველაზე დამახასიათებელ მხარეს ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნების მხრივ. კავკასიაში ოდითვე ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ლეკები, ოსები, ჩერქეზები, აფხაზები და მრავალი სხვა ეროვნებანი.

ამ მრავალფეროვანი ხალხების არსებობისათვის, მათი ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი იყო ურთიერთშორის მეგობრობის დამყარება და განმტკიცება. ამ ურთიერთობის გარეშე ამიერკავკასიის ტერიტორია გადაიქცეოდა ძმათა შორის ომების, მუდმივი შუღლისა და ქიშპობის ასპარეზად, რაც დაასუსტებდა ამ ხალხებს, სისხლიდან დაცლიდა მათ, ხოლო ამიერკავკასიის მტაცებელ მეზობლებს საშუალებას მისცემდა დაემონებინათ ისინი. მართალია, ამიერკავკასიის ნაწილი დამპყრობლებმა მაინც მიიტაცეს, მაგრამ ეს ძირითადად ფეოდალთა შორის ქიშპობის, მათი ღალატისა და გამცემლობის შედეგი იყო.

ამიერკავკასიის ხალხებს, მათ გამოჩენილ ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს, პროგრესულ მოღვაწეებს ყოველთვის ჯეროვნად ჰქონდათ შეგნებული ურთიერთშორის მეგობრობის განმტკიცების აუცილებლობა. სწორედ ამიტომაა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც მოგვითხრობს, რომ ეს ხალხები მუდამ იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს. ამიერკავკასიის მოძმე ხალხები — ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ და შეერთებული ძალებით ებრძოდნენ საერთო მტრებს — რომაელებ-

სა და ბიზანტიელებს, არაბებსა და მონღოლებს, თურქ-სელჯუკებსა და ირანელებს.

მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ, მჭიდრო ეკონომიურმა და კულტურულმა ურთიერთობამ, უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ბრძოლამ შექმნა და განამტკიცა მათი ძმობა და მეგობრობა.

ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი წარსულით, მათი მატიანეების ფურცლებზე ასახული რაინდული მეგობრობის გამომხატველი ფაქტებით. ამ ერების ძველი და უძველესი ლიტერატურული ძეგლები, ლეგენდები, თქმულებები და საერთოდ მთელი მათი ისტორია დამაჯერებლად მოგვითხრობენ ამ დიადი მეგობრობის შესახებ.

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში „ვეფხისტყაოსანი", სომეხი ხალხის გენიალურ ეპოსში „დავით სასუნცი", დიდი აზერბაიჯანელი პოეტების ხაგანის, ნიზამი განჯელისა და სხვათა მრავალ ქმნილებაში ცხადად და მხატვრული უშუალობითაა ასახული მშვიდობისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხთა კეთილშობილური თვისებები — სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება, ურთიერთპატივისცემა, ზიზღი საერთო მტრებისადმი და ერთმანეთთან თანამშრომლობა.

რუსთაველი უმღერის მაღალ, კეთილშობილურ, პრინციპულ მეგობრობას. მისი გმირები — სხვადასხვა ეროვნების ადამიანები — ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი დამეგობრდნენ რწმენის, მისწრაფებათა და განწყობილებათა ერთიანობის ნიადაგზე.

„ვეფხისტყაოსანი" საუკეთესოდ ასახავს ქართველი ხალხის რაინდულ სულისკვეთებას, მის მშვიდობისმოყვარეობასა და დაუცხრომელ სურვილს იცხოვროს მეგობრულად სხვა ხალხებთან, როგორც ეს ხატოვნად არის თქმული ამ გენიალურ პოემაში: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". ეს ბრძნული სიტყვები 1955 წლის 5 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში განმეორდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან და ქართველ ერზე, როგორც ამ დეკანოზის ერთგულ მიმდევარზე, ხაზგასმით ითქვა, რომ მან „ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებმა, საუკუნეებში

გამოატარა ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი, მხურვალე მისწრაფება — იცხოვროს მეგობრულად სხვა ხალხებთან"[1].

სომეხი ხალხის საუკუნეობრივი სწრაფვა-მიდრეკილების, მისი საუკეთესო თვისებების მხატვრულად განზოგადებული ძეგლია „დავით სასუნცი", იგი გვაძლევს მთლიან წარმოდგენას სომეხი ხალხის ეროვნულ ტანჯვასა და გმირობაზე, სხვა ხალხებისადმი პატივისცემაზე, მხნეობასა და სიმამაცეზე, ეპოსი მკვეთრად ასახავს მისი შემოქმედი ხალხის კეთილშობილებას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, მშვიდობიანი შრომის წყურვილს, რაც დამახასიათებელია მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

„დავით სასუნცი" ასახავს სომეხი ხალხის ოთხი თაობის განმათავისუფლებელ ბრძოლას არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეპოსის წამყვანი გმირები — სანასარი და ბაღდასარი, უფროსი და უმცროსი მჰერი, დავითი და სხვები ჰუმანიზმის განსახიერებას წარმოადგენენ.

მაგალითად, უფროსი მჰერის შვილი დავითი ხალხმა შეამკო წინაპრების ყველა საუკეთესო თვისებით, მას ამოძრავებს მაღალი ჰუმანიზმი, დემოკრატიზმი, თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული, სხვა ქვეყნების პატივისცემა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ადრე დაობლებულ დავითს ხალხი ზრდის, უწევს დედობასა და მამობას და დავითიც მთელ თავის ენერგიას ხალხისადმი სამსახურს სწირავს, ათავისუფლებს არაბების ბატონობისაგან, იფარავს მდიდრებისა და ეკლესიის მიერ შევიწროებისაგან, ეწევა დიდ მშენებლობას ხალხის საკეთილდღეოდ. მსგავსად დიდი რუსთაველის გმირებისა, დავითი თავის სატრფოს ხანდუთ-ხანუმს რაინდული თავგანწირვით უმტკიცებს ერთგულებას, ილაშქრებს ხანდუთ-ხანუმის მამის სამფლობელოზე შემოსეული მეფეების წინააღმდეგ და ამარცხებს მათ.

ბრძოლაში დავითს ეხმარება ამდოლი (სხვა ვარიანტით გორგოსი), რომელიც, დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის აზრით, არის ქართველი გიორგი. ამრიგად, ეპოსში თავის ასახვას პოულობს ქართველებისა და სომხების საბრძოლო მეგობრობა.

დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ხაგანის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი რამდენიმე ხანს საქართველოში ცხოვრობდა. აღტა-

---

[1] გაზ. „პრავდა", № 218, 1955, 6 აგვისტო.

ცებული იყო საქართველოს ბუნებითა და ქართველი ხალხის კეთილ-შეზობლური თვისებებით. ერთ თავის პოეტურ ნაწარმოებში ხაგანი პატივისცემით იხსენიებს საქართველოს და მის ბინადართ. პოეტი წერს: „... ჩემთვის გაღებულია აფხაზეთის კარი, მე წავალ ნაჭარმაგევს, ბაგრატიონებთან ვპოვებ თავშესაფარს“. როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, პოეტისათვის კარგად იყო ცნობილი ქართველ მეფეთა რეზიდენცია ნაჭარმაგევი (იმყოფებოდა გორის მახლობლად). ის მთელი არსებით მოილტვოდა საქართველოსაკენ, სადაც თავშესაფრის შოვნის იმედი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ პოეტი ამ სტრიქონებს წერდა ცხოვრების უმძიმეს წუთებში, როცა ის შირვან შაჰ ახსიტანის ბრძანებით შაბრანის საპატიმროში იჯდა. სასტიკად დასჯილი პოეტი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში შვებას პოვებდა.

მეორე სახელგანთქმული აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი გულწრფელად უმღერდა მეგობრულ გრძნობებს. მხურვალედ უყვარდა რა თავისი აზერბაიჯანი, თავისი ხალხი, იგი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ხალხს, დაუცხრომლად ჰქადაგებდა ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას.

შოთა რუსთაველი და მისი თანამედროვე ჩახრუხაძე კარგად იცნობდნენ ნიზამი განჯელის პოეტურ შემოქმედებას. „ვეფხისტყაოსანსა“ და „თამარიანში“ პირდაპირ არიან დასახელებული ნიზამის პოემის „ლეილი და მეჯნუნის“ პერსონაჟები: ლეილი, კაენისი (ანუ ყაისი), სალამი (ანუ სალმანი). ქართველი პოეტების მიერ ნიზამის პერსონაჟების ასეთი თავისუფალი მოხსენიება იმაზე მიუთითებს, რომ რუსთაველისა და ჩახრუხაძის მკითხველებიც კარგად იცნობდნენ ნიზამის ნაწარმოებებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ქართველ პოეტებს პირადი ნაცნობობაც ჰქონდათ დიდ აზერბაიჯანელ პოეტთან. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნიზამის ნაწარმოებები პოეტის სიცოცხლეშივე იყო თარგმნილი ქართულ ენაზე, მაგრამ არაბების ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ისინი განადგურდა. ჩვენამდე მოღწეულია ნიზამის ზოგიერთი ნაწარმოების („ხოსროვი და შირინი“, „ლეილი და მეჯნუნი“, „შვიდი მზეთუნახავი“) თარგმანები, რომლებიც, როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, XVI—XVII საუკუნეებში არის შესრულებული.

მეგობრობისადმი ის ძლიერი მისწრაფება, რომელსაც კავკასიის

ხალხთა ეს უკვდავი ლიტერატურული ძეგლები შეიცავენ, არ შეიძლება შემთხვევით აიხსნას.

აღნიშნული ნაწარმოებები შიშველი ფანტაზიის ნაყოფი როდია. ისინი ასახავენ ამ მეზობელი ერების უკვე ოდითგანვე დამკვიდრებულ მეგობრობას და მათ ავტორებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ამიერკავკასიის ხალხთა ერთობის ძალა როგორც სამეურნეო და კულტურული თანამშრომლობის, ისე თავიანთი თვითმყოფობის შენარჩუნების, მომხდური მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით გამოსვლის საქმეში.

მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა გარშემო თანდათანობით მძლავრდებოდნენ აგრესიული სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობდნენ ფეხქვეშ გაეთელათ ამ ხალხთა დამოუკიდებლობა, დაედგათ მათზე მძიმე უღელი და თავიანთ მონა-მორჩილებად გაეხადათ ისინი. ამ სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ XIII საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიას მოჰგლიჯეს აზერბაიჯანი (მაშინ ალბანეთი), ხოლო XIV საუკუნის ბოლოს — სომხეთი.

„სომხეთი!.. ვინ არ იცის ამ ხალხის ტრაგიკული, კოშმარული წარსული, — წერდა გაზეთი „პრავდა“ 1935 წლის 28 ნოემბერს. — იმყოფებოდა რა ორი ქვეყნის — ევროპისა და აზიის შესაყარზე, სომხეთი წარმოადგენდა განუწყვეტელ ბრძოლათა და ლაშქრობათა ადგილს. ერთი დამპყრობი ცვლიდა მეორეს. მახვილითა და ქარიშხლით გადაიარეს სომხეთზე ჰუნებმა, სპარსელებმა, რომაელებმა, არაბებმა, ბიზანტიელებმა, სელჯუკებმა, მონღოლებმა, ოსმალებმა. ხალხი ძლივს მოასწრებდა ერთი ამაოხრებლისაგან მიღებულ ჭრილობათა მოშუშებას, რომ მას თავს წაადგებოდა მეორე და ისევ ინგრეოდა სოფლები და ქალაქები, ინგრეოდა კულტურა, იღუპებოდნენ მშრომელი სომხები. XIV საუკუნის ბოლოს სომხეთი საბოლოოდ დანაწილებულ იქნა შუა აზიის ტერიტორიაზე მებრძოლი სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ. სომეხი ხალხის ისტორიაში დადგა ყველაზე პირქუში პერიოდი“.

მტრული სახელმწიფოების მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის მიტაცებამ მძიმე გავლენა იქონია ამიერკავკასიის სხვა ხალხებზე, შეასუსტა მათი წინააღმდეგობის ძალა, უძლურება დაეტყო იმდროინდელ საქართველოსაც.

„წინანდელი საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედური დღიდან, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — როცა პირქვე დაემხო სომხეთი — ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით... ვიდრე სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოესეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენი უდიდესი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არ ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ“.

XV საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ თურქები. საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლეთის გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ; იგი დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამოც. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების შედეგად თურქებმა ხელში ჩაიგდეს სამხრეთ საქართველო და იქ მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

ირანი და თურქეთი, რომლებიც ამიერკავკასიის ხალხებს იპყრობდნენ, მეურნეობის ფორმებითა და კულტურით დაბლა იდგნენ ამიერკავკასიის ხალხებზე. თურქეთში დამკვიდრებული იყო ფეოდალური სამხედრო ბიუროკრატიის რეჟიმი, რომლის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა დაპყრობილი ხალხების ძარცვა და ხარკი. ირანისა და თურქეთის სამხედრო ბიუროკრატიის რეჟიმი განსაკუთრებით სასტიკი გახდა, რაც ამ ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების დაცემა დაიწყო. ამიერიდან ირანი და თურქეთი ვერ იპყრობენ ახალ ქვეყნებს და სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის მთელი სიმძიმე დააწვა ირანელ და თურქ ხალხს. განსაკუთრებით გამწვავდა დაპყრობილი ხალხების მდგომარეობა.

ამასთან დაკავშირებით გაძლიერდა კავკასიის ხალხთა ბრძოლა ირანისა და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. მართალია, საქართველო ამ პერიოდში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იყო მყარი, ვინაიდან აზერბაიჯანისა და სომხეთის დაცემამ საქართველო დააყენა დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე. მაგრამ აგრესიის მოსაგერიებლად კავკასიის ხალხთა საკუთარი ძალები არ იყო საკმარისი, ამიტომ ამ ქვეყნების პროგრესულმა მოღვაწეებმა დახმარების მიღება სცადეს სხვა სახელმწიფოებისაგან. საამისოდ მათ თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიმართეს.

ამ მხრივ განსაცვიფრებლად წააგავენ ერთმანეთს სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ისრაილ ორისა და დიდი ქართველი მოღვაწის საბა სულხან ორბელიანის მოგზაურობანი ევროპაში. ისრაილ ორმა ევროპაში იმოგზაურა 1698—1701 წლებში, საბა სულხან ორბელიანმა—1713—1716 წლებში, მაგრამ ორივე ამ მოგზაურობის შედეგი ერთი იყო: ორივე წარუმატებლად დამთავრდა. ამ მოგზაურობებით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ „დახმარების" მიღება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან ფუჭი დაპირება იყო და ერთადერთ იმედს ამიერკავკასიის ხალხებისათვის წარმოადგენდა ის გზა, რომელიც მათ დიდ რუს ხალხთან აერთებდა. ამიტომ შემთხვევით არ აიხსნება, რომ ევროპიდან დაბრუნებული ისრაილ ორი, ისე როგორც შემდეგ საქართველოს მეფე ვახტანგ VI და საბა სულხან ორბელიანი, მოსკოვისაკენ გაეშურა დახმარების სათხოვნელად.

ამიერკავკასიის ხალხთა ეს მისწრაფება დაემთხვა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე მდგარი რუსეთის მისწრაფებას განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ამ ორმხრივი ინტერესის საფუძველზე ამიერკავკასიის ხალხთა ბედი საბოლოოდ გადაწყდა XIX საუკუნეში.

ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი — ამიერკავკასიის ხალხთა შესვლა რუსეთის მფარველობაში დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთებით, რაც მოხდა 1801 წლის 12 სექტემბერს.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხის ცხოვრებაში, რადგან საქართველოში რუსეთის დამკვიდრებით დაიწყო ერა ამიერკავკასიელი ხალხების განთავისუფლებისა ირანელი და თურქი დამპყრობლებისაგან.

რუსეთმა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ამიერკავკასიაში თავისი გავლენის გაფართოებისა და ირანელი და თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიების განთავისუფლებისათვის.

ამიერკავკასიელი ხალხების ცხოვრებაში რუსეთთან შეერთების შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი ხანა. მართალია, მაშინ რუსეთის მეფე და მემამულეები მართავდნენ და ასეთ პირობებში ქართველი, აზერ-

ბაიჯანელი და სომეხი ხალხები კოლონიური ჩაგვრის უღელს ვერ ასცდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ისტორიული აქტის შედეგად მოხერხდა მათი ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება, მუდმივი რბევა-თარეშისაგან ქვეყნის დაცვა, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ნორმალური გზით წარმართვა[1].

თუ რამდენად მომწიფებული იყო რუსეთთან შეერთების აუცილებლობა თვით ხალხში, ამას ადასტურებს ქართველი ხალხის აღფრთოვანება რუსეთთან შეერთების გამო და ის დიდი სახალხო მოძრაობა, რომელიც ირან-თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე გაჩაღდა დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთის მფარველობაში შესვლის გამო (განსაკუთრებით ვლინდებოდა ეს ე. წ. „კავკასიური ომების" პერიოდში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ).

დიდი ქართველი პოეტი ალ. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება მიღებულ იქნა ხალხის ერთსულოვანი აღტაცებით[2].

რუსი მოხელე კორნეევი, რომელიც 1802 წელს თელავის მაზრაში იყო მივლინებული, თავის მოხსენებითს ბარათში წერდა: „არ შეიძლება არ მოგახსენოთ... იმ ჩვენს სიამოვნებაზე, რასაც განვიცდით, ვხედავთ რა რუსეთისადმი გულწრფელად თავდადებულ და ერთგულ ხალხს"[3].

ეს დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ რუსეთთან შეერთების გონიერი პოლიტიკა, რომელსაც სამი საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასიის ყველა ეროვნების პროგრესული ადამიანები საფუძვლად უდებდნენ თავიანთ მოღვაწეობას, სარგებლობდა ფართო მასების მხარდაჭერით.

საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთი განაგრძობდა წარმატებით ომებს სპარსეთის შაჰისა, თურქეთის სულთანისა და მათ ზურგს უკან ამოფარებულ ინგლისელ და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ომებში რუსეთი უაღრესად პროგრესულ როლს ასრულებ-

---

1 ა. სურგულაძე, ამიერკავკასიის ხალხთა ტრადიციული მეგობრობა. თბილისი, 1958, გვ. 10—12.

2 ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზ., 1940, გვ. 243—244.

3 Акты Кавказской Орхеографической Комиссии, т. I, გვ. 292.

და იმ ხალხების მიმართ, რომლებიც თურქეთისა და ირანის მონობაში იყვნენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ომებს თან სდევდა დაპყრობილ ხალხთა მძლავრი განმათავისუფლებელი მოძრაობა ირანისა და თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწა-წყალზე, ხოლო ომების დამთავრების შემდეგ ქრისტიანი მოსახლეობის მასობრივი გადმოსახლება განთავისუფლებულ ტერიტორიებზე. 1828 წელს სომხური ოლქის შექმნისთანავე ირანიდან ამ ოლქში 40 ათასი სომეხი გადმოსახლდა, რომლის ორგანიზაცია მოაწყო გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ა. ს. გრიბოედოვმა, როცა იგი რუსეთის სრულუფლებიან ელჩად იყო ირანში. 1829 წელს, თურქეთთან ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ, თურქეთიდან საქართველოში გადმოსახლდა 90 ათასი სომეხი.

ირან-თურქეთის მონობაში დარჩენილი ხალხების ლტოლვა რუსეთისაკენ შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 1895—1896 წლებში, როცა სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის — „დაშნაკცუთიუნის“ ხელშეწყობით თურქეთის ხელისუფლებამ სასუნში, არზრუმში, ტრაპეზუნდში, ხარბერდსა და კონსტანტინეპოლში სომეხი მოსახლეობის გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ათეულ ათასობით სომეხმა თავი შეაფარა დიდ რუსეთს.

რა ძალა იზიდავდა მათ რუსეთში? ის, რომ იმ ომებსა და იმ პოლიტიკას, რასაც რუსეთი ირან-თურქეთის მიმართ ეწეოდა, მეფის მთავრობის სუბიექტური მიზნების გარდა (დაპყრობა, გავლენის სფეროს გადიდება), ეროვნული მოტივიც უერთდებოდა. ამ ომების შედეგად რუსეთი ეროვნულ თვითმყოფობას უღდგენდა და თავიანთ ტომებს კვლავ უბრუნებდა ამიერკავკასიის იმ ხალხებს, რომლებმაც ირან-თურქეთის შემოსევა განიცადეს. რუსი ხალხის ამ კეთილშობილურ მოქმედებას დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე „ღვთიურ კაცობრიობის გრძნობის“ გამოხატვას უწოდებდა[1].

---

[1] რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა: „რაოდენად უფრო დიდია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად, სხვა ერის საფარველად... აქ მარტო კერძოობითი გრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი, ისე მიერთვებიან ხოლმე კერძოობითი გრძნობანი ადამიანისა. დღევანდელს ომს ეს გულის აღმტა-

კავკასიაში წარმოებული ომების ეს ეროვნული მოტივი იყო იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ მათში რუსეთის სახელგანთქმულ არმიასთან ერთად უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა — ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ხალხები. ომების მიმდინარეობაში მტრის მიერ დაპყრობილ პროვინციებში იქმნებოდა პარტიზანული რაზმები, ხოლო განთავისუფლებულ ტერიტორიებზე — მოხალისეთა მილიციის რაზმები, რომლებიც რუსეთის რეგულარული ჯარის გვერდით მედგარ ბრძოლას ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო შვილები სიხარულით შედიოდნენ რუსეთის არმიის ნაწილებში და მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა ბრძოლაში, რომლებსაც რუსეთი აწარმოებდა. რუსეთის არმიის რიგებში ადგილობრივ მკვიდრთაგან აღიზარდნენ ათობით და ასობით მაღალი სამხედრო ჩინის მეომარი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მამაცობითა და სამშობლოსადმი ერთგულებით.

კავკასიაში წარმოებული ომების ისტორიამ იცის რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო მეგობრობის იშვიათი მაგალითები. კავკასიის ხალხთა შვილების გმირული ბრძოლებისა და რუს მეომრებთან მათი მეგობრობის შესახებ მოგვითხრობენ ომების მონაწილეთა მოგონებანი და ჩანაწერები, არქეოგრაფიული კომისიის აქტები, მიმოწერები, ბრძანებანი და გაზეთარგულებანი, იმდროინდელი პრესა.

რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება ამიერკავკასიის მოსახლეობა.

ამიერკავკასიის მოსახლეობის პირველ შეჯამებულ ცნობას გვაძლევს 1865 წლის აღწერა. ამ აღწერის მიხედვით ამიერკავკასიაში იყო 3115164 მცხოვრები[1]. ეს რიცხვი ძალიან მცირედ გამოიყურება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ XIII საუკუნეში მარტო საქართველოსა და სომხეთში, რომელთაც ამ დროს განცდილი ჰქონდათ მონღოლთა თითქმის 50 წლის ბატონობა, 5 მილიონამდე მოსახ-

---

ცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუძღვის წინ. სიცოცხლე, შეწირული დევნილთათვის, სახელოვანია, სისხლი, დაღვრილი ჩაგრულთათვის, წმინდაა!..“ („ივერია“, 1877, 21 აპრილი).

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნეში, ჟურნ. „კვალი“, № 8, 1900.

ლეობა ითვლებოდა. ამიტომ, ცხადია, ეს რიცხვი დამარწმუნებლად მიუთითებს ფიზიკური განადგურების იმ რეალურ საფრთხეზე, რაც ამიერკავკასიის ხალხებს ნამდვილად ემუქრებოდა რუსეთთან შეერთების გარეშე. რუსეთის იმპერიაში გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა მოსახლეობის რიცხვის თვალსაჩინო ზრდა. მაგალითად, 1897 წლის აღწერით ამიერკავკასიის მოსახლეობა 5461911 სულს შეადგენდა, ე. ი. 32 წლის განმავლობაში ზრდა უდრის 75,33 პროცენტს[1].

რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ მცხოვრებთა მატება განსაკუთრებით შეიმჩნევა საქართველოს მაგალითზე, რამდენადაც საქართველოს შესახებ უფრო ადრინდელი ცნობებიც მოიპოვება. ამ ცნობების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა: XIX საუკუნის დამდეგს (აფხაზეთის ჩაუთვლელად) 413 ათას სულს, XIX საუკუნის 30-იან წლებში 432 ათასს, 1865 წელს 852319, XIX საუკუნის ბოლოს კი დაახლოებით 1524859 სულს[2].

მოსახლეობის ზრდის ძირითადი საფუძველი ის იყო, რომ ამიერკავკასიის ტერიტორია უკვე საიმედოდ დაიცვა რუსეთის ჯარმა და თურქეთისა და სპარსეთის შეიარაღებულ რაზმებს აღარ შეეძლოთ თარეში, რასაც თან სდევდა არა მარტო სახალხო დოვლათის მოსპობა, არამედ მცხოვრებთა ფიზიკური განადგურება და ტყვედ წაყვანაც.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი გახდა ამიერკავკასიის ხალხთა ადმინისტრაციული, ეკონომიური და კულტურული ცენტრი. თბილისმა შემოინახა და დაღუპვას გადაარჩინა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის კულტურის მრავალი ძეგლი, ბევრი გამოჩენილი მწერლის შემოქმედება.

თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელი ხაჩატურ აბოვიანი, ახალი აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელი მირზა ფატალი ახუნდოვი, აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ბაკიხანოვი, მირზა შაფი და სხვები.

ამრიგად, პირველ ხანებში რუსეთის იმპერიაში შესვლამ კავკასიის ხალხები იხსნა თურქ და ირანელ დამპყრობთა მიერ განადგუ-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა დ ზ ე, Грузия в девятнадцатом столетии, 1933. გვ. 65—68.

[2] იქვე.

რებისაგან, შეიქმნა ერთგვარი შესაძლებლობა, რომ ამ ხალხებს რამდენადმე აღედგინათ დაქვეითებული ეკონომიკა და განვითარებინათ ეროვნული კულტურა. მაგრამ თვითმპყრობელური რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, რა თქმა უნდა, ამ პროგრესული როლით არ შემოიფარგლებოდა, ცარიზმის მიზანს წარმოადგენდა კავკასიის კოლონიად გადაქცევა და მისი ექსპლოატაცია, ეს ამოცანა კი ოდნავადაც არ ეგუებოდა აქაური ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შემდგომ განვითარებას. ადგილობრივი მემამულეებისა და სხვა ექსპლოატატორული ფენების მხრივ ჩაგვრას დაემატა ცარიზმის ექსპლოატაცია და ეროვნული შევიწროება, რამაც კიდევ უფრო აუტანელი გახადა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მშრომელების ისედაც მძიმე მდგომარეობა, ამ მდგომარეობამ განაპირობა კავკასიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი აღმავლობა, რამაც ბიძგი მისცა რუსი ხალხისა და მისი პროგრესულად მოაზროვნე შვილების თავდადებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ცარიზმის ლაგამახსნილი რეჟიმით უკმაყოფილება რუს საზოგადოებაში განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი სამამულო ომის შემდეგ. ამ ომმა და დასავლეთში წარმოებულმა ძლევამოსილმა ლაშქრობამ გამოაღვიძა რუსი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, ნათლად გამოავლინა მისი ისტორიული როლი, დაუშრეტელი ძალები და გააფართოვა რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის მსოფლმხედველობა.

ბრძოლის პერიოდში გამოიჭედა რუს რევოლუციონერთა პირველი თაობა — დეკაბრისტები, „რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი“ (გერცენი).

რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბრძოლამ თვითმპყრობელობის დასამხობად გამოძახილი პოვა ამიერკავკასიაში და თავდაპირველად საქართველოში. უფრო გვიან კი აზერბაიჯანსა და სომხეთშიც იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ჩაისახა და განვითარდა როგორც მეფის რუსეთის კოლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის საწინააღმდეგო მოვლენა.

ამ პერიოდში პროგრესის შემაფერხებელ უმთავრეს დაბრკოლებას ბატონყმობა წარმოადგენდა. იგი საერთო მოვლენა იყო რო-

გორც ამიერკავკასიისათვის, ისე რუსეთისათვის, მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, ამიერკავკასიის ხალხებს დაემატათ ჩაგვრის ახალი სახე — ეროვნული ჩაგვრა.

მემამულეთა მხრივ ყმა გლეხთა ექსპლოატაციამ რუსეთთან შეერთების შემდეგ უფრო მკაცრი სახე მიიღო, ვინაიდან გლეხებსა და მემამულეებს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში მეფის მთავრობამ მემამულეებს დაუჭირა მხარი, მეტიც, მან დამატებით შექმნა გლეხობის ჩაგვრის საკუთარი სისტემა და იწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის ძალით დანერგვა.

ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის ზედაფენებს, ცარიზმი სპობდა მმართველობის ადგილობრივ ფორმებს, ძალით ანხორციელებდა რუსულ საწყისებს, ბორკავდა ეროვნულ ენათა და კულტურათა განვითარებას[1].

რუსეთის მეფის მთავრობამ ამიერკავკასიის ხალხები მიაკუთვნა „მოქალაქეობის დაბალ საფეხურზე“ მყოფ ხალხთა რიცხვს და მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც ცხადად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული ამიერკავკასიაში მეფისნაცვალ ვორონცოვის 1846 წლის იანვრის მოხსენებითს ბარათში ნიკოლოზ I-დმი. ამ ბარათში ნათქვამი იყო: „ყველგან, სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზე დგას, მთავრობისათვის გაცილებით ძნელია ზემოქმედების მოხდენა მთლიან მასებზე, ვიდრე მის რომელსამე წოდებაზე, უფრო განათლებულზე და, მაშასადმე, უფრო გავლენის მქონეზე“. ამიერკავკასიაში კი „ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო სიძნელე გაცილებით საგრძნობია: ამისათვის საჭიროა არამცთუ არ შევეხოთ მაღალი წოდების უფლებას, არამედ ყოველგვარად შეეცადოთ მის დაცვასა და განმტკიცებას“.

იყო რა ერთგული ამ პოლიტიკისა „ცარიზმი ახორციელებდა რუსეთის არარუსი ხალხების უხეში ჩაგვრის პოლიტიკას, მათი ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ეროვნული კულტურის ჩახშობის პოლიტიკას. მეფის მთავრობა აღვივებდა მტრობასა და ეროვნულ შუღლს ხალხებს შორის, ერთ ხალხს უსისიანებდა მეორეს. არარუსი

---

1 რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები), 1955, გვ. 5—6.

ხალხების მშრომელი მასები იტანჯებოდნენ ორმაგად — თავიანთი საკუთარი და რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელქვეშ"[1].

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მემამულეთა თავგასულობასა და ცარიზმის კოლონიურ რეჟიმს, აწყობდნენ აჯანყებებს მათ წინააღმდეგ[2], მაგრამ ეს აჯანყებები და გამოსვლები დამარცხებით მთავრდებოდა, ვინაიდან მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული, რომელიც მოწოდებულია მეთაურობა გაუწიოს ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას და იგი გამარჯვებამდე მიიყვანოს.

საქართველოში XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში გლეხთა გამოსვლებს ზოგჯერ პირადი მიზნებით იყენებდნენ სამეფო გვარის შთამომავალნი და მსხვილი თავადაზნაურები. მათ უნდოდათ უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი, აღედგინათ საქართველოს სამეფო და დაებრუნებინათ თავიანთი პრივილეგიები, მაგრამ ისინი თავიდანვე გარიყული აღმოჩნდნენ. ეს აჯანყებები კვლავ და კვლავ ადასტურებდნენ, რომ ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის მფარველობისადმი სამუდამოდ ერთგული რჩებოდნენ, მაგრამ ვერ ურიგდებოდნენ ცარიზმის კოლონიურ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

მემამულეებისა და ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ფართო სარბიელზე გამოდიოდნენ სახალხო გმირები. ასეთები იყვნენ ქართველი არსენა ოძელაშვილი, აზერბაიჯანელი გატირ მამიდი და სხვები. არსენა ოძელაშვილი იყო ქართლის გლეხების 1829 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, ყმა გლეხის შვილი, თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი, რომელმაც ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. აზერბაიჯანულ ხალხურ ეპოსში არსენა ოძელაშვილი წარმოდგენილია გატირ მამი-

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები), 1955, გვ. 5—6.

[2] ანტიფეოდალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის იყო ქართლის გლეხთა გამოსვლა 1829 წელს, გურიის გლეხთა გამოსვლა 1841 წელს, სამეგრელოს გლეხთა გამოსვლა 1857 წელს, ყუბის გლეხთა აჯანყება 1837 წელს, ლორის, ზანგეზურის, ეჩმიაძინის გლეხთა გამოსვლები 1840—1850 წლებში და სხვები.

დის უახლოეს ამხანაგად და თანამებრძოლად. ისინი ხშირად ერთად ებრძვიან მშრომელი ხალხის მტრებს — მემამულეებსა და მეფის მოხელეებს[1].

მოწინავე რუსი მოღვაწეები დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგალითად, თბილისში ცხოვრების პერიოდში გრიბოედოვი ამიერკავკასიის სამეურნეო-კულტურული აყვავების პროექტს ადგენდა და დიდი სიყვარულით ამუშავებდა ქართულ თემატიკას. ქართველ და სომეხ ხალხთა ცხოვრებას შეეხება მისი დაუმთავრებელი ტრაგედია „რადამისტი და ზენობია", რომელშიც გარკვევით ჩანს ტირანიისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ გრიბოედოვის „ქართული ღამე" პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიაც გახსნილია მაშინდელი საქართველოს ძირითადი სოციალური კონფლიქტი. ამ ნაწარმოებში მთელი სისასტიკით არის დაგმობილი ბატონყმობა, როგორც პროგრესის შემაფერხებელი წყობილება.

პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებულ თემებს.

დეკაბრისტების, გრიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის კეთილმყოფელი გავლენა დაეტყო ალექსანდრე ჭაეჭავაძეს, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს, მ. ფ. ახუნდოვს, ს. ა. შირვანს, ხაჩატურ აბოვიანსა და მთელ რიგ სხვა მწერლებს. მათი შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული მოწინავე რუსულ ლიტერატურასთან, დეკაბრისტ პოეტებისა და გრიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ თაობაზე — ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ი. გოგებაშვილზე, ნ. ნიკოლაძეზე და სხვებზე უდიდესი გავლენა მოახდინეს დიდმა რუსმა დემოკრატებმა ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა. ამ გამოჩენილ მოღვაწეთა მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბება იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ევროპაში (იტალიასა და უნგრეთში) გაჩა-

[1] დ. ალიევა, „ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ასახვა აზერბაიჯანულ ლიტერატურაში". იხ. „ლიტერატურული გაზეთი", № 18, 1953. 12 ივნისი.

ღებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და, აკაკი წერეთლის სიტყვით რომ ვთქვათ, „გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად“, ხოლო რუსეთში ასპარეზზე „გამოვიდა სარატოველი სემინარელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოძრავდა რუსეთი“[1].

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, — წერდა „სოვრემენიკით“ აღფრთოვანებული ნ. ნიკოლაძე. — რანაირი მოუთმენლობითა და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის (იგულისხმება ჟურნალი „სოვრემენიკი“—ვ. ს.) ახალი წიგნი გამოვიდოდა, რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარულით და დაუღალველობით დაკვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტკვინი და გონება“[2].

რუსულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა გავლენით ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა სიახლე შეიტანეს საქართველოს ცხოვრებაში. გაჩნდა „თერგდალეულთა“ დასი, რომელიც „აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებული საზოგადოების და ხელსავსე მოვიდა სამშობლოს ქვეყანაში“ (ილია ჭავჭავაძე).

პროგრესულ-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული ინტელიგენციის მიზანს შეადგენდა ბრძოლა ცხოვრების გარდაქმნისათვის. შემთხვევითი როდი იყო, რომ რუსეთიდან მომავალმა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს საზღვრებთან მოახლოებისთანავე დააყენა ცხოვრების გარდაქმნის, შეუპოვარი ბრძოლის, ცხოვრების წიაღში წამოჭრილ წინააღმდეგობათა გარდუვალი დაძლევის საკითხები. დიდმა რუსმა განმანათლებლებმა შთააგონეს მას, რომ მხოლოდ ბრძოლაში და მოქმედებაშია სიცოცხლის აზრი და მნიშვნელობა. მწერალს მღვრიე, მაგრამ მრისხანე და მჩქეფარე თერგი უფრო მოე-

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4, 1948, გვ. 63.

[2] ჟურნ. „კრებული“, № 4, 1873, გვ. 151.

წონა, ვიდრე ცივი და მიუდგომელი, ცხოვრებისაგან განზე მდგომი მყინვარი. თერგისა და მყინვარის შედარებაში მოცემულია იმ მსოფლმხედველობის საფუძველი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და მისი თაობის ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა მოღვაწეებმა რუსეთში შეითვისეს და, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს.

1861 წელს კავკასიელმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოსვლაში. „რამდენიმე ათასი სტუდენტი, — იგონებდა შემდეგ ამ გამოსვლის მონაწილე ნ. ნიკოლაძე, — მწყობრად მიიმართებოდა სასახლის ხიდზე ნევის გასწვრივ და დაბრკოლება არსად არ შეხვედრია. მათ მალე შეუხვიეს ვლადიმირსკის ქუჩით და გავიდნენ კოლოკოლნაიაზე, დმიტროვსკისა და პოვარსკის შესახვევებთან. პროცესიის თავი ყაზანის ტაძართან იყო, ხოლო ბოლო სასახლის ხიდზე“[1]. გონს მოსულმა პოლიციამ დემონსტრაცია გაფანტა და მისი მეთაურები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ქართველი და კავკასიელი სტუდენტები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. ისარლიშვილი, ალხაზიშვილი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც რუს, პოლონელ და სხვა ეროვნებათა მოწინავე შვილებთან ერთად რამდენიმე თვეს კრონშტადტის ციხეში მოათავსეს. ეს იყო პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი პირველი გამოვლინება, რომელსაც იდეურ მიმართულებას აძლევდა დიდი რევოლუციონერი დემოკრატი ნ. გ. ჩერნიშევსკი და მისი სახელოვანი ჟურნალი „სოვრემენიკი“.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებით საფუძველი ჩაეყარა „სოვრემენიკის“ ტიპის დემოკრატიულ პრესას ამიერკავკასიაში. როგორც ცნობილია, ამ ჟურნალის გამოცემაზე მეფის მთავრობამ მხოლოდ იმ პირობით დართო ნება, თუ მასში არ მოთავსდებოდა „არავითარი პოლიტიკური ცნობა და მსჯელობა“, მაგრამ წინააღმდეგ ამ პირობისა, ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ პირველი ნომრიდანვე გახდა საქართველოს მშრომელთა ქომაგი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. ჟურნალმა დაბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც გმობდნენ ბატონყმობას, როგორც პროგრესის შემაფერხებელ წყობილებას.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 102.

და იცავდნენ ჩაგრული ერების ინტერესებს. ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა თარგმანი დობროლიუბოვის განთქმული სტატიისა „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“, რომელშიც აშკარა თანაგრძნობაა გამოთქმული იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი გმირებისადმი. „საქართველოს მოამბე,“ ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის განმათავისუფლებელი იდეების ბრწყინვალე პროპაგანდას ეწეოდა. ეს დიდი მოღვაწეები კი მაღალ შეფასებას აძლევდნენ კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ყოველმხრივ უჭერდნენ მას მხარს. ამ მხარდაჭერით აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე მთელი კავკასიის ხალხთა თავისუფლებას უმღეროდნენ და ნატრობდნენ იმ დროს, როცა კავკასიის ხალხები ბრძოლისათვის აღდგებოდნენ და „ერთის აზრით, ერთის ფიქრით“ განიმსჭვალებოდნენ.

მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის მძაფრი კრიტიკის გამო „საქართველოს მოამბემ“ ერთ წელზე მეტ ხანს ვერ იარსება, მაგრამ მან გზა გაუხსნა ახალ დემოკრატიულ ორგანოებს: „დროებას“, „კრებულს“, „მნათობს“, „ივერიას“ და სხვებს, რომლებმაც განაგრძეს მის მიერ გაკაფული სახელოვანი გზა.

1858 წელს მოსკოვში გამოდის სომხური ჟურნალი „იუსისაპილი“ („ჩრდილოეთის მოკაშკაშე“), რომელიც იცავს გერცენის ჟურნალ „კოლოკოლის“ პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებას. ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი გახდა დიდი სომეხი რევოლუციონერი მ. ნალბანდიანი. აღნიშნული ჟურნალით და განსაკუთრებით ნალბანდიანის პუბლიცისტური და ფილოსოფიური წერილებით ახალი ეტაპი დაიწყო სომხური ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში.

ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ნალბანდიანი წინასწარმეტყველურად ამბობდა, რომ რუსეთის განთავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვისო. ნალბანდიანი თავის ნაწარმოებებში მუდამ მიუთითებდა, ეროვნებათა კუთვნილების მიუხედავად, მშრომელი მასების ინტერესების ერთიანობაზე, ექსპლოატატორული კლასებისადმი მათ შეურიგებლობაზე, თუნდაც ეს უკანასკნელნი „თავისი“ ერისა ყოფილიყვნენ. ნალბანდიანმა მთელი თავისი ძალა და უნარი სიჭაბუკიდანვე მოახმა-

რა „ბედუკუღმართი სომხების“ სამსახურს, რომლებიც იჩაგრებოდნენ „არა მარტო უცხოელი ბარბაროსებისაგან, არამედ თავიანთი მდიდრებისაგანაც, თავიანთი სასულიერო პირებისაგანაც“[1].

პოლიტიკური შეგნებულობის ასეთი მაღალი დონე, რაც ჩერნიშევსკიმ პირველად ტ. შევჩენკოს შემოქმედებაში შენიშნა, უაღრესად ამაღლებს და ჩვენი დღეებისათვის დიდმნიშვნელოვანს ხდის ნალბანდიანის მემკვიდრეობას. აღსანიშნავია, რომ 60-იან წლებში ნალბანდიანი თითქმის სამი წლის განმავლობაში იჯდა საპატიმროში. ჩერნიშევსკის გვერდით იმავე იდეებისადმი ერთგულებისათვის, რასაც დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა შესწირა სიცოცხლე.

იმავე ამოცანას, რასაც ჩვენი „საქართველოს მოამბე“ და მისი მომდევნო გაზეთები ასრულებდნენ, აზერბაიჯანში ანხორციელებდა გაზეთი „ეკინჩი“ („გუთნის დედა“), რომელიც 1875 წელს დააარსა დიღმა აზერბაიჯანელმა განმანათლებელმა ჰასანბეგ ზარდაბმა. უფრო მოგვიანებით საფუძველი ჩაეყარა აზერბაიჯანულ და სომხურ დემოკრატიულ პრესას თბილისში, ერევანში და სხვაგან.

1845 წელს თბილისში მოქმედება დაიწყო მუდმივმა რუსულმა თეატრმა. მეფისნაცვალი კავკასიაში ვორონცოვი და რუს მოხელეთა რეაქციული წრეები ცდილობდნენ რუსული თეატრის გამოყენებას მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის მიზნებისათვის, მაგრამ რუსულმა თეატრმა — რუსული ხელოვნების ამ შესანიშნავმა ქმნილებამ მათ ეს იმედი არ გაუმართლა. რუსულმა თეატრმა სულიერად გაამდიდრა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურა და კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული თეატრების განვითარებაზე. 1850 წელს გ. ერისთავის ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა ქართული თეატრი. ამავე წელს თბილისში შეიქმნა სომხური ეროვნული თეატრი. 1871 წელს თბილისში დაარსებულ იქნა „რუსეთის მუსიკალური საზოგადოების“ კავკასიის განყოფილება, რომლის მიზანი იყო ამიერკავკასიის მუსიკალური კულტურის შესწავლა და მისი შემდგომი განვითარება. ამ საზოგადოების ინიციატივით 1883 წელს დაარსდა მუსიკალური სასწავლებელი, რომლის დირექტორად მოიწვიეს ცნობილი რუსი კომპოზიტორი გ. გ. იპ-

---

[1] М. Налбандян, избранное сочинение, Арменгизд., 1941, გვ. 120.

ოლიტოვ-ივანოვი. საზოგადოებასა და სასწავლებელთან დაკავშირებული იყო გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი ა. გ. რუბინშტეინი, რომელიც ორჯერ ჩამოვიდა სტუმრად საქართველოში.

ზრუნვა ეროვნული ენების, მწიგნობრობისა და პრესის, თეატრებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა შექმნა-განვითარებისათვის მტკიცე საფუძველს უქმნიდა და შემდგომ ანვითარებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ უკანასკნელზე კეთილ გავლენას ახდენდა რუსეთისა და ევროპის პროგრესული მოძრაობანი, რომლებიც ყოველთვის პოულობდნენ თავისებურ გამოხატულებას ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ცხოველი გამოხმაურება პირველი ინტერნაციონალისა და პარიზის კომუნის საქმიანობისადმი, სხვა ქვეყნებში გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების პირობებში სულ უფრო იზრდებოდა და მშრომელთა ფართო მასებისაკენ იკაფავდა გზას.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ამიერკავკასიის ხალხთა მოწინავე შვილები უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ქმნიდნენ ნიადაგს თავიანთი ერების დაახლოებისათვის. ამ მოვლენას ამჩნევდა მეფის მთავრობა და ცდილობდა ხელი შეეშალა მისთვის. მაგალითად, XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ცარიზმი შეეცადა შუღლი ჩამოეგდო ამიერკავკასიაში მცხოვრებ ქართველებსა და სომხებს შორის. მან დაუწყო საგანგებო მფარველობის გაწევა სომხურ სავაჭრო-სავახშო კაპიტალს, რომელმაც მოკლე ხანში საქართველოს, განსაკუთრებით კი თბილისის ვაჭრობა-მრეწველობაში დიდ წარმატებას, თითქმის სრულ ბატონობას მიაღწია. ამან მართლაც გამოიწვია ერთგვარი შუღლი ქართველ თავადაზნაურულ და სომეხ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას შორის. სომეხი ბურჟუაზიის იდეოლოგები შეეცადნენ სომხური კაპიტალის წარმატება აეხსნათ არა მეფის მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკით, არამედ სომეხი ხალხის განსაკუთრებული თვისებებით. აღმოჩნდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმით დაავადებული ისტორიკოსებიც, რომლებიც, სცოდავდნენ რა ისტორიის წინაშე, შეუდგნენ სომხეთისა და საქართველოს ისტორიული წყაროების გაყალბებას, რათა „დაემტკიცებინათ“ სომხური ბურჟუაზიის გავლენის „კანონიერება“ ქართველ ხალხზე. თავისი პოლიტიკის ამყოლთა მიერ

გათამამებულმა ცარიზმმა დააპირა ნაციონალიზმი ხალხის ფართო მასებში შეეტანა, მაგრამ აქ იგი წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას ორივე ხალხის პროგრესულ მოღვაწეთა მხრივ, რომლებმაც ნაციონალიზმს არ მისცეს ხალხის შიგნით შეჭრისა და განვითარების საშუალება. სწორედ ამ პერიოდში სომეხმა დრამატურგმა გააცოცხლა იაკობ ცურტაველის სახელით ცნობილი უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები („წამებაი წმინდისა მოწამისა შუშანიკისა") და მის სიუჟეტზე დაწერა სამმოქმედებიანი დრამა, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა სომხური თეატრის სცენაზე თბილისსა და ერევანში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება დიდი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანცის პიესების მნიშვნელოვანი წარმატება ქართულ სცენებზე თბილისსა და ქუთაისში. ცნობილი პიესა „პეპოს" ავტორმა გ. სუნდუკიანცმა თვითონ გადმოაქართულა და მასში ქართული კოლორიტი — ქართული სიმღერები, მათ შორის ა. ჭავჭავაძისა და გ. ორბელიანის ლექსების მოტივზე შესასრულებელი მელოდიები ჩაურთო. „პეპოს" მოჰყვა „კიდევ ერთი მსხვერპლი" და „ხათაბალა", რომლებიც ქართველმა მაყურებელმა გულთბილი სიყვარულით მიიღო.

გ. სუნდუკიანცის პიესების დიდი წარმატების შესახებ 1876 წელს გაზეთი „დროება" წერდა: „ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გ. სუნდუკიანცი მოდად შემოდის ჩვენს სცენაზე. პირველად ქუთაისმა გაგვაცნო ეს სომხის ნიჭიერი დრამატურგი. იქ ითამაშეს პირველად იმის მშვენიერი კომედია „პეპო", შემდეგ მეორე იმის დრამა „კიდევ ერთი მსხვერპლი"... ახლა, როგორც ამბობენ, იქვე მესამე იმის დრამატიული თხზულების „ხათაბალის" წარმოდგენას აპირებენ. თბილისი, ამ შემთხვევაში ქუთაისის კვალზედ მიდის: აქაც ამას წინათ ორჯერ წარმოადგინეს „პეპო" და ახლა, წარსული კვირის ხუთშაბათს, 15 იანვარს იყო „კიდევ ერთი მსხვერპლი"[1].

ნიჭიერი დრამატურგის წარმატების უპირველეს პირობას ის წარმოადგენდა, რომ იგი სიმართლით, კრიტიკული რეალიზმის თვალსაზრისით ასახავდა სინამდვილეს, ზიმზიმოვებისა („პეპო") და ზამბახოვების („ხათაბალა") სახით ამათრახებდა სომხურ ბურჟუაზიას, იცავდა პატიოსანი მშრომელი ხალხის ინტერესებს. სწორედ

[1] გაზ. „დროება", № 6, 1876, 18 იანვარი.

ამ თვისებების გამო სუნდუკიანცის პიესები დიდხანს შერჩა ქართულ სცენას.

ქართველი და სომეხი ხალხის დიდი მოამაგე ილია ჭავჭავაძე, გ. სუნდუკიანცის პიესების თვალსაჩინო წარმატების შესახებ წერდა: „ყოველივე კარგი სომხისა ჩვენში პოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სომხისას ერთმანეთშიაც აღარ არჩევს. აქ ცუდი რა არის? გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონობას მოასწავებს და სხვას არა-რას"[1].

ხანგრძლივი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდა ერთმანეთთან დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელსა და გ. სუნდუკიანცს. აკაკიმ სუნდუკიანცის პიესაში „კიდევ ერთი მსხვერპლი" არაერთხელ შეასრულა სცენაზე თერგდალეული მიხეილის როლი. გამოხატავდა რა ქართველი და სომეხი ხალხის სურვილებს, აკაკი წერეთელი სუნდუკიანცს მიმართავდა:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა".

სამართლიანად წერდა გაზეთი „კვალი", რომ სუნდუკიანცის პიესებმა შეაერთა ორივე მეზობელი ერი ხელოვნების ნიადაგზეო[2].

მეფის მთავრობის საგულდაგულო მზრუნველობამ სომეხი ბურჟუაზიისადმი, რაც შემდეგშიც გრძელდებოდა, სასურველი ნაყოფი ვერ მისცა ამ ნაციონალისტურ პოლიტიკის შემოქმედთ. ამ ნიადაგზე წარმოქმნილი შუღლი არ გასცილებია თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფარგლებს და მას „შესამჩნევი ფესვები არასოდეს ჰქონია ძმურად მცხოვრებ ხალხებში — ქართველებსა და სომხებში"[3].

XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. 11, 1941, გვ. 196—197.

[2] გაზ. „კვალი", № 21, 1901.

[3] გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, სახელგამი, 1957, გვ. 369.

ბელ მოძრაობას ახალი ბიძგი მისცეს ნაროდნიკულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამიერკავკასიაში რუსული ნაროდნიკული ორგანიზაციების გავლენით განვითარდნენ. მსგავსად რუსი ნაროდნიკებისა, ამიერკავკასიელი ნაროდნიკები უარყოფდნენ კაპიტალიზმის განვითარებას, ბრძოლის საშუალებებითა და მიზნებითაც სავსებით წაგავდნენ თავიანთ რუს თანამოაზრეებს, მაგრამ განსხვავდებოდნენ მათგან იმით, რომ ისინი თავიანთ მოღვაწეობაში დიდ ადგილს უთმობდნენ ეროვნულ საკითხს.

1873 წელს საზღვარგარეთ (ციურიხში) შეიქმნა ნაროდნიკული ხასიათის ორგანიზაცია „უღელი", რომელმაც მოითხოვა ეკონომიურ თანასწორობაზე დამყარებული „თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა"[1]. ერთი წლის შემდეგ ამ საზოგადოების კონგრესზე, რომელსაც ესწრებოდნენ ცნობილი რუსი ნაროდნიკები ტკაჩევი, გოლდენბერგი, ელპიდინი და სხვები, აგრეთვე ფრანგი კომუნარები ლე ფრანსე, მონტელსი, ბაბიკი და სხვები, თავი იჩინა უთანხმოებამ. საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვდა კავკასიის ხალხთა გამოყოფას რუსეთისაგან[2], ხოლო მის უფრო მოწინავე ნაწილს — ი. ჯაბადარს, ა. ციციშვილს, მ. ჩიკოიძეს, ა. ელიოზიშვილს და სხვებს ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული განთავისუფლება წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც რუს და ამიერკავკასიის რევოლუციონერთა ერთობლივი ბრძოლის შედეგი, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად[3].

მოკლე ხანში ნაროდნიკული ორგანიზაციები იქმნება ამიერკავკასიის შიგნით. 1875 წელს შეიქმნა „ამიერკავკასიის სოციალურ-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ აზრში, 1956, გვ. 20.

[2] З. Л. Ш в е л и д з е, Содружество русских и грузинских революционных народников в 70—80 годах XIX в. (Вопросы истории № 12, 1957, გვ. 126).

[3] ნაროდნიკების ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური ი. ჯაბადარი წერდა: „არც ერთ ჩვენ თანამემამულეს სეპარატიზმზე არც კი უფიქრია, არამედ მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სოციალური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომელიც ერთადერთი მისცემს თავისუფლებას რუსეთის ყველა ხალხს, მაშასადამე, თავისუფლებას მოგვცემს ჩვენც, ქართველებსაც" (ჟურნ. „ბილოე", 1907, № 8, გვ. 2).

რევოლუციური საზოგადოება“, რომელიც რუსეთში არსებული ნაროდნიკული ორგანიზაციების ფილიალს წარმოადგენდა და ორგანიზაციულადაც მათთან იყო დაკავშირებული. ამ ორგანიზაციას განყოფილებები ჰქონდა ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ბევრისმთქმელია ის, რომ ორგანიზაციებში დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჩერნიშევსკის განმათავისუფლებელი იდეები. უტყუარ საბუთებით დასტურდება, რომ ჩერნიშევსკის წიგნები ბლომად ჰქონდა არა მარტო თბილისში არსებულ ივანოვის ნახევრად ლეგალურ ბიბლიოთეკას, არამედ იმ დროს ყველა არალეგალურ და ნახევრად ლეგალურ ბიბლიოთეკებსა და ცალკეულ რევოლუციონერებსაც[1].

თბილისის სასულიერო სემინარიაში აღმოჩენილ დავით კეზელის წრის საქმიდან ჩანს, რომ ამ წრის წევრებს ცხოველი მიწერ-მოწერა ჰქონდათ პეტერბურგის სტუდენტებთან და ამ მიმოწერის უმთავრესი საგანი იყო ჩერნიშევსკის პიროვნებისა და მისი ძვირფასი მემკვიდრეობის საკითხი. იმავე საქმიდან ჩანს, რომ იმ პერიოდის რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციას იტაცებდა ჩერნიშევსკის ცნობილი რომანი „რა ვაკეთოთ?“ და მისი გმირი რახმეტოვი, რომელშიც განსახიერებულია ხალხის საქმისადმი თავდადება. ჩერნიშევსკის რევოლუციური იდეებით გამსჭვალულია ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფი, რომელშიც ახალგაზრდა მწერალი ვაჟა-ფშაველაც შედიოდა 1882 წელს. ჯგუფი იკრიბებოდა ქ. გორში და, მსგავსად რუსი რევოლუციური ნაროდნიკებისა, სასტიკ ბრძოლას უცხადებდა მეფის მთავრობას, მემამულეებსა და „რუსეთის გახრწნილ კაპიტალიზმს“, რომელიც, როგორც ჯგუფის მიერ მიღებულ საპროგრამო გადაწყვეტილებაში იყო აღნიშნული, ძარცვავდა პატარა ერების „ბუნებრივ სიმდიდრეს“. ჯგუფი მიზნად ისახავდა: ფეოდალური მიწების კონფისკაციას; გლეხთა კავშირების მოწყობასა და მათი გამოსვლების ორგანიზაციას; პატარა ერების განთავისუფლე-

---

[1] გ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ნ. გ. ჩერნიშევსკი და თბილისის რევოლუციური წრეები გასული საუკუნის 70-იან წლებში, გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 14 ოქტომბერი, 1958.

ბას რუსეთის გახრწნილი კაპიტალიზმისაგან, რომელიც ძარცვავდა მათ ბუნებრივ სიმდიდრეს[1].

ამიერკავკასიის ნაროდნიკული ორგანიზაციები და მათი თვალსაჩინო მოღვაწეები რუს ნაროდნიკებთან ერთად მოქმედებდნენ და მათთან ერთად შედიოდნენ საიდუმლო ორგანიზაციებში. ცნობილია, მაგალითად, რომ „50-ის პროცესის" მთავარ გმირებს შორის იყვნენ გ. ჯაბადარი, მ. ჩიკოიძე და სხვები.

ზოგიერთი გამოჩენილი ნაროდნიკი დაკავშირებული იყო მუშათა მოძრაობასთან, მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო გოლა ჩიტაძე, რომელიც ადრე დაიღუპა, სხვები კი მუშათა მოძრაობას მალე ჩამოშორდნენ.

კაპიტალიზმის განვითარებამ, რომლის შეჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო, საბოლოოდ დაშალა ნაროდნიკული ორგანიზაციები და ჯგუფები. ნაროდნიკების ერთმა ნაწილმა შეინარჩუნა ერთგულება ხალხისადმი, მაგალითად, ქართველი ნაროდნიკები — ცნობილი მწერლები ნიკო ლომაური და სოფრომ მგალობლიშვილი პროგრესული მოღვაწეები დარჩნენ, ხოლო მეორე ნაწილი შეუერთდა სხვადასხვა ნაციონალისტურ მიმდინარეობას, რაც ამიერკავკასიაში საკმაოდ გამრავლდა კაპიტალიზმის განვითარებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში.

ცნობილია, რომ რუსეთის მოწინავე ადამიანები თანაუგრძნობდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ისინი ცნობდნენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ხალხების ეროვნული განვითარების უფლებას, იბრძოდნენ ცარიზმის დამხობისათვის, ამიერკავკასიისა და სხვა ხალხების განთავისუფლებისათვის.

ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ცარიზმის ლაქიამ, ქართველი ხალხის მტერმა კატკოვმა ქართველთა დიდების სიმბოლო — ეროვნული დროშა აუგად მოიხსენია, აღშფოთებულმა ილია ჭავჭავაძემ ამ შოვინისტური გამოხდომის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა პრესაში. რუსეთის მოწინავე

---

[1] იხ. ზაქრო შველიძე, რევოლუციური ხალხოსნების მოძრაობა საქართველოში, 1960, გვ. 211; შიო დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 87; სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 91, 170, 262.

საზოგადოება მებრძოლი ქართველი მწერლის მხარეზე აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძემ თავის სტატიაში, დაიცვა რა ქართველთა საბრძოლო დროშა, აშკარად განაცხადა, რომ „კატკოვებსა და მის ძმაბიჭებს რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებთ, არამედ მათი საკუთარი დამშეული კუჭიო“[1]. დიდი მწერლის სტატია სავსებით ასახავდა რომანოვებისა და კატკოვების რუსეთის მგლურ და ვერაგ ბუნებას და სწორედ ამით დაიმსახურა მან პროგრესულ მოღვაწეთა საერთო მოწონება.

ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ცარიზმის და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პროგრესული დემოკრატიული მოღვაწეები ედგნენ, ხელს უწყობდა ამიერკავკასიის მომმე ხალხთა დაახლოებას, მაგრამ XIX საუკუნის 90-იან წლამდე ეს მოძრაობა სუსტი და ჩამოუყალიბებელი იყო, მას საფუძველი ინტელიგენციაში და გლეხთა ცალკეულ გამოსვლებში ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ არის მოკლებული გარკვეულ მნიშვნელობას, მან მოამზადა ნიადაგი ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

ახალი ეტაპი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში იწყება ამიერკავკასიაში თანამედროვე სამრეწველო მუშათა კლასის წარმოშობით, ამ ხალხების მუშათა კლასის დაახლოებით, მარქსიზმის დროშის ქვეშ მათი დარაზმვითა და ერთობლივი ბრძოლით ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. ამ ეტაპზე ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პროლეტარულ მოძრაობას უკავშირდება და მისი შემადგენელი ნაწილი ხდება. კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მიდის წინ.

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. II, 1941, გვ. 146.

თავი II

ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების გაჩენა და მათი ბრძოლა მუშათა მოძრაობაზე გავლენის მოპოვებისათვის. მარქსიზმის დანერგვა ამიერკავკასიაში და მისი შეერთება მუშათა მოძრაობასთან. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისათვის ;

კაპიტალიზმის განვითარებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაასრულა ამიერკავკასიის ხალხების — სომხების, აზერბაიჯანელებისა და ქართველების ერებად ჩამოყალიბება. კაპიტალიზმს დიდი გარდატეხა, სიახლე შეაქვს ხალხთა ცხოვრებაში, კაპიტალიზმის განვითარება აღვიძებს ერებს და მოძრაობაში მოჰყავს ისინი.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ განვითარებაში მყოფ კაპიტალიზმს ეროვნულ საკითხებში ახასიათებს ორი ტენდენცია:

1. ეროვნული ცხოვრებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვიძების ტენდენცია, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, მისწრაფება თავისუფალ და დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისაკენ.

2. ერთა შორის ურთიერთობის განვითარებისა და მათი ერთმანეთთან სამეურნეო დაახლოების ტენდენცია, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა[1].

კაპიტალიზმის განვითარებამ ამიერკავკასიაშიც გამოიწვია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდა. ამ მოძრაობის საუკეთესო ელემენტები მუშათა მოძრაობამ გამოიყენა, შეითვისა, მაგ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 14.

რამ ამასთანავე გაჩნდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, ჯგუფები და მიმდინარეობანი, რომლებმაც სცადეს ეროვნული მოძრაობა თავიანთი მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ქართველი ბურჟუაზიის ცნობილმა იდეოლოგმა არჩილ ჯორჯაძემ ვარშავაში დააარსა „საქართველოს ლიგა", რომლის მიზანი იყო „საქართველოს განთავისუფლება დესპოტური რუსეთის უღლისაგან"[1], მაგრამ ჯორჯაძემ მალე შეუცვალა მიზანდასახულება ამ ორგანიზაციას და XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებთან ერთად შექმნა ქართველ ნაციონალ-დემოკრატთა პარტია, რომლის მიზანს შეადგენდა ქართველი ბურჟუაზიის „ნაციონალური საკითხის" გადაწყვეტა, ე. ი. ქართველი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა.

ბურჟუაზიის ეროვნული საკითხი საქართველოში წამოიჭრა კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ ბურჟუაზიის წარმოშობასთან ერთად. საქმე იმაში იყო, რომ ქართველი ბურჟუაზია თავიდანვე სისუსტით გამოირჩეოდა. როცა ის გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, საქართველოს ბაზარი თითქმის მთლიანად ხელში ჰქონდა რუსეთის, უცხოეთის და ნაწილობრივ სომხეთის ბურჟუაზიას. ამ ვითარებაში ქართველი ბურჟუაზია შევიწროებულად გრძნობდა თავს და საშველად მოუხმობდა მთელ ქართველ ხალხს, სურდა საქართველოდან გაედევნა ძლიერი მეტოქეები და თვითონ დაპატრონებოდა ბაზარს.

ქართველი ბურჟუაზია და მისი პარტია ნაციონალ-დემოკრატების სახით სისტემატურად ეწეოდა ნაციონალისტურ-შოვინისტურ პროპაგანდას, რათა შუღლი დაეთესა მშრომელთა რიგებში, პირველ რიგში, მრავალეროვან ამიერკავკასიის მუშებს შორის. ისინი ქართველ მუშებს მოუწოდებდნენ მხარში ამოდგომოდნენ ქართველ ბურჟუაზიას და გაერთიანებული ძალით იერიში მიეტანათ უცხო ტომის ელემენტთა წინააღმდეგ.

ა. ჯორჯაძე პირდაპირ მოუწოდებდა: „ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირდაპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელ-

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, გვ. 53.

ში უპირავს აღებმიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთამწყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული ინტერესით უნდა იყოს გამსჭვალული"[1].

მაგრამ ქართველი ეროვნული ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები არამცთუ სათავეში ვერ ჩაუდგნენ საზოგადოებრივ მოძრაობას, არამედ თავიანთი აშკარად რეაქციული და შოვინისტური პოლიტიკის გამო გარიყული აღმოჩნდნენ მისგან. მათი კრახი დაჩქარა. იმ გარემოებამ, რომ ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის პოლიტიკური ჩამოყალიბება იმ პერიოდში დაიწყო, როცა მჭიდროდ დარაზმული პროლეტარიატი აშკარად გამოვიდა ასპარეზზე როგორც მძლავრი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა და მიზნად დაისახა არა მარტო ცარიზმისა და მემამულეთა წყობილების დამხობის, არამედ მთელი კაპიტალისტური წყობილების მოსპობაც. ეროვნული ბურჟუაზიის მარცხი განაპირობა იმანაც, რომ იგი არამცთუ ვერ გამოეთიშა „უცხო ტომის" ელემენტებს, საითკენაც მას ნაციონალ-დემოკრატები უბიძგებდნენ, არამედ ეკონომიური განვითარების ძალით კიდევ უფრო გადაეჯაჭვა მათ. ეკონომიურმა განვითარებამ ხიდი გასდო ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და რუსეთის ბურჟუაზიას შორის. ქართველი ბურჟუაზია, ისე როგორც რუსეთის ბურჟუაზია, რეაქციის ბანაკში გადაბარგდა.

საქართველოს მუშათა კლასის გამოფხიზლება და ქართველი მარქსისტების რევოლუციური საქმიანობა სასიკვდილო ლახვარი აღმოჩნდა ნაციონალ-დემოკრატებისათვის.

მედგარმა კლასობრივმა შეჯახებებმა, რომლებმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები, თავზარი დასცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი.

მაგრამ აი დადგა 1904 წელი და ამ პარტიის ნამსხვრევებზე საზღვარგარეთ, ჟენევაში, ჩამოყალიბდა ახალი პარტია — „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია", რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა უპრინციპო პარტია — ნაციონალ-დემოკრატები, სოცია-

---

1 გაზ. „ცნობის ფურცელი", № 1416, 1901.

ლისტ-რევოლუციონერები, საქართველოისტები[1], ანარქისტები და სხვ.

ესენი იყვნენ ჭრელი და ერთმანეთის უარმყოფელი ხალხი, რომლებმაც შერცხვენილი სახელის აღსადგენად ფერი იცვალეს და სოციალიზმის სამოსელში გაეხვივნენ.

რატომ იყვნენ ისინი „ჭრელი და ერთმანეთის უარმყოფელი“? სოციალისტ-რევოლუციონერები მიზნად ისახავდნენ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობას და ბრძოლის ძირითად მეთოდად, მსგავსად ნაროდნიკული ორგანიზაციებისა, თვლიდნენ ინდივიდუალურ ტერორს; საქართველოისტებმა ბრძოლა გამოუცხადეს „ყოველ ტერორისტულ და ანარქისტულ ზომას“. ანარქიზმი მხარს უჭერდა მუდმივ „ბუნტარობას“, უარყოფდა ყოველგვარ პოლიტიკას და სახელმწიფოებრივობას, ერს და ეროვნულ მოძრაობას. ანარქიზმი კოსმოპოლიტურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ საქართველოში ანარქისტების უმრავლესობა, გარდა მცირე გამონაკლისისა, რომელიც არ ცნობდა ეროვნებას და ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას რეაქციულად თვლიდა, ანარქიზმს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან აერთებდა და უწინარეს ყოვლისა ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვდა.

ქართველი ანარქისტების ეს თვისება — კავშირი ეროვნულ მოძრაობასთან ნათელი გახდა 1904 წელს — ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამფუძნებელ კონფერენციაზე. იქ ქართველი ანარქისტების მეთაურმა ვ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ მისი ჯგუფის წევრები კონფერენციაზე მივიდნენ არა როგორც ანარქისტები, არამედ როგორც ქართველები „ჩვენთა ქართველთა საქმეთა გამოსარკვევადო“[2].

ყველა ამ პარტიამ, სხვადასხვა იდეური პოზიციის მიუხედავად, მოახერხა საერთო ენის გამონახვა და შეთანხმდა ერთ საკითხში — ეს იყო მეფის რუსეთის ფარგლებში ბრძოლა საქართველოს „დამოუკიდებლობისათვის“ ფედერაციის ფორმით. ქართველი სოცია-

---

[1] ეს სახელწოდება წარმოსდგა გაზეთ „საქართველოდან“, რომელსაც ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები სცემდნენ პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართველი ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლა ნაციონალურ საკითხში (ჟურნ. „ბოლშევიკი“, № 12, 1948).

ლისტ-ფედერალისტების (მისი ლიდერები ვ. ჩერქეზიშვილის გარდა იყვნენ ა. ჯორჯაძე, გ. ზდანოვიჩი, ჭ. მაიაშვილი, გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე და სხვები) პროგრამულ მოთხოვნებში შედიოდა ფედერაციული დამოკიდებულების დამყარება რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის და თვით ამიერკავკასიის შინაგანი მოწყობა ფედერაციულ საწყისებზე. გამოდიოდნენ რა ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებიდან, ფედერალისტები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრით გამოწვეული უკმაყოფილება და მუშათა კლასიც ჩაეთრიათ ამ საქმეში და რევოლუციური მოძრაობაც ნაციონალიზმის ჩარჩოებში მოექციათ.

ამიერკავკასიის მუშათა კლასის გასათიშავად ენერგიულად მოქმედებდა სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია „დაშნაკცუთიუნი“, რომელიც სომხური ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. ეს პარტია იბრძოდა ამიერკავკასიაში „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს შექმნისათვის და თავისი პროგრამით, რომელიც ბევრ ფარისევლურ დაპირებებს შეიცავდა „მშრომელი სომეხი ხალხის“ მიმართ, ახლო იდგა რუს ესერებთან. იგი მოითხოვდა მიწის ნაციონალიზაციას, იზიარებდა ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს, იყო რეაქციული ჩეტნიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელოვნურად იწვევდა კონფლიქტებს, რითაც მეფის მთავრობას ხალხთა დარბევისა და აწიოკების საბაბს აძლევდა.

„დაშნაკცუთიუნის“ პარტიამ 1895—1896 წლებში თურქეთის სომხურ ტერიტორიებზე გამოიწვია პროვოკაციები, რასაც შედეგად მოჰყვა თურქეთის ხელისუფლების მიერ სომეხი მოსახლეობის გაუგონარი ჟლეტა სასუნში, არზრუმში, ტრაპეზუნდში, ვანში, ხარბერდში, კონსტანტინეპოლში, მარაშში და სხვა ადგილებში. 900-იანი წლების დამდეგს სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით დაშნაკების პარტია „გამემარცხენდა“ და „ოპოზიციაში“ ჩაუდგა ცარიზმს, აშკარად იცავდა სომეხი ბურჟუაზიის ინტერესებს, იბრძოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მეფის ხელისუფალთა შთაგონებით მან ბაქოში, თბილისში, ელისაბედპოლსა (კიროვაბადი) და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში სომეხი მოსახლეობა წააქეზა აზერბაიჯანელების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა.

გარდა „დაშნაკცუთიუნისა“, ამიერკავკასიაში იყო აგრეთვე ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია „ჰნჩაკი“, რომელიც თბილისში საკუთარ გაზეთს სცემდა და მიმდევრები ჰყავდა მთელი ამიერკავკასიის სომხურ მოსახლეობაში. ამ პარტიასაც თავისი „სომხური ინტერესები“ ჰქონდა და ვიწრო ეროვნულ გრძნობებს აღვივებდა.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ საზღვარგარეთ (ჟენევაში) შეიქმნა ახალი სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია — „სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია“, რომელიც სომეხმა ნაციონალ-ფედერალისტურმა ელემენტებმა ჩამოაყალიბეს. ეს პარტია, რომელიც მუშათა სახელს ფარისევლურად ითვისებდა, მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სომეხ მუშათა ცალკე კავშირებად გაერთიანებას. იგი დემაგოგიურად უწოდებდა თავის თავს „სოციალისტურს“, რათა გაებრიყვებინა სომეხი მუშები და თავის მომხრეებად გაეხადა ისინი. ამ პარტიის „თეორეტიკოსები“ ამტკიცებდნენ, თითქოს სომეხ პროლეტარსა და სომეხ ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები აქვთ, რომ ისინი ერთ ხალხს, ერთ განუყოფელ ერს შეადგენენ. სომეხ ხალხს (რომელთანაც მათ არავითარი საერთო არა ჰქონდათ) თითქოს განსაკუთრებული, სხვა ეროვნების ადამიანთაგან განსხვავებული სპეციფიკური თვისებები გააჩნდა (აქედან მათ მიიღეს მეორე სახელწოდება — „სპეციფიკოსები“), რაც ვითომდა აუცილებელს ხდიდა სომეხთა მოწყობას ცალკე ორგანიზაციად.

ვ. ი. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა ეს ნაციონალისტური ორგანიზაცია და მის წევრებს „ჭაობის ნაძირალები“, „ლიტერატორ-დეზორგანიზატორები“ უწოდა. ლენინმა აღნიშნა ამ ორგანიზაციის მსგავსება ბუნდთან: „ესენია ბ უ ნ დ ი ს კ რ ე ა ტ უ რ ა და მეტი არაფერი, სპეციალურად გამოგონებული კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისათვის“[1]...

როგორც „დაშნაკცუთიუნის“, ისე საზღვარგარეთ შექმნილი სომხური ნაციონალისტური პარტიები გამოხატავდნენ იმ სომეხი ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში შეეჯახა ამიერკავკასიაში მოკალათებულ უცხოელ და რუს ბურჟუაზიას.

თავისი ინტერესების დამცველი აღმოჩნდა უფრო სუსტი, გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 379.

ნუვითარებელი აზერბაიჯანის ბურჟუაზიაც, რომელიც მოითხოვდ> ადგილს მზის ქვეშ, მაგრამ ვინაიდან ეს ადგილი უკვე დაკავებული აღმოჩნდა, ისიც განემზადა ბრძოლისათვის. XIX საუკუნის დამ-ლევს შეიქმნა აზერბაიჯანელ მიწათმფლობელთა (ხანების, ბეგების, ალალარების) და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი პარტია, რომლის პროგრამა გამსჭვალული იყო პანისლამიზმით (მას ეწოდ-ებოდა „პანისლამური პარტია"). ეს პარტია ესწრაფოდა ყველა იმ ხალხთა გაერთიანებას, რომლებიც აღიარებდნენ მუსლიმანურ რე-ლიგიას. XIX საუკუნის დასასრულს მუსლიმანური პარტია შეუდგა ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში გაბნეული თურქ-აზერბაიჯანე-ლი მუშების ცალკე კავშირებად მოწყობას. უფრო გვიან (1912 წელს) ამ პარტიის ძირითადმა ბირთვმა შეადგინა ნაციონალისტუ-რი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია — „მუსავატი" („თანა-სწორობა"). იგი, იფარებდა რა „დემოკრატობის" ნიღაბს, ლამობდა თავისი ნაციონალისტური დროშის ქვეშ აზერბაიჯანელი მუშებისა და გლეხების გაერთიანებას.

ყველა აქ ჩამოთვლილი პარტიები თავიანთი ქვეყნის — ქართ-ველი, სომეხი ან აზერბაიჯანელი ბურჟუაზიის ინტერესებს გამო-ხატავდნენ და ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ მუშათა კლასი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო მაცოცხლებელი სული ჩაე-ბერა ეროვნული მოძრაობისათვის.

ეს პარტიები თავიანთი ერის სახელით გამოდიოდნენ თავისუფ-ლების, სამშობლოს, ენისა და ერის ტრადიციების დასაცავად, მაგ-რამ ნამდვილად თავიანთი კლასის ინტერესებს იცავდნენ და ერს ღალატობდნენ.

ამ გამცემლური პოლიტიკით ისინი არც პირველი იყვნენ და არც უკანასკნელი.

ცნობილია, რომ ბურჟუაზია კაპიტალიზმის აღმავლობის პე-რიოდში ხალხის სახელით გამოდის და საერთო-სახალხო, ეროვნულ საქმეს მეთაურობს, მაგრამ იმპერიალიზმის პერიოდში, როცა კაპი-ტალიზმი ლპება და იხრწნება, ბურჟუაზია ხალხს ზურგს აქცევს, ღალატობს მას და რეაქციას უკავშირდება, ებრძვის ხალხს.

„ჩვენ გვინახავს, თუ როგორ მიჰყიდა თავისი თავი პრუსიე-ლებს ფრანგმა ბურჟუაზიამ ფრანგი ერის უაღრესი ჩაგვრისა და დამცირების მომენტში, თუ როგორ გადაიქცა ნაციონალური თავდა-

ცვის მთავრობა ხალხის ღალატის მთავრობად, თუ როგორ მოუხმო დასახმარებლად ჩაგრული ერის ბურჟუაზიამ მჩაგვრელი ერის ჯარისკაცებს თავისი თანამემამულე პროლეტარების დასათრგუნავად, რომლებმაც გაბედეს ძალაუფლებისაკენ გაეწვდინათ ხელი"[1].

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი კავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებიც სწორედ ასეთი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. ისინი რეაქციის ბანაკში გადასული ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდნენ და ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ მუშათა კლასი და მშრომელთა ფართო მასები, გაეთიშათ მათი ერთიანობა. ცხადია, ასეთ ვითარებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ჭეშმარიტი წინამძღოლი უნდა გამოსჩენოდა. შეიქმნა იმის ობიექტური პირობები და აუცილებლობა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში პროლეტარიატი ჩასდგომოდა, გადაექცია ეს ბრძოლა საერთო-დემოკრატიულ მოძრაობად და წარემართა მეფის მთავრობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის სინამდვილეში ეს ამოცანა უყოყმანოდ იკისრა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშათა კლასმა, მაგრამ ამ მიზნით აუცილებელი იყო, რომ მათ პირველ რიგში დაემყარებინათ ძლიერი კავშირი ურთიერთშორის და მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად მედგრად აღემართათ თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა.

ამისათვის საჭირო იყო მუშები შეიარაღებული ყოფილიყვნენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ შემუშავებული კლასობრივი ბრძოლის თეორიით, სოციალიზმის მოძღვრებით. მაგრამ ამ მოძღვრების დაუფლება მათ საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ. „ყველა ქვეყნის ისტორია მოწმობს, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ მუშათა კლასს მარტოოდენ თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედ-უნიონისტური შეგნება, ე. ი. რწმენა იმისა, რომ აუცილებლად საჭიროა გაერთიანდნენ კავშირებში, აწარმოონ ბრძოლა მეპატრონეებთან, მოითხოვონ მთავრობისაგან მუშებისათვის საჭირო ამა თუ იმ კანონების გამოცემა და სხვ."[2].

ხოლო სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა კლასში „შეი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 574—575.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 468—469.

ძლებოდა მხოლოდ გარედან"[1] მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით. პარტიას ეკისრებოდა ისტორიული ამოცანა შეეერთებინა ერთმანეთთან მანამდე გათიშული სოციალიზმის მარქსისტული თეორია და მუშათა მოძრაობა და მთელი ძალები წარემართა ყოველგვარი სოციალური და ეროვნულ ჩაგვრის მოსასპობად.

* * *

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა მოიპოვა ჭეშმარიტად ტანჯვით, გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის გაღებით, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების შედეგად.

მაგრამ სწორედ ამ უმძიმესი გზის გავლით „რევოლუციურ რუსეთს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი მდიდარი ინტერნაციონალური კავშირი ჰქონდა, ისე საუცხოოდ იცნობდა რევოლუციური მოძრაობის მსოფლიო ფორმებსა და თეორიებს, როგორც მსოფლიოს არც ერთი სხვა ქვეყანა"[2].

რუსეთის ამ მდიდარ ინტერნაციონალურ კავშირში მოექცა ამიერკავკასია.

მარქსიზმის მიხედვით, „როგორც ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც უწინარეს ყოვლისა აზროვნების იმ მასალას უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მას დახვდა დაგროვებული, თუმცა მისი ფესვები მატერიალურ-ეკონომიურ ფაქტებში იყო გადგმული"[3].

ასეთი ნიადაგი მომზადდა ამიერკავკასიაშიც. ამიერკავკასიაში მარქსიზმს დახვდა, ერთი მხრივ, მომწიფებული საზოგადოებრივი აზრიც (XIX საუკუნის მატერიალისტური და დემოკრატიული ტრადიციები) და, მეორე მხრივ, განუწყვეტელი ზრდის პროცესში მყოფი სამრეწველო პროლეტარიატი.

ამიერკავკასიაში მარქსიზმის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობას

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 468.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 11.

3 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, 1950, გვ. 129.

ვხვდებით ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70—80-იან წლებში, მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა თანაგრძნობით მიიღო მარქსიზმი. ქართველი ინტელიგენციის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იმოწმებდნენ მარქსისა და ენგელსის შრომებს, მაგრამ მარქსიზმის ასეთი „მიღება“ როდი ეყრდნობოდა მარქსიზმის ნამდვილ გაგებასა და აღიარებას. ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მარქსიზმისათვის, ჯერ კიდევ არ იყო ის მატერიალური ძალა, რომელიც მარქსიზმის ჭეშმარიტი მატარებელია და რომელსაც ის დაეყრდნობოდა, — არ იყო თანამედროვე მუშათა კლასი. მარქსიზმი ამიერკავკასიაში ვრცელდება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან.

რუსეთში მარქსიზმის გავრცელებასა და დაცვაში დიდი როლი შეასრულა გ. ვ. პლეხანოვმა და მის მიერ 1883 წელს დაარსებულმა „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“. ამ ჯგუფმა პირველმა მიუყენა რუსულ საზოგადოებრივ სინამდვილეს მარქსისა და ენგელსის დებულებები და სერიოზული ბრძოლა გაუმართა პირველ რიგში ნაროდნიკებსა და მარქსიზმის სხვა მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც სწორად არ ესმოდათ საზოგადოების განვითარების კანონები, პროლეტარიატის როგორც ყველაზე თანმიმდევრული, მოწინავე კლასის ისტორიული დანიშნულება.

პლეხანოვმა დიდი როლი შეასრულა მარქსისტული ორგანიზაციების შექმნაში, რუსეთის განაპირა ქვეყნებშიც. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი მარქსისტული წრეების შექმნა ამიერკავკასიაშიც.

პლეხანოვის ნაწარმოებები და „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ სხვა გამოცემები ამიერკავკასიაში ცნობილი იყო 80-იან წლებშიც, მაგრამ ისინი ფართოდ ვრცელდებიან მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების შექმნის შემდეგ.

„შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ ნაირსახეობას წარმოადგენდა პირველი მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ამიერკავკასიაში „მესამე დასი“, რომელიც, ერთი მხრივ, ვარშავაში მყოფი ფ. მახარაძის საშუალებით, მეორე მხრივ, საზღვარგარეთიდან ბათუმითა და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებით მიღებული ლიტერატურის მეოხებით კარგად იყო გაცნობილი პლეხანოვის შრომებსა და აგრეთვე „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ სხვა გამოცემებს.

„მესამე დასის“ პირველ დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1892 წელს ზესტაფონში შეიკრიბა, პროგრამული საკითხის განხილვისას იყო მსჯელობა ეროვნულ საკითხზე. კრებაზე სასტიკად იქნა დამარცხებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმდინარეობა, რომელსაც საქართველოს მენშევიკების მომავალი ლიდერი ნ. ჟორდანია და მისი თანამებრძოლები იცავდნენ. გამარჯვებას ჭეშმარიტმა მარქსისტებმა მიაღწიეს. „მესამე დასის“ ორგანიზატორი ეგნატე ნინოშვილი პირველი გამოვიდა ინტერნაციონალიზმის დასაცავად[1].

„ჩვენ, მემარცხენეებმა, პროექტი (ჟორდანიას მიერ წარდგენილი პროგრამა. — ვ. ხ.) სრულიად ჩავშალეთ, — წერდა შემდეგ ამ კრების მონაწილე მ. ცხაკაია, — და ერთსულოვნად მივიღეთ შემდეგი ორი წინადადება: 1) ჩვენ ყველგან და ყოველთვის ლეგალურადაც და არალეგალურადაც ვართ სოციალისტები და 2) აბსოლუტური მოწინააღმდეგეები ყოველგვარი ნაციონალიზმისა“[2].

პროგრამის ის მონახაზი, რომელიც ნ. ჟორდანიამ „მესამე დასის“ პირველ კრებას წარუდგინა და ამ უკანასკნელმა იგი უკუაგდო, ოდნავი ცვლილებებით ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ მეტად თავისებური სათაურით — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“.

მთავარი, რაც თვალში გვეცემა, ამ ოპორტუნისტულ დოკუმენტში ის არის, რომ მასში წინა პლანზეა წამოწეული „ეროვნული საკითხი“. და ამ საკითხისადმია დამორჩილებული კლასობრივი ბრძოლის საკითხები. „პროგრამა“ არ უარყოფს, რომ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობაა, მაგრამ მასში ის აზრია გატარებული, რომ, როცა საკითხი „ერის კეთილდღეობას“ ეხება, პროლეტარიატიც და ბურჟუაზიაც ერის ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს, ერი ჟორდანიასათვის „საერთო ნიადაგია“. „პროგრამა“ მიუთითებს, რომ კაპიტალისტური განვითარება მოასწავებს ღრმა ცვლილებებს ეკონომიკაში (იგი ამას ასაბუთებს საქართველოს

---

[1] ნ. ბ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), 1958, გვ. 11.

[2] М. Ц х а к а я, Грузия и Армения под пятой империалистов, Тифлис, 1925, გვ. 25—26.

მაგალითზე), „გაევროპიელებას“, მძლავრ ეკონომიურ განვითარებას. ეკონომიური განვითარება, რომელიც ამავე დროს ეროვნული განვითარებაც არის, ერს საშუალებას აძლევს გამოჩნდეს მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ვინაიდან „სუსტი ერის საქონელი იჩრდილება მსოფლიო ბაზარზე“, ამიტომ „ერის სიდიადეში დაინტერესებულია როგორც ბურჟუა—ვაჭარი, ისე გლეხი — მუშა“. მაშასადამე, ერის ინტერესებისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები ყველა კლასის ინტერესს უნდა შეუერთდეს და წარიმართოს „ერის გაღონიერების საჭიროებისაკენ“. ასეთი იყო, ჟორდანიას აზრით, პროლეტარიატის ამოცანა.

ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ ამ სტატიაში ჩანასახის სახით მოცემულია ქართული მენშევიზმის მთელი კონცეფცია.

ჟორდანიას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პროგრამის პროექტის უკუგდებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გამარჯვებისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

„მესამე დასი“ იყო პირველი მარქსისტული ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა, მაგრამ „მესამე დასი“ ერთადერთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია როდი იყო „...მის პარალელურად და პირველ ხანებში მისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრეები, რომელთა შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები“[1]. ისინი იქმნებოდნენ საწარმოებში, უმთავრესად თვითგანათლების წრეებიდან. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა თ. აფანასიევის წრე, მასთან დაკავშირებული იყო იმხანად თბილისში მყოფი მომავალი დიდი პროლეტარული მწერალი მ. გორკი, რომელიც მარქსიზმის იდეების გავლენით იზრდებოდა. წრეს კავშირი ჰქონდა პეტერბურგის, ბაქოსა და სხვა ქალაქების გამომცემლობებთან. მის განკარგულებაში იყო „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ მიერ გამოცემული მრავალი წიგნი, აგრეთვე ლიტერატურა პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

თ. აფანასიევის წრეს პირველად თვითგანათლების ხასიათი ჰქონდა. თუ რამდენად დიდი იყო მის წევრებზე გორკის გავლენა,

---

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, გვ. 42.

ჩანს როგორც საარქივო მასალებიდან, ისე წრის წევრთა მოგონებებიდან. მეფის ოხრანკის მასალებში აღნიშნულია, რომ გორკი „დანაშაულებრივ“ გავლენას ახდენდა მუშებზე, „ძლიერ ხშირად და მკვახედ ლაპარაკობდა მუშათა ექსპლოატაციაზე“[1]. თვითონ გორკიც 1892 წლის 14 თებერვალს თბილისიდან ყაზანში გ. ა. პლეტნევისათვის გაგზავნილ წერილში ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რომელსაც იგი ეწეოდა „მუშათა წრეებსა და მოსწავლეებში“.

„იმ საღამოსაც იგივე სურათი იყო, — იგონებს წრის წევრი ს. ალილუევი, — ხელმძღვანელი (ლექტორი) იჯდა მაგიდასთან და ნათურის შუქზე თავაუღებლად კითხულობდა სვიდერსკის „შრომასა და კაპიტალს“. წრის წევრებს მოწყენილობისაგან ამთქნარებდათ, ზოგს რული ეკიდებოდა. ამ დროს ოთახში შემოდიან აფანასიევი და მუშებისათვის მანამდე უცნობი გორკი, ადგილებს იკავებენ მაგიდის ახლოს და უსმენენ „ლექციას“.

ცოტა ხნის შემდეგ გორკი აჩერებს ლექტორს და აცხადებს:

— ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო, რომ თქვენ ისმენთ რა არის ზედმეტი ღირებულება. მაგრამ ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს ცოცხლად და არა ასე ცხოვრებისაგან მოწყვეტით. წაკითხული უნდა დაუკავშიროთ თქვენს პირად დაკვირვებებს. მაგალითად, იმ ზედმეტ ღირებულებას, თქვენ ხომ საკუთარ ზურგზე გრძნობთ!..

გორკის სიტყვებმა გამოაფხიზლა კრება, დამსწრეებმა თავები წამოჰყვეს.

გორკი განაგრძობდა:

— კიდევ უკეთესია, ამხანაგებო, თუ თქვენ ჩაიწერთ ყველაფერს იმას, რაც განსაკუთრებით გაღელვებთ ან ხელს გიშლით მუშაობაში. დაწერეთ დღის საჭირბოროტო საკითხებზე, ჩაიწერეთ ფაქტები, ხოლო დაწერილი გადაეცით ერთს, მეორე ამხანაგს — დაე წაიკითხონ. ისინი, შეიძლება, კიდეც გადაწეროთ რამდენიმე ცალად. დაურიგოთ ამხანაგებს... ამ ფურცლებით, შეიძლება, ბევრს მიაღწიოთ“[2]. გორკის მიერ შთაგონებულმა მუშებმა 1892 წლის აპრილში გამოუშვეს კარიკატურა-პროკლამაცია, რომელიც საქვაბე საამქ-

---

[1] ჟურნ. „კატორგა ი სიღკი“, № 2, (15), 1925, გვ. 154.

[2] С. Аллилуев, Пройденный путь, Москва, 1946, გვ. 36.

როს ბრიგადირს ნეიმანს ამხილებდა წვრილმან ქურდობაში, ხოლო საამქროს მთავარ ოსტატს ბლუმბერგს ბრალად დებდა მის მფარველობას. ამ პროკლამაცია-კარიკატურით მუშებმა პირველი სილა გააწნეს თავიანთ უბოროტეს მტრებს, რომლებიც მოწინავე მუშებს სისტემატურად აბეზღებდნენ ადმინისტრაციასთან და თავიდან იშორებდნენ დაპატიმრებით ან სახელოსნოებიდან გაძევებით.

1892 წლის შემოდგომაზე წრემ გორკის რჩევით რამდენიმე ათეულ ცალად გამოსცა ჰექტროგრაფზე დაბეჭდილი პროკლამაცია. ეს პროკლამაცია შეადგინა გადმოსახლებულმა მუშამ ფ. მაიოროვმა, გორკის მითითებით იგი წინასწარ განიხილეს მუშებმა და მასში მრავალი შესწორება შეიტანეს.

თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში სამუდამოდ შევიდა გორკის მიერ თავის ბინაზე გამართული საღამოები, რომლებმაც გორკის მაშინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით „კრასნოგორსკის კომუნის“ სახელწოდება მიიღო (ახლა ამ ქუჩას გორკის სახელი ეწოდება).

ეს საღამოები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის დემოკრატიული ინტელიგენცია, უმეტესად თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშებისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა მშრომელთა შეგნების ამაღლების, მათი იდეური წრთობის თავისებურ სახალხო უნივერსიტეტს.

აქ ”ამოთვლილ. ფაქტები იმაზე მიუთითებენ, თუ როგორი სასარგებლო და კეთილმყოფელი იყო გორკის მოღვაწეობა თბილისელი მუშებისათვის.

მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელმა მუშებმა და თბილისის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ დადებითი გავლენა თვით გორკიზედაც იქონია, შეავსო მისი ცოდნა ახალი ფაქტებითა და მასალებით, გაუმდიდრა გამოცდილება, რამაც გამოხატულება პოვა დიდი მწერლის შემოქმედებაში. სწორედ აქ, თბილისში, გორკის სამწერლო მოღვაწეობისაკენ უბიძგეს ქართველმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა, რომელიც ამ დროს ყალიბდებოდა როგორც მარქსისტი მოაზროვნე და ა. მ. კალიუჟნმა, ყოფილმა ნაროდნოვოლცმა და პოლიტკატორღელმა, რომლის ბინაშიც გორკიმ უშუალოდ მოჰკიდა ხელი კალამს. სწორედ აქ, თბილისში, გორკიმ დაწე-

რა თავისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, აქვე დაბეჭდა და პირველად თბილისის მკითხველებს გააცნო.

იმავე ხანებში „მესამე დასისაგან“ დამოუკიდებლად თბილისში იქმნება მეორე სოციალ-დემოკრატიული წრე, მასში შედიოდნენ რუსი თ. მაიოროვი, პოლონელი ს. რენგერი (იუსტინი), ლიტველი ა. კოკი, ვ. ცაბაძე, ზ. ჩოდრიშვილი, გ. ბოჭორიძე, ა. ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე და სხვები.

ამ წრეების მოღვაწეობა არ სცილდებოდა ვიწრო პროპაგანდის ფარგლებს.

მ. გორკი გასული საუკუნის 90-იან წლებში ორჯერ იყო ბაქოში. ამ დროს აზერბაიჯანელი ხალხის სახელოვანი შვილი ნ. ნ. ნარიმანოვი ეწეოდა საგანმანათლებლო მუშაობას, აცნობდა მუშებს მარქსისტულ ლიტერატურას. 1893 წელს ნარიმანოვმა ბაქოში გახსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მშრომელთა ფართო მასებისათვის. ბაქოში მუშები ებმებიან საგანმანათლებლო მუშაობაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მარქსისტული წრეები.

* * *

„პეტერბურგის მუშათა განთავისუფლების ბრძოლის კავშირი“, რომლის სულისჩამდგმელი ვ. ი. ლენინი იყო, შეუდგა მუშათა მოძრაობის შეერთებას სოციალიზმთან. ეს იყო ვიწრო პროპაგანდისტული მუშაობიდან მასობრივ პოლიტიკურ მუშაობაზე გადასვლის საუკეთესო ნიმუში, ახალი ეტაპის დასაწყისი მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

„ბრძოლის კავშირის“ გავლენით დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება მთელ რუსეთში, რუსეთის განაპირა მხარეებსა და მათ შორის ამიერკავკასიაშიც.

„ბრძოლის კავშირის“ გავლენით 1896 წელს მარქსისტული წრეების რიცხვი თბილისში 20-მდე გაიზარდა. ამავე წელს წრეებმა სცადეს გაერთიანება, რისთვისაც შეიქმნა ხელმძღვანელი კოლექტივი და ერთიანი გეგმის საფუძველზე წარიმართა პროპაგანდისტული საქმიანობა. იმავე წელს წრეებმა ჩაატარეს მოსამზადებელი მუ-

შაობა გაფიცვის მოსაწყობად რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, გამოუშვეს პროკლამაციები და სხვ. რევოლუციური ელემენტები „მესამე დასიდან“ და მარქსისტულ წრეებში დაწინაურებული მუშა-რევოლუციონერები — პრაქტიკოსები გაერთიანდნენ და 1897 წელს შექმნეს თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი[1].

„ბრძოლის კავშირის“ გავლენით 1896 წელს მარქსისტული წრეები ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში — ბაქოში.

1897 წელს თბილისიდან ბაქოში ჩავიდა თ. აფანასიევი, რომელმაც დაამყარა კავშირი თბილისისა და ბაქოს მარქსისტულ წრეებს შორის და მოაწყო არალეგალური ლიტერატურის გაგზავნა-მიღების საქმე. იმავე წელს ბაქოში თბილისიდან გაემგზავრა ა. წულუკიძე, რომელმაც კავშირი დაამყარა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან და მუშებისათვის მოაწყო საერთო განათლების საღამოს კურსები, რომლებზედაც მუშები კლასობრივი ბრძოლის საკითხებსაც სწავლობდნენ. შემდეგში ბაქოში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ლ. კეცხოველი, ნ. კოზერენკო, ვ. სტურუა და სხვ. 1899 წელს შეიქმნა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ არ მოიცავდა ბაქოს ყველა მუშათა რაიონს, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა მუშებს შორის რევოლუციური შეგნების ამაღლების საქმეში.

„ბრძოლის კავშირის“ გავლენით 1896 წელს მარქსისტული წრეები შეიქმნა ბათუმში, მათ ხელმძღვანელობდნენ ლუზინი, გ. ფრანჩესკი, გ. სოლორაშვილი და სხვები. პოლიციის მასალებში პირდაპირ მითითებულია, რომ ბათუმის მუშათა წრეები დაკავშირებული იყვნენ „პეტერბურგში არსებულ ცენტრთან“, რომელიც ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოქმედებას აერთიანებდა. ბათუმის მუშათა მარქსისტულმა წრემ პირველად თარგმნა ქართულ ენაზე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, მისი რამდენიმე თავი გადაბეჭდა ჰექტოგრაფზე და გაავრცელა. „მანიფესტის“ ეს პირველი თარგმანი გავრცელებულ იქნა თბილისში, ქუთაისში, ბაქოში (ქართველ მუშებში).

1897 წელს მ. ცხაკაიასა და გადმოსახლებულ რუს სოციალ-

---

[1] გაზ. „ისკრა“, № 50, 1903, 15 ოქტომბერი.

დემოკრატ ნ. კოზერენკოს ხელმძღვანელობით ქუთაისში იქმნება პირველი მარქსისტული წრე. ამ წრეში იმავე წელს ჩაება ახალგაზრდა განათლებული მარქსისტი ა. წულუკიძე, რომლის პირველმავე რეფერატმა მ. ცხაკაიას აგრძნობინა, რომ მისი სახით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა „რევოლუციური ნერვის“ მქონე ადამიანი, რაც უკვე მაშინ „მესამე დასის“ ბევრ მოღვაწეს არ გააჩნდა.

მეფის მთავრობა, განაგრძობდა რა დეკაბრისტების დროიდან აღებულ კურსს, ამიერკავკასიაში — სამხრეთის ამ „თბილ ციმბირში“ სასჯელის სახით ასახლებდა რევოლუციურ მოძრაობაში ეჭვმიტანილ პირებს — მარქსიზმის ღრმად მცოდნე ინტელიგენტებსა და რევოლუციონერ მუშებს. ამით მას სურდა ჩაექრო რევოლუციური მოძრაობა, ნამდვილად კი საწინააღმდეგო შედეგებს აღწევდა: ცენტრებში, საიდანაც მათ ასახლებდნენ, იზრდებოდნენ რევოლუციონერთა ახალი კადრები, ხოლო იქ, სადაც მათ მისჯილი ჰქონდათ ეცხოვრათ და ემუშავათ, ისინი აჩაღებდნენ რევოლუციურ მუშაობას და თავიანთ გარშემო იკრებდნენ ადგილობრივ რევოლუციონერებს. ამით ცენტრებსა და ადგილებზე მომუშავე რევოლუციონერთა შორის იქმნებოდა კავშირი, რაც თანდათან ამტკიცებდა და ზრდიდა საერთო-რევოლუციურ ფრონტს.

90-იანი — 900-იანი წლების თბილისში, ბაქოში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში ბევრი ასეთი მარქსისტი და მუშა-რევოლუციონერი იყო გადმოსახლებული. მათ სიხარულით ეგებებოდნენ მოწინავე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მუშები, უწყობდნენ მათ გულთბილ შეხვედრებს.

აი რას მოგვითხრობს ერთ-ერთი მოწინავე რუსი მუშა, რომელიც გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის 1896 წელს პეტერბურგიდან თბილისში გადმოასახლეს:

„გზის ფულად პარტიამ მოგვცა 65 მანეთი და სარეკომენდაციო წერილი... ამ დროს მე 22 წლის ვიყავი, ჩემი ცოლი 17 წლისა, ჩვენ სრულიად არ ვიცნობდით კავკასიას და ვფიქრობდით, რომ მივდიოდით სადღაც ნახევრად ველურ ქვეყანაში, მაგრამ სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა. თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს, როცა ბინაზე დავბრუნდით, მეზობლებმა გადმოგვცეს უცნობი პირის მიერ მოტანილი ფუთა, რომელშიც აღმოჩნდა ჩაი, შაქარი, საპონი, თუთუნი, წუმწუმა და 5 მანეთი ფულად. ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ ის

პირები, რომელთაც ფუთა დაეტოვებინათ, ესენი აღმოჩნდნენ: აბხ. არაქელ ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი და სანდრო ბაქრაძე. აბათ გაეგოთ, რომ ჩვენ პოლიტიკური გადმოსახლებულნი ვიყავით, არ დაუყოვნებიათ ამხანაგური დახმარება. ამ ამხანაგებმა ერთბაშად მიგვიღეს თავის წრეში, როგორც ნათესავნი და ახლობელნი. მე მი'შოვეს სამსახური, მასწავლეს ხარატობა"[1].

„მე მაშინვე ვიგრძენი, რომ მშობლიურ წრეში მოვხვდი", — ამბობს გამოჩენილი მარქსისტი — ლენინელი, მ. ი. კალინინი, რომელიც მეფის მთავრობამ პეტერბურგიდან თბილისში გადმოასახლა. „და აი ახლა, — განაცხადა მ. ი. კალინინმა 1940 წელს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშებთან საუბარში, — როცა მე თქვენთან უკვე სხვა პირობებში მოვედი, ისევ მეჩვენება, რომ მოვხვდი მშობლიურ წრეში და ყველაფერი ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან მუშათა კლასის საუკეთესო თვისებაა მეგობრობა, სოლიდარობა, ურთიერთსიმპათია"[2].

რუს მარქსისტებს შორის განსაკუთრებით დიდია მ. ი. კალინინის დამსახურება. იგი აქტიურად მუშაობდა პეტერბურგის მარქსისტულ წრეებში, შედიოდა წევრად ლენინის ინიციატივით შექმნილ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში". პეტერბურგში აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისათვის მ. კალინინი 1899 წელს დააპატიმრეს და 10 თვის პატიმრობის შემდეგ გადმოასახლეს თბილისში.

„ეს ჩემი პირველი გადასახლება იყო, — მოიგონა მ. ი. კალინინმა ხსენებულ საუბარში რკინიგზის მუშებთან, — თბილისში ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ მე მომიხდა მოხსენების გაკეთება მუშათა მოძრაობის შესახებ პეტერბურგში. ამ მოხსენებაზე არალეგალურად შეიკრიბა 150-მდე კაცი, უმთავრესად რკინიგზელები, თუმცა, რასაკვირველია, იყვნენ არარკინიგზელებიც, მაგრამ უმრავლესობა რკინიგზის სახელოსნოებიდან მოვიდა. იმ დროისათვის ეს მეტად ხალხმრავალი კრება იყო და იგი ნიშნავდა, რომ რკინიგზის სახელოსნოებში უკვე არსებობდა საკმაოდ მტკიცე რევოლუციური

---

[1] ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, 1956, გვ. 126.

[2] ჟურნ. „ბოლშევიკი", № 6—7, 1940, გვ. 15.

ბირთვი. და საერთოდ მაშინ მე მომეჩვენა, რომ თბილისში რევოლუციური მოძრაობა გაცილებით უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე პეტერბურგში. იქ, პეტერბურგში, შეკრება შეეძლო 5—6, მაქსიმუმ 8—10 კაცს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში და უდიდესი სიფრთხილის დაცვით"[1].

მ. კალინინი თბილისში ჩამოვიდა 1900 წელს, მაისის პირველ რიცხვებში და მუშაობა დაიწყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, რამდენიმე ხანს მუშაობდა აგრეთვე (აგვისტოს გაფიცვებში მონაწილეობისათვის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ) იარალოვის ქარხანაში, ხოლო 1901 წლის 19 მარტს პოლიციის წინადადებით მან დატოვა თბილისი და გადავიდა რეველში. მ. ი. კალინინის დიდი დამსახურება იმით გამოიხატა, რომ მან თბილისელ მუშებს გააცნო პეტერბურგის მუშათა საბრძოლო გამოცდილება, რამაც თბილისელი მუშების ბრძოლას მეტი ორგანიზებულობა და პროლეტარული შინაარსი მისცა.

გადმოსახლებული რუსი მარქსისტებისა და რუსი მუშების საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას. „ვლაპარაკობ რა მუშებზე, — მოახსენებდა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს, — საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ თბილისში ბევრია იმპერიის შიდა გუბერნიებიდან ჩამოსული მუშა, მათი მეტი ნაწილი განვითარებულია და ხარბად ადევნებს თვალს პოლიტიკურ განწყობილებას იმპერიაში"[2], ხოლო პოლიციის მთელი რიგი სხვა მასალები მოგვითხრობენ გადმოსახლებულთა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

მაგალითად, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს 1901 წლის 30 აპრილის მიმართვაში კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლისადმი ნათქვამია: „...ამჟამად სრულიად დადგენილია დიდი ხნიდან უკვე არსებული ქალაქის სტამბების ასოთამწყობების საიდუმლო წრის არსებობა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ისეთი მოქმედი სოციალ-დემოკრატები, როგორიც არიან კურნატოვსკი და ფრანჩესკი და რომელთა წევრები — ასოთამწყობები გაფანტული არიან ქალაქის ყველა სტამბაში. რაც შეეხება იმას, თუ

---

1 ჟურნ. „ბოლშევიკი", № 6—7, 1940, გვ. 14.

2 საქ. სსრ ცსია, ფ. 7, ს. 51, ფურც. 18.

სახელდობრ რომელ სტამბაში იბეჭდება პროკლამაციები, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კეთდება არა რომელიმე განსაზღვრულ ადგილას, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელია ამა თუ იმ მომენტში, რამდენადაც არაკეთილსაიმედო ასოთამწყობები, როგორც აღვნიშნეთ, არიან ყველა სტამბაში და ისინი მუდმივად დაეხეტებიან ერთი სტამბიდან მეორეში, მეთვალყურეობა კი ერთნაირად ფიქტიურია ყველა სტამბაში"[1].

ამ დოკუმენტში მოხსენებულ ვ. კურნატოვსკის (ფრანჩესკის შესახებ ზევით აღვნიშნეთ) მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა მოძრაობის წინაშე, კურნატოვსკი იყო ლენინის ამხანაგი და მისი თავდადებული მეგობარი. მინუსინსკის მაზრის სოფელ შუშენსკოეში გადასახლებაში ყოფნის პერიოდში მან ლენინთან ერთად მოაწერა ხელი „ეკონომისტების" „კრედოს" წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს. გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ, 1900 წლის ზაფხულში, კურნატოვსკი თბილისში ჩამოვიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობაში. 1901 წელს საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის კურნატოვსკი დააპატიმრეს, 2 წლით მეტეხის ციხეში ამყოფეს და 1903 წელს გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის ოლქში.

თბილისის საგუბერნიო სამმართველოს მიერ 1904 წელს შედგენილ „თბილისის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოღვაწეობის ანგარიშში" ჩამოთვლილია „გაუსწორებელი" რევოლუციონერი-მარქსისტები „პეტერბურგიდან გადმოსახლებული მეშჩანი მარია ანტონის ასული ბორისოვა, ვიტალი ბესარიონის ძე ბლოკი, ალექსანდრე ივანეს ძე იაშვილი, გლეხი ივანე ანტონის ძე ნინუა" და სხვები[2]. მალე ამ პირებთან ერთად პოლიციამ დააპატიმრა თბილისის სახელოსნოების მუშა დიმიტრი სიმონის ძე პოსტალოვსკი და ყველა მათგანის საქმე გაარჩია თბილისის სამოსამართლო პალატამ, რომელმაც გამოიტანა შემდეგი დადგენილება „აეკრძალოთ კავკასია-

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 34, ს. 357, ფურც. 4—5.

2 იქვე, ფ. 153, ს. 494, ფურც. 142—143.

ში ცხოვრება „სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობისათვის“[1].

აქ მოხსენებული დ. პოსტალოვსკი იყო განათლებული მარქსისტი. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ხელმძღვანელ სამუშაოს ასრულებდა რსდმპ კავკასიის კავშირში, წერდა სტატიებსა და ფურცლებს.

გადმოსახლებული რუსი მარქსისტები მალე ერკვეოდნენ ადგილობრივი ვითარების თავისებურებებში და დიდ დახმარებას უწევდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მუშათა დარაზმვისა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის საქმეში. დაუნდობლად ააშკარავებდნენ ყოველგვარ ეროვნულ მიმდინარეობას, იბრძოდნენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ერთიანობისათვის მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

რუსმა მარქსისტებმა ი. ლუზინმა და ნ. კოზერენკომ მონაწილეობა მიიღეს თბილისში 1897 წლის დამლევს მოწვეულ თათბირში და მ. ცხაკაიასთან ერთად სასტიკად გაილაშქრეს ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ, რომელიც ანვითარებდა ნაციონალისტურ შეხედულებებს და ჩქმალავდა კლასობრივი ბრძოლის საკითხებს[2]. ჟურნალ „ნაჩალოში“ ლუზინმა დაბეჭდა სტატია, რომლითაც სასტიკად გმობდა გაზეთ „ივერიის“ ნაციონალისტურ პოზიციას თბილისის საქალაქო საბჭოს 1897 წლის არჩევნებში.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების კავშირს მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან და საერთო-რევოლუციური ფრონტის შექმნას გადმოსახლებულ რუს მარქსისტებთან და რუს მუშებთან ერთად დიდად უწყობდნენ ხელს რუსეთის სხვადასხვა რაიონში გაგზავნილი ამიერკავკასიის ახალგაზრდები, რომლებიც, ებმებოდნენ რა იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში, ინარჩუნებდნენ კავშირს თავიანთ ორგანიზაციებთან და მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდნენ ამ ორგანიზაციების განმტკიცებას, მათ უზრუნველყოფას მარქსისტული ლიტერატურით და მათი კავშირის რეგულირებას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. ამის შესანიშნავი მაგალითებია ლადო კეცხოველის, მეშადი აზიზბეკოვის, ფილიპე მა-

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 153, ს. 524, ფურც. 220.

2 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957, გვ. 41.

ზარაძის, ალექსანდრე წულუკიძის, სტეფანე შაუმიანის, სურენ სპანდარიანის, სერგო ორჯონიკიძისა და მთელ რიგ სხვა პროფესიონალურ რევოლუციონერთა მოღვაწეობა. ამ მოღვაწეთა გავლენით ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დაკავშირებული იყვნენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ვარშავის, რიგისა და სხვა ქალაქების ორგანიზაციებთან.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნამ თბილისში, ბაქოსა და ბათუმში გამოაცოცხლა მუშათა მოძრაობა.

მუშათა გაფიცვები 1895 წლიდან მკვეთრად განსხვავდებოდნენ წინა გაფიცვებისაგან. ამიერიდან „მუშათა საკითხი" მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხი გახდა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა — თანამედროვე მუშათა კლასი, რომელსაც უკვე უახლოეს მომავალში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ქვეყნის ცხოვრებაში.

მუშათა მოძრაობის ზრდამ წამოაყენა საკითხი მუშათა მოწინავე რაზმის — ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბების შესახებ. სწორედ ამ პერიოდზე მიუთითებს ვ. ი. ლენინი, რომ მოძრაობამ წინ გაუსწრო პარტიულ ორგანიზაციის მშენებლობას. საჭირო იყო ისეთი პარტიის შექმნა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ამ მოძრაობას და გამარჯვებამდე მიიყვანდა მას.

* * *

დიდმა ლენინმა პირველად მარქსიზმის ისტორიაში შეიმუშავა პარტიის თეორიული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხზე, ცხადყო, რომ ეროვნული საკითხი პროლეტარიატის დიქტატურისათვის მუშათა კლასის საერთო რევოლუციურ ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. მან იმპერიალიზმის ეპოქის შესაბამისად შექმნა შეხედულებათა მწყობრი სისტემა, ეროვნულ-კოლონიური საკითხი დაუკავშირა იმპერიალიზმის დამხობის ამოცანას. ლენინი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შთამაგონებელი.

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს, როდესაც კაპიტალიზმმა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს — იმპერიალიზმის სტადიას მიაღწია და სოციალისტური რევოლუციის

საკითხი დღის წესრიგში დადგა, ეროვნული საკითხი, როგორც პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლის საერთო საკითხის ნაწილი, უაღრესად აქტუალური გახდა. განსაკუთრებით გაიზარდა მისი მნიშვნელობა რუსეთში — ამ ძალზე მრავალეროვან სახელმწიფოში რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლების გამო.

ვ. ი. ლენინი მეფის რუსეთს უწოდებდა ხალხთა საპყრობილეს, რომელშიც მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა „სხვა ტომელი (ეროვნულ უმცირესობათა) ადგილობრივი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", რუს მოსახლეობაში ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი.

ჰყავდა რა მხედველობაში არარუსი ხალხები, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მთელი ეს უზარმაზარი მოსახლეობა ცხოვრების იმაზე უფრო არაადამიანურ პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე რუსი ადამიანის ცხოვრების პირობებია"[1].

არარუსი მოსახლეობა კი უმრავლესობას შეადგენდა რუსეთში. „რუსეთში მთავრობის, ე. ი. აშკარად გადამეტებული და „მთავრობის მიზანთა" შესაბამისად გაყალბებული, სტატისტიკის მიხედვითაც კი, — წერდა ლენინი, — ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში ველიკოროსები მხოლოდ 43% ითვლება... მაშასადამე, „უცხოტომელნი" რუსეთის მოსახლეობის 57%-ს შეადგენენ, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობას, თითქმის $^3/_5$-ს, ნამდვილად კი, ალბათ, სამ მეხუთედზე მეტსაც"[2].

„უცხოტომელთა" ჩაგვრა სასარგებლო იყო მხოლოდ მეფის მთავრობისათვის, ბურჟუაზიისათვის, მემამულეებისათვის. ამით ისინი არსებობას იხანგრძლივებდნენ, რუსი ხალხის მდგომარეობას კი „უცხოტომელთა" ჩაგვრა კიდევ უფრო ამძიმებდა, ვინაიდან „უცხოტომელთა" ჩაგვრა, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, წარმოებდა ორმაგი კეტით, რომლის ერთი ბოლო „უცხოტომელს"

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 282.

[2] იქვე, გვ. 260.

სცემს, მეორე კი — თვით რუს ხალხს[1]. ამიტომ დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესები რუსი ხალხისაგან, როგორც გაბატონებული ერისაგან, მოითხოვდა მტკიცე კავშირის შეკვრას არარუს ხალხთან, ზრუნვას მათი განთავისუფლებისათვის, ვინაიდან რუსი ხალხი თავისთვის ვერ მოიპოვებდა თავისუფლებას, თუ არ იბრძოლებდა „სხვა ხალხთა თავისუფლებისათვის"[2]. ამავე დროს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესები არარუს ხალხს უკარნახებდა მტკიცე კავშირის შეკვრას რუს ხალხთან.[3]

ვ. ი. ლენინი ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ფუძემდებლურ შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ" (1894 წ.) წერდა: „არ არსებობს ნაციონალური სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა იარაღი, გარდა ჩაგრულთა კლასის ორგანიზაციისა და დარაზმვისა მჩაგვრელთა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად თვითეულ ცალკე ქვეყანაში, გარდა ასეთი მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების შეერთებისა ერთ საერთაშორისო მუშათა არმიად საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად"[4].

შრომაში „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები" (1897 წ.) ვ. ი. ლენინმა მოგვცა საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში ეროვნული საკითხის ადგილისა და მნიშვნელობის გენიალური განსაზღვრა. ლენინმა აქ მიუთითა, რომ რუსეთის მუშათა კლასთან, რომელიც მეთაურობას გაუწევს მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას, სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად იქნებიან აბსოლუტიზმის მიერ დევნილ ეროვნებათა ოპოზიციური ელემენტები[5].

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 283.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 218.

3 ხალხში (ისე როგორც ერში) აქ და სხვაგან იგულისხმება მისი უმრავლესობა, ქვედაფენები — მუშები და გლეხები, რომლებიც სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ძირითადი ობიექტები იყვნენ. ჩვენმა პარტიამ თავიდანვე წამოაყენა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ პარტია მთელი ერისათვის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად, იგი იბრძოდა „არა ხალხთა და ერთა თვითგამორკვევისთვის, არამედ თვითეული ეროვნების პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს თვითგამორკვევისთვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 404).

4 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 1, გვ. 172.

5 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 409.

ამრიგად, არარუსი ხალხი იყო უაღრესად სერიოზული ძალა, რომლის მომზადებას რევოლუციისათვის, მასთან რუსი ხალხის კავშირის შეკვრასა და განმტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხალხთა მასების განთავისუფლება როგორც ჩაგრულ, ისე მჩაგვრელ ქვეყნებში შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ შეიქმნებოდა მათი საერთო-რევოლუციური ფრონტი.

ვ. ი. ლენინმა თავის ადრინდელ შრომებში დაასაბუთა არა მარტო ამ კავშირის შექმნის აუცილებლობა, არამედ მიუთითა იმაზეც, რომ ასეთი კავშირის შექმნის ორგანიზატორი და წარმმართველი უნდა იყოს იმ ქვეყნის პროლეტარიატი, რომლის გაბატონებული კლასები ჩაგრავენ სხვა ხალხებს. ჩაგრული და მჩაგვრელი ერის მშრომელთა მასების განთავისუფლება შეუძლებელია, „თუ მჩაგვრელი ერების პროლეტარიატმა პირდაპირი და გადამწყვეტი დახმარება არ გაუწია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ"[1].

რუსეთის კონკრეტულ სინამდვილეში ასეთი როლი ეკისრებოდა რუსეთის გმირ პროლეტარიატს, რომელიც ამ ისტორიული ამოცანის შესასრულებლად სავსებით მომწიფებული იყო უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის იმ პრინციპებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიმუშავა, უძლეველი საბრძოლო იარაღით შეაიარაღა რუსეთის მრავალეროვანი პროლეტარიატი.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ლენინურმა პრინციპებმა გამოხატულება პოვეს რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში.

II ყრილობაზე ლენინმა უწინარეს ყოვლისა დაიცვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი მარქსისტული პარტიის აგების საკითხში და სეპარატისტული და ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლებში უზრუნველყო ისეთი პროგრამის მიღება, რომელიც სწორად წყვეტდა ეროვნულ საკითხს.

პარტიის II ყრილობაზე მიღებული პროგრამა მოითხოვს: სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ყველა ერის თვითგამორკვე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 168.

ვის უფლებას; ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით; მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილ იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თითოეული მოქალაქის უფლების უზრუნველყოფას მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად.

ეს მოთხოვნები პირველხარისხოვანი იყო და უკიდურესად აღელვებდა მეფის რუსეთში — ამ „ხალხთა საპყრობილეში“ მცხოვრებ არარუს ხალხებს, რომლებიც განუწყვეტლივ განიცდიდნენ დამცირებასა და შეურაცხყოფას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი მიკუთვნებული იყვნენ დაბალ რასას და ოფიციალურად „ინროროდცებად“ იწოდებოდნენ. მეფის მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად არარუსი ხალხები ცხოვრობდნენ უფრო ცუდად, იძულებული იყვნენ მოეთმინათ თავიანთი ენისა და კულტურის ჩახშობის აღმაშფოთებელი ფაქტები.

ამიერკავკასიაში მოკალათებული ნაციონალისტური პარტიები, ჯგუფები და მიმდინარეობანი, მართალია, მცირერიცხოვანი იყვნენ და არ ჰქონდათ კავშირი ხალხთა ფართო მასებთან, მაგრამ მათ მაინც შეეძლოთ მოეტანათ დიდი ზიანი მუშათა მოძრაობისათვის, შეემზადებინათ ნიადაგი ეროვნული შუღლის წარმოსაქმნელად. ეს პარტიები სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ იმითაც, რომ ცდილობდნენ მუშაობა გაეჩაღებინათ მუშებში, გლეხებში, ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაში და, თუ მათ რევოლუციური მარქსისტები სათანადო წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, აღვილი შესაძლებელია, რომ ისინი ამიერკავკასიის მრავალეროვან მოსახლეობაში დასაყრდენსაც იპოვიდნენ, ამიტომ ამ პარტიების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი განადგურება მარქსისტების გადაუდებელი ამოცანა გახდა.

დიდად აძნელებდა ამ ამოცანის გადაწყვეტას „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთა, რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა. შემდეგში ეს ფრთა მენშევიზმად იქცა და მან წარმოშვა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და საერთოდ ოპორტუნიზმის ისეთი ლიდე-

რები, როგორიც იყვნენ თვით ნ. ჟორდანია, წერეთელი, რამიშვილი, ჩხენკელი და სხვები. სიძნელე აქ იმაში მდგომარეობდა, რომ მარქსიზმის ეს დაუძინებელი მტრები მარქსიზმის სახელით გამოდიოდნენ, აყალბებდნენ მას და ცდილობდნენ იგი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიზმისათვის შეეგუებინათ.

ამიტომ ამიერკავკასიაში მომუშავე რევოლუციურ მარქსისტებს თავიდანვე ბრძოლა უხდებოდათ ორ ფრონტზე — პარტიის შიგნითაც და მის გარეთაც.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ამიერკავკასიის რევოლუციონერმა მარქსისტებმა წარმატებით შექმნეს „საერთო რევოლუციური ფრონტი", გადაჭრეს მათ წინაშე მდგომი ამოცანა. ჯერ კიდევ რევოლუციის წინ გამანადგურებელი დარტყმები აგემეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, მოახდინეს მათი პარალიზება.

„საერთო-რევოლუციური ფრონტის" შექმნის უპირველესი პირობა ის იყო, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპები უწინარეს ყოვლისა საფუძვლად დაედო ხელმძღვანელი კოლექტივის — ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას.

უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისება ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა იმთავითვე იყო მათი ინტერნაციონალური ხასიათი, ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა, რომლებიც ხელიხელჩაკიდებული ებრძოდნენ მტერს.

ამიერკავკასიაში მომუშავე მარქსისტები ლენინიზმის ბასრი იარაღით დაუნდობლად ანადგურებდნენ „მესამე დასის" ოპორტუნისტული ფრთის, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატებისა და ყველა სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ შეხედულებებს, ამიერკავკასიის მუშებში ნერგავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ფაქტიურად იყო ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა და გლეხებისა, რომლებიც მხარდამხარ ებრძოდნენ მტრებს და სისტემატურად ამტკიცებდნენ კავშირს ურთიერთშორის.

ამიერკავკასიის ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი

ი. ბ. სტალინი ასე განსაზღვრავდა საქართველოში გაჩაღებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ხასიათს:

„ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას"[1]. ამ პრინციპებს ეფუძნებოდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით გაჩაღდა როგორც მოძრაობა ამიერკავკასიის ხალხებისა.

1899 წელს თბილისში საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით გამოშვებულ პროკლამაციაში ხაზგასმულია სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა სოლიდარობისა და ორგანიზებულობის მნიშვნელობა გამარჯვების მოპოვებისათვის. „პირველი მაისი, — ნათქვამია პროკლამაციაში,—აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების მუშებს ენისა და ყოფაცხოვრების, ზღვებითა და ოკეანებით გაყოფის მიუხედავად... გავერთიანდეთ ჩვენც ყველა ქვეყნის პროლეტარებთან, ჩვენც ჩავჭიდოთ ხელი მათ მიერ აღმართულ დროშას"[2]. მუშათა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით სისტემატურად გამოდის ფურცლები. ეს იყო, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის „პირველი ფორმა", ჩანასახი ახალი ტიპის პრესისა, რომელიც ძლევამოსილი რევოლუციის მომზადების საქმეს ემსახურებოდა.

უეჭველია, რომ სწორედ ასეთი ფურცლები ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა აღნიშნავდა: „ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშაობამ ჩვენში უკვე საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია. სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელს რუსეთში; მუშათა ფურცლები—სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ეს პირველი ფორმა — უკვე

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 6.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფ. 8. აღწ. № 4, საქმე № 1.

ცნობილია ყველა რუსი მუშისთვის, პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე"[1].

1900 წლის აგვისტოში თბილისში მოხდა რკინიგზის მუშათა დიდი გაფიცვა, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო მ. ი. კალინინი. ეს იყო ამიერკავკასიის მრავალეროვან მუშათა პირველი სერიოზული გამოსვლა და იგი ყურადღებას იპყრობდა თავისი ორგანიზებულობითა და ერთსულოვნებით. გაფიცვა მიმდინარეობდა იმ საბრძოლო ლოზუნგებით, რაც პირველად პეტერბურგში გაისმა. მუშები მოითხოვდნენ სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირებას, ხელფასის მომატებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას და სხვ.

ეს გაფიცვა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში პეტერბურგის გამოცდილების მიხედვით მამაკაცებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქალებმაც, ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს თავიანთ ძმებს, ქმრებს, მამებს. მხურვალე მოწოდებად გაისმა ქალების სახელით გამოცემული პროკლამაციის სიტყვები: „ამხანაგებო! ჩვენს ქმრებს აპატიმრებენ, მათ დამნაშავეებად აცხადებენ და საპატიმროებში ათავსებენ... ღამით თავს გვესხმიან და მიწის ყველა სიკეთის შემქმნელთ, პროლეტარებს, ლოგინიდან გვტაცებენ. შეეუერთდეთ, ამხანაგებო, ჩვენს ქმრებს, მხარი დაეუჭიროთ მათ თუნდაც სიტყვით, გავამხნევოთ მერყეევები, ხოლო სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ისინი, ვინც უკან იხევს და ღალატობს მათ, იყვნენ ისინი თუნდაც ჩვენი ქმრები და ძმები.

ვაჟკაცურად, მებრძოლებო, მამაცებო!"[2].

1900 წლის აგვისტოს გაფიცვის დროს გამოშვებული პროკლამაცია ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ გაფიცვის ხელმძღვანელები დაკავშირებული იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. თბილისის რკინიგზელების მამაცური ბრძოლა სხვა ქალაქების მუშებში დიდ თანაგრძნობას იწვევდა, რის შესახებაც საგაფიცვო კომიტეტი სისტემატურად აცნობებდა გაფიცულ მუშებს.

1900 წლის დეკემბერში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 258.

[2] ჟურნ. „კრასნი არხივ", № 3 (94), 1939, გვ. 50.

გამოსცა მოწოდება, რომელშიც წათქვამია: „ჩვენს შორის, მუშებს შორის, იქნება ის რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი თუ ებრაელი, არ უნდა იყოს არავითარი მტრობა. ჩვენ ყველას ერთი სურვილი გვაქვს: დავამხოთ უუფლებობის საპყრობილე და ვიცხოვროთ ადამიანურად"[1]

1901 წლის 22 აპრილს თბილისში შედგა დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელშიც 2 ათასამდე მუშამ მიიღო მონაწილეობა.

ლენინური „ისკრა" ამ დემონსტრაციის შესახებ წერდა, რომ იგი „ისტორიულად ღირსშესანიშნავი იყო მთელი კავკასიისათვის, ვინაიდან ამ დღიდან კავკასიაში აშკარა რევოლუციური მოძრაობა იწყება"[2].

დემონსტრაციის წინ ხელმძღვანელმა პარტიულმა ჯგუფმა გამოუშვა მთელი რიგი პროკლამაციები. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამი იყო: „მთელი რუსეთის მუშებმა გადაწყვიტეს იდღესასწაულონ პირველი მაისი აშკარად ქალაქის საუკეთესო ქუჩებში. მათ ამაყად განუცხადეს ხელისუფლებას, რომ არ ეშინიათ კაზაკების მათრახებისა და ხმლების, ჟანდარმებისა და პოლიციელების წამების! მაშ ჩვენც გავერთიანდეთ, მეგობრებო, რუს ამხანაგებთან ერთად! მივცეთ ხელი ერთმანეთს ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, თათრებმა, შევიკრიბოთ ერთად, ავაფრიალოთ წითელი დროშა და ვიდღესასწაულოთ ჩვენი ერთადერთი დღესასწაული—პირველი მაისი".

1902 წლის მარტში მოხდა ბათუმის მუშების დიდი გაფიცვა და დემონსტრაციები, რომლებიც მოაწყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა. ბათუმის დემონსტრაციამ აამოძრავა ამიერკავკასიის მუშები და გლეხები.

1902 წელს ბაქოში წარმატებით ჩატარდა მასობრივი პოლიტიკური საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელმაც „ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა. მან აამაღლა მუშების სულიერი განწყობილება და თავისი ძალისადმი რწმენა განუმტკიცა მათ"[3].

ამიერკავკასიის მუშათა ეს პირველი გაბედული გამოსვლები

---

1 ჟურნ. „კრასნი არხივ", № 3 (94), 1939, გვ. 61.

2 გაზ. „ისკრა", № 6, 1906, 15 ივლისი.

3 იქვე, № 24, 1902, 1 სექტემბერი.

იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი ღირსეულად ამოუდგნენ გვერდში რუსეთის გმირ პროლეტარიატს.

ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, ისე როგორც მთელს რუსეთში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლენინურ გაზეთს „ისკრას", რომელიც დიდი რაოდენობით აღწევდა ამიერკავკასიაში. „ისკრაში" დაბეჭდილ ყველა მასალას, განსაკუთრებით ლენინის სტატიებს, დიდი ინტერესით კითხულობდნენ... „აქ „ისკრას" კითხულობენ და მოსწონთ", — ნათქვამია ბაქოდან გაგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში. „ხშირად იკითხეთ „ისკრა" და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ილიჩის სტატიებს", — ურჩევდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მუშებს. „ისკრას" კითხულობდნენ და უყვარდათ ყველგან, მთელ ამიერკავკასიაში იმიტომ, რომ იგი ყველაზე უკეთ გამოხატავდა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს, ასწავლიდა მათ, თუ როგორ ეპოვათ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

„ისკრა" ხშირად ათავსებდა სტატიებსა და კორესპონდენციებს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ. 1902 წელს „ისკრის" რედაქციამ გამოსცა ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან", ხოლო 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში შეაჯამა კავკასიის მუშათა რევოლუციური გამოსვლები და მაღალი შეფასება მისცა მათ. „მუშათა მოძრაობა კავკასიაში, — წერდა „ისკრა" 1903 წლის 15 ივლისს, — ჯერ კიდევ ძალიან ახალი რამაა, მაგრამ მას უკვე აქვს პროლეტარიატის მთელი რიგი ბრწყინვალე გამოსვლების ისტორია. მოკლე ხანში კავკასიის მუშებმა გაუსწრეს ბევრ ადგილას ამხანაგებს, რომლებიც მათზე ადრე იყვნენ ჩაბმული მოძრაობაში"[1].

ლენინი თვლიდა, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის შექმნა დაწყებულ უნდა იქნას საერთო-რუსული მებრძოლი პოლიტიკური გაზეთის დაარსებით. ასეთი გაზეთი იყო „ისკრა", სწორედ მისი საშუალებით ქმნიდა ლენინი ახალი ტიპის პარტიას. ამიერკავკასიაში ლენინის მიმდევრებმა სწორად გაიგეს პოლიტიკური გაზეთის მნიშვნელობა და გააჩაღეს ბრძოლა ლენინურ-ისკრული გაზეთის დასაარსებლად. ამ ბრძოლის შედეგად 1901 წლის სექტემ-

---

[1] გაზ. „ისკრა", № 44, 1903.

ბერში, ლენინური „ისკრის“ გამოსვლიდან 9 თვის შემდეგ, გამოვიდა ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი გაზეთი ამიერკავკასიაში — ქართული „ბრძოლა“.

„ბრძოლის“ პირველი ნომრის გამოსვლისათვის მეტად მოხერხებული დრო იქნა შერჩეული. თვითმპყრობელობა საქართველოში თავისი ბატონობის ასი წლისთავს ზეიმობდა. მუშათა კლასის პოლიტიკური გამოსვლებითა და სოფლის აგრარული მოძრაობით შეშინებული ქართველი შეძლებული კლასები—მემამულეები და კაპიტალისტები — არაფერს არ ზოგავდნენ, რათა გამოეხატათ თავიანთი ერთგულება მეფის მთავრობისადმი, რომელიც მათ საკუთრებას იარაღის ძალით იცავდა. მეფის მთავრობაც არ მალავდა კმაყოფილების გრძნობას მის ფეხქვეშ გართხმული პრივილეგიური კლასების მლიქვნელობის გამო. სწორედ ამ დროს გამოვიდა გაზეთი „ბრძოლა“, ყუმბარასავით აფეთქდა იგი და მეფის მთავრობასა და მის ლაქიებს ზეიმი მოუშხამა.

იმ „ზეიმს“, რომელიც თვითმპყრობელობამ საქართველოში თავისი ბატონობის ასი წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო, ლენინურმა „ისკრამ“ „საქართველოში თვითმპყრობელობის ხიშტის ასი წლისთავი“ უწოდა და ამ სათაურით თავის ფურცლებზე სპეციალური სტატია მოათავსა. დაახასიათა რა თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკა, „ისკრამ“ ნიღაბი ახადა ზეიმის ნამდვილ მიზანს და ხაზგასმით აღნიშნა მუშათა მოძრაობის ზრდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. „მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო,—აღნიშნავდა „ისკრა“,—რომ ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ (იგულისხმება თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. — ვ. ხ.) ასი წლისთავი აღნიშნა პირველი ქართული რევოლუციური ორგანოს—„ბრძოლის“ გამოცემით... პირველი ნომერი შეიცავს რამდენიმე პრინციპული ხასიათის სტატიას, პროკლამაციებსა და კავკასიაში (განსაკუთრებით თბილისში) მომხდარი გაფიცვების ქრონიკას“[1].

ერთ-ერთ შემდეგ ნომერშიც „ისკრა“ კვლავ გულთბილად იხსენიებს თბილისის მუშათა „ადგილობრივ კომიტეტს“ (იგულისხმება რსდმპ თბილისის კომიტეტი. — ვ. ხ.), გაზეთ „ბრძოლასა“ და

---

[1] გაზ. „ისკრა“, № 13, 1901, 20 დეკემბერი.

„ჩინებულად დაწერილ პროკლამაციებს“, რომლებიც „გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და ეფინებოდა თბილისის ყველა უბანს“[1].

ლენინურ „ისკრასთან“ კავშირი, ლენინური იდეების დაცვა და გავრცელება მშრომელთა ფართო მასებში — ასეთი იყო ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ თბილისის კომიტეტის ორგანოს „ბრძოლის“ ამოცანა.

„ბრძოლამ“ უდიდესი მუშაობა გააჩაღა პარტიის აგების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის და რომ მან ამ საქმეში, მართლაც, დიდ წარმატებას მიაღწია, ის მოწმობს, რომ მისი დაარსების შემდეგ შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტები, რომლებმაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს მთელი ამიერკავკასიის მუშებზე.

გაზეთ „ბრძოლის“ უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ იგი უაღრესად ბეჯითად და დამჯერებლად ეწეოდა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლის განუყრელად დაკავშირების პროპაგანდას.

გაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილი ყველა სტატია მარქსისტული ეროვნული პროგრამის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ისინი განმარტავენ და ასახავენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამასა და ტაქტიკას ეროვნულ საკითხში, ნიღაბს ხდიან ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა და მის ყოველგვარ გამოვლინებას, ასაბუთებენ სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების ინტერნაციონალური დარაზმვის აუცილებლობას, ამხილებენ ცარიზმის ეროვნული და მხეცური კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას.

პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში „რედაქციისაგან“, რომელიც ი. ბ. სტალინის კალამს ეკუთვნის, გაზეთი „ბრძოლა“ გადაჭრით აყენებს რუსეთისა და ამიერკავკასიის მრავალეროვანი რევოლუციური პროლეტარიატის ერთიანი სოლიდარული კლასობრივი ფრონტის შექმნის იდეას. გამოდის რა ამ იდეიდან, გაზეთი საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობას განიხილავს არა როგორც „კერძო მოძრაობას საკუთარი პროგრამით“, არამედ როგორც „მთელი რუსეთის მოძრაობასთან“ მჭიდროდ

---

[1] გაზ. „ისკრა“, № 25, 1902, 15 სექტემბერი.

დაკავშირებულ, „ხელიხელგადახვეულ“ და ამავე დროს მისდამი დაქვემდებარებულ მოძრაობას.

ამ პრინციპიდან გამოჰყავს გაზეთს თავისი ამოცანა: „ქართულმა გაზეთმა, — წერს ის, — უნდა ითამაშოს საეროო-პარტიული და ამასთანავე რაიონული, ადგილობრივი ორგანოების როლი ერთსა და იმავე დროს... გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მათთვის საინტერესო მოვლენა ადგილობრივი, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებიდან“[1].

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში ეროვნული საკითხის როლისა და ადგილის შესანიშნავი განსაზღვრა მოგვცა გაზეთმა სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, რომელიც აგრეთვე ი. სტალინის მიერაა დაწერილი. ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ერის პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარაზმულობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთი უმთავრესი პირობაა. „სოციალისტური იდეალის განსახორციელებლად საჭიროა მუშების თვითმოქმედება და მათი შეერთება მწყობრ ძალად განურჩევლად ეროვნებისა და ქვეყნისა“.

სტატია ახასიათებს რუსეთში არსებულ ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას და ამხელს ცარიზმისა და მისი კავკასიელი სატრაპების დანაშაულებრივ საქმიანობას, „სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას გარუსებისას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა“[2].

სტატიაში კონკრეტულად არის დასახული ის საერთო ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად საჭირო იყო სხვადასხვა ერისა და საზოგადოებრივი კლასის უკმაყოფილო ნაწილის გაერთიანება, ამ საერთო ამოცანას შეადგენდა ბრძოლა თვითმპყრობელობის დამხობისათვის. ეს იყო, როგორც ნათქვამია სტატიაში, „...ყველასათვის გასაგები და მახლობელი, დროშა, რომელიც მოითავსებს ყველას მოთხოვნილებებს“[3].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლ. კეცხოველის სტატიას „ასი

---

1 გაზ. „ბრძოლა“, № 1, 1901.

2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 22.

3 იქვე, გვ. 25.

წლის იუბილეს გამო (წერილი ქართველ მუშებთან)", რომელიც გაზეთ „ბრძოლის" პირველ ნომერში დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე ფურცლად[1]. ლ. კეცხოველმა ამ სტატიაში შესანიშნავად დაასაბუთა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. „ამ დროიდან საქართველოს ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა, — წერს კეცხოველი. — გარეშე მტრების თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფხიზლებული მოქალაქეობრივი ძალ-ღონის მოკრებას შეუდგა". რუსეთის „წამოჩიტებული" ვაჭრობა-მრეწველობის გავლენით „ნებით თუ უნებლიეთ" ვითარდებოდა „ახლად შეერთებული ქვეყანა". კეცხოველი მიუთითებს რუსული მწერლობის უდიდეს როლზე, ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, მაგრამ ამასთანავე სასტიკად აკრიტიკებს და გმობს ცარიზმის ნაციონალისტურ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. „ქართველი მუშა, — წერს ის, — რუსისა და სომხის მუშასთან ერთად იყვლიფება, იტანჯება, წვალობს, ძალმომრეობის სამეფოში სულშეხუთული, ხელებშეკრული, მიკრული უსულო მაშინაზე" რა დაანგრევს ამ სამეფოს? „მუშების შეერთებული ძალა", „ამ ძალას ვერ აფრთხობს მახვილი, ხიშტები, პოლიციელების გაბორკილებული სიმხეცე, ჟანდარმების გაიძვერული, გულქვა მტარვალობა, მექარხნის ბაჯაღლოები და მთავრობის ჩინ-ეპოლეტები.

კეცხოველის სტატიაში გარკვევით არის მითითებული, რომ მეფის მთავრობისა და საწარმოო იარაღების მეპატრონეთა მიერ მშრომელი ადამიანების ექსპლოატაცია „უნდა მოსპოს მუშების შეერთებულმა ძალამ რა ერისაც უნდა იყოს იგი, ეს არის პროლეტარიატის მისია". ლ. კეცხოველმა ამ სტატიაში, აგრეთვე გაზეთ „ბრძოლაში" დაბეჭდილ სხვა წერილებში პოპულარულად და გასაგებად აუხსნა ქართველ მუშებს, თუ ვინ იყვნენ მათი მტრები, და მტკიცედ დაიცვა მოძმე ერების მუშებთან — რუსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებსა და სხვებთან მეგობრობის აუცილებლობა.

„ბრძოლის" მე-2 და მე-3 ნომრებში დაიბეჭდა ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური სტატია — „ნაციონალიზმი და სოციალიზმი", რომელიც მიუთითებს, რომ ეროვნული საკი-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 1, 1901.

თხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ცარიზმის, მემამულეთა, კაპიტალისტთა წყობილების დამხობის საფუძველზე, და ჩაგრულ ეროვნებათა ამოცანა ის არის, რომ შეუერთონ თავიანთი ძალები პროლეტარიატს. „პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა, — ნათქვამია ამ სტატიაში, — სავსებით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას, და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში“[1].

სტატიაში მკაფიოდ არის გაშუქებული ეროვნული მოძრაობის ფორმები და ხასიათი, გაკრიტიკებულია ნაციონალიზმი და მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინება, ნაჩვენებია, თუ როგორ ახერხებს ბურჟუაზია — ნაციონალიზმის ეს „თავგამოდებული დამცველი“— ნაციონალიზმის შხამით პროლეტარიატისა და მშრომელი მასების მოწამვლას და მათ ჩათრევას ნაციონალისტურ მოძრაობაში. ბურჟუაზია ცდილობს თავის მისწრაფებას მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერებისადმი, მეტი მოგების მიღებისადმი ეროვნული, „საერთო-სახალხო“ ელფერი მისცეს. ამ საბაბით იგი სათავეში უდგება ბრძოლას „ეროვნული სახელმწიფოს“ გაძლიერებისათვის, რაც არსებითად „...ნიშნავს დაჩაგვრას, დამონებას და განადგურებასაც მეორე სახელმწიფოსი და ეროვნებისა“[2].

სტატია ამხილებს ბურჟუაზიის ნაფიც ვექილებს ე. წ. „სოციალისტ ლაქიებს“, რომლებიც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის „საერთო ნიადაგის“ ყალბი ქადაგებით ფარავენ მუშათა კლასისადმი ღალატს, ყოველმხრივ ეხმარებიან ბურჟუაზიას მუშათა კლასის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სულიერ დამონებაში. დასასრულ სტატიაში ნათქვამია: „ნაციონალიზმი ახლა უმთავრესი მტერია წინმსვლელობისა და ამ მტერთან ბრძოლაც უმთავრესი უნდა იყოს“.

როგორც ამ სტატიისათვის დართული შენიშვნიდან ჩანს, „ბრძოლის“ რედაქციას განზრახული ჰქონდა დაებეჭდა ამ სტატიის გაგრძელება, აგრეთვე მთელი რიგი სხვა სტატიები ეროვნულ საკითხზე, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება არ მოხერხდა, ვინაიდან „ბრძოლის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი — ლ. კეცხოველი — 1902

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 2—3, 1901.

[2] იქვე.

წლის 2 სექტემბერს დააპატიმრა მეფის მთავრობამ (და 1903 წლის 17 აგვისტოს მხეცურად მოჰკლა მეტეხის ციხეში), ხოლო პოლიციის დევნის გაძლიერების გამო გაზეთის უკანასკნელი, მეოთხე ნომერი თითქმის ერთი წლის დაგვიანებით, 1902 წლის დეკემბერში, გამოვიდა.

გაზეთი „ბრძოლა" იბეჭდებოდა ბაქოს არალეგალურ სტამბაში, რომლის ორგანიზატორი ლ. კეცხოველი იყო. ეს ითვლებოდა იმ დროისათვის ერთადერთ დიდ სტამბად, რომელიც მთელ პარტიას ემსახურებოდა. ვინაიდან „ისკრის" ნომრების შემოტანა რუსეთში სერიოზულ სიძნელეებს აწყდებოდა, ვ. ი. ლენინი დაინტერესებული იყო, რომ „ისკრა" დაბეჭდილიყო რუსეთში. აი რას სწერდა ამ საკითხზე ვ. ი. ლენინი 1901 წლის 28 მაისს „ისკრის" ასტრახანელ აგენტს ლ. კნოპოვიჩს: „როგორ ფიქრობთ მოაწყოთ „ისკრის" ბეჭდვა რუსეთში? საიდუმლო სტამბაში თუ ლეგალურში? თუ უკანასკნელია, მომწერეთ დაუყოვნებლივ, გაქვთ თუ არა გარკვეული იმედები: ჩვენ მზად ვიქნებით ორივე ხელი ჩავჭიდოთ ამ გეგმას (რომელიც, როგორც გვარწმუნებდნენ, შესაძლებელია კავკასიაში) და სახსრებიც ბევრი არ დასჭირდებოდა"[1].

ვ. ი. ლენინის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა. „ისკრის" ბეჭდვა კავკასიაში მართლაც მოხერხდა, მაგრამ მოხერხდა არა ლეგალურ სტამბაში, როგორც პირველად ფიქრობდნენ, არამედ არალეგალურში.

ასეთი სტამბა მოეწყო ბაქოში, რომელიც ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი გახდა. ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავდა, რომ „ბაქოს სტამბა „ისკრით" ამარაგებდა მთელ რუსეთს" (ნ. კრუპსკაიას მოგონება „კრასინის შესახებ"). „ისკრის" ბაქოელი აგენტი დაკავშირებული იყო ქ. ასტრახანში მყოფ ლ. კნოპოვიჩთან. მათი საშუალებით ლენინი და „ისკრის" რედაქცია კავშირს ამყარებდნენ ლ. კეცხოველთან, რომელიც კონსპირაციულ მიმოწერაში იწოდებოდა „ნინას მამად" („ნინას" უწოდებდნენ ბაქოს არალეგალურ სტამბას). ლენინს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ბაქოსა და თბილისთან, რომლებიც „ისკრის" თვალსაჩინო დასაყრდენი პუნქტები გახდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 65.

ამრიგად, ბაქოს არალეგალური პარტიული სტამბა გაზეთ „ბრძოლის“ გარდა ბეჭდავდა და ამრავლებდა ლენინური „ისკრის“ ცალკეულ ნომრებს. იგი აგრეთვე ბეჭდავდა მარქსის, ენგელსის, ლენინის ცალკეულ შრომებს, რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტების ფურცლებს, რომლებიც ფართოდ ვრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის დიდი ნაწილი იბეჭდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), რაც ხელს უწყობდა მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებას.

ჯერ კიდევ 1896—1897 წლებში პროლეტარულ ბაქოში წარმოიშვა პირველი ჯუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები. 1901 წლის შემოდგომაზე ბაქოში „ბრძოლის“ სტამბის დაარსებასთან დაკავშირებით ჩავიდნენ ლ. კეცხოველი და მრავალი სოციალ-დემოკრატი მუშა. ისინი მტკიცედ დაუკავშირდნენ აზერბაიჯანელ მუშებს, რომლებიც ჩაბმულ იქნენ სტამბის საქმიანობაში. ბაქოს მუშებთან დაკავშირებული იყო ამ დროს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ლ. მ. კრასინი. ამ ვითარებაში 1901 წლის ბოლო რიცხვებში შესაძლებელი გახდა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს კომიტეტის შექმნა, რომელიც გახდა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრი. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები შეიქმნა ელისაბედპოლში (ახლა კიროვაბადი), შუშაში და სხვა ქალაქებში. ბაქოს კომიტეტმა ბრძოლა გააჩაღა „ეკონომისტების“, „ლეგალური მარქსისტების“ და ბურჟუაზიის სხვა აგენტების წინააღმდეგ. თავისი წარმოშობიდანვე ბაქოსა და აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს მუშებისა და გლეხების დარაზმვას პოლიტიკური ბრძოლისათვის ცარიზმის, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

იყო რა მჭიდრო კავშირში ლენინურ „ისკრასთან“, რსდმპ ბაქოს კომიტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერთიანი მარქსისტული პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში. 1903 წელს ბაქოს კომიტეტი შევიდა რსდმპ კავკასიის კავშირის შემადგენლობაში.

ბოლშევიკური ორგანიზაციები სომხეთში წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში. ლენინურ-ისკრული, ბოლშევიკური ორგანი-

ზაციების შექმნაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ს. შაუმიანმა, ს. სპანდარიანმა და მ. კნუნიანცმა.

1903—1905 წლებში რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით გაფორმდა და განმტკიცდა ბოლშევიკური ჯგუფები ლორში (თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა), ერევანში, ალექსანდრეპოლში (ახლა ლენინაკანი), ყარსში და სომხეთის მთელ რიგ სხვა ადგილებში.

1902 წლის აგვისტო-სექტემბერში ს. შაუმიანის აქტიური მონაწილეობით რსდმპ თბილისის კომიტეტთან შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების „სომეხ სოციალისტ-დემოკრატთა კავშირი“ — პირველი სომხური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალისტური შეგნების შეტანა სომეხ მშრომელებში. დაარსებიდან ერთი-ორი თვის შემდეგ ს. შაუმიანის, ბ. კნუნიანცის, ა. ზურაბოვის და ს. ხანოიანის ინიციატივით კავშირმა გამოსცა არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატი“, რომელშიც გაანცხადა, რომ იგი თავის უახლოეს ამოცანად ისახავს „სომეხი პროლეტარიატის პოლიტიკურ აღზრდასა და მის ჩაბმას მთელი რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად“ (პირველი ნომრის მოწინავედან).

„პროლეტარიატის“ გამოსვლას სიხარულით შეხვდა ქართული „ბრძოლის“ რედაქცია და რსდმპ ბაქოს კომიტეტი.

გაზეთ „პროლეტარიატის“ გამოსვლასთან დაკავშირებით „ბრძოლის“ რედაქციის მისალმებაში ვკითხულობთ: „ვეგებებით ჩვენს ახალ მოძმეთ! ვეგებებით მათს გამოსვლას საერთო ასპარეზზე ჩვენთან ერთად! გაუმარჯოს მუშათა საქმეს, გაუმარჯოს რუსეთის ტახტის დამხობას ჩვენს ხელებზე ბორკილის შესახსნელად და პროლეტარიატის გასამარჯვებლად“[1].

ბაქოს კომიტეტი „პროლეტარიატის“ გამოსვლასთან დაკავშირებით მიესალმა სომეხ მუშებს:

„სალამი თქვენდა, ამხანაგებო, სალამი ძმური, მოგილოცავთ ახალ ორგანოს, რომელმაც დიდი სამსახური უნდა გაგვიწიოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში“[2].

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 4, 1902.

[2] იქვე.

ვ. ი. ლენინმა სპეციალური სტატია მიუძღვნა სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის შექმნას და „განსაკუთრებით საინტერესოდ“ ჩათვალა მისი დამოკიდებულება „ეროვნული საკითხისადმი“, რომელიც კავშირმა თავისი ორგანოს პირველ ნომერში დაბეჭდილ მანიფესტში ჩამოაყალიბა (მანიფესტის ავტორი იყო ს. შაუმიანი). ლენინი წერდა: „ჩვენ სულით და გულით მივესალმებით „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ მანიფესტს და განსაკუთრებით მის შესანიშნავ ცდას — სწორად დააყენოს ნაციონალური საკითხი. ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ ეს ცდა ბოლომდე იქნეს მიყვანილი“[1].

ლენინმა, როგორც დადებითი მოვლენა, აღნიშნა, რომ „ორი ძირითადი პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი ნაციონალურ საკითხში, კავშირის მიერ სავსებით სწორად არის დასახული. ეს არის, ჯერ ერთი, მოთხოვნა არა ნაციონალური ავტონომიისა, არამედ პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებისა და სრული თანასწორუფლებიანობისა; ეს არის, მეორე, სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი თვითეული ეროვნებისთვის თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა“[2].

მაგრამ ამასთანავე ლენინმა მიუთითა იმ შეცდომებზე, რომლებიც „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ მანიფესტშია დაშვებული.

მანიფესტი თუმცა მხარს უჭერდა ერთიანი მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას, ესე იგი იდგა პარტიული ორგანიზაციების მშენებლობის ინტერნაციონალურ პრინციპზე, მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერდა „თავისუფალ რუსეთში ფედერაციული რესპუბლიკის დაარსებას“, კერძოდ, კავკასიის ეროვნებათათვის მანიფესტი მოითხოვდა „ავტონომიას კულტურული ცხოვრების დარგში, ე. ი. ენის, სკოლის, განათლების თავისუფლებას და სხვ.“

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვდა, რომ სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული კავშირი მთლიანად დამდგარიყო რსდმპ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 6. გვ. 402.

[2] იქვე, გვ. 402—403.

II ყრილობის მიერ ეროვნულ საკითხში მიღებული პროგრამის თვალსაზრისზე, რომელიც სწორად გამოხატავდა რუსეთის ჩაგრული ხალხების საარსებო ინტერესებს.

„რათა სავსებით თანამიმდევარი იყოს, — წერდა ლენინი, — კავშირმა თავისი პროგრამიდან უნდა ამოიღოს ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი რესპუბლიკის მოთხოვნა და დასჯერდეს საერთოდ დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნას“[1].

ვ. ი. ლენინის სტატია, რომელიც დაიწერა 1903 წლის თებერვალში და მიძღვნილია სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტისადმი, ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებისათვის წარმოადგენდა სახელმძღვანელო დოკუმენტს. მასში უაღრესად მკაფიოდ არის განმარტებული პროლეტარული ეროვნული პოლიტიკის არსი ფედერალიზმისა და ეროვნული ავტონომიის მავნებლობა მაშინდელ ეტაპზე.

ვ. ი. ლენინი ამ სტატიაში აღნიშნავდა:

„პროლეტარიატის საქმე არ არის ფედერალიზმისა და ნაციონალური ავტონომიის ქ ა დ ა გ ე ბ ა, პროლეტარიატის საქმე არ არის ამგვარი მოთხოვნების წამოყენება, რომელნიც გარდუვალად გამოიხატებიან ავტონომიური კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. პროლეტარიატის საქმეა უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო დ შეაკავშიროს ყველა და ყოველგვარი ეროვნების მუშათა რაც შეიძლება ფართო მ ა ს ე ბ ი, შეაკავშიროს ისინი რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ფ ა რ თ ო ა ს პ ა რ ე ზ ზ ე დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალიზმისთვის საბრძოლველად. და თუ ამჟამად არსებული სახელმწიფოებრივი ასპარეზი შექმნილია, დაცულია და ფართოვდება მთელ რიგ აღმაშფოთებელ ძალადობათა მეოხებით, ჩვენ, სწორედ იმიტომ, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ ექსპლოატაციისათვის და ჩაგვრის ყველა სახის წინააღმდეგ, კი არ უნდა დავაქუცმაცოთ, არამედ უნდა შეეაერთოთ ყველაზე მეტად დაჩაგრული და ყველაზე მეტად ბრძოლისუნარიანი მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ძალები“[2].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში პროლეტარიატს სხვადასხვაგვარი დამოკიდე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 403.

[2] იქვე, გვ. 403.

ბულება სჭირდება ნაციონალური ავტონომიისადმი. „რაც შეეხება ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ავტონომიის მოთხოვნის მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა ს,— ამბობს ლენინი, — ეს მხარდაჭერა სრულიადაც არ წარმოადგენს პროლეტარიატის მუდმივ, საპროგრამო მოვალეობას. ეს მხარდაჭერა შეიძლება მისთვის აუცილებელი გახდეს მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში“[1].

ვ. ი. ლენინის აღნიშნული სტატია ამავე დროს წარმოადგენდა გამანადგურებელ ლახვარს ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ფედერაციისა და ავტონომიის სხვადასხვა გზებით მოითხოვდნენ ახალი ავტონომიური კლასობრივი სახელმწიფოს შექმნას, ზოგი ერთიმეორისაგან გამიჯნულ, ხოლო ზოგი ექსტერიტორიული ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნას, სადაც ხელმძღვანელი როლი უნდა სჭეროდა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ბურჟუაზიას.

1903 წლის იანვარში ბაქოსა და თბილისის კომიტეტების ინიციატივით ქართული „ბრძოლისა“ და სომხური „პროლეტარიატის“ რედაქციებთან შეიქმნა ბიურო, რომელმაც წინასწარი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების პირველი ყრილობის მოსაწვევად. ყრილობა მოწვეულ იქნა 1903 წლის მარტში.

ყრილობის დიდმა უმრავლესობამ თავი ლენინური „ისკრის“ მომხრედ გამოაცხადა, შეუერთდა „ისკრის“ პოლიტიკურ ხაზს და მოიწონა მის მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი. ამასთან ერთად განიხილა და მიიღო საკუთარი პროგრამის პროექტი და წესდება. ყრილობამ შექმნა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობისა და მისი ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ცენტრი—რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელმაც გააერთიანა თბილისის ბაქოსა და ბათუმის კომიტეტები, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები. ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელმაც 1906 წლის თებერვალამდე იარსება. კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ი. სტალინი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე, ვ. ბობროვსკი, ა. ჯაფარიძე,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 6, გვ. 404.

დ. პოსტალოვსკი, ბ. კნუნიანცი, მ. დავითაშვილი, მ. ბოჭორიძე და ნ. ალაჯალოვა.

რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა მოასწავებდა უმნიშვნელოვანეს მოვლენას ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. იგი გახდა გამაერთიანებელი ცენტრი, რომელსაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპები თვითეულ ორგანიზაციამდე დაჰყავდა. ამიერიდან გაძლიერდა ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ბრძოლა გააჩაღა ქართველ ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებთან, სომხეთის სოციალ-დემოკრატიამ—დაშნაკების, ხოლო აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიამ პანისლამისტების წინააღმდეგ. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე პარტიის შიგნით ნაციონალისტურ გამოვლინებებთან.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები რომ დაფუძნებული იყვნენ სწორედ ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ხაზს უსვამდა თავის პასუხში იმ წერილზე, რომელიც 1903 წელს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში დაიბეჭდა.

„კავკასიელი ამხანაგები, — ნათქვამია ამ პასუხში, — გადაჭრით წინააღმდეგი არიან რასობრივი (ნაციონალური) ორგანიზაციებისა. თვითეული კომიტეტი დაარსებიდანვე მუშაობდა ყველა ენაზე და წარმოადგენდა ქალაქის ყველა მუშას ეროვნების განურჩევლად, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან შედგებოდა თვითონ კომიტეტი. კავშირის კომიტეტი კავკასიაში მომუშავე ამხანაგების ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია იმის მიუხედავად, თუ რომელ რასას ეკუთვნოდა, ესა თუ ის ამხანაგი“.

შემდეგ პასუხში ნათქვამია, რომ „კავკასიის სოციალ-დემოკრატია ახლაც, ისე როგორც წინათ, კავშირის დაარსებამდე, ორგანიზაციულ საკითხში იმის მომხრეა, რომ პარტია ერთიანი იყოს, რომელიც დაიცავს და წარმოადგენს რუსეთის მთელი პროლეტარიატის ინტერესებს“.

„ის ორგანიზაციული გეგმა, — ვკითხულობთ დასასრულ პასუხში,—რომელიც ჩვენთან ტარდება, არაფრით არ განსხვავდება იმ

გეგმისაგან, რომლის დამცველი ჩვენს ლიტერატურაში არის „ისკრა“[1].

ლენინურ-ისკრული იდეების დანერგვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებას საგამომცემლო საქმის გაფართოების შესახებ. ყრილობამ გააერთიანა ქართული „ბრძოლა“ (მე-4 ნომრიდან) და სომხური „პროლეტარიატი“ (I-ლი ნომრიდან) საერთო სახელწოდებით — „პროლეტარიატის ბრძოლა“ და დაადგინა მისი სამ ენაზე — ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოცემა (გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის“ რუსულ ენაზე გამოცემა მოხერხდა მხოლოდ 1905 წლის ივლისის შემდეგ).

ყრილობის დადგენილების საფუძველზე აგებულ იქნა ავლაბრის დიდი სტამბა, რომელიც არალეგალურ ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა. იგი მუშაობას 1903 წლის დამლევს შეუდგა.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინურ „პროლეტარიატთან“ და წარმოადგენდა ლენინის იდეების მტკიცე გამტარებელს ამიერკავკასიაში. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ ქართველი და სომეხი მკითხველები თავის მშობლიურ ენაზე პირველად გაეცნენ ვ. ი. ლენინის სტატიებს. ავლაბრის სტამბა ბეჭდავდა აგრეთვე უამრავ წიგნს, ბროშურას, ფურცელს სამ ენაზე რამდენიმე ათასი ეგზემპლარი ტირაჟით. აქ ცალკე ბროშურად რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის სტატია „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წესწყობილებისა“ და სხვ.

ეყრდნობოდნენ რა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებს, ამიერკავკასიელმა მარქსისტებმა მედგარი ბრძოლა გააჩაღეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დასანერგავად, მუშათა მოძრაობიდან ოპორტუნიზმის განდევნისათვის. განსაკუთრებით შეუპოვარი იყო მათი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ლენინის იდეების მტკიცე დამცველმა

[1] გაზ. „ისკრა“, № 50, 1903, 15 ოქტომბერი.

ა. წულუკიძემ გამანადგურებელი ბრძოლა გაუმართა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერს ა. ჯორჯაძეს. წულუკიძემ გააკამტვერა ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია, რომელიც საქართველოს მუშათა კლასისა და ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესთა ერთიანობის აუცილებლობას ქადაგებდა. წულუკიძის კრიტიკა მიმართული იყო ჟორდანიას წინააღმდეგაც. რომელიც ფორმალურად თუმცა „ებრძოდა“ ჯორჯაძეს, მაგრამ ყველა ძირითად საკითხში „საერთო ნიადაგის“ თვალსაზრისზე იდგა. 1903 წელს წულუკიძემ გამოსცა შესანიშნავი მარქსისტული ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე“, რომელსაც დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მუშებისა და პროგრესული ინტელიგენციისათვის. იგი სწორად უხსნიდა მათ, რომ არა ბურჟუაზიასთან, არამედ ყველა ეროვნების მუშებთან მტკიცე კავშირით შეიძლებოდა მიეღწიათ გამარჯვებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წულუკიძის გამოსვლას გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, გ. წერეთელი ცდილობდა მარქსიზმის სამოსელში გაეხვია თავისი ბურჟუაზიული შეხედულებანი. წულუკიძემ დაამტკიცა, რომ, ისე როგორც ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელიც ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ მთელი რიგი სტატიებით გამოვიდა ფ. მახარაძე.

ფ. მახარაძის სტატია „პასუხი ბ. კალამს“, რომელიც „კვალში“ დაიბეჭდა, ნიღაბს ხდის სოციალისტ-ფედერალისტების ნაციონალიზმს თბილისის საქალაქო გამგეობის 1902 წლის არჩევნებში. ფედერალისტების ცალკეულ საპროგრამო დებულებებს აკრიტიკებს ფ. მახარაძე სტატიებში „ჩვენი პუბლიცისტიკა და ეროვნება“, „ეროვნული კითხვა“ და სხვ.

ს. შაუმიანმა, რომელიც 1902 წელს მეფის მთავრობამ რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გარიცხა და კავკასიაში გადმოასახლა, გამანადგურებელი ბრძოლა გააჩაღა „დაშნაკცუთიუნის“ — „სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა“ და ამიერკავკასიაში მოკალათებული სხვა ნაციონალისტური პარტიების წი-

ნაღმდეგ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ს. შაუმიანის შრომა „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომელშიც მოკლედ და გასაგებად გადმოცემულია პარტიის პოლიტიკის საფუძვლები ეროვნულ საკითხში. ს. შაუმიანმა, ბ. კნუნიანცსა და ს. სპანდარიანთან ერთად, ამიერკავკასიაში საფუძველი ჩაუყარა სომხურ ბოლშევიკურ პრესას, რომელმაც განსაკუთრებულ გაქანებას მიაღწია პირველი რევოლუციის წლებში.

1904 წლის სექტემბერში გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ ქართულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, რომელიც, იცავს რა პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებულ პროგრამას ეროვნულ საკითხში, სასტიკად აკრიტიკებს ამიერკავკასიაში მოკალათებულ ქართულ, სომხურ და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს. ვ. ი. ლენინის დებულებებზე დაყრდნობით სტალინმა ამ სტატიაში ღრმად დაასაბუთა და ახსნა ნაციონალური საკითხის ადგილი საერთო პროლეტარულ მოძრაობაში, ნათელყო, რომ „თავისთავად აღებულს ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ ინტერესებსა“ და „ნაციონალურ მოთხოვნებს“ განსაკუთრებული ფასი არა აქვს, რომ ეს „ინტერესები“ და „მოთხოვნები“ ყურადღების ღირსია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წინ სწევენ, ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება“[1].

სტალინმა დაამტკიცა, რომ ქართველი ფედერალისტები, ისე როგორც ქართველი ანარქისტები, სომხური და აზერბაიჯანული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, ცენტრალურ პრობლემად აღიარებენ „ეროვნულ ინტერესებს“, სწყვეტენ მას საერთო-სახალხო ინტერესებისაგან და ხალხს ბრჭყვიალა ფრაზებით იტყუებენ, რყვნიან მათ შეგნებას. ამიტომ მათ პროლეტარიატმა მხარი კი არ უნდა დაუჭიროს, არამედ სასტიკად შეებრძოლოს და გაანადგუროს, „ეროვნული ინტერესებისათვის“ ბრძოლა დაუქვემდებაროს პროლეტარიატისათვის პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის ამოცანას.

სტალინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 42.

ბურჟუაზიის „ნაციონალისტური საკითხი“ და ყოველმხრივ დაიცვა და დაასაბუთა პროლეტარიატის ბრძოლისა და მისი პარტიის მშენებლობის ინტერნაციონალური პრინციპი. „რუსეთის პროლეტარიატმა კარგა ხანია ბრძოლაზე დაიწყო ლაპარაკი, — წერს ი. სტალინი, — როგორც ვიცით, მიზანი ყოველივე ბრძოლისა —გამარჯვებაა. პროლეტარიატის გამარჯვებისთვის კი საჭიროა ყველა მუშის შეერთება განურჩევლად ეროვნებისა. ცხადია, ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა — რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა“[1].

იყენენ რა შეიარაღებული სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელი პროგრამით, ამიერკავკასიის მუშებმა და გლეხებმა, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო განამტკიცეს კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან და შემდგომი იერიში მიიტანეს ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მუშებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შეღწევის შედეგად მაღლდებოდა მუშათა კლასის შეგნებულობა, რამაც გამოხატულება პოვა პოლიტიკურ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში.

მოძრაობის სათავეში დგება ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატი. 1903 წლის 2 მარტსა და 27 აპრილს ბაქოში ეწყობა კარგად ორგანიზებული დემონსტრაციები, ხოლო 1903 წლის ივლისში სახელგანთქმული საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მალე მოედო მთელ ამიერკავკასიასა და სამხრეთ რუსეთს. ლენინური „ისკრა“ ამ გაფიცვის შესახებ წერდა: „ბაქოს მოჰყვა თბილისი, თბილისს—კიევი, კიევს—ელიზავეტგრადი, ბოლოს—ოდესა. სამხრეთის მუშათა გრანდიოზული გაფიცვა ისეთ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის“[2]. ეს გაფიცვა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში შევიდა სახელწოდებით — „საყოველთაო გაფიცვა სამ-

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 35.

2 გაზ. „ისკრა“, № 45, 1903, 1 აგვისტო.

ხრეთ რუსეთში“ და წარმოადგენს რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის მკაფიო მაგალითს.

ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური აქტივობის ზრდას დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ მუსულმან მუშებს შორის, რომლებიც ბაქოში რიცხობრივად ყველა სხვა ეროვნების მუშებს სჭარბობდნენ. რსდმპ ბაქოს კომიტეტმა ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე თავისი საუკეთესო ძალები გაგზავნა და მოკლე ხნის განმავლობაში მოახერხა საუკეთესო პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მომზადება თვით მუსულმან მუშათა წრიდან. 1904 წლის დასაწყისში ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტთან შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — „ჰუმეტი“ („ძმობა“), რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუსულმან მუშათა შორის სოციალისტური შეგნების გავრცელების საქმეში.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ბაქოს პროლეტარიატმა კვლავ გვიჩვენა ორგანიზებული გამოსვლის ნიმუში. 1904 წლის 13—31 დეკემბერს ბაქოს პროლეტარიატმა ბოლშევიკების მეთაურობით მოაწყო გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც დიდი გამარჯვებით დამთავრდა. მუშებმა მიაღწიეს კოლექტიური ხელშეკრულების დადებას კაპიტალისტებთან (ნავთის მრეწველებთან) და მათ ერთგვარად შეუზღუდეს უსაზღვრო მადა ექსპლოატაციისადმი. თუმცა ამ გამარჯვებას მყარი ხასიათი არ ჰქონია, ვინაიდან კაპიტალისტები სისტემატურად არღვევდნენ ნაკისრ ვალდებულებებს, მაგრამ იგი მაინც დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რომლის მსგავსი რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში მანამდე არ ყოფილა.

ისეთ დიდ გაფიცვას, როგორიც ბაქოში მოეწყო, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი აწყობდა თბილისშიც. გაფიცვის გეგმა წინასწარ დაწვრილებით იყო შემუშავებული და განზრახული ჰქონდათ მისი მოწყობა 1905 წლის 18 იანვარს, რასაც ადასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსადმი თბილისის დაცვის განყოფილების მიერ 1904 წლის 18 დეკემბერს გაგზავნილი მოხსენება, რომელშიც „ორგანიზაციისა და პროპაგანდის უშუალო აქტიურ პირთა შორის“ მთავარი როლის შემსრულებლად მოხსენებულია ი. ბ. სტალინი, ხოლო „დანაშაულებრივ მოქმედებათა ცენტრალურ პირებად“ — მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე, მ. ზ. ბოჭორიძე და სხვები, „ბოლო ხანებში ორგანიზაცია, — ნათქვამია მოხ-

სენებაში, — დიდ ენერგიას ხარჯავს დემონსტრაციებისა და გაფიცვების მოსაწყობად. უკვე არის მითითება, რომ ასეთების მოწყობა განზრახული აქვთ 1905 წლის 18 იანვრისათვის"[1]. ამ გაფიცვისათვის მზადება დაემთხვა რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებას და იგი გადაიზარდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აზვირთებულ საყოველთაო პროტესტში, რაც „სისხლიანმა კვირამ" მთელ რუსეთში გამოიწვია.

ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი და ყოველთვის ცდილობდა მათთვის სათანადო დახმარება აღმოეჩინა. იცოდა რა ის სიძნელეები, რაც ამიერკავკასიის ბოლშევიკებს წინ ეღობებოდა მხარის მრავალეროვანი მოსახლეობის შეგნებულობის ამაღლებისათვის ცარიზმის უმძიმეს პირობებში. ვ. ი. ლენინი მუდამ ცდილობდა დახმარებოდა მათ რჩევა-დარიგებით, ადამიანებით, ამიერკავკასიის ხალხებისათვის გასაგებ ენაზე საზღვარგარეთ ლიტერატურის გამოცემით.

1903 წლის 20 ოქტომბერს წერილში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა. ამას კომპეტენტურმა ამხანაგებმა მოჰკიდეს ხელი; იმედი გვაქვს ფულს ვიშოვნით"[2].

ლენინის განზრახვა — საზღვარგარეთ მოეწყო ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა — განხორციელდა 1904 წლის თებერვალში, როცა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ქართულ და სომხურ ენებზე ლიტერატურის გამომშვები კომისია. კომიტეტის ინიციატივით ითარგმნა მარქსისა და ენგელსის მთელი რიგი შრომები. კომისიის წევრმა ს. შაუმიანმა სომხურ ენაზე თარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელიც 1904 წლის აგვისტოში ჟენევაში დაიბეჭდა და გამოიგზავნა ამიერკავკასიაში.

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 31, ს. 38, გვ. 6 (აღნიშნული დოკუმენტი პირველად იპოვნა და გამოაქვეყნა მკვლევარმა ი. შელქაძემ. იხ. მისი შრომა „რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი", 1954).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 34, გვ. 196.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ვ. ი. ლენინს დახმარებას უწევდა დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი, რომელიც 1903 წლის ზაფხულში კვლავ ჩამოვიდა ამიერკავკასიაში და მოინახულა მისთვის ცნობილი ადგილები. დაყო რა რამდენიმე დღე თბილისში, გორკი ჩავიდა ქუთაისში, სადაც შეხვდა გადმოსახლებულ რუს რევოლუციონერს ვ. როდზევიჩს და თბილისელ მუშას, ასოთამწყობს მ. გურეშიძეს, რომელიც „დანაშაულებრივი“ მუშაობისათვის კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით ქუთაისში იყო გადასახლებული.

„გორკიმ ბევრი გვესაუბრა, — წერს თავის მოგონებაში მ. გურეშიძე. — მას აინტერესებდა უმთავრესად მუშათა მოძრაობის საქმე, გამოგვკითხა დაწვრილებით მუშების განწყობილების, მათი ეკონომიური მდგომარეობის, რევოლუციური მუშაობის გაშლის შესახებ. ამის გარდა გამოგვკითხა ეროვნული საკითხის გარშემო და ძალიან გაეხარდა, როცა გაიგო, რომ აქ ნაციონალური შუღლი გაღვივებული არ იყო, სათითაოდ გვეკითხებოდა ყველა რევოლუციონერ მომუშავეზე“. მ. გურეშიძე გორკის ფულადი დახმარებით ახერხებდა საზღვარგარეთ წასვლას, უკავშირდებოდა ვ. ი. ლენინს და ბოლოს მუშაობა დაიწყო გაზეთ „ისკრის“ რედაქციაში. „როცა მე გორკის დახმარებით საზღვარგარეთ—ჟენევაში ჩავედი, — აღნიშნავს გურეშიძე იმავე მოგონებაში, — იქიდან გორკის გავუგზავნე წერილი. მისგან მივიღე პასუხი, რომელშიაც მეკითხებოდა, ხომ არ მჭირდება ნივთიერი დახმარება. მე პასუხის მიწერა ვერც კი მოვასწარი, როცა მივიღე მისი გამოგზავნილი 100 მანეთი“[1].

გორკი, ისე როგორც ვ. ი. ლენინი, დიდ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობას. საკმარისია ითქვას, რომ გორკი შედიოდა იმ ადამიანთა მცირე რიცხვში, რომლებმაც ბაქოს არალეგალური პარტიული სტამბის არსებობა იცოდნენ. გორკი ამ სტამბასა და მის მუშაკებს ეხმარებოდა მატერიალურად (იხ. ლ. მ. კრასინის მოგონება „ბოლშევიკური პარტიული ტექნიკა“).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გორკის მიერ ქართველი ასოთამწყობის გაგზავნაც საზღვარგარეთ თავისებური პარტიული დავა-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 8, აღწ. 2, ს. 250, ფურც. 198.

ლება იყო. ცდილობდა რა ამიერკავკასიის ხალხთათვის საზღვარგარეთ გამოეცა ლიტერატურა, ლენინი, უეჭველია, საჭიროებდა დახმარებას ასოთამწყობების მხრივაც. ეს დახმარება, როგორც ცნობილია, შემდეგში უფრო გაძლიერდა. მაგალითად, ლენინის მითითებით 1905 წლის მეორე ნახევარში მოსკოვში, პარტიულ სტამბაში, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა სამუშაოდ გაგზავნა ასოთამწყობები უშანგი (ყარამან) ჯაში, გ. სტურუა და ს. თოდრია, ხოლო 1906 წლის მარტში, როცა ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ მუშაობა შეწყვიტა, ასოთამწყობები ერასტი კალანდაძე, გიორგი ლელაშვილი, მაკარი გოგუაძე და სხვები ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით გაიგზავნენ პეტერბურგში, სადაც ამ დროს ლენინი იმყოფებოდა.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ვ. ი. ლენინი პირადად ან წერილობით იცნობდა ამიერკავკასიის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს. მაგალითად, ს. შაუმიანი საზღვარგარეთ (ბერლინში) სწავლის პერიოდში პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს; რსდმპ II ყრილობის მიმდინარეობის პერიოდში (1903 წლის ივლისი-აგვისტო) ვ. ი. ლენინს ეცნობიან და მასთან კავშირს ამყარებენ ყრილობის კავკასიელი დელეგატები — ბ. კნუნიანცი და ა. ზურაბოვი.

1903 წლის ნოემბერში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი მ. დავითაშვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ და ლეიპციგში მყოფ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად უახლოვდება ვ. ი. ლენინს; იმავე პერიოდში მ. დავითაშვილის საშუალებით ვ. ი. ლენინთან წერილობით კავშირს ამყარებს დასავლეთ ციმბირში გადასახლებული ი. ბ. სტალინი; რსდმპ III ყრილობის მუშაობის დღეებში ვ. ი. ლენინი გაიცნეს მ. ცხაკაიამ, ა. ჯაფარიძემ და სხვებმა. ხოლო ტამერფორსის კონფერენციის მუშაობის პერიოდში კონფერენციის დელეგატებმა — ი. სტალინმა და გ. თელიამ, შემდგომ პერიოდებში კი—გ. კ. ორჯონიკიძემ, ს. სპანდარიანმა და ათობით სხვა გამოჩენილმა მუშებმა.

ვ. ი. ლენინთან კავშირი, მასთან ურთიერთობა, მისი ბრძნული რჩევა-დარიგებანი წარმოადგენდა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი რევოლუციური მოძრაობის ძლიერების წყაროს. ეს კავშირი განსაზღვრავდა პარტიული ორგანიზაციების

წარმატებებს მშრომელთა ინტერნაციონალური დარაზმულობისა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის საქმეში.

ბოლშევიკების მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა სერიოზული წინააღმდეგობები ვერ გასწიეს და ამიერკავკასიის ძმურად შეკავშირებულმა პროლეტარიატმა და გლეხობამ შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს. ამიერკავკასიის „ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო“[1].

---

1 რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები), 1955, გვ. 19.

თავი III

ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დარაზმულობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

1905 წლის 9 იანვრის ამბებით დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია.

9 იანვრის ამბებმა მთელმარე რუსეთი რევოლუციურ რუსეთად გადააქცია.

მეფის მიერ ჩადენილი სისხლიანი ბოროტმოქმედების საშინელი ამბავი ყველგან გავრცელდა. აღშფოთებამ და გულისწყრომამ მოიცვა მთელი მუშათა კლასი, მთელი ქვეყანა. არ ყოფილა ისეთი ქალაქი, სადაც მუშებს მეფის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად არ გამოეცხადებინათ გაფიცვა და არ წამოეყენებინათ პოლიტიკური მოთხოვნები.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც შვეიცარიაში იმყოფებოდა, მეორე დღეს (10 იანვარს) შეიტყო პეტერბურგში მომხდარი სისხლისღვრის შესახებ და მაშინვე გამოეხმაურა მას სტატიით „რევოლუცია რუსეთში". ლენინმა ამ სტატიაში გენიალურად განსჯვრიტა პერსპექტივა და იწინასწარმეტყველა, რომ რევოლუცია უაღრესად გაფართოვდებოდა და მთელ ქვეყანას მოედებოდა. „პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი"[1], — წერდა ლენინი.

კავკასია ფართოდ გამოეხმაურა პეტერბურგის ამბებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბაქოს მუშებმა ჯერ კიდევ 1904 წლის დეკემბერში მოაწყვეს მანამდე უდიდესი, კარგად ორგანიზე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 67.

ბული გაფიცვა. პეტერბურგში მომხდარი სისხლის ღვრის შემდეგ ამიერკავკასიის მშრომელთა გამოსვლები კიდევ უფრო ორგანიზებული და შეუპოვარი გახდა.

რევოლუციამ ამიერკავკასიაში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო.

უსაზღვრო იყო თბილისის, ბაქოს, ჭიათურის მუშათა აღშფოთება პეტერბურგში მომხდარი სისხლის ღვრის გამო.

1905 წლის 18 იანვარს გაიფიცნენ თბილისის მუშები. გაფიცვამ მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. 23 იანვარს გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე დემონსტრანტები გამოვიდნენ წითელი დროშებით მარქსის პორტრეტითა და ლოზუნგებით. მუშები გაიძახოდნენ: „ძირს თვითმპყრობელობა!"; „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!".

საყოველთაო გაფიცვა ამიერკავკასიაში იანვრის ბოლომდე გაგრძელდა და ყველა წინა გაფიცვებისაგან გამოირჩეოდა დიდი მასშტაბითა და ორგანიზებულობით.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა თავის პროკლამაციაში „თბილისის ყველა მუშას" შეაჯამა იანვრის გაფიცვები, ხაზი გაუსვა პეტერბურგის მუშებისადმი ამ გაფიცვების სოლიდარული დამოკიდებულების ხასიათს და აღნიშნა: „როგორც კი დეპეშამ მოიტანა ცნობა პეტერბურგის ამბების შესახებ, ყველა დიდ ქალაქში იფეთქა გაფიცვებმა, ზოგიერთ ადგილას კი დემონსტრაციებმაც, რათა გამოეხატათ პროტესტი უიარაღო მასის ბარბაროსულად ამოჟლეტის წინააღმდეგ, რათა მხარი დაეჭირათ ჩვენი პეტერბურგელი ამხანაგებისათვის.

ასე იყო ჩვენთანაც, თბილისში. ჩვენ მთელ მსოფლიოს დავანახვეთ მთელი მუშათა კლასის სოლიდარობა, ეს კი უმთავრესია...

მართალია, ჩვენი დემონსტრაცია ჩახშობილ იქნა, მან ვერ მიაღწია სრულ წარმატებას თავის ბრძოლაში, მაგრამ ნუთუ ეს დამარცხებაა? არა, ამ ბრძოლამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა, პირდაპირ დაგვაყენა ჩვენს მტრებთან. შეარხია მუშათა კლასის სულ ჩამორჩენილი ფენები და ჩვენს რიგებში, სოციალ-დემოკრატიის რიგებში წამოუბიძგა მათ"[1].

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.). 1955, გვ. 307.

ვ. ი. ლენინამდე მალე მიაღწია პეტერბურგის ამბებისადმი კავკასიის პროლეტარიატის გულმხურვალე გამოხმაურებამ. 1905 წლის თებერვლის დამდეგს სტატიის „პირველი გაკვეთილების“ გეგმის მონახაზში ლენინმა, როგორც მომხდარი ფაქტი, აღნიშნა „მოძრაობის გაფართოება სხვა ქალაქებში—მოსკოვი, სამხრეთი, კავკასია, პოლონეთი“[1].

თებერვალ-მარტში გაფიცვა გამოაცხადეს ალექსანდროპოლ-კარაკლისის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებმა. ალექსანდროპოლის სადგურისა და დეპოს მუშებმა წამოაყენეს მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები. ერევანში გაიფიცა შუხატოვისა და სარაჯევის ღვინო-კონიაკის ქარხნების მუშები.. აპრილ-მაისში ჩატარდა გაფიცვები ერევნისა და ყარსის წარმოება-დაწესებულებებში.

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით რევოლუციურ მოძრაობაში ფართოდ ჩაება გლეხთა მასები.

ამიერკავკასიის გლეხობამ რევოლუციას დაუკავშირა თავისი საარსებო ამოცანების გადაწყვეტა.

გლეხობას შორის რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებაში დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკების აგრარულმა პროგრამამ.

როგორც ცნობილია, პირველი ბოლშევიკური აგრარული პროგრამა, რომელიც რსდმპ II ყრილობამ მიიღო, მიზნად ისახავდა ყველა გამოსაყიდი და საღალო გადასახადის, ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას, რაც მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას; ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ავიწროებდნენ გლეხებს; გლეხობისათვის იმ ფულადი თანხების დაბრუნებას, რომლებიც მათგან წაიღეს გამოსაყიდ და საღალო გადასახადთა ფორმით; სამონასტრო და საეკლესიო ქონების, აგრეთვე საუფლისწულო, საკაბინეტო და სამეფო გვარეულობის პირთა კუთვნილი მამულების კონფისკაციას; გლეხთა კომიტეტების დაარსებას, რომელთაც გლეხებისათვის ჩამონაპარები უნდა დაებრუნებინათ და სხვ.

პროგრამაში ვ. ი. ლენინის მითითებებით შეიტანეს ამიერკავკასიის გლეხების სპეციფიკური მოთხოვნები: გლეხთა საკუთრებაში

---

1 Ленинский сборник, т. XVI, გვ. 44.

იმ მიწების გადაცემის აუცილებლობა, „რომლებითაც ისინი სარგებლობენ როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვ.“[1].

ეს პროგრამა გაანგარიშებული იყო გლეხთა მოძრაობის გამოსაწვევად, მაგრამ მას შემდეგ, რაც გლეხობა უკვე ჩაება მოძრაობაში, ბოლშევიკები სრულიად არ ზღუდავდნენ თავიანთ მოთხოვნებს მხოლოდ „ჩამონაჭრების“ დაბრუნებით.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ II ყრილობის მიერ მიღებული აგრარული პროგრამა, მართალია, ძირითადად ჩამონაჭრების მოთხოვნით კმაყოფილდებოდა, მაგრამ იგი იყო კარი, რომელიც გლეხობას უნდა გაეღო, რათა შემდეგ წინ წასულიყო.

მართლაც, ჩაება რა რევოლუციაში, გლეხობამ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მოითხოვა არა მარტო საუფლისწულო, საკაბინეტო და სამეფო გვარეულობის პირთა კუთვნილი მამულების კონფისკაცია და „ჩამონაჭრების“ დაბრუნება, არამედ თავადაზნაურთა და მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაცია და გლეხთა კომიტეტების საშუალებით მიწების ურთიერთშორის დანაწილება. გლეხები თვითნებურად ართმევდნენ მემამულეებს მიწებს, გლეხთა კომიტეტები თავიანთ წესრიგს ამყარებდნენ სოფლად.

მალე გლეხთა მოძრაობა მთელ ამიერკავკასიას მოედო. განსაკუთრებული გაქანება მიიღო მან საქართველოში. 1905 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში გლეხთა მოძრაობამ მოიცვა ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები.

გლეხთა მღელვარებანი დაიწყო სომხეთსა და აზერბაიჯანშიც (ლორი, კოტაიკი, აშტარაკი, იჯევან-შამშადინი და სხვები).

ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლა ამავე დროს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამიერკავკასიის ხალხები იბრძოდნენ როგორც სოციალური, ისე ეროვნული თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა დიდ თანაგრძნობას და მხარდაჭერას იწვევდა რუსეთის პროლეტარიატში. „რუსეთის პროლეტარიატი მხურვალედ უჭერდა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრით იბრძოდა იმ დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლი-

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 47.

ტიკის წინააღმდეგ, რასაც ახორციელებდნენ ცარიზმი და გაბატონებული კლასები, რომლებიც ისწრაფოდნენ ჩაეშალათ რუსეთის ხალხთა რევოლუციური მოქმედების ერთიანობა"[1].

მეფის მთავრობა დიდ შიშს განიცდიდა იმის გამო, რომ რევოლუცია ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა მის ჩასახშობად.

მკაცრი რეპრესიული ზომებით რომ ვერაფერს გახდა, მეფის მთავრობამ სცადა გაეღვივებინა ეროვნული შუღლი მოსახლეობაში, გაეთიშა რევოლუციის ძალები. კერძოდ, ამიერკავკასიაში თვითმპყრობელობის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ერთმანეთისათვის წაესისინებინა სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები და ამით ჩამოეშორებინა რევოლუციისაგან მათი ყურადღება.

ხდიდა რა ნიღაბს მეფის მთავრობის ამ მხეცურ პოლიტიკას, ვ. ი. ლენინი წინასიტყვაობაში, რომელიც ერთვოდა ბროშურას „პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი", წერდა: „მოეშვა პოლიციის მექანიზმების ზამბარები, აღარ კმარა მარტო სამხედრო ძალები. საჭირო ხდება ნაციონალური, რასობრივი შუღლის გაღვივება: საჭირო ხდება „შავი რაზმების" მოწყობა ქალაქის (შ ე მ დ ე გ კ ი, ც ხ ა დ ი ა, ა გ რ ე თ ვ ე ს ო ფ ლ ი ს) წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფენებისაგან, საჭირო ხდება ტახტის დასაცავად თვით მოსახლეობის მთელი რეაქციული ელემენტების შეკავშირების ცდა, საჭირო ხდება წრეების წინააღმდეგ პოლიციის ბრძოლის გადაქცევა ხალხის ერთი ნაწილის ბრძოლად ხალხის მეორე ნაწილის წინააღმდეგ"[2].

ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის გასათიშავად უპირველეს. ობიექტად მეფის მთავრობამ აირჩია ბაქო, რომელიც ყველაზე მეტად იყო დასახლებული სხვადასხვა ეროვნების მშრომელებით და ეროვნული ჯგუფის ნამდვილ კალეიდოსკოპს წარმოადგენდა. პროვოკაციის მოწყობაში მეფის მთავრობას დიდი სამსახური გაუწია ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა — ერთი მხრივ, პანისლამის-

---

1 რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები), თბილისი, 1955, გვ. 19.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც, ტ. 8, გვ. 230—231.

ტებმა, რომლებიც აზერბაიჯანის შეძლებული კლასების ინტერესებს გამოხატავდნენ, და, მეორე მხრივ, „დაშნაკცუთიუნის“ პარტიამ, რომელიც სომეხ მოსახლეობას არწმუნებდა სომეხი ხალხის ეროვნულ „უპირატესობაში“ და ნერგავდა მათში შოვინისტურ შეღლს სხვა ეროვნებების მშრომელთა მიმართ.

პროვოკაცია შემდეგნაირად იქნა მოწყობილი:

წინასწარ, რამდენიმე კვირით ადრე, მეფის მთავრობის მიერ შთაგონებულმა პოლიციამ მუსლიმანურ მოსახლეობაში გაავრცელა ხმა, თითქოს სომხები მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდნენ და ყველა აზერბაიჯანელისა და რუსის ამოჟლეტას აპირებდნენ. ამასთანავე პოლიციის აგენტებმა სომხების „თავდასხმისაგან“ თავდასაცავად აზერბაიჯანელ მოსახლეობას დაურიგა იარაღი. ამავე პროვოკაციული მიზნით იარაღით მოამარაგეს აგრეთვე სომხები აზერბაიჯანელების წინააღმდეგ.

6 თებერვალს, როცა ნიადაგი უკვე მომზადდა, მოეწყო პროვოკაცია: პოლიციის მიერ მოსყიდულმა აზერბაიჯანელმა თოფი ესროლა სომეხ ჯარისკაცს. იმავე პოლიციის მიერ მოსყიდულმა სომეხთა ჯგუფმა სიცოცხლეს გამოასალმა აზერბაიჯანელი. „ამან, — როგორც ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი თავის პროკლამაციაში იუწყებოდა, — ბიძგი მისცა წინასწარ მომზადებულ ხოცვა-ჟლეტას“[1].

ასე დაიწყო ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში უჩვეულო ამბავი — სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა.

თვითმპყრობელობის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ საქმეს ოსტატურად დირიჟორობდნენ, ერთიმეორის პირისპირ დააყენეს ასობით პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მოქალაქე, რომლებიც ოთხი დღის განმავლობაში ბარბაროსული სისასტიკით ჟლეტდნენ ერთმანეთს.

იმ სისხლის ღვრის შესახებ. რომელიც თვითმპყრობელობამ თვითონ გამოიწვია, მთავრობის ოფიციალური ორგანო „კავკაზი“ სრულიად კმაყოფილი და მშვიდი კილოთი იუწყებოდა: „ბაქო, 8

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 322.

თებერვალი. უკვე მესამე დღეა, რაც ჩვენი ქალაქის ჩვეულებრივ მშვიდ და წყნარ ქუჩებში გაუგონარი სისხლის ღვრა ხდება. მაღაზიები დახურულია, დაწესებულებები დაკეტილია, „კონკის“ მოძრაობა შეჩერებულია და ისმის მხოლოდ გაფთრებული ბრბოს ყვირილი და რევოლვერის სროლა. ყველგან სისხლის გუბეები დგას, ეომაკვდავთა კვნესა, ქვითინი და გამძვინვარებული ბრბოს გოდება ისმის“[1].

ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის 1905 წლის 13 თებერვლის პროკლამაცია „მეფის მთავრობის ბოროტმოქმედებანი ბაქოში“ შემდეგნაირად აღწერდა ამ სისხლის ღვრას.

„ადგილობრივ ხელისუფალთა თვალწინ ადამიანები მხეცებივით დარეოდნენ ერთმანეთს. ხვრეტდნენ გამვლელებს, მათ შიმარო საშინელ მხეცობას სჩადიოდნენ, არბევდნენ და ძარცვავდნენ სახლებსა და მაღაზიებს, ჟლეტდნენ მთელ ოჯახებს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებს, ცოცხლად წვავდნენ მათ ცეცხლწაკიდებულ სახლებში...

ხოლო რას შვრებოდნენ ხელისუფალნი? რას შვრებოდა ჯარი? ისინი მშვიდად დადიოდნენ სისხლით მორწყულ ქუჩებში გამხეცებულ მძარცველთა და მკვლელთა შორის, ცინიკურად უარს ეუბნებოდნენ შველაზე მსხვერპლთ, რომელნიც მათ ხსნას ემუდარებოდნენ, კრძალავდნენ ხანძრის ჩაქრობას და იმათ ხსნას, ვინც ცეცხლში იღუპებოდა, ხშირად თვითონ ან აქეზებდნენ მკვლელობისათვის, ან მონაწილეობას ღებულობდნენ ხოცვა-გლეჯასა და მკვლელობაში“[2].

ბაქოში მომხდარი პროვოკაცია ფართო მასშტაბის მსხვერპლისათვის იყო გაანგარიშებული; მას, როგორც მაშინდელი საიდუმლო დოკუმენტებიდან ჩანს, სისხლით უნდა მოერწყო ამიერკავკასია და რევოლუციაში ჩაბმული ხალხისათვის დაევიწყებინა მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პროვოკაციამ მართლაც მოიტანა საგრძნობი მსხვერპლი, მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ოფიცი-

---

[1] გაზ. „კავკაზი“, № 39, 1905, 11 თებერვალი.

[2] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 321—322.

ალური ცნობების მიხედვით მან 249 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა[1]. მაგრამ ამ პროვოკაციას უფრო დიდი მსხვერპლი რომ არ მოჰყვა და იგი სწრაფად იქნა ლიკვიდირებული, ეს მიეწერება ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტისა და საერთოდ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ წინასწარ ჩატარებულ და თვით პროვოკაციის მსვლელობაში გაწეულ მუშაობას.

ბაქოს პროვოკაციით რომ ვერ დაკმაყოფილდა, მეფის მთავრობამ სცადა ანალოგიური ღონისძიება გაეტარებინა თბილისში, ერევანში, ელისაბედპოლში და სხვაგან. განსაკუთრებით გულმოდგინედ ამზადებდნენ შუღლს მეფის აგენტები თბილისში—ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრში. ამ მიზნით მეფისნაცვლის კანცელარიაში დამზადდა და მასობრივი ტირაჟით გამოიცა პროკლამაციები, რომლებიც თათრებსა და ქართველებს სომხების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ. მაგრამ ამ პროკლამაციებს დაუპირისპირდა ბოლშევიკური პროკლამაციები, რომლებსაც რსდმპ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით უხვად უშვებდა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობის დიდი ფაბრიკა—ავლაბრის არალეგალური სტამბა.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის შეუპოვარი მუშაობის შედეგად მეფის მთავრობის ცდა — გამოეწვია შუღლი და სისხლისღვრა ქართველ და სომეხ ხალხებს შორის თბილისსა და სხვა ქალაქებში სავსებით ჩაიშალა. იმ დღეებში თბილისის საწარმოები, ქუჩები, მოედნები ორგვარი პროკლამაციებით აივსო: ერთი ჯგუფის პროკლამაციები გამოცემული იყო თვითონ მეფის მთავრობის კავკასიელი სატრაპების მიერ. ისინი თათრებსა და ქართველებს სომხების წინააღმდეგ აქეზებდნენ და, პირიქით, სომხებს თათრებისა და ქართველების სამტროდ უსისინანებდნენ. ეს პროკლამაციები ფეხქვეშ გათელა თბილისის პროლეტარიატმა. მეორე ჯგუფის პროკლამაციები იყო ბოლშევიკური, რომლებიც თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაავრცელა ოთხ ენაზე — ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ისინი თბილისის ყველა ეროვნების პროლეტარიატს მოუწოდებდნენ მჭიდროდ დარაზმულიყო ეროვნული შუღლის მთავარი ორგანიზატორის — მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

[1] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, სახელგამი, 1932, გვ. 285.

13 თებერვალს გამოშვებულ პროკლამაციაში „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!“ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტი გასაგებად უხსნიდა მუშებს, თუ ვინ იყვნენ მათი დაუძინებელი მტრები და ვის წინააღმდეგ უნდა მიემართათ თავიანთი რისხვა.

„დიახ, მოქალაქენო!—ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — მეფის მთავრობის აგენტები იყვნენ, რომ... თათრული ტანისამოსი გადაეცვეს პოლიციელებსა და ყაზახებს და მიუსიეს სომხებს! მთელ ირ თვეს ამზადეს მათ საშინელი სისხლისღვრა... წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას! საზიზღარი მეფის საზიზღარი მონები არიან, რომ დღეს თბილისშიაც ცდილობენ სისხლისღვრა ასტეხონ! მაგრამ იყავით ფრთხილად, მოქალაქენო, არ შეცდეთ თქვენ, სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო, ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს, შეერთდით და ერთხმად შესძახეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა შორის ძმობას! ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და მჭიდროდ შეერთდით ერთ პროლეტარულ რაზმში, რომელიც ძირს დასცემს მეფის მთავრობას, ამ ერთადერთ დამნაშავეს ძმათა სისხლის ღვრისა...

ძირს ნაციონალური მტრობა!

ძირს მეფის მთავრობა!

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას„[1].

13 და 14 თებერვალი თბილისის მრავალეროვანი პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის დაძაბული დღეები იყო.

13 თებერვალს მრავალმა ათასმა სომეხმა, ქართველმა, თათარმა და რუსმა მოქალაქემ თავი მოიყარა ვანქის ტაძრის გალავანში (ამჟამად 71-ე და 104-ე სკოლები პრესის ქუჩაზე) და ფიცი დადო ძმური დაუშირონ ერთმანეთს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. წარმოითქვა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა სოლიდარობის მოთხოვნით გამსჭვალული სიტყვები. 14 თებერვალს იმავე ტაძრის გალავანში უფრო მეტმა ხალხმა მოიყარა თავი. დემონსტრაცია სიონის ტაძრისა და მეჩეთის მიმართულებით გაემართა. დემონსტრანტები გზადაგზა ჩერდებოდნენ და ქართულ, რუსულ და სომხურ

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 327.

ენებზე ისმენდნენ ბოლშევიკი ორატორების მგზნებარე სიტყვებს. დემონსტრანტებმა დაღუპულ სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელთა წინაშე ფიცი დადეს, რომ არასოდეს არ განმეორდება ეროვნული შუღლი და მტრობა. შემდეგ დემონსტრაცია გაემართა სასახლის ქუჩისაკენ. თბილისის ბოლშევიკური კომიტეტი „მომენტით სარგებლობს და დაუყოვნებლივ აწყობს მცირე ხელმძღვანელ ჯგუფს. ეს ჯგუფი მოწინავე მუშების მეთაურობით ცენტრალურ ადგილს იკავებს, — და სწორედ სასახლის წინ აღიმართა სახელდახელოდ გაკეთებული წითელი დროშა. მედროშე, რომელიც მაღლა უჭირავთ დემონსტრანტებს, მკაფიო პოლიტიკურ სიტყვას ამბობს, სადაც უწინარეს ყოვლისა სთხოვს ამხანაგებს არ შედრკენ იმით, რომ დროშაზე სოციალ-დემოკრატიული მოწოდება არ არის. „არა, არა, — უპასუხებენ დემონსტრანტები, — იგი ჩვენს გულისფიცარზე გვაწერია!“... დემონსტრანტები წინ მიდიან ვანქის ტაძრისკენ. გზადაგზა სამჯერ ჩერდებიან, რომ მედროშეს მოუსმინონ. ეს უკანასკნელი კვლავ მოუწოდებს დემონსტრანტებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და სთხოვს ფიცი დადონ, რომ ისევე ერთსულოვნად გამოვლენ აჯანყებაზე, როგორც ახლა დემონსტრაციაზე. „ვფიცავთ“ — უპასუხებს მასა“[1]. 13 და 14 თებერვალს თბილისში 12 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით გავრცელდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“, რომელიც სასტიკად გმობდა მეფის მთავრობის შოვინისტურ პოლიტიკას და თბილისის მშრომელებს ინტერნაციონალური დარაზმულობისაკენ მოუწოდებდა.

თბილისის მუშათა ერთსულოვანმა დარაზმულობამ ჩაშალა მეფის მთავრობის იმედები, არ მისცა მას საშუალება გამოეწვია უთანხმოება და შუღლი თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებას შორის.

„დიდი იმედები და იმედების დიდი გაცრუება! — ნათქვამია თბილისის კომიტეტის 1905 წ. 15 თებერვლის პროკლამაციაში, — ეროვნული შუღლის ნაცვლად—ურთიერთ სიყვარული და ნდობა! ძმათა მკვლელი რბევის ნაცვლად—გრანდიოზული დემონსტრაცია

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 328.

ცარიზმის, რბევის ამ დამნაშავის, წინააღმდეგ! დაემხო მეფის მთავრობის იმედები: ვერა და ვერ მოახერხა მან ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა თბილისის ეროვნებანი!"[1].

მეფის მთავრობის მიერ ბაქოში მოწყობილმა ხოცვა-ჟლეტამ გამარევოლუციონერებელი გავლენა იქონია ხალხის დემოკრატიულ ფენებზე.

ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ ბაქოს სისხლიანმა დღეებმა „გააათკეცა ყველა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ. მთავრობას ეგონა დააფრთხობდა ხალხს სისხლის დანახვით და ქუჩის შეტაკებათა უამრავი მსხვერპლით, — ნამდვილად კი მთავრობა ხ ა ლ ხ ს ა ვ ი წ ყ ე ბ ს სისხლის დაღვრის შიშს, პირდაპირი შეიარაღებული შეტაკების შიშს. ნამდვილად კი მთავრობა ჩვენს სასარგებლოდ ეწევა ისეთ ფართო და ისეთ შთამაგონებელ აგიტაციას, რომელზედაც ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო"[2].

ბაქოში მომხდარ სისხლისღვრიდან რომ სასარგებლო გაკვეთილები იქნა გამოტანილი, ამის უპირველესი დამადასტურებელი იყო სომეხ-თათართა შეტაკების სწრაფი შეწყვეტა ქალაქ ბაქოში, მათი განმეორების დაუშვებლობა თბილისში, აგრეთვე ის, რომ მეფის მთავრობამ თავის წინააღმდეგ აიმხედრა მოსახლეობის ყველა ფენა, ხალხი ნამდვილად გადავიდა აშკარა ბრძოლაზე თვითმპყრობელობის დასამხობად.

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ ამიერკავკასიის მშრომელთა ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მეფის მთავრობის შოვინისტურ-ნაციონალისტური პოლიტიკისადმი უსაზღვრო ზიზღმა საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო.

სომეხი და აზერბაიჯანელი მშრომელებისათვის მარად დაუვიწყარია აკაკი წერეთელის ლექსი „რჩევა", რომელიც დიდმა ქართველმა პოეტმა სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაწერა. ხედავდა რა ამ საშინელ ძმათამკვლელ სისხლის ღვრას, მოწყობილს მეფის პროვოკატორების მიერ, აკაკი მწუხარებითა და მამობრივი დარიგებით მიმართავდა მოძმე ხალხებს ხელი აეღოთ ურთიერთ მტრო-

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 329.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 232.

ბაზე და თავიანთი ძალა წარემართათ საერთო მტრის—მეფის თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ.

„ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის, — ამბობდა უზომოდ შეწუხებული პოეტი, — ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა? იღუპებიან ორივე, არც ღონეს ზოგავენ, არც ძალსა...“ პოეტი თხოვნით მიმართავდა მოძმე აზერბაიჯანელებსა და მოძმე სომხებს:

„გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონყმურადა,
ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?
შეერთდით, ძმებო! შეერთდით!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა“.

ამიერკავკასიის ხალხებისათვის მარად დაუვიწყარია ოვანეს თუმანიანის ღვაწლი. იმ დღეებში დიდმა პოეტმა შემოიარა ბორჩალოს, ლორისა და სხვა რაიონები თეთრი დროშით ხელში და ქადაგებდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა ძმობასა და მეგობრობას[1]. ოვანეს თუმანიანი ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის მგზნებარე მომღერალი იყო, იგი წერდა: „მტრობა, რომელიც არსებობს ჩვენ ხალხთა შორის, ხელოვნურია, სიყვარულისა და ძმობის გრძნობა—ბუნებრივი, და იგი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ამას ჩვენში ფიქრობენ“[2]. ოვანეს თუმანიანს კარგად ესმოდა, რომ კავკასიის ხალხები არიან „უხსოვარი დროის ძმები, ერთმანეთის მხარიმხარ მდგარი, როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომელთა მწვერვალები კიაფობენ, ერთმანეთს ზურგს უმაგრებენ, ერთ ფუძეზე არიან აღმართული“[3]. მეფის მთავრობის ნაციონალისტურმა და შოვი-

---

[1] ალ. ხოსროევი, ხალხთა მეგობრობის დროშა (ჟურნ. „მნათობი“, 1956, № 5, გვ. 121).

[2] იქვე.

[3] იქვე.

ნისტურმა პოლიტიკამ უაღრესად აღაშფოთა ო. თუმანიანი, რასაც იგი აშკარად გამოთქვამდა თავის ნაწარმოებებში.

ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის პოლიტიკა სამარცხვინო ბოძზე გააკრა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ა. მ. გორკიმ. სომეხ-თათართა სისხლისღვრით აღშფოთებულმა გორკიმ დაწერა სპეციალური პამფლეტი „კავკასიის ამბების გამო“, რომელიც 1905 წელს ჟენევაში გამოიცა და რუსეთში არალეგალურად გავრცელდა.

გორკი ამ პამფლეტში სიამოვნებით იგონებს კავკასიაში გატარებულ დღეებს, როცა ის ყველგან ხედავდა, „როგორი შეხმატკბილებით და მშვიდობიანად მუშაობდნენ მხარდამხარ ქართველი, თათარი და სომეხი, რა ბავშვური ხალისითა და უბრალოებით ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ ისინი“, და გამოთქვამს ზიზღსა და გულისწყრომას მეფის მთავრობისადმი, რომელმაც ეს „უბრალო, ჩინებული ადამიანები“ ერთმანეთს სამტროდ დაუპირისპირა.

„დაუსჯელობით გათახსირებულ ადამიანთათვის დამახასიათებელი ცინიზმით, — წერდა გორკი ცარიზმის სატრაპთა მისამართით, — იმ პირუტყვის მკაცრი გულახდილობით, რომელიც გრძნობს თავის ძალას, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავენ, რომ ჩაკლან ხალხის შემოქმედებითი სული. მაგრამ ისინი, ეს საცოდავი ადამიანები, რომლებიც თავის თავს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბატონ-პატრონად თვლიან, უვიცნი და გონებაჩლუნგნი არიან; მათ არ ესმით, რომ ხალხის გადაქცევა ბრმა, მექანიკურ ძალად შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადავამუშაოთ თიხის გროვად კავკასიის კლდოვანი მთები“[1].

დიდმა მწერალმა მიუთითა ხალხთა ძალების გაერთიანებისა და ცარიზმის — ამ უბოროტესი დამნაშავის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე.

„საჭირო, — ამბობდა ა. მ. გორკი, — რომ კავკასიისა და ფინეთის, პოლონეთისა და რუსეთის ყველა საუკეთესო, ყველა პატიოსანი ადამიანი გაერთიანდნენ მეგობარ-მებრძოლთა მთლიან თჯახად, პატიოსანთა და უშიშართა რაზმად.

გაერთიანდნენ და ჰკითხონ ერთმანეთს:

---

1 მ. გორკი, კავკასიის ამბების შესახებ, საქართველოს პარტგამომცემლობა, 1936, გვ. 16—17.

— ვინ არის ჩვენი მტერი? პასუხის პოვნა ადვილია"[1].

ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დარაზმულობის უდრეკმა ძალამ მკაფიოდ იჩინა თავი მეფის მთავრობის მიერ საქართველოს გლეხობასთან „მოლაპარაკების" დროს. ეს მოლაპარაკება იმისათვის წარმოებდა, რათა რევოლუციური გლეხობა გაებრიყვებინათ და წვრილმანი დათმობებითა და დათმობ-დაპირებით ხელი აეღებინებინათ რევოლუციურ მოძრაობაზე. მოლაპარაკება წარმოებდა სპეციალური კომისიების საშუალებით, რომლებშიც ჩაბმული იყვნენ მეფის გავლენიანი მოხელეები. ასეთი კომისიები გაიგზავნა გორისა და დუშეთის მაზრებში საპატიო მომრიგებელ მოსამართლის ვეიდენბაუმისა და თბილისის მაზრის უფროსის თავად ჯანდიერის მეთაურობით, კახეთში — გენერალ ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, გურიაში — კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრის სულთან კრიმ-გირეის მეთაურობით.

ვიდრე ეს კომისიები მუშაობას შეუდგებოდნენ, რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო ძლიერ ადგილებში წინასწარ გაიგზავნა ჯარის ნაწილები და გლეხებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა მუქარის ქვეშ — თუ გლეხები ხელს არ აიღებდნენ „ურჩობაზე", მათ სამაგალითო დასჯით ემუქრებოდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს გლეხობამ, რომელიც გაბედულად გაჰყვა მუშათა ხელმძღვანელობას, უმაგალითო სიმტკიცე გამოიჩინა. კომისიებმა არაჩვეულებრივად გამოაცოცხლა გლეხობის თვითშეგნება. კრებები, რომელთაც ეს კომისიები იწვევდნენ, ბოლშევიკებმა რევოლუციური აზრის პროპაგანდის შესანიშნავ ადგილებად აქციეს.

აღსანიშნავია, რომ გლეხთა რევოლუციურ მოთხოვნებს, რომლებიც მათ ამ კრებებზე წარადგინეს, ზოლიერით გასდევს მათი ინტერესების ერთიანობა მთელი რუსეთის გლეხობასთან.

6 მარტს ვეიდენბაუმმა და ჯანდიერმა სოფელ მუხრანის კანცელარიასთან მოსალაპარაკებლად მიიწვიეს სამი სოფლის გლეხები, რომელთაც ბრალად ედებოდათ საუფლისწულო ტყის თვითნებური სარგებლობა. კრებაზე ამ სამი სოფლის გლეხებთან ერთად გამოცხადდა 11 სოფელი. შეიკრიბა 800-მდე გლეხი, რომლებიც

[1] მ. გ ო რ კ ი, კავკასიის ამბების შესახებ, საქართველოს პარტგამომცემლობა, 1936, გვ. 19.

შეიარაღებული იყვნენ ჯოხებით, ნაწილი კი—ცეცხლმსროლელი იარაღით. გლეხებმა არჩეული დეპუტატების საშუალებით წარადგინეს რევოლუციური მოთხოვნები, რომელთაგან მთავარი იყო: თვითეული სოფლისათვის დეპუტატის არჩევის უფლების მიცემა, რომელსაც უნდა გაერჩია ყველა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმე; სოფლის საზოგადოებებისათვის საკუთრების საფუძველზე გამოუსყიდავად ყველა სახაზინო, საუფლისწულო და კერძო მემამულეთა მიწების გადაცემა; გლეხობისათვის უფლების მიცემა თვითონ გაეხსნათ სამკითხველოები და ბიბლიოთეკები ცენზურის ყოველგვარი ნებართვის გარეშე და სხვ.

წარადგინეს რა ეს მოთხოვნები, გლეხებმა მთავრობის წარმომადგენელს განუცხადეს, რომ ისინი უერთდებიან „მეამბოხეებად წოდებულ რუს ადამიანებს და თავიანთი მოთხოვნების შესრულების ვადად აწესებენ 14 მარტს, რის შემდეგაც თავიანთ თავს მოქმედების სრულ თავისუფლების ნებას აძლევენ"[1].

9 მარტს ლიახვის ნაპირას, ჭალაში, თავი მოიყარა გორის მაზრის სხვადასხვა სოფლიდან მოსულმა 1500 გლეხმა, „სადაც ჰქონდათ რჩევა-თათბირი შესახებ იმ კითხვებისა, რომლებიც ქვეყნის უმწეო მდგომარეობამ დღეს მთელი რუსეთის იმპერიაში საჯაროდ წამოაყენა... აირჩიეს 16 დეპუტატი, რომელთა შორის იყო 4 ქართველი, 4 სომეხი, 4 ოსი და 4 ებრაელი. ამ პირებს დაავალეს ამ დღეებში მომავალ კომისიას (იგულისხმება ვეიდენბაუმისა და ჯანდიერის მეთაურობით შექმნილი კომისია.—ვ. ს.) განუცხადონ ხალხის ყოველივე გაჭირვება და შეიმუშაონ ის მოთხოვნები, რომელთა განხორციელებას რუსეთის იმპერიაში თხოულობენ"[2].

მეფის მთავრობის მოხელეებს კარგი ორგანიზებულობა უჩვენეს თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრის გლეხებმაც.

ოზურგეთის მაზრის გლეხობამ კრიმ-გირეის კომისიას გადაჭრით მოსთხოვა: ყველა საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა მშრომელი გლეხო-

---

[1] Центральный Государственный Исторический Архив в Ленинграде, фонд Министерства Юстиции «О крестьянских беспорядках в Тифлисской губернии», д. № 7391, 1905 г. Л 1—2.

[2] ეურნ. „მოგზაური", № 11, 1905, 27 მარტი, გვ. 160.

ბისათვის უსასყიდლოდ; გლეხებისათვის საკუთრებად იმ მიწების დაბრუნება, რომლებიც მათ ჩამოაჭრეს ბატონყმობის გაუქმების დროს („ჩამონაჭრები"); დროებითი სავალდებულო დამოკიდებულების ლიკვიდაცია და იმ მიწების საკუთრებად გადაცემა, რომლითაც ბატონყმობის გაუქმებამდე სარგებლობდნენ დროებითი ვალდებული გლეხები და ხიზნები; მემამულეთა და სახაზინო მიწების გლეხების სრულ განკარგულებაში უფასოდ გადაცემა და აღებული ყველა გამოსასყიდის გლეხებისათვის მთლიანად დაბრუნება; ტყისა და სათიბის უფასოდ გადაცემა გლეხებისათვის; მიწის რეფორმის განსახორციელებლად გლეხთა არჩევითი კომიტეტების შექმნა; ყოველგვარი ბეგარის (ხიდებისა და გზების რემონტი, სახაზინო ცხენების შენახვა, მთავრობის მოხელეთა ხარჯები და ა. შ.), აგრეთვე წოდებათა და წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმება; სასამართლოსა და მოხელეთა არჩევა და მათი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე; სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების, გაფიცვის თავისუფლება; პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, სკოლისა — ეკლესიისაგან; საყოველთაო-სავალდებულო უფასო სწავლების შემოღება 16 წლის ასაკამდე, სკოლებში სწავლის წარმართვა მშობლიურ ენაზე, რუსული ენის სავალდებულო სწავლება, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით და ა. შ.

ეს მოთხოვნები ძირითადად ჩვენი პარტიის პროგრამა-მინიმუმიდან იყო აღებული, მაგრამ ის ფაქტი, რომ მეფის მთავრობა მათ გლეხობის პირით ისმენდა, მოწმობდა ბოლშევიკური ლოზუნგების უდიდეს პოპულარობას მასებში.

„ჩვენი მოთხოვნები არ არის კერძოდ გურული ან კავკასიური, — უთხრა ლანჩხუთის გლეხთა საზოგადოების წარმომადგენელმა მეფის მთავრობის მოხელეს, — ამას მოითხოვს მთელი რუსეთის მუშა ხალხი და გლეხობა, რომლებიც ჩვენსავით გაჭირვებული და შევიწროებულია დღევანდელი მთავრობისაგან"[1]. სოფელ სურების გლეხთა საზოგადოების დეპუტატმა განაცხადა: „მთავრობის მოხელეები ხალხში და სალდათებში ავრცელებენ ყოვლად უსაფუძვლო ხმებს, თითქოს ჩვენ ჩვენი მეფე გვინდოდეს, თითქოს ჩვენ

1 ეურნ. „მოგზაური", № 11, 1905, გვ. 172.

ცალკე სახელმწიფო გვინდოდეს. ეს ტყუილია, ეს საზიზღარი ცილისწამებაა. ჩვენი მოძრაობა განუყოფელია მუშათა მოძრაობისაგან... ჩვენ, როგორც ყოველი მუშა რუსეთისა, ვებრძვით დღევანდელ წესწყობილებას. ჩვენ უნდა დავანგრიოთ ის და მის ნანგრევებზე ავაშენოთ ახალი, სამართლიანი, წესწყობილება. ჩვენთვის ყველა მუშა, განურჩევლად ეროვნებისა, ძმებია, ჩვენი და მათი ინტერესი ერთია"[1].

ხიდისთავის დეპუტატმა გლეხების დავალებით მოითხოვა ბაჟებისა და არაპირდაპირი გადასახადების მოსპობა. მეფის მოხელემ შეაჩერა გლეხთა დეპუტატი და განაცხადა: „არაყზე ბაჟის მოსპობა კერძოდ და დროებით მარტო გურიაში შესაძლებელია ვიშუამდგომლოთო". მაგრამ ამაზე დეპუტატმა უპასუხა: „ჩვენ კერძოს არაფერს ვთხოულობთ, ჩვენსავით გაჭირვებულია რუსეთის ასი მილიონი ხალხი. ჩვენი მოთხოვნილება არის საერთო და სამართლიანი და ამისათვის არ გვეშინია არავისი"[2].

ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვის სასოფლო საზოგადოების გლეხებმა თავიანთი მოთხოვნები გამოჩატეს მანიფესტში, რომელშიც ნათქვამია: „...ჩვენ —ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ. ჩვენ ერთმანეთს არ წავეკიდებით. ტყუილად ცდილობს ამას მთავრობა. აუწერელია ჩვენი საშინელი მდგომარეობა. ვის შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი? ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას? არა ის ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს არ გვაქცევდა ჩვენ ყურადღებას, რომელიც ჩვენ გვტანჯავდა. ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო ქართველთა მოთხოვნები როდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს რუს მოძმეებს. ჩვენი დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ხალხი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი კენჭისყრით აირჩევს თავის წარმომადგენლებს. მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი მთავრობა, მხოლოდ ხალხის ხმა არის სამართლიანი... ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს"[3].

აღსანიშნავია, რომ რევოლუციური გლეხობის აზრის ამ ბრწყი-

---

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 9, 1905, გვ. 128.
[2] იქვე, № 8, 1905, გვ. 115.
[3] გაზ. „ვპერიოდ", № 12, 1905, გვ. 29.

ნვალე დემონსტრაციის დროს არსად, არც ერთი კუთხეში, გლეხებს ერთი მუხლიც კი არ წამოუყენებიათ იმ მოთხოვნებიდან, რასაც ამიერკავკასიაში იმ დროს მოკალათებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები აყენებდნენ, როგორც „საერთო-სახალხო“ მოთხოვნას.

გლეხებმა ზურგი შეაქციეს მიწის მუნიპალიზაციის მენშევიკურ პროგრამასაც.

ამრიგად, ყველა ჯურის ავტონომისტები, ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და თვით მენშევიკები რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ გარიყა.

ეს ფაქტი მიუთითებს ბოლშევიკების უდიდეს ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობაზე. წაუყენა რა მეფის მთავრობას რევოლუციური მოთხოვნები, ბოლშევიკების მიერ შთაგონებულმა გლეხობამ აშკარად განაცხადა, სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ თვითმპყრობელობის მთავრობა ამ მოთხოვნებს შეგვისრულებსო, ჩვენ მუშების ხელმძღვანელობით მთელი რუსეთის ხალხთან ერთად თვითონ განვახორციელებთ ამ მოთხოვნებსო.

და, მართლაც, გლეხობა მუშების ხელმძღვანელობით თვითონ შეუდგა წესრიგის დამყარებას სოფლად. არჩევითს საფუძველზე ქმნიდნენ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც ანხორციელებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს, განაგებდნენ სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებას. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები სოფლად, ისე როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოები დიდ სამრეწველო ქალაქებში და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო[1].

ვ. ი. ლენინი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობას ამიერკავკასიაში. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის მუშებისა და დემოკრატიული გლეხობის შეუპოვარ რევოლუციურ ბრძოლას და ბოლშევიკური ორგანიზაციების სწორ ხელმძღვანელობას რევოლუციური მოძრაობის მიმართ, რამაც განაპირობა მოძრაობის მაღალი დონე. ლენინური გაზეთები „ვპერიოდ“, „პროლეტარი“ და „ნოვაია ჟიზნი“

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 204.

სისტემატურად ბეჭდავდნენ კორესპონდენციებს ამ მოძრაობის შესახებ.

რევოლუციის განვითარებისა და მისი მამოძრავებელი ძალების სწორი გზით წარმართვას დიდად აფერხებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთიანობისა და ერთიანი ტაქტიკური ხაზის უქონლობა.

ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას ლენინი პარტიის III ყრილობის მოწვევაში ხედავდა. „ყრილობა უნდა იყოს უბრალო, ხანმოკლე, არამრავალრიცხოვანი. ეს არის — ყრილობა ომის მოსაწყობად[1], — წერდა ლენინი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა უდიდესი შრომა გასწიეს ამ ყრილობის მოსაწვევად, რომელმაც ბოლშევიკები მართლაც შეაიარაღა „ომის მოწყობის“ ხელოვნებით-- რევოლუციისადმი ხელმძღვანელობის ლენინური ტაქტიკური პრინციპებით. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა უაღრესად დიდი დახმარება აღმოუჩინეს ლენინს III ყრილობის მოწვევის საქმეში. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მიეკუთვნებოდნენ ორგანიზაციებს, რომლებმაც გადაიტანეს მთელი სიმძიმე ყრილობის მოსაწვევად. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ III ყრილობის მოწვევა იყო ჩრდილოეთის, სამხრეთისა და კავკასიის ორგანიზაციების საქმე.

პარტიის III ყრილობამ სპეციალურად განიხილა საკითხი „კავკასიის ამბების შესახებ“ და მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომლითაც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები აღიარებულია „ყველაზე უფრო მებრძოლ ორგანიზაციებად“, ხოლო ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის ბრძოლა — მოწინავე რევოლუციურ მოძრაობად, რომელიც „უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე“[2].

გაითვალისწინა რა კავკასიაში თვითმპყრობელობის ძლიერი თავდასხმა რევოლუციაზე, აგრეთვე ის გარემოება, რომ ცარიზმი უკვე გზავნიდა ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებდა აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის დაუნდობელ განადგუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 159.

[2] იქვე, გვ. 497.

რებას, რომ „კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქაური მოსახლეობის სხვადასხვაგვაროვანი შემადგენლობა აიდვილებს, უაღრესად მავნე შედეგი ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში“, III ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება კავკასიის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალედ მიესალმა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა მიეღოთ ყველაზე ენერგიული ზომები კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრებისა და სხვათა გზით, აგრეთვე კავკასიისათვის თავის დროზე მხარდასაჭერად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით[1].

III ყრილობის გადაწყვეტილება „კავკასიის ამბების გამო“ წარმოადგენს რუსი და ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითს მათს ბრძოლაში საერთო მტრის — თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პარტიის III ყრილობის დადგენილებებით შეიარაღებულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერეს რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისადმი — მუშებისა და გლეხებისადმი ხელმძღვანელობა, ფართოდ გაშალეს III ყრილობის დადგენილებათა და ლენინის შრომების შესწავლა და უნარიანად გამოიყენეს ისინი პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში.

პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკების მიერ საგამომცემლო საქმის კარგად დაყენებამ. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც არალეგარული სასტამბო ტექნიკისა და კონსპირაციის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა. ეს იყო ამიერკავკასიაში ბოლშევიკური არალეგალური ლიტერატურის გამოცემის მძლავრი ბაზა.

ავლაბრის არალეგალური სტამბა ლიტერატურას ბეჭდავდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. აქ იბეჭდებოდა გაზეთი

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 101.

„პროლეტარიატის ბრძოლა“, კავშირის კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების ფურცლები და პროკლამაციები, ვ. ი. ლენინის შრომები და სტატიები, რომლებიც ფართოდ ვრცელდებოდა როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ხელს უწყობდა რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას. ამ სტამბაში მაშინდელ დროისათვის უდიდესი ტირაჟით დაბეჭდილმა მარქსისტულმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინური იდეების გამარჯვების საქმეში.

რევოლუციის პერიოდში განსაკუთრებით გაფართოვდა ვ. ი. ლენინის შრომების თარგმნა და გამოცემა. ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“, რომელმაც 1905 წლის ივლისიდან რუსულადაც იწყო გამოსვლა, დაიბეჭდა ლენინის შრომები „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“, 1905 წელს ქართულად ითარგმნა და გამოიცა ვ. ი. ლენინის ცნობილი ბროშურა „სოფლის ღარიბებს“. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი კი არ ითარგმნა, არამედ გადმოკეთებულ იქნა და მასში შეეიდა მასალები საქართველოში არსებული აგრარული ურთიერთობისა და გლეხთა მძიმე მდგომარეობის შესახებ. ბროშურა გამოვიდა სახელწოდებით: „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას“.

1905 წლის 28 ივნისს ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში მ. ცხაკაია აღნიშნავდა, რომ აქ დიდი მოთხოვნილებაა შრომებზე „რა ვაკეთოთ“? და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ამ შრომებს ბოლშევიკი აგიტატორები ენერგიულად სწავლობდნენ და იყენებდნენ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. „არაფრის გაგონება არ სურთ,— აღნიშნავდა წერილში ცხაკაია,— თუ აგიტატორები არ ილაპარაკებენ ლენინზე... მის მიერ სტიქიურობისა და შეგნებულობის გაგებაზე. როგორც ხედავთ, ამხ. ლენინს `შეუძლია იამაყოს, რომ პროპაგანდისტები და აგიტატორები... იძულებული არიან ყველგან ეძიონ მისი „რა ვაკეთოთ“? და „ნაბიჯები“[1].

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის შრომას „სოციალ-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 2, აღწ. 5, ს. 176.

დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომელშიც გენიალურად არის დასაბუთებული ჩვენი პარტიის ტაქტიკური საფუძვლები. ამიერკავკასიისათვის ამ შრომას იმ მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ იგი მკაცრად ამხელდა და აკრიტიკებდა ქართული მენშევიზმის ლიდერს ნ. ჟორდანიას, რომელიც ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც იყო კავკასია, პროლეტარიატის შესაძლებელ მოკავშირეებად არ მიაჩნდა გლეხობა და ასეთად ცნობდა ბურჟუაზიას, ანუ, როგორც ლენინი ამბობდა, „ერობელ მემამულეებს“. გამოვიდა რა ბურჟუაზიის ინტერესების გამტარებლად მუშათა კლასში, ჟორდანია ამტკიცებდა, თითქოს პროლეტარიატის აქტიური ჩაბმა რევოლუციაში დააფრთხობდა ბურჟუაზიას და ამით შესუსტდებოდა „რევოლუციის გაქანება“. პირიქით, აღნიშნავს ლენინი, ბურჟუაზიის ჩამოშორებით დემოკრატიული რევოლუცია არამც თუ არ შესუსტდება, არამედ სწორედ „მაშინ დაიწყება რუსეთის რევოლუციის ნამდვილი გაქანება“[1].

ჟორდანიას ანტიმარქსისტული კონცეფცია, რომელსაც ამიერკავკასიაში საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავდა, აფერხებდა რევოლუციის განვითარებას, ამიტომ მის მხილებასა და გაძოაშკარავებას, რაც ვ. ი. ლენინმა ასე ბრწყინვალედ შეასრულა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვ. ი. ლენინის შეხედულებებს პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ ამიერკავკასიაში მტკიცედ იცავდნენ ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი, მ. ცხაკაია, ი. სტალინი, ფ. მახარაძე და სხვა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები.

III ყრილობის შემდეგ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთ-ერთი დიდი დემონსტრაციის საბაბი გახდა ლენინური იდეებისათვის მგზნებარე მებრძოლის ა. წულუკიძის დასაფლავება, რაც 1905 წლის 12 ივნისს მოეწყო. ეს იყო ისტორიული პროცესია, ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარაზმულობის ბრწყინვალე დემონსტრაცია — სახალხო ფიცი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ფიცი უდროოდ დაკარგული მგზნებარე რევოლუციონერ-მარქსისტის წინაშე, იმ იდეების ერთგუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 110.

ლების ფიცი, რომელსაც თავი შესწირა წულუკიძემ. წულუკიძე გარდაიცვალა საბრძოლო უბანზე, მენშევიკებთან გაცხარებული დისკუსიების პროცესში. თავის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარი სიცოცხლე მან მთლიანად მიუძღვნა მშრომელი ხალხის სამსახურს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

და აი ამიერკავკასიის პროლეტარიატმა ღირსეული პატივი სცა თავის ერთ-ერთ სახელოვან ხელმძღვანელს. „საშინელი კოკისპირული წვიმის დროს კუბო განსვენებულის ნეშტით ხელით მოჰქონდათ 25—26 ვერსის მანძილზე ქ. ქუთაისიდან დაბა ხონამდე უმთავრესად მუშებსა და გლეხებს. ამას ზედ დაუმატეთ აუარებელი რიცხვი გვირგვინებისა (80-ზე მეტი) კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობისაგან, წითელი დროშები, რომელნიც მრავალრიცხოვან ხალხს უძღოდა წინ და მიფრიალებდა. ქ. ქუთაისის ბოლომდე გამცილებელი ხალხი იყო რამდენიმე ათი ათასი, ხოლო ქალაქგარეთ დაბა ხონამდე არა ნაკლებ შვიდი-რვა ათასისა, ორი სპეციალური გუნდი მომღერალი მუშებისა, რომლებიც მარსელიეზასა და სხვა რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ. და მთელი ეს აუარება ხალხი, ერთობის გრძნობით აღტაცებული, სიმღერით კუბოს უკან მიჰყვებოდნენ, მიუხედავად ჭექა-ქუხილისა და წვიმისა; სიტყვები რიცხვით უთვალავი, სიტყვები განსვენებულის ბინიდან გამოტანის შემდეგ მთელ გზაზე სამარის კარამდე; — სიტყვები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე; სიტყვები მუშებისა, გლეხებისა და ბევრი სხვა ამხანაგისა, რომლებიც კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხკაცობის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ; სიტყვები, რომელნიც უცილობლად თავდებოდნენ მოწოდებით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს სოციალიზმს“! და სხვ. და მასვე იმეორებდა გრგვინვით მრავალრიცხოვანი ხალხი... აი როგორ გააცილა ნეშტი თავის მებრძოლი ამხანაგისა კავკასიის პროლეტარიატმა![1]“.

წულუკიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მ. ცხაკაია ვ. ი. ლენინს სწერდა:—ჩვენ დავკარგეთ ერთი ამხანაგი ალექსანდრე (სანდრო) წულუკიძე. გარდაიცვალა ტუბერკულოზური მენინგიტით, — მენშევიკებთან ბრძოლაში დისკუსიებზე საბოლოოდ გადაიქანცა...

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, № 9, 1905 წ., 1 (14) ივლისი.

დაკრძალვა პირდაპირ ზღაპრული იყო. მთელი კავკასიის პროლეტარიატსა და გლეხობას ჰყავდა წარმოგზავნილი თავისი წარმომადგენლები: 80-ზე მეტი გვირგვინი იყო წითელი ლენტებით.

ცენტრალური კომიტეტის სახელითაც მივიტანეთ გვირგვინი რევოლუციური წარწერით (თქვენ, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ)"[1].

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინმა გაზეთ „პროლეტარში" მთლიანად გადაბეჭდა „პროლეტარიატის ბრძოლაში" დაბეჭდილი ნეკროლოგი ა. წულუკიძის შესახებ[2].

* * *

ამიერკავკასიის ეროვნებათა — ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების ერთმანეთთან წასისიანებისა და რევოლუციურ გლეხობასთან „მოლაპარაკების" პოლიტიკამ მარცხი რომ განიცადა, მეფის მთავრობა ცდილობს ახალი ხრიკები გამოიგონოს მზარდი რევოლუციური მოძრაობის შესაჩერებლად და ჩასახშობად. მეფის მთავრობა შეეცადა შოვინისტური გრძნობებით ემოქმედა რუს მოსახლეობაზე, უპირველეს ყოვლისა მის მოწინავე ნაწილზე — პროლეტარიატზე. რუსმა მუშებმა, რომლებიც ამიერკავკასიის პროლეტარიატის ავანგარდულ რაზმს წარმოადგენდნენ, მეფის მთავრობის ამ ანტიხალხურ პოლიტიკას ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ და სხვა ეროვნებათა მუშებთან კავშირის განმტკიცებითა და კიდევ უფრო თავგანწირული რევოლუციური ბრძოლით უპასუხეს.

მთავრობამ ვერ შეძლო რუსი მუშების მოტყუება, მაგრამ მან მოახერხა საზოგადოების სხვადასხვა წრიდან დეკლასირებული ელემენტების, ხულიგნებისა და სხვა ნაძირალათა შეგროვება და ე. წ. შავი — „პატრიოტული" რაზმების შექმნა. თბილისში ასეთ რაზმს ხუცესი გოროდცევი ხელმძღვანელობდა. ეს რაზმი დიდ დახმარებას უწევდა ცარიზმს. მთავრობა აიარაღებდა მას და ამხედრებდა ადგი-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 2, აღწ. 5, ს. 176.

2. გაზ. „პროლეტარი", № 15, 1905.

ლობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომლებსაც მეფის ჩინოვნიკები „ტუზემცებს“ უწოდებდნენ.

ახასიათებდა რა შავრაზმელთა დამარბეველ საქმიანობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სხვადასხვა ერის ინტერესთა დაპირისპირებაზე, ბნელი და დაბეჩავებული მასების შეგნების მოწამვლაზეა აგებული შავრაზმელების მთელი ანგარიში“[1]. ასეთ ბნელ საქმეს აკეთებდა თბილისში შექმნილი შავი რაზმიც, რომლის ნიმუშის მიხედვით მეფის ადგილობრივი ხელისუფალნი რაზმებს ადგენდნენ ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ალექსანდროპოლში, ელისაბედპოლში და სხვაგან. სოფლადაც იქმნებოდა ასეთი რაზმები, რომლებშიც ხალისით ეწერებოდნენ უსაქმო თავადაზნაურები და გარეწარი ელემენტები. ხუცეს გოროდცევის შავმა რაზმმა დიდი უბედურება დაატეხა თავს თბილისის მოსახლეობას, ყოველდღე არბევდა რა მას. ამ რაზმის წევრებმა რეგულარული ჯარისა და პოლიციის მფარველობით დიდუბეში მოაწყვეს სპეციალური კრება, რომელზეც ვალდებულება იკისრეს „წესრიგი“ დაემყარებინათ თბილისში. „პატრიოტებმა“ სიტყვა მისცეს მთავრობას, რომ დაიჭერდნენ და ჟანდარმერიას გადასცემდნენ „სოციალისტური მოძრაობის ყველა მოთავეს“. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა შავრაზმელთა დამარბეველი საქმიანობა. ამ კრების ჩატარებიდან 2—3 დღის განმავლობაში მათ პოლიციისა და კაზაკების დახმარებით სცემეს ხალხს და დაჭრეს 30 კაცი. „ქუჩაში გამოსვლაც საშიში გახდა“, — წერდა ამ დღეების შესახებ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“[2].

ამიერკავკასიის მრავალეროვანმა მუშებმა შავი რაზმების თარეშს წითელი რევოლუციური რაზმების შექმნით უპასუხეს. წითელი რაზმები სოფლებშიც იქმნებოდა და თავზარს სცემდა მეფის მთავრობის მიერ მოწყობილ თავადაზნაურთა ბანდებს.

შავი რაზმების მოქმედების აღსაკვეთად 1905 წლის 3 ივლისს ბოლშევიკებმა თბილისში მოაწყვეს დიდი გაფიცვა, რომელიც 10 ივლისამდე გაგრძელდა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო ყველა ეროვნების მუშებმა, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 282—283.

[2] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, № 9, 1905, 1 (14) ივლისი.

თავხედებულ მთავრობას, რომ ისინი, გაერთიანებულნი, უძლეველ ძალას წარმოადგენენ.

ივლისის გაფიცვის დღეებში თბილისის პროლეტარიატმა მოაწყო საპასუხო თავდასხმები მეფის ჯარისა და პოლიციის საგუშაგოებზე და ამ მიზნით პირველად მასობრივად იქნა გამოყენებული უუმბარები („ბომბები"), ხელის გრანატები და სხვა სახეობის იარაღი. ასეთი თავდასხმები მოეწყო 5 ივლისს არტილერიის ქუჩაზე, 6 ივლისს სალდათის ბაზრისა და გრაფის ქუჩის კუთხეში, თათრის მოედნის კუთხეში, ვორონცოვის ქუჩაზე და ავლაბარში. იმავე დღის საღამოს 7 საათზე სალდათის ბაზარში გასროლილ იქნა თუჯის ბომბი. 7 ივლისს თავდასხმა მოეწყო ვერის დაღმართზე, ავლაბარში და სხვ. ამ თავდასხმების შედეგად მუშებმა ბოლო მოუღეს მეფის მთავრობის რამდენიმე მოხელეს. ყუმბარების გამოყენებას თბილისის მუშებმა შემდეგ უფრო ფართოდ მოჰკიდეს ხელი. ამან მეფის მთავრობას აგრძნობინა, რომ, თუ იგი ხელს არ აიღებდა მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაზე, პროლეტარიატი კიდევ უფრო ძლიერ, შეუპოვარ და გადამწყვეტ ზომებს მიიღებდა.

თუ რამდენად ძლიერი იყო ეს გაფიცვა, იქიდანაც ჩანს, რომ გაფიცვის მეორე დღეს შიშის გამო სამუშაო მიატოვეს „პატრიოტებმა", რომლებიც გაძლიერებული დაცვის ქვეშ რკინიგზის სახელოსნოებში შტრეიკბრეხერთა როლს ასრულებდნენ.

თბილისის მუშათა გაფიცვამ ფართო გამოხმაურება პოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გაფიცვები მოხდა ბათუმში, ქუთაისში, გორში, ხაშურში, შორაპანში, ჭიათურაში, სოხუმში, თელავში და სხვაგან. გაფიცვას ერთსულოვნად ღაუჭირეს მხარი რკინიგზის სადგურების მუშებმა თბილისიდან ბათუმამდე, ელისაბედპოლის მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

თბილისის საყოველთაო გაფიცვის შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გაფიცვის მეორე დღეს წერილი გაგზავნა ლენინურ „პროლეტარში". ეს წერილი დაიბეჭდა 3 (16) აგვისტოს კავშირის კომიტეტის ხელმოწერით. წერილი არ იძლევა გაფიცვის მთელ სურათს, რამდენადაც მისი გაგზავნის მომენტში გაფიცვა მხოლოდ დაწყებული იყო, მაგრამ იგი ამ საკითხზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს. წერილში აღნიშნულია: „შავი რაზმების მიერ ინტელიგენციისა და მუშების გაჟლეტის პოლიტიკას უკვე იყენე-

ბენ ჩვენთანაც, თბილისში, ჩვენმა „დამცველებმა“ დარაზმეს და შეაიარაღეს ადგილობრივი ხულიგნები და ნაკლებად შეგნებული მუშები და მიუსიეს ისინი სტუდენტებსა და შეგნებულ მუშებს. დაიწყო ველური ანგარიშსწორება... იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ამ მხეცობას და უხამსობას, რსდმპ თბილისის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს და საზოგადოებას—მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა...“

თბილისის მუშები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ პარტიული ორგანიზაციის მოწოდებას და ღირსეული პასუხი გასცეს მეფის მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას. თბილისელი მუშების მიერ 1905 წლის ივლისში ორგანიზებული საყოველთაო გაფიცვა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო.

* * *

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ საგანგებო ღონისძიებას წარმოადგენდა ცვლილებანი ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობაში. ჯერ კიდევ 1905 წლის დასაწყისში (3 მარტს) კავკასიაში გაუქმდა მთავარმართებლობის სისტემა და აღდგენილ იქნა მეფისნაცვლობა (ნამესტნიკობა), რომელიც ლიკვიდირებული იყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან (1883 წლიდან). მეფისნაცვლად დაინიშნა რევოლუციონერების დევნაში დახელოვნებული მონარქისტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

გარდა ამისა, კავკასიაში შემოღებულ იქნა პოლიციის უფროსის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე დაინიშნა აგრეთვე ნაფიცი მონარქისტი გენერალი შირინკინი, რომელიც, იმყოფებოდა რა მჭიდრო კონტაქტში ვორონცოვ-დაშკოვთან, უშუალოდ იმპერიის პოლიციის დეპარტამენტს ემორჩილებოდა.

თავისი პოლიტიკა რევოლუციასთან ბრძოლისა ვორონცოვ-დაშკოვმა ნათლად გამოხატა წერილში ნიკოლოზ მეორისადმი, რომელშიც იგი თავის პირდაპირ უფროსს აშკარად მოახსენებდა, რომ „რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი კავკასია“ და იგი (ვორონცოვი) მიისწრაფვის ებრძოლოს მას უპირველეს ყოვლისა

მშვიდობიანი გზით, სანამ ამის შესაძლებლობას ხედავდა[1]. ამ წერილიდან აგრეთვე ჩანს, რომ ვორონცოვ-დაშკოვი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის არც ერთ საშუალებას არ უარყოფდა, ხოლო უწინარეს ყოვლისა მას სურდა ებრძოლა „მშვიდობიანი" გზით.

შეუდგა თუ არა მეფისნაცვლის თანამდებობის შესრულებას, ვორონცოვ-დაშკოვმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ გაატარებდა მთელ რიგ ღონისძიებებს, კერძოდ, განახორციელებდა სასამართლოს რეფორმას, დაწყებით სკოლას გადაიყვანდა ეროვნულ ნიადაგზე, მოახდენდა სოფლის მართვა-გამგეობის რეორგანიზაციას, მოიწვევდა სათათბიროდ სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებს, შემოიღებდა საერობო მართვა-გამგეობას, ანუ ე. წ. „ადგილობრივ თვითმმართველობას" და სხვ.

მეფის სატრაპის თვალთმაქცური ლიბერალიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ მან ქუთაისის გუბერნატორად დანიშნა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის პოლიციის მიერ ოთხჯერ განაჩხრეკი ვ. ა. სტაროსელსკი—უფროსი აგრონომი, კავკასიაში ამერიკული ვაზის სადედეთა სანერგეების გამგე, რომლის ძირითადი ადგილსამყოფელი იყო საქარის (ზესტაფონი) მეურნეობა. დგამდა რა ამ ნაბიჯს, ვორონცოვ-დაშკოვი, როგორც ეს ჩანს მისი წერილიდან ნიკოლოზ მეორისადმი, ფიქრობდა, რომ სტაროსელსკი თავის ავტორიტეტს (სიახლოვეს დაბალ ფენებთან) გამოიყენებდა მეფის მთავრობის პოლიტიკის გასატარებლად და რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. მაგრამ ამ კეთილმა და ჰუმანურმა ადამიანმა, რომელმაც კავკასიაში ათობით წლების მუშაობის მანძილზე კარგად გაიცნო და შეიყვარა ადგილობრივი ხალხი, თავისი სინდისი და ნამუსი როდი გაჰყიდა გუბერნატორის ეპოლეტებზე და ამ დიდი თანამდებობის შესრულების დროსაც ხალხის ერთგულ შვილად დარჩა. იგი თვალს უხვევდა ვორონცოვ-დაშკოვს და ყოველმხრივ ეხმარებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ „სტაროსელსკი დათანხმდა გუბერნატორობაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ამაზე მიიღო ნებართვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან" და შემდეგშიაც „სტაროსელსკის თითქმის

---

[1] Революция 1905 года и самодержавие, Центрархив. 1928, გვ. 179.

ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან მოულაპარაკებლად და შეუთანხმებლად"[1]. სტაროსელსკის მოღვაწეობის ამ მხარეს — რევოლუციისა და ხალხისადმი ერთგულებას—კარგად ახასიათებს ოხრანკის მრავალრიცხოვანი ოფიციალური დოკუმენტები. თვით ვორონცოვ-დაშკოვი თავის ჩანაწერში 1906 წელს აღნიშნავდა, რომ სტაროსელსკი თავის გავლენას იყენებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როცა ეს სასარგებლო იყო რევოლუციური ორგანიზაციებისათვის"[2].

„რევოლუციონერი გუბერნატორის" მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ის მალე მოხსნა მეფის მთავრობამ (სტაროსელსკი გუბერნატორად დაინიშნა 1905 წლის 1 აგვისტოს და მოხსნილ იქნა 1906 წლის 11 იანვარს). მაგრამ მისი მოღვაწეობა რევოლუციის სახელოვანი დღეების შესანიშნავ ეპიზოდს წარმოადგენს.

იმ უამრავ დაპირებათაგან, რომლებიც ვორონცოვ-დაშკოვმა ამიერკავკასიის ხალხებს აღუთქვა, ბევრი (ერობები, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და სხვ.) რუსეთის ცენტრალური გუბერნიების მოსახლეობამ მიიღო ბატონყმობის გაუქმების პერიოდში. მაგრამ კავკასია, ისე როგორც სხვა განაპირა ქვეყნები, მაშინ არ ცნეს იმდენად „მომწიფებულად", რომ ეს ღონისძიებანი გაეტარებინათ. ეს იყო თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ბურჟუაზიის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი, რომელსაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თვითმპყრობელობა. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის აზვირთების გამო, ცარიზმი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ მოთხოვნებისათვის და ერობების შემოსაღებად „მომწიფებულად" ეცნო ამიერკავკასიის ქვეყნებიც.

როგორ მიიღო ამიერკავკასიის ხალხმა ეს „რეფორმები"?

ამიერკავკასიის პროლეტარიატმა და გლეხობამ, ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ტაქტიკური პრინციპებით და პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებით, სასტიკი ბრძოლა, ბოიკოტი გამოუცხადეს მეფის სატრაპის წვრილმან დათმობებს და სამარცხვინოდ ჩაშალეს ის. რევოლუციური მოძ-

---

1 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, სახელგამი, 1932, გვ. 282.
2 Журн. «Исторический Вестник» № 12, декабрь, 1909, გვ. 914.

რაობის მძლავრმა აღმავლობამ აღგავა პირისაგან მიწისა ყველა ეს დაპირება, ვიდრე მათ გაატარებდნენ.

1905 წლის ზაფხულში რევოლუცია მთელ რუსეთში გაფართოვდა. ივნისში მოხდა აჯანყება შავი ზღვის ფლოტის ჯავშნოსან „პოტიომკინზე". ჯავშნოსანი რევოლუციას მიემხრო. ამით დაიწყო სამხედრო აჯანყებები ფლოტსა და არმიაში. ეხებოდა რა ჯავშნოსან „პოტიომკინზე" მომხდარ ისტორიულ ამბებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენს თვალწინაა უეჭველი და უაღრესად საგულისხმო ფაქტი: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ი ს ბ ი რ თ ვ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს ც დ ა"[1].

„პოტიომკინის" მაგალითმა აღაფრთოვანა მუშები და გლეხები, დემოკრატიული ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა, რის შედეგადაც რევოლუციაში ჩაება მშრომელთა ახალი ფენები. ამიერკავკასიაში, ისე როგორც რუსეთის მთელ რიგ სხვა ადგილებში, ამიერიდან ბრძოლები უფრო შეუპოვარ ხასიათს ატარებდა. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით წერდა: „კავკასიამ, ლოძმა, ოდესამ, ლიბავამ სულ უკანასკნელ დროს პროლეტარული გმირობისა და ხალხის ენთუზიაზმის ნიმუშები გვიჩვენეს"[2].

მზარდი რევოლუციის შესასუსტებლად მეფის მთავრობამ 6 აგვისტოს გამოსცა მანიფესტი და ხალხს დაპირდა სათათბიროს მოწვევა. ეს იყო ბულიგინის სათათბირო. ვინაიდან რევოლუცია აღმავალი გზით მიდიოდა, ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ამ სათათბიროს და მუშებმა და გლეხებმა ჩაშალეს დამახინჯებული პარლამენტის მოწვევა. სექტემბერში ახალი ძალით იფეთქა გაფიცვებმა. იგი დაიწყეს მოსკოვის მუშებმა, რომელთაც გამოეხმაურენ ამიერკავკასიაში ბაქოს მუშები. მათ შეიარაღებული რაზმები შექმნეს და ბოლშევიკების მეთაურობით საწარმოთა ადმინისტრაციის სრული პარალიზება მოახდინეს. 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) თბილისის მუშათა რაზმებმა ქალაქის სხვადასხვა პუნქტში მოაწყვეს ერთდროული თავდასხმა მეფის ერთგული ჯარის ნაწილებზე. ეს თავდასხმები იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ მოხდა „სახალხო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 8, გვ. 667.

[2] იქვე, გვ. 666.

იარაღის „ახალ“ სახეობათა — ყუმბარების... ფართოდ გამოყენება“, რამაც „დიდი პანიკა გამოიწვია კაზაკებსა და ჯარისკაცებში“[1].

1905 წლის 17 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „პოლონეთმა და კავკასიამ უკვე უფრო მაღალი ბრძოლის ნიმუში მოგვცეს. იქ პროლეტარიატი ნაწილობრივ შეიარაღებული გამოვიდა, იქ ომმა გახანგრძლივებული ფორმა მიიღო“[2].

ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვით დაშინებულმა მეფემ რევოლუციური ძალების გათიშვის მიზნით გამოსცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლითაც ხალხს პირდებოდა სამოქალაქო თავისუფლების „ურყევ“ საფუძვლებს: პიროვნების ნამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევასა და მოსახლეობის ყველა კლასისათვის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. 17 ოქტომბრის მანიფესტი მოასწავებდა რევოლუციის უდიდეს გაქანებას. მაგრამ იგი ამავე დროს იყო ხალხის მასების მოტყუება, მეფის ხრიკი, თავისებური შესვენება, რომელიც მეფეს ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მიეძინებინა გულუბრყვილონი, მოეგო დრო, მოეკრიბა ძალები და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის.

მიუხედავად ამისა, მეფის მთავრობა შეეცადა კავკასიაზე არ გაევრცელებინა 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაბოძები მოჩვენებითი დათმობებიც კი. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში დაცული დოკუმენტები ნათელყოფენ, რომ მეფის მთავრობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ვორონცოვ-დაშკოვის შუამდგომლობის საფუძველზე. ერთ-ერთი დოკუმენტი ნათელყოფს, რომ 10 ოქტომბერს, როცა თვითმპყრობელობის უმაღლეს წრეებში უკვე მუშავდებოდა მანიფესტის ტექსტი, კავკასიის მეფისნაცვალი შუამდგომლობდა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მას თავის მხრივ ეშუამდგომლა მეფესთან, რომ განზრახული მანიფესტის უმთავრესი პუნქტები (განსაკუთრებით პოლიტიკური პატიმრებისათვის გათვალისწინებული ამნისტია) არ გავრცელებულიყო კავკასიაზე, ანდა მისი (ამნისტიის) შეფარდება კავკასიის პირობებისათვის მინდობო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 9, გვ. 417.

[2] იქვე, გვ. 434.

და მას, როგორც „ისეთ პირს, რომელიც უაღრესად ახლოს იცნობს მხარის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას“.

აი ერთი ადგილი ამ შუამდგომლობიდან: „თბილისის გუბერნიის გორისა და დუშეთის მაზრებში, — წერდა მეფისნაცვალი, — წესრიგის აღსადგენად განსაკუთრებული რწმუნებით მივლინებული პოლკოვნიკი ალფტანი მაცნობებს, რომ სახელმწიფო დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ ამ უკანასკნელ ხანს პრესაში გავრცელებული ხმები რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელებს უნერგავენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა დაუსჯელობის რწმენას და ამით მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდა და აქტიური მოქმედება უფრო თავხედური ხდება... გაცნობებთ რა აღნიშნულს, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი მხრივაც მიმაჩნია, რომ კავკასიის მხარეში ამნისტიის გავრცელების საკითხს, თუ ასეთი იქნება, მნიშვნელობა აქვს არა მარტო გორისა და დუშეთის მაზრებისათვის, არამედ მხარის სხვა ნაწილებისთვისაც. ამის გამო პატივი მაქვს უმორჩილესად გთხოვოთ უარი არ მითხრათ, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის საკითხის განხილვისას ხელმწიფე იმპერატორის უმაღლეს ნებასურვილს წარუდგინოთ ჩემი შუამდგომლობა, რომ ამნისტიის იმ პირებზე გავრცელება, რომელთაც ჩადენილი აქვთ დანაშაული სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ, კავკასიის მხარის ფარგლებში მიენდოს მისი იმპერატორობით უდიდებულესობის ნაცვალს კავკასიაში, როგორც ისეთ პირს, რომელიც უაღრესად ახლოს იცნობს მხარის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას“[1].

21 ოქტომბერს — მანიფესტის გამოცხადებიდან 4 დღის შემდეგ — „უმაღლესი სახელობითი ბრძანებულებით“ დაკმაყოფილებულ იქნა ვორონცოვ-დაშკოვის შუამდგომლობა, ე. ი. კავკასიის მეფისნაცვალს უფლება მიეცა საკუთარი მეთოდებითა და ხერხებით განეგრძო მხარეში „წესრიგის დაცვა“[2].

ოქტომბრის მანიფესტი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იყო ხალხის მასების მოტყუება, თვალთმაქცობა; მაგრამ იმ ფაქტში, რომ ამ მოსაჩვენებელ დაპირებებსაც ცარიზმი კავკასიისათვის არ იმეტებ-

---

[1] Центральный Государственный Исторический Архив в Ленинграде, ф. По наместн. на Кавказе, № 54, 1905, д. № 62 л—1.

[2] იქვე, გვ. 3.

და, კარგად ჩანს მეფის მთავრობის დიდმპყრობელურ-ნაციონალ-ისტური დამოკიდებულება განაპირა მხარეებისადმი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სწორედ იმ დღეებში, როცა კავკასიის ხელისუფლება საზეიმო ვითარებაში მანიფესტს აცნობდა მოსახლეობას, იგი ადგენდა რევოლუციური მოძრაობით ყველაზე უფრო სახელგანთქმული კუთხეების სამაგალითოდ დასჯის გეგმას და აწყობდა ახალ ეროვნულ შუღლს, რასაც თავისი მასშტაბით უნდა გადაეჭარბებინა ყველა ადრინდელ ბოროტმოქმედებისათვის.

კავკასიის ხელისუფლებამ უწინარეს ყოვლისა გადაწყვიტა ანგარიში გაეწიერებინა ოზურგეთის მაზრის მოსახლეობისათვის, სადაც რევოლუციურმა მოძრაობამ უაღრესად ფართო ხასიათი მიიღო. გურიის მოსახლეობის დასჯა დაევალა სისასტიკითა და მხეცობით სახელგანთქმულ გენერალს ალიხანოვ-ავარსკის, რომელსაც ამ დავალების შესასრულებლად გადაეცა 8 ათასი ჯარისკაცი, 5 ზარბაზანი, 6 ტყვიამფრქვევი და 2 მილიონი ვაზნა. „გენერალ ალიხანოვს ნაბრძანები აქვს, — წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1905 წლის 29 ოქტომბერს, — პირდაპირი იერიშით მივიდეს. ხუთ ვერსზე მარცხნივ და მარჯვნივ ყველაფერი უნდა განადგურდეს და ამრიგად ჩავიდეს გენერალი ოზურგეთამდე".

ოზურგეთის მაზრის გლეხობას ნამდვილი განადგურება მოელოდა, მაგრამ აქ თავი იჩინა ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერნაციონალური აღზრდის დიდმა ძალამ. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხთა სოლიდარობის შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. სწორედ ამის გამო გადარჩა სრულ განადგურებას ოზურგეთის მაზრის მოსახლეობა. გურული გლეხების დასაცავად ერთხმად აიმაღლეს ხმა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში.

მაგალითად, 30 ოქტომბერს ბაქოში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია. მასში ვკითხულობთ: „მიტინგი მოითხოვს ჯარებისა და კაზაკების დაუყოვნებლივ გამოწვევას, თუ მთავრობა გადაწყვეტს გურიის განადგურებას, მიტინგი აცხადებს, რომ ყველა აქ შეკრებილი კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ყოველ ზომას მიიღებენ იმისათვის, რათა დაიწყონ ყველაზე ფართო და აქტიური რევოლუციური გამოსვლა კავკასიის ქალაქებსა და

სოფლებში მთავრობის ძალებისადმი უფრო დიდი ძალების დასაპირისპირებლად, ვიდრე გურიას ჰყავს"[1].

ამავე დღეს ნაძალადევში გაიმართა თბილისის მშრომელთა მიტინგი, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო. გურიის მცხოვრებთა დასაცავად წარმოთქმულ იქნა სიტყვები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „წარედგინოს ხელისუფალთ მოთხოვნები, რათა გაწვეულ იქნას ჯარები გურიიდან, თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, იარაღს მოკიდოთ ხელი მთელს მხარეში"[2].

მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში, სამტრედიასა და სხვა ქალაქებში.

პროლეტარიატის საპროტესტო ხმას თავისი ხმა შეუერთა გლეხობამ. გურიის მშრომელთა დასაცავად ფეხზე დადგნენ საქართველოს სოფლები; კახეთისა და ქართლის გლეხკაცობა შეიარაღებული რაზმებით აპირებდა დახმარებას; თელავში, საგარეჯოსა და სხვა ადგილებში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგები. 31 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში შედგა ივრის ხეობის რამდენიმე სოფლის გაერთიანებული კრება, რომელმაც მიიღო საპროტესტო რეზოლუცია გურიაში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ. კრებამ მეფისნაცვალთან გასაგზავნად აირჩია წარმომადგენლები, რომლებიც 2 ნოემბერს ჩამოვიდნენ თბილისში. ლენინურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" ამის გამო დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც წერია: „2 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა 30 ცხენოსანი, ივრის ხეობის სხვადასხვა სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელნი, რათა შეატყობინონ მეფისნაცვალს, რომ, თუ ხმები გურიაში ჯარების გაგზავნის შესახებ მართალია, „მთელი მათი საზოგადოებანი მზად არიან გამოექომაგონ გურულებს და იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე"[3].

ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის გმირულმა სოლიდარობამ იხსნა გურიის მშრომელები განადგურებისაგან.

---

1 გაზ. „ნოვაია ჟიზნ", № 14, 1905, 16 (29) ნოემბერი.

2 საქ. სსრ ცსია, ფ. 68, ს. № 16. ფურც. 16.

3 გაზ. „ნოვაია ჟიზნ", № 9, 1905, 10 (23) ნოემბერი.

3 ნოემბერს გაიცა განკარგულება გურიაში გაგზავნილი სამხედრო ნაწილების უკან დაბრუნების შესახებ.

ეს განკარგულება იმას ნიშნავდა, რომ ამჯერად სასტიკ აოხრებას გადარჩა არა მარტო ოზურგეთის მაზრის გლეხობა, სადაც მხოლოდ იწყებოდა ეს საშინელი რეპრესიები, არამედ მთელი საქართველოს გლეხობა, რომელთაც მორიგეობით უპირებდნენ დარბევას.

ეს იყო ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხობის მტკიცე ინტერნაციონალური დარაზმულობის შესანიშნავი შედეგი და იმის უტყუარი ნიშანი, რომ ოქტომბრის მანიფესტით ისინი არამცთუ არ მოტყუვდნენ, არამედ კვლავ განაგრძობდნენ გმირულ ბრძოლებს რუსეთის მამაცი პროლეტარიატის მხარდამხარ.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა გაიზარდა. განსაკუთრებით ბაქოს, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში იზრდებოდა გლეხთა მოძრაობა, დიდ გარნიზონებში (თბილისი, სოხუმი) მუშებთან ერთად ხმას იმაღლებდნენ ჯარისკაცებიც.

განიცადეს რა მარცხი გლეხობის სამაგალითოდ დასჯის ორგანიზაციაში, ცარიზმის დამქაშებმა კვლავ მოინდომეს ძველი ნაცადი მეთოდისათვის მიემართნათ: გაემეორებინათ თებერვლის ამბები, ე. ი. გამოეწვიათ ეროვნული შუღლი ამიერკავკასიის ხალხებს შორის.

ამჯერად პროვოკაცია დაიწყო ელისაბედპოლში (ახლა კიროვაბადი), სადაც ვორონცოვ-დაშკოვის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით 15—18 ნოემბერს მოხდა შეტაკება სომხებსა და თათრებს შორის. ადგილი ჰქონდა საკმაოდ დიდ მსხვერპლს, (მოკლულთა რიცხვი უდრიდა 200 კაცს)[1], მაგრამ ეს იყო ერთგვარი შესავალი იმ რბევა-აკლებისა, რასაც მეფის ხელისუფლება თბილისში ამზადებდა.

აწყობდა რა მოძმეთა სისხლის ღვრას, მეფის მთავრობას თავი განგებ ისე მოჰქონდა, თითქოს იგი არამცთუ მისი გამომწვევი არ არის, არამეღ იბრძვის კიდეც ხალხთა შორის მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

ამას საუკეთესოდ, ადასტურებს ვორონცოვ-დაშკოვის 20

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1931, გვ. 290.

ნოემბრის წერილი ნიკოლოზ მეორისადმი, რომლითაც იგი ხელმწიფეს, როგორც „ახალ ამბავს“, აცნობებს ელისაბედპოლში მომხდარ სისხლიან შეტაკებასა და მისი განმეორებების შესაძლებლობაზე თბილისში.

აი ერთი ადგილი ამ წერილიდან: „1905 წლის 18 ნოემბერს—წერდა ვორონცოვი,—ელისაბედპოლში მოხდა ბრძოლა სომხებსა და თათრებს შორის. ქალაქში მყოფი სომხებისა და თათრების „ბანდების“ მეოხებით, არეულობის ჩასაქრობად გავგზავნე გენერალი მალამა ჯარით. არეულობა ჩაქრობილია, მაგრამ შუღლი სომხებსა და თათრებს შორის გაიზარდა, რამაც თბილისში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით მის „აზიურ ნაწილში“[1] (იგულისხმება ავლაბრისა და თათრის მოედნის რაიონები). ამ ცბიერი დეპეშის აზრი ის იყო, რომ გაემართლებინა „არეულობის“ დიდი მასშტაბით გამოწვევა თბილისში.

თბილისში სომეხ-თათართა სისხლის ღვრის მოსაწყობად მეფის მთავრობის ბანდებმა წინასწარ შექმნეს ორი პლაცდარმი—ერთი—ავლაბარში და მეორე—„თათრის მოედანზე“. ეს იყო ბეჯითად მოფიქრებული პროვოკაცია. ავლაბრის სომხების მხარეზე ჩათრეული იყვნენ სომეხი მოსახლეობის შეუგნებელი ფენები, ხოლო „თათრის მოედნის“ მუსლიმანთა მხარეზე — ბორჩალოს მაზრის მუსლიმანთა შეუგნებელი მასა. პროვოკაცია მართლაც დაწყებულ იქნა და ძან 20-მდე სომეხი და თათარი მუშა იმსხვერპლა, მაგრამ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იგი სასწრაფოდ აღიკვეთა. 1905 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) ბოლშევიკების მეთაურობით თბილისის 20 ათასმა მუშამ სისხლის ღვრისათვის დანიშნულ ადგილებში—ავლაბრისა და „თათრის მოედნის“ რაიონებში გამართა მძლავრი დემონსტრაცია. ამავე დღეს თბილისის პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნად ბოლშევიკური ლოზუნგებით ქუჩებში ორკესტრითა და მუსიკით გაიარა თბილისის გარნიზონის 400-მდე ჯარისკაცმა. პროვოკაცია აღკვეთილ იქნა.

23 ნოემბრის გრანდიოზული დემონსტრაციის გამო ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“ მეორე დღეს იუწყებოდა:

---

[1] „1905 წლის რევოლუცია და თვითმპყრობელობა“, ცენტრალური არქივი, 1928, გვ. 178.

„თბილისის პროლეტარიატმა აღმართა თავისი ძლიერი ხელი და ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოუღო. პროლეტარიატი გამოვიდა ქუჩებში და წამოაყენა ულტიმატუმი: ან დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ხოცვა-ჟლეტა ან აჯანყებას მოვაწყობთო. ოცი ათასი კაცი შეიკრიბა მიტინგზე. ოცმა ათასმა კაცმა მოაწერა ხელი ამ ულტიმატუმს... აქ მუსლიმანთა მასამ, უზარმაზარმა მასამ პირველად მოისმინა თავის მშობლიურ ენაზე სოციალ-დემოკრატიული ქადაგება"[1].

1905 წლის ნოემბერში მეფის მთავრობა შეეცადა ბაქოშიც გამოეწვია სისხლის ღვრა, მაგრამ 1905 წლის ნოემბერს ბაქო ისეთი აღარ იყო, როგორიც 1905 წლის თებერვალში. ამჯერად ბაქო გადაქცეული იყო კავკასიის ყველაზე დიდ რევოლუციურ ცენტრად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მძლავრ სიმაგრედ. რევოლუციის პერიოდში ბაქოში მუშაობას ეწეოდნენ გამობრძმედილი ბოლშევიკი-ლენინელები ფიალეტოვი, სარატოვეცი, აზიზბეკოვი, ორჯონიკიძე, შაუმიანი, ჯაფარიძე, სტალინი, სპანდარიანი და სხვები. დიდმა ბრძოლებმა, გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა, რაც რევოლუციის დაწყებიდან ბაქოში ბოლშევიკების უპირატესი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, გამოაწრთო ბაქოს პროლეტარიატი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო ბაქოში პროვოკაციის მოწყობა.

ამიერკავკასიის ეროვნებათა ინტერნაციონალურად დარაზმვის საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქცია რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკურმა კონფერენციამ, რომელიც 1905 წლის ნოემბრის ბოლოს შეიკრიბა (კონფერენცია მუშაობდა 26-დან 30 ნოემბრამდე). კონფერენციამ სომეხ-თათართა შორის ცარიზმის მიერ დანერგილი შუღლის აღმოფხვრის უმთავრეს საშუალებად აღიარა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა ამ ეროვნებათა მშრომელებს შორის. ამ მიზნით კონფერენციამ დაავალა კავშირის კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ადგილებს, მთელი ძალით დაუჭირონ მხარი უკვე შექმნილ ჯგუფებს და დააარსონ ახალი ჯგუფები, სადაც ისინი არ არიან"[2].

სომხებსა და თათრებს შორის მოსალოდნელი სისხლის ღვრის

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", № 3, 1905.

[2] იქვე, № 8, 1905.

თავიდან აცილების მიზნით კონფერენციამ პარტიულ ორგანიზაციებს მიუთითა:

„1) გააძლიერონ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა ორივე ეროვნების პროლეტარიატში იმ მიზნით, რომ ჩამოაშორონ ისინი შეგნებულ და შეუგნებელ კონტრრევოლუციონერებს; 2) იკისრონ შემარიგებელი მისია ყველა ეროვნების პროლეტარიატის წარმომადგენელთა სახალხო სასამართლოს ფორმით; 3) შეტაკებათა დროს დააყენონ საგუშაგოები პოლიციის აგენტების პროვოკაციული გამოსვლების თავიდან ასაცილებლად“[1].

თუ შეტაკება ნამდვილად განმეორდებოდა, კონფერენციამ ნება დართო ორგანიზაციებს, მის აღსაკვეთად გამოეყენებინათ ყველა საშუალება, მათ შორის „ყველაზე აქტიური აგენტების, ხოცვა-ყლეტის ორგანიზატორების დაშინება“, რათა ჩაეშალათ კონტრრევოლუციონერთა გეგმები და გაემახვილებინათ მოქალაქეთა ყურადღება „რევოლუციურ ბრძოლაზე მეფის მთავრობასთან“.

კონფერენციამ დაიცვა და კვლავ საბრძოლო ამოცანად აღიარა ფართო საოლქო თვითმმართველობა კავკასიისათვის და მკაცრად გააკრიტიკა და უკუაგდო ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ კავკასიის ეროვნებათათვის წამოყენებული ავტონომიისა და ფედერაციის მოთხოვნა, რადგან ეს გამოიწვევდა „პროლეტარიატის ძალების დანაწილებას და მისი კლასობრივი შეგნებულობის დაჩლუნგებას“, „ავტონომია და ფედერაცია, — ვკითხულობთ კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — ჩვენში წამოაყენეს ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა. მაგრამ იგი ხელში აიტაცა ჩვენმა რამდენიმე მერყევმა ამხანაგმა“. იგულისხმება, რომ ეს „რამდენიმე მერყევი ამხანაგი“ იყო კავკასიელი და ქართველი მენშევიკები, რომლებიც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გზით ლიკვიდატორებისაკენ მიდიოდნენ.

კონფერენციამ დაადასტურა პოლიტიკური ცენტრალიზმის მოთხოვნა, რომელიც ფიქსირებულია რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის II განყოფილების მე-3, მე-7 და მე-8 პარაგრაფებში, და ამასთან დაკავშირებით თავის დადგენილებაში ჩაწერა: „იღებს რა მხედველობაში მეფის მთავრობის არაერთგზის ძა-

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, № 9, 1905.

ლადობას რუსეთის ეროვნებათა თავისუფალი განვითარების მიმართ, კონფერენცია, პროლეტარიატის ძალების თავისუფალი და სრული განვითარების მიზნით, მხარს უჭერს რუსეთის ეროვნებათა პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას (იხ. ჩვენი პროგრამის მე-9 პუნქტი)"[1].

ეროვნული საკითხის მარქსისტული გადაწყვეტის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციის გადაწყვეტილებას პარტიული გამომცემლობის ახლებურად მოწყობის შესახებ. 1905 წლის 26 (13) ნოემბერს ვ. ი. ლენინი სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიის მუშაობის ახალ პირობებში, რაც რუსეთში ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ შეიქმნა, საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ პარტიული ლიტერატურის საქმის ახლებურად მოწყობასო.

სწორედ ამ მხრით განიხილა კავკასიის ბოლშევიკების კონფერენციამ ამიერკავკასიაში პარტიული გამომცემლობის გარდაქმნის საქმე. კონფერენციის გადაწყვეტილებით პირველი ლეგალური გაზეთი კავკასიაში — „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ" გამოცხადდა რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდ. გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ „ძალით განხორციელებული „პრესის თავისუფლება" ერთგვარ შესაძლებლობას აძლევს სოციალ-დემოკრატიულ სიტყვასაც" და, რომ ეს გარემოება „სოციალ-დემოკრატიამ უნდა გამოიყენოს რაც შეიძლება ფართოდ"[2]. ამასთანავე კონფერენციამ დაავალა კავშირის კომიტეტს, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი" გაეუმჯობესებინა „ლიტერატურულად და ტექნიკურად" და გამოეცა იგი რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე უზრუნველეყო ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა ბაქოში.

რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია მიმდინარეობდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წინადღეებში. ამიერკავკასიაში ყველგან წარმოებდა მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. თვით კონფერენციის გადაწყვეტილებები აღსავსეა

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", № 8, 1905.

[2] იქვე.

უდიდესი რევოლუციური ოპტიმიზმით, შეიარაღებული აჯანყების მომზადების გარდუვალობისა და გამარჯვების ღრმა რწმენით.

„ამხანაგო მუშებო! — მოუწოდებდა კონფერენცია ამიერ-კავკასიის მუშებს, — ახლოვდება „ქუჩებში შეჯახების“ მომენტი. ქალაქად კრიზისი გაღრმავდა, სოფლად გაძლიერდა შიმშილობა. „ღალატი“ ფლოტში, „ღალატი“ ჯარში. ყოველივე ეს იწვევს შეჯახების აუცილებლობას. ემზადეთ, ამხანაგებო! კონტრრევოლუციის ძალები იკრიბებიან სახალხო თავისუფლების ჯალათების გარშემო. შემჭიდროვდით თქვენც ჩვენი მოწინავე ამხანაგების — სოციალ-დემოკრატების ირგვლივ. იმათ პირველად აგიხილეს თვალი, ისინი პირველნი გაგიძღვნენ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისინი დაგეხმარნენ ოქტომბრის გამარჯვების მოპოვებაში... ისინი მიგიძღვიან სოციალიზმის „აღთქმული ქვეყნისაკენ“. დე, ნუ მოტყუვდებით 17 ოქტომბრის მანიფესტით. უმნიშვნელო თავისუფლება, რომელიც ახლა გაქვთ, ზევიდან ნაჩუქარი კი არაა, არამედ მოპოვებულია ბრძოლით. არ უნდა დაივიწყოთ, რომ მეფის მთავრობის დარბაზებიდან იძლეოდნენ მხოლოდ სამარცხვინო ბორკილებს. მომავალშიც ნუ ელოდებით უკეთესს. ხალხის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით ხალხის საქმე სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით“[1].

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების IV კონფერენციის გადაწყვეტილებანი სავსებით სწორად ასახავდა კავკასიის მუშებისა და გლეხების, ყველა მშრომელის განწყობილებას. ამიტომ იყო, რომ ისინი ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის მუშათა დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას, მიღებულ იქნა თუ არა ცნობა ამ აჯანყების შესახებ.

რსდმპ თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის საბჭომ 1905 წლის 9 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „თბილისის პროლეტარიატი უნდა მიემხროს სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას“[2].

რუსეთის პროლეტარიატისადმი სოლიდარობის ნიშნად ფეხზე დადგა პროლეტარული ბაქო. მისი ერთიანობა ვერ დაარღვია მე-

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, № 8, 1905.

[2] იქვე, № 15, 1905.

ფის მთავრობის მიერ მოწინავე მუშა-ბოლშევიკის პ. მონტინის პროვოკაციულმა მკვლელობამ. მონტინის ვერაგული მკვლელობის საპასუხოდ ბაქოს პროლეტარიატმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც 20 ათასზე მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

11 დეკემბერს ნაძალადევში მოეწყო სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვისადმი სოლიდარობის ნიშნად მიძღვნილი დიდი მიტინგი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის დაწყების შესახებ.

12 დეკემბერს საყოველთაო გაფიცვა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზაზე, 14 დეკემბერს — ბაქოში, რომელსაც მოჰყვა მუშების შეიარაღებული შეჯახება პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან. 18 და 22 დეკემბერს დიდი ბრძოლა გაიმართა თბილისის მუშათა რაიონში (ნაძალადევი) და დიდუბეში. მუშათა დრუჟინებმა ამ ბრძოლებში ყველა სახის ცეცხლმსროლელი იარაღი გამოიყენეს და კარგი ორგანიზებულობაც უჩვენეს. ბრძოლები გრძელდებოდა 23—24 დეკემბერსაც. ამიერკავკასიის მუშებმა და გლეხებმა 1905 წელს დეკემბრის დღეებში საბრძოლო თანამეგობრობისა და თანამოქმედების შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს. უმთავრეს საბრძოლო უბნებზე ისინი შეერთებული ძალით ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს. ჯერ კიდევ დეკემბრის წინ დიდ ქალაქებში და რკინიგზებზე შექმნილი იყო შეიარაღებულ მუშათა საბრძოლო რაზმეულები. სოფლებში იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები (ასეულები), რომლებშიც მუშებიც შედიოდნენ. ოზურგეთის მაზრის აჯანყებულმა გლეხობამ თბილისის მუშების დასახმარებლად გაგზავნა 150 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც ბათუმის მუშა-ბოლშევიკი პეტრე (ესე) ცინცაძე მეთაურობდა. ამ რაზმის წევრები თბილისის მუშებთან ერთად იბრძოდნენ 18—19 დეკემბერს ნაძალადევსა და დიდუბეში, სადაც 9 მებრძოლი მუშა და გლეხი დაეცა გმირულად. ბრძოლაში მოკლულ იქნა რაზმის მეთაურიც. გუდაუთსა და სამურზაყანოში აჯანყებულმა გლეხებმა დაარბიეს მთავრობის ადგილობრივი ორგანოები, ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება და შეიარაღებული რაზმები გაგზავნეს სოჭისა და შავი ზღვის ზოგიერთ სხვა ქალაქის აჯანყებული მუშების დასახმარებლად.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელმძღვანელობით ძლიერი

შეიარაღებული რაზმი შეიქმნა შორაპანში, რომელშიც გურიის, სამეგრელოს და იმერეთის გლეხთა რაზმებთან ერთად შედიოდნენ ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, მიხაილოვის (ხაშური) მუშები. ამ რაზმს ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი სამოელ (ნოე) ბუაჩიძე მეთაურობდა. 30 დეკემბერს შორაპნის რაზმი თავს დაესხა ყვირილისა და ხარაგოულს შორის განლაგებულ ლეგიონის მე-11 და მე-12 ასეულებს, განაიარაღა ისინი, დაატყვევა და ჭიათურაში გაგზავნა. ამავე რაზმმა განაიარაღა ეისკის ლეგიონის ასეული, რომელიც სურამის უღელტეხილს იცავდა და მოაწყო ორი შემხვედრი ორთქლმავლის დაჯახება წიფის გვირაბში, რის გამოც შეწყდა რკინიგზით მიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. სურამის უღელტეხილისათვის ბრძოლაში, რომელიც ამიერკავკასიაში პირველი რევოლუციის ერთ-ერთ საინტერესო ფურცელს წარმოადგენს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსმა მეზღვაურებმა კრეისერ „ოჩაკოვის“ პირადი შემადგენლობიდან. „ოჩაკოვი“ „ჭოტიომკინის“ ამბების შემდეგ ბათუმში მოიყვანეს. ამ შემთხვევით ისარგებლეს რევოლუციურად განწყობილმა მეზღვაურებმა, დაუკავშირდნენ ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას და დაუყოვნებლივ ჩაებნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა მოძრაობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიელი რევოლუციური მუშების თავგანწირული ბრძოლა მოსკოვის ბარიკადებზე. დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თბილისელი და ბაქოელი მუშები—სილიბისტრო თოდრია, გიორგი სტურუა, ყარამან (უშანგი) ჯაში და სხვები, რომლებიც პარტიის დავალებით მაშინ მოსკოვში იმყოფებოდნენ. მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყო „კავკასიელთა ბოევაია დრუჟინა“, რომელიც იცავდა დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის ბინას, სადაც იმ დროს ბოლშევიკების კრებები იმართებოდა. ცნობილია „ბოევაია დრუჟინას“ შეუპოვარი ბრძოლები შავრაზმელების წინააღმდეგ მოსკოვის ქუჩებში. ა. მ. გორკი აღნიშნავს, რომ დრუჟინის მებრძოლებს არაერთხელ მოუხდათ გამოსვლა შავი რაზმის წინააღმდეგ, „ხოლო ერთხელ, ნ. მ. ბაუმანის დაკრძალვის წინა დღით, როცა შავრაზმელთა ათასიანი ბრბო აპირებდა დაერბია ტექნიკური სასწავლებელი, სადაც ესვენა არამზადა მიხალჩუკის მიერ მოკლული ნიკოლოზ ერნესტის ძე

ბაუმანი, ქართველი ახალგაზრდების კარგად შეიარაღებულმა პატარა ჯგუფმა ეს ბრბო გაჰფანტა"[1].

„ბოევაია დრუჟინას" გმირობით აღფრთოვანებული გორკი თავის ბინაზე რევოლუციის სამსახურისათვის იწვევდა მეგობრებს. აი რას სწერდა დიდი მწერალი ფ. ი. შალიაპინს, „მოხვალ ხვალ საღამოს? მე მიცავს კავკასიელთა საბრძოლო დრუჟინა... დიდებული ახალგაზრდებია. მათ ძლიერ უნდათ შენი ნახვა, მე — აგრეთვე, მოდი"[2].

ამ ბობოქარ დღეებში გორკი ხშირად ესაუბრებოდა „დრუჟინის" წევრებს. ამ საუბრებით გაეცნო იგი უშიშარი რევოლუციონერის — კამოს (ს. ტერ-პეტროსიანის) გმირულ რევოლუციურ საქმეს. თუმცა პირადად კამო გვიან გაიცნო, მაგრამ უკვე ამ დროიდან გორკი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს მის გმირულ მოღვაწეობას. გორკიმ კამოს უწოდა „ადამიანი პოზის გარეშე, რევოლუციის მხატვარი"[3], შემდეგში კამოს ნათელ ხსოვნას გორკიმ სპეციალური მოგონება მიუძღვნა.

რევოლუციური ბრძოლები ამიერკავკასიაში, ისე როგორც მთელ რუსეთში, 1906 წელს და ნაწილობრივ 1907 წელსაც გრძელდებოდა. რეაქციის გაძლიერების მიუხედავად, 1906 წელს „სისხლიანი კვირის" წლისთავი აღინიშნა გაფიცვებით, დემონსტრაციებით, მიტინგებითა და კრებებით. 1906 წლის იანვარ-თებერვალში ამიერკავკასიის რკინიგზიდან რევოლუციაში მონაწილეობისათვის დაითხოვეს 2 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე, რომელთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს. ცარიზმის ამ თავხედობას მუშებმა გაფიცვით უპასუხეს. გაფიცვა ორგანიზებულად ჩატარდა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაეუქმებინა თავისი განკარგულება და უკან მიეღო დათხოვნილი მუშები.

შეუპოვარ ბრძოლას განაგრძობდა ბაქოს პროლეტარიატი, რის შედეგად მან დიდხანს შეინარჩუნა რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მოპოვებული თავისუფლებანი. იმ დროს, როცა ყველგან

---

[1] მ. გორკი, თხზულებათა კრებული, ტ. 17, გვ. 335.

[2] მ. გორკი, თხზულებათა კრებული, ტ. 28, გვ. 391.

[3] მ. გორკი, თხზულებათა კრებული, ტ. 30, გვ. 230.

რეაქცია მძვინვარებდა, ბაქოში თითქმის ყოველწლიურად აღნიშ-ნავდნენ პროლეტარული მაისობის დღესასწაულს.

1906 წლის ოქტომბერში ბაქოს ბოლშევიკებმა შექმნეს ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირი, რომელიც დიდი გავლენით სარგებ-ლობდა ბაქოს მუშებს შორის. ეს იყო დიდი მასობრივი აღმზრდე-ლობითი ორგანიზაცია, რომელმაც, როგორც ამ კავშირის ორგანო „გუდოკი" იუწყებოდა, თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო „შრო-მის საერთაშორისო ძმობის პრინციპები" და მიზნად დაისახა „ერთ-სულოვანი თანაზიარი მუშაობისათვის" გამოეღვიძებინა „პროლეტა-რიატის ჩამორჩენილი ფენები"[1].

ბაქოს ბოლშევიკებმა მართლაც მიაღწიეს პროლეტარიატის ჩა-მორჩენილ ფენებამდე და გამოაფხიზლეს ისინი. 1908 წლის დამ-ლევს ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირს 9 ათასამდე წევრი ჰყა-ვდა. მათი ძირითადი ნაწილი იყო ახალი მუშები, რომლებიც პირვე-ლად ებმებოდნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

1907 წლის სექტემბერში ბაქოს კომიტეტის ინიციატივით ხან-ლარ საფარლიევის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით მოეწ-ყო გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც ამიერკავკასიის ყვე-ლა ეროვნების 20 ათასზე მეტი მუშა იღებდა მონაწილეობას.

დიდი გაფიცვა მოეწყო 1908 წლის 1 მაისს. გაფიცვის წინ ბაქოს კომიტეტმა რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გა-მოუშვა პროკლამაცია 20 ათასი ცალის რაოდენობით.

ამ გაფიცვით „ბაქოს პროლეტარიატმა,—წერდა გაზეთი „ბაკინს-კი პროლეტარი", — ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი სოლიდარო-ბა საერთაშორისო რევოლუციურ პროლეტარიატთან და გაფიცვის უნარი, თავისი მზადყოფნა ბრძოლისათვის, მიუხედავად მოზეიმე რეაქციის მთელი თავხედობისა და ბურჟუაზიის ველური შემოტე-ვისა"[2].

ბაქოს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს წარმოადგენს მისი გაბედული მოთხოვნები ნავთის მრეწველების მიმართ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელნი ე. წ. „თათბირების" საშუალებით მათ გათიშვას აპირებდნენ; ბაქოს მუ-

---

1 გაზ. „გუდოკ", № 1, 1907, 12 აგვისტო.

2 გაზ. „ბაკინსკი პროლეტარი", № 4, 1908 წ. 15 მაისი, გვ. 4.

შებმა ბოლშევიკების მეთაურობით მოითხოვეს გარანტიებიანი თათ-ბირი, რითაც სავსებით ჩაფუშეს კაპიტალისტების ეს წამოწყება.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტა-ტისტიკის შესახებ“ ბაქოს მუშებს „მასობრივი პოლიტიკური გაფი-ცვის უკანასკნელი მოჰიკანები უწოდა“[1].

იყვნენ რა ერთგული ვ. ი. ლენინის მითითებისა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თვლიდნენ, რომ რევოლუცია მხო-ლოდ დროებით დამარცხდა. 1906 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ბოლ-შევიკურ პროკლამაციაში ნათქვამია: „რევოლუცია გზას იკაფავს, აღრმავებს და აფართოებს თავის კალაპოტს. მიუხედავად მთავრო-ბის მზაკვრობისა, ხალხი მთლად გაჟღენთილია რევოლუციური სუ-ლისკვეთებით; საჭიროა, რათა რევოლუციური გრძნობა იქცეს საქ-მედ. საჭიროა ზნეობრივი ძალა შევუერთოდ ფიზიკურ ძალას... დაა-არსეთ ფარული სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაციები... დააჩქარეთ რევოლუციური რაზმების მომზადებისა და მოწყობის საქმე. რუსე-თის სხვა ნაწილებთან ერთად ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა აჯან-ყებაში, საძულველ მტერთან უკანასკნელ შეჯახებაში“[2].

1906 წელს რსდმპ ბაქოსა და თბილისის კომიტეტებთან იქმნება სამხედრო ორგანიზაციები, რომლებმაც რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს არმიასა და ფლოტში. ბაქოს ორგანიზაცია რუსულ ენაზე უშვებდა არალეგალურ გაზეთს — „რიადავოი“.

თბილისში იქმნება ბოლშევიკთა სამხედრო ჯგუფი, რომლის ამოცანას შეადგენდა ქუჩაში პარტიზანული ბრძოლებისა და ტაქტი-კის, აგრეთვე ბომბებისა და სხვადასხვა იარაღის დამზადების შეს-წავლა. 1906 წლის მაისში კამო სპეციალური დავალებით მიემგზავ-რება საზღვარგარეთ და მ. ლიტვინოვთან ერთად მოახერხა დიდძა-ლი იარაღის შეძენა. სექტემბრის ბოლო რიცხვებში იარაღით დატ-ვირთული გემი ბულგარეთის ნავთსადგურ ვარნიდან გამოვიდა, მან კავკასიის ნაპირებისაკენ აიღო კურსი, მაგრამ დიდმა ქარიშხალმა დალუპა იგი ძვირფასეულ ტვირთთან ერთად. ამრიგად, ამჯერად არ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 502.

[2] ციტირებულია ი. გ. ხუციშვილის წიგნიდან „1905—1907 წლების რევოლუ-ცია საქართველოში“, სახელგამი, 1955, გვ. 396.

მოხერხდა საზღვარგარეთიდან იარაღის მიღება, მაგრამ ბოლშევიკებს ერთი წუთითაც არ შეუჩერებიათ თავიანთი მოღვაწეობა.

ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების ბრძოლას თვითმპყრობელობისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ მაღალი შეფასება მისცა დიდმა ლენინმა. რევოლუციური ძალების მობილიზაციისა და გადამწყვეტ უბნებზე მათი გაშლის თვალსაზრისით ლენინმა კავკასია ისეთ მოწინავე ქვეყნებს მიაკუთვნა, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“[1]. ლენინური გაზეთი „ვპერიოდი“ თვლიდა, რომ გლეხთა მოძრაობა, ჩვეულებრივი „ბუნტი“ კი არ იყო, არამედ საესებით შეგნებული პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც „მთლიანად უერთდება მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“[2].

ჰქონდა რა მხედველობაში რევოლუციური მოძრაობის მაღალი დონე ამიერკავკასიაში, ლენინი 1907 წლის 27 მარტს წერდა: „რუსეთის შედარება არარუსულ ნაწილებთან, პოლონეთთან და კავკასიასთან, ახალ საბუთს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია არ არის“. ამავე სტატიაში ლენინმა აღნიშნა, რომ „კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია“ და მიუთითა, რომ იგი პროლეტარიატთან ერთად რევოლუციის „მტკიცე საყრდენი წერტილია“[3].

* * *

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლების აზვირთებამ ბრძოლის ველიდან გააძევა და გარიყა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, მათ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გასწიეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 10, გვ. 127.

2 გაზ. „ვპერიოდი“, № 14, 1905.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 12, გვ. 237.

ისინი არ მოქმედებდნენ, პირიქით, ეს პარტიები საკმაოდ გააქტიურდნენ და თავიანთ შავბნელ საქმეს მაინც აკეთებდნენ.

1905 წლის დიდმა რევოლუციურმა ამბებმა დაჩქარა რუსეთის ეროვნებათა სამეურნეო კონსოლიდაციის პროცესი, გამოიწვია ეროვნებათა გამოღვიძება და ამოძრავება. ამავე ზემოქმედებას ახდენდა 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული „თავისუფლებანი", გაზეთებისა და საერთო ლიტერატურის ზრდა, ბეჭდვითი სიტყვისა და კულტურულ დაწესებულებათა ერთგვარი თავისუფლება, სათათბირო თავისი საარჩევნო კამპანიითა და პოლიტიკური ჯგუფებით და სხვ.

ერების გამოცოცხლების ეს დიადი პროცესი განაპირა ქვეყნების ბურჟუაზიამ და მისმა პარტიებმა ნაციონალისტური მიზნებისათვის გამოიყენეს. ქართულმა და სომხურმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა კვლავ წამოაყენეს ავტონომიის, ფედერაციისა და სხვა მოთხოვნები.

ჯერ კიდევ 1905 წლის 18 თებერვლის რესკრიპტმა, რომლითაც მეფე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დაპირებას იძლეოდა, გამოაცოცხლა ბურჟუაზია და მისი პარტიები.

18 თებერვლის რესკრიპტით აღფრთოვანებულმა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ 1905 წლის 1 აპრილს თავის ადრესში ხელმწიფე-იმპერატორისადმი იმედი გამოთქვა, რომ „შორს აღარ არის ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის სხვადასხვა კუთხეში თავისუფლების რჩეული წარმომადგენლები, განურჩევლად ეროვნებისა, მოაწესრიგებენ რუსეთს, მის განაპირა მხარეებსა და მათ შორის საქართველოსაც".

საქართველოს „მოწესრიგებაში" თავადაზნაურობა გულისხმობდა საქართველოსათვის ავტონომიის ბოძებას. „ქართველი ხალხის კულტურული განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, — ვკითხულობთ იმავე ადრესში, — თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედს, მიენიჭება უფლება იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული". იგულისხმება, რომ ეს „ადგილობრივი კრება" ნიშნავდა თავადაზნაურობის ჩვეულებრივ კრებას, რომელსაც მეფის მთავრობის მფარველობით „საკანონმდებლო" ფუნქციებიც ექნებოდა.

ანალოგიური ადრესი მიიღო ქუთაისის თავადაზნაურობის კრებამ, აგრეთვე „სახალხო მასწავლებელთა“ საგუბერნიო კრებებმა და თავადაზნაურობასთან ახლოს მდგომმა სხვა გაერთიანებებმა, რომლებიც შემდეგ შავრაზმელთა ბირთვად გადაიქცნენ. ახმაურდა ყველა სახის პრესა.

ამიერკავკასიის თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის უსაზღვრო სიხარული გამოიწვია 1905 წლის 6 აგვისტოს ცნობამ, რომლითაც რუსეთის ხელმწიფე მშრომელთა უფლებების „გაფართოებისა“ და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დაპირებას იძლეოდა. თვითმპყრობელობის ამ „დათმობამ“ მათში საერთო კმაყოფილება გამოიწვია, თუმცა გამოითქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნები, უმთავრესად ქართველი და კავკასიელი ხალხების „უფლების გადიდების“ თვალსაზრისით. გაზეთი „ივერია“, რომელმაც ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნას საქართველოს ავტონომიის შესახებ „ბრძნული გადაწყვეტილება“ უწოდა, საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ 6 აგვისტოს კანონი არ ანიჭებდა „დამოუკიდებლობას კავკასიის ხალხებს“ და მათ შორის საქართველოს. გაზეთმა აღნიშნა, რომ „კავკასიასა და სხვა განაპირა ქვეყნებში წარმომადგენლობა უნდა შემოვიდეს სხვა სახის, ვიდრე ის, რომელიც შემოდის ახლა შიდა რუსეთში“[1], მაგრამ ამასთანავე გაზეთი იმედს არ კარგავდა, რომ თვითმპყრობელური მთავრობა შეძლებდა ამ „ნაკლის“ გამოსწორებას: „ჯერ კიდევ დრო არის, — აღნიშნავდა გაზეთი, — განაპირა ადგილებისათვის ხალხის სურვილების შესაფერისი წარმომადგენლობა შემოვიდეს, ჯერ კიდევ შეუძლია სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას განაპირა ქვეყნების მცხოვრებლებს მიანიჭოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ საარჩევნო უფლებაზე დამყარებული ხალხის წარმომადგენლობა“[2].

ავტონომიის უფრო გაბედული მოთხოვნებით გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“. „მართალია, ავტონომია თავადაზნაურობამ მოითხოვა — წერდა ჟურნალი, — მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მიზეზით ავტონომიას ღირსება აკლდებოდეს?... სრულიადაც არა, არავითარი საბუთი არა გვაქვს... ეს წესწყობილება დავიწუნოთ მხოლოდ

---

[1] გაზ. „ივერია“, № 141, 1905.

[2] იქვე.

იმიტომ, რომ იგი თავადაზნაურობას მოსწონს"[1]. ჟურნალი „მოამბე" მოითხოვდა „ადგილობრივ სათათბიროს" — „საქართველოს საკანონმდებლო საკრებულოს" დაარსებას. „ეს სრულებით განცალკევებას არ ნიშნავს, — წერდა ჟურნალი, — ავტონომიურ საქართველოს საბაჟოს ხაზი არ შემოევლება; საქართველოსა და რუსეთის დანარჩენ ნაწილთა შორის მისვლა-მოსვლა სრულიად თავისუფალი იქნება; აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის ყველა ქვეშევრდომის უფლება დასახლდეს იქ, სადაც მოისურვებს"[2].

ამავე თვალსაზრისით გააკრიტიკა 6 აგვისტოს კანონი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანომ — „ცნობის ფურცელმა". მეფის მთავრობის მიერ სახელმწიფო სათათბიროს დაპირება ჟაზეთმა შეადარა ისეთ საჩუქარს, რომელიც ეჭვებს იწვევდა. „ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაესინჯებაო, — წერდა ამ გაზეთის პუბლიცისტი „სიტყვა" (ს. ფირცხალავა), — მაგრამ ახალი სათათბირო, მოკლედ რომ ვთქვათ, სახელია მხოლოდ, სახრავს კი არაფერს წარმოადგენს, განსაკუთრებით ჩვენთვის"[3].

რატომ დაიწუნა გაზეთმა სახელმწიფო სათათბირო?

არა იმიტომ, რომ თვითმპყრობელობა მისი საშუალებით ხალხისათვის თვალის ახვევასა და რევოლუციის ჩაქრობას ლამობდა, არამედ იმის გამო, რომ განაპირა ქვეყნების წარმომადგენლები ბულიგინის საარჩევნო დებულებით რიცხობრივად ჩამორჩებოდნენ „წმინდა რუსული გუბერნიების" წარმომადგენლებს და ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ მათ არავითარი „რეალური ძალის" დაპირისპირება არ შეეძლოთ.

„განაპირა ქვეყნებს შეადგენენ კავკასია, კასპიის მხარე, ციმბირი, ფინლანდია, ბალტიის მხარე და პოლონეთი, — წერდა გაზეთი 1905 წლის 21 აგვისტოს, — ამ ქვეყნებს ეყოლებათ 140 წარმომადგენელი, რომელთაგან თვითეულზე მოვა 23 წარმომადგენელი. რა მნიშვნელობა ექნება მათ მომავალ სახელმწიფო სათათბიროში, რა ძალა შეუძლიათ მათ შეადგინონ, რათა დაიცვან თავიანთი ქვეყნების

---

1 ჟურნ. „მოამბე", № 3, 1905, გვ. 111.
2 იქვე, გვ. 112.
3 გაზ. „ცნობის ფურცელი", № 2887, 1905.

ინტერესები სათათბიროს წევრთა უდიდესი უმრავლესობის წინაშე, რომლითაც რუსეთი იქნება წარმოდგენილი?"[1].

ეს იყო ის „პაწია მიზეზი", რის გამოც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა სახელმწიფო სათათბიროს. მაგრამ მელანიც კი არ შეშრობია გაზეთ „ცნობის ფურცლის" ცხელ-ცხელ ფელეტონებს, რომ ამ პარტიამ გადაწყვიტა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

„საზოგადოებრივი აზრის" ამ დუღილის პროცესში საქართველოში შეიქმნა ახალი პარტია „ქართული დემოკრატიული პარტიის" სახელწოდებით, რომელმაც თავის საპროგრამო მოთხოვნად აგრეთვე წამოაყენა ავტონომია კავკასიის ყველა ხალხისათვის[2].

ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, მიუხედავად მათ შორის არსებული უმნიშვნელო შინაგანი წინააღმდეგობებისა, საქართველოს ავტონომიის საკითხში გაერთიანდნენ და გადაწყვიტეს ავტონომიის საკითხი დაესვათ I სახელმწიფო სათათბიროში და ამ გზით მოეპოვებინათ საქართველოს ავტონომია. ვინაიდან ამიერკავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს აგვიანდებოდა, ხოლო I სახელმწიფო სათათბირო 1906 წლის 27 აპრილს უკვე შეუდგა მუშაობას, ქართველი დეპუტატების პეტერბურგში ჩასვლამდე (კავკასიაში არჩევნები დამთავრდა 21—22 მაისს, დეპუტატები პეტერბურგში ჩავიდნენ 26 მაისს) საქართველოს წარმომადგენლობის თხოვნით პოლონელ დეპუტატმა ლედნიცკიმ I სათათბიროსთან არსებულ „ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში" (იგი შეიქმნა „საკანონმდებლო" კომისიებთან ერთად და მათში შედიოდნენ უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის, ებრაელებისა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები) შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის საკითხის აღსაძრავად, რაც ქართველი დეპუტატების ჩასვლის შემდეგ სათათბიროში უნდა გადატანილიყო განსახილველად.

მაგრამ სათათბიროს არჩევნები, რომელზედაც ავტონომისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ, სათაკილო დამარცხებით დამთავრდა. ქართველმა ფედერალისტებმა მხოლოდ ერთი დეპუტატის (ს. ბარა-

---

1 გაზ. „ცნობის ფურცელი", №2892, 1905.

2 გაზ. „ელეა", № 24, 1905.

თაშვილის) გაყვანა შეძლეს. სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდა, რამაც ქართველი ავტონომისტები ძლიერ დაამწუხრა. „ამ პარტიის გამარჯვება, — წერდა გაზეთი „ივერია“ 1906 წლის 14 მაისს, — საქართველოს ეროვნული იდეისა და მისწრაფების პირველი პოლიტიკური დამარცხება არის“[1]. მაგრამ ნაციონალისტების მწუხარება მალე გაჰქრა იმასთან დაკავშირებით, რომ სათათბიროს დეპუტატებად არჩეული აღმოჩნდნენ მენშევიკები, რომლებთანაც მათ ადვილად მოახერხეს საერთო ენის გამონახვა. საქართველოს ავტონომიის შესახებ უკვე დასმული საკითხის გადასაწყვეტად ქართველმა ავტონომისტებმა კავკასიელი დეპუტატების გამგზავრებისთანავე პეტერბურგში სპეციალური დავალებით გაგზავნეს ცნობილი კაპიტალისტი დ. სარაჯიშვილი და მას დაავალეს მოლაპარაკების გამართვა ქართველ დეპუტატებთან. სარაჯიშვილი სისტემატურად ესწრებოდა სათათბიროს სხდომებს, რათა ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ქართველ დეპუტატებთან, ხოლო როცა ეს ურთიერთობა საიმედო ნიადაგზე დადგა, მან სასტუმრო „ევროპაში“ გამართა დიდი ვახშამი, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი ავტონომისტების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ყველა ქართველი დეპუტატი და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს წევრი, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. აქ, ამ ვახშამზე, რომელმაც კრების სახე მიიღო, ქართველმა „მარქსისტებმა“ (მენშევიკებმა) სიტყვა მისცეს ქართველ ავტონომისტებსა და ფედერალისტებს, რომ, თუ სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხი განიხილებოდა, ისინი ავტონომიას „არც დაიცავდნენ და არც მის წინააღმდეგ იტყოდნენ რამეს“[2].

ქართველი ავტონომისტებისადმი დამთმობელობამ ქართველი მენშევიკები აშკარა ნაციონალიზმამდე მიიყვანა.

1906 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV საოლქო კონფერენციაზე ამიერკავკასიაში პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა და მის დადებითად გადაწყვეტას მოითხოვდა ქუთაისელთა პატარა ჯგუფი. მაგრამ ეს საკითხი მაშინ „სამარცხვინოდ ჩაიშალა“ სხვათაშორის იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ერთნაირად

[1] გაზ. „ივერია“, № 11, 1906.

[2] ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908, გვ. 125.

მკაცრად გაილაშქრა ორივე ფრაქციამ — ბოლშევიკებმაც და მენშევიკებმაც. კვლავ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეგრეთ წოდებული „კავკასიის საოლქო თვითმმართველობა“ იყო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერებოდა ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ყრილობაზე მენშევიკები ჭარბობდნენ, ბოლშევიკებმა შეძლეს პრინციპული პოზიციების დაცვა ეროვნულ საკითხში. ნ. ჟორდანია იძულებული გახდა უარეყო კულტურულ-ნაციონალური ავტონომია და ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე დამდგარიყო, თუმცა შემდეგში იგი ამ საკითხშიც კვლავ დარჩა ანტიმარქსისტულ პოზიციებზე.

ბოლშევიკებს დიდი ბრძოლა მოუხდა დაშნაკელების წინააღმდეგ, რომლებიც რევოლუციის მიმდინარეობის პერიოდში ერთგულად ასრულებდნენ სომეხი ბურჟუაზიის დაკვეთას, ვერაგულად ესხმოდნენ თავს გაფიცულ და მეამბოხე მუშებსა და გლეხებს, ხელოვნურად იწვევდნენ კონფლიქტებს თბილისის, ბაქოს, ელისაბედპოლისა და სხვა ქალაქების სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს შორის.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი სტოლიპინისათვის გაგზავნილ წერილში ასე ახასიათებდა „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის საქმიანობას: „ამ პერიოდში „დაშნაკცუთიუნმა“ განსაკუთრებული ხელმძღვანელი გავლენა მოიპოვა ქ. ბაქოში სომეხ-თათრების უწესობათა და 1905—1906 წწ. არეულობის პერიოდის შემდეგ. ეს იმით აიხსნება, რომ მაშინ სომეხი მოსახლეობის ყველაზე უფრო გავლენიანი და მდიდარი ნაწილი ორგანიზაციაში ხედავდა თავის შეიარაღებულ დამცველს მუსლიმანურ და რევოლუციის მიერ წარმოშობილ ანარქიულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ და ფართოდ ეხმარებოდა დაშნაკცაკანებს მატერიალური სახსრებით, რის გამოც ეს უკანასკნელნი საუცხოოდ იყვნენ შეიარაღებული; თავისი პიროვნების დაცვის გარდა, ყველაზე უფრო მდიდარი სომხები დაშნაკცაკანებს იყენებდნენ საკუთარი ქონებისა და ქონებრივი ინტერესების დასაცავად; მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, რომ სარეწაოებში დაშნაკცაკანები მუქარის გზით წყვეტდნენ გაფიცვებს, და, პირიქით, მომხდარა, რომ სურდათ რა შური ეძიათ ამა თუ იმ მრეწველზე, რომელმაც არ

მოისურვა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა ფულის გადახდის შესახებ, ისინი აიძულებდნენ მუშებს მის სარეწაოში გაფიცულიყვნენ"[1].

რევოლუციის უკუქცევის პერიოდში დაშნაკებმა კიდევ უფრო აშკარად გამოავლინეს თავიანთი მხეცური და კაცთმოძულე სახე. ამ პერიოდში „დაშნაკცუთიუნი" დაუკავშირდა სომეხ სამღვდელოებას და უკარნახა მას ისეთი კონტრრევოლუციური მოთხოვნის წამოყენება, როგორიც იყო ექსტერიტორიული სომხური „ნაციონალური დამფუძნებელი კრების" მოწვევა. ეს კრება იწვეოდა „წმინდა სომხური" კონსტიტუციის გამოსამუშავებლად, რომელსაც ცვლილებები უნდა შეეტანა საეკლესიო-ადმინისტრაციულ და სასკოლო საკითხებში. ამ კრების მოწვევას ამზადებდნენ „დემოკრატიულ" საფუძველზე, მისი დელეგატები უნდა აერჩიათ მთელ რუსეთში გაფანტულ სომხებს. კათალიკოსმა ხრიმიანმა, რომელმაც „დაშნაკცუთიუნის" მითითებით ეს კამპანია წამოიწყო, თავისი 1906 წლის 13 ივლისის კონდაკით (რესკრიპტით) არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა სომეხ ქალებსაც კი. ეს იყო უაღრესად რეაქციული წამოწყება, რომელსაც მიზნად ჰქონდა რევოლუციის ძალების გათიშვა, რუსეთის ყველა ნაწილში სომეხი მშრომელი მოსახლეობის ჩამოშორება რევოლუციისაგან და „ნაციონალური კრების" არჩევნებში — მღვდლების, დიაკვნებისა და მედავითნეების არჩევნებში მათი ჩაბმა. ეს იყო ჯერ კიდევ სარწმუნოების გავლენაში მყოფი მასების შეგნების წარღვნის ცდა, მასების დასამონებლად მოგონილი „სულიერი ჯოხი", რასაც ასე ეძიებდნენ ბურჟუაზია და მისი პარტიები.

უფრო გვიან, როცა ბოლშევიკებმა ხელი მოჰკიდეს მუშების გაერთიანებას პროფესიულ კავშირებში, დაშნაკებმა წამოაყენეს „პარტიული პროფკავშირების" ლოზუნგი — სომეხი მუშებისათვის მათ ცალკე პროფესიული კავშირების შექმნა მოითხოვეს, რაც მიზნად ისახავდა პროლეტარიატის დანაწილებას ეროვნული ნიშნის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში დაშნაკებმა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, ზეგავლენა მოახდინეს ჩამორჩენილ მუშებზე, გამოთიშეს ისინი სხვა ეროვნების მუშებს, მოაწყეს ნაციონალისტური-დაშნაკური პროფესიული კავშირები.

---

1 ჟურნ. „კრასნი არხივ", ტ. 34, გვ. 205.

„სოციალიზმის“ სამოსელში გახვეული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების „ფერისცვალებას“ აძლიერებდა მეფის მთავრობის კურსი. იგი ყოველმხრივ ცდილობდა აღმოეფხვრა რევოლუციური განწყობილება. გაეხრწნა რევოლუციაში ჩაბმული მასების შეგნება. სასტიკ რეპრესიებს, ჯოხსა და მათრახს მან დაუმატა იდეური ზემოქმედების ზომები. რევოლუციისაგან განდგომილი ელემენტების დახმარებით შეეცადა სულიერადაც დაემონებინა მასები.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება მუშათა კლასში და საერთოდ მშრომელ მოსახლეობაში.

ბოლშევიკები ასეც მოიქცნენ, შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ და ღირსეულად დაიცვეს ინტერნაციონალიზმის ნაცადი დროშა.

ფედერალისტებს ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე გამანადგურებელი პასუხი გასცა გამოჩენილმა მარქსისტ-ლენინელმა ა. წულუკიძემ. 1905 წლის 8 მაისს სტატიაში „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ წულუკიძემ თვალსაჩინო ფაქტზე მითითებით დაარღვია ფედერალისტ ს. ფირცხალავას ყველა საბუთი და დაამტკიცა, რომ პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს არა ნაციონალურ ავტონომიას, არამედ ყველა ეროვნების მუშათა მჭიდროდ შეკავშირებას. კაპიტალისტთა გაერთიანებული „ძალის წინააღმდეგ უძლურია განცალკევებული ორგანიზაციები, — წერდა წულუკიძე,—ამ ორგანიზაციების შეერთებაა საჭირო, პოლიტიკური პარტიის შექმნა აუცილებელი ხდება. მხოლოდ მუშების პარტიას შეუძლია შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიდროდ შეკრულ კაპიტალისტების ძალას; აი ამ ძალის განმტკიცებას ცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, ერთი სიტყვით, ყველა მუშა განურჩევლად ეროვნებისა. ამას ეუბნება მათი ინტერესები. ეს ძალა იკვრის და მასში მონაწილეობა ქართველებსაც გვიდევს“[1].

ქართველი ფედერალისტების წინააღმდეგ შეურიგებელი პოზიცია ეჭირა ჟურნალ „მოგზაურს“, რომელსაც ფ. მახარაძე რედაქტორობდა. ერთ-ერთ თავის მოწინავე წერილში ჟურნალი სპეციალურად არჩევდა ავტონომიის საკითხს და აღნიშნავდა: „მართლაც ბედ-

---

[1] ა. წულუკიძე, თხზ., 1943, გვ. 257.

ნიერების წყაროა, ხალხისა და ეროვნული კითხვის მალამოა ეროვნული ავტონომია? ვის ინტერესებს ემსახურება ის?... ერი ერთ ძალას, განუყოფელს არ წარმოადგენს, ის სხვადასხვა ერთიმეორის მოწინააღმდეგე, შეურიგებელი ელემენტებისაგან შედგება... ეროვნული ავტონომია ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას და ამით მათი ერთიმეორისათვის დაპირისპირებას. ვისთვის არის ხელსაყრელი ასეთი დაპირისპირება? მუშა ხალხისათვის? არა და ათასჯერ არა"[1]. ფ. მახარაძემ დაწერა მთელი რიგი სტატიები — „ძმობა-ერთობაზე ღაღადი ჩვენში", „საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება" და სხვ., რომლებიც ნიღაბს ხდიდნენ ქართველი ავტონომისტების მზაკვრულ მიზნებს და სახავდნენ შეუნელებელი ბრძოლის აუცილებლობას მათ წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების გამანადგურებელი კრიტიკით გამოვიდა ს. სპანდარიანი. განსაკუთრებით მწვავე იყო მისი ბრძოლა „დაშნაკცუთიუნის" წინააღმდეგ. 1906 წლის 20 (7) ივლისს სპანდარიანმა დაბეჭდა სტატია „სოციალისტური" „დაშნაკცუთიუნი" და თურქი მუშები", რომელშიც ნიღაბი ახადა ამ პარტიის „სოციალიზმს" და მშრომელ სომეხ მუშებს დაანახა მისი ნამდვილი სახე. საქმე ისაა, რომ „დაშნაკცუთიუნის" პარტიამ, რომელმაც სომხური ბურჟუაზიის ეგოისტური ინტერესების დასაცავად და ცარიზმის საამებლად სომეხ-თათართა სისხლში გაისვარა ხელი (იგი იყო ამ სისხლის ღვრის ერთ-ერთი წამქეზებელი), შემდეგაც არ მოაკლო სამსახური თავის მეპატრონეებს. სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის პერიოდში თბილისში, ბაქოში, ელისაბეტპოლში და სხვაგან სომეხმა კაპიტალისტებმა, რომლებიც ქარხნებსა და ფაბრიკებს განაგებდნენ, დაშნაკების კარნახით სამუშაოდან დაითხოვეს და ქუჩებში გამოყარეს თურქი მუშები, რომლებიც ათობით წლის მანძილზე ამ საწარმოებში მუშაობდნენ და მათთვის იოლი არ იყო არც ახალი სამუშაოს მოძებნა და არც ახალი პროფესიის შეძენა. განსაკუთრებით ბევრი მუშა დაითხოვეს თბილისში — ადელხანოვის, თაიროვისა და სხვა ფაბრიკებიდან. „დაშნაკცუთიუნის" პარტია, რომელმაც ეს მუშები დაათხოვნინა მეპატრონეებს, შემდეგში ყოველმხრივ აფერხებდა მათ აღდგენას საწარმოებში და ამით კიდევ უფრო აღვივებდა ეროვნულ შუღლს. ამასთანავე ეს პარტია ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, თი-

---

[1] ეურნ. „მოგზაური", № 15, 1905.

თქოს იგი „სოციალიზმის“ დიდი ერთგული იყო. აი ამ კონკრეტულ ფაქტით ამხილა ს. სპანდარიანმა დაშნაკები და მისი საქმე განსახილველად წარუდგინა სომეხ საზოგადოებრიობას.

„დაშნაკცუთიუნი“, — წერდა ს. სპანდარიანი, — რომელმაც თავი სოციალისტად გამოაცხადა და რომელიც ამ დღეებში პურის ძცხობელთა მიტინგზე თავისი აგიტატორების საშუალებით ყვიროდ: და ქვეყანას აყრუებდა „გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს დაშნაკცუთიუნს, მუშათა კლასის დამცველს“ და ა. შ.., — ეს პარტია ამ-ჟამად... ქარხნების მფლობელებისაგან თხოულობს, რათა მათ უკან არ მიიღონ ეს საწყალი და უბედური თურქი მშრომელები. ასე ესმის ამ პარტიას სოციალიზმი, ასე ესმის მას მუშათა კლასის სოლიდარობა. იმის მაგიერ, რომ საქმით, სიტყვითა და რწმენით დავუახლოოთ სხვადასხვა ეროვნების მუშები, იმის მაგიერ, რომ სხვადასხვა ეროვნების მუშები გავაერთიანოთ მათი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ და ამით ბოლო მოვუღოთ ყოველგვარ პროვოკაციასა და შეჯახებას, რომელიც ნაციონალურ ნიადაგზე ხდება, ეს ქვაზი-სოციალისტური „დაშნაკცუთიუნი“ ყოველმხრივ ცდილობს გათიშოს სომეხი და სხვა ხალხთა მუშები, ისარგებლოს გათიშვით და მოაწყოს ამ მასების ექსპლოატაცია თავიანთი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის“[1].

ს. სპანდარიანის სტატია თავდება მიმართვით სომეხი მუშებისადმი: „ჩვენ მივმართავთ ამხანაგ სომეხ მუშებს, მივმართავთ მათ კლასობრივ შეგნებულობას, მათ ჯანმრთელ და ნათელ ლოგიკას მიიღონ თავიანთ მეგობრულ რიგებში აგრეთვე თურქი პროლეტარები“[2].

„დაშნაკცუთიუნის“ წამოწყებას სომეხთა „ნაციონალური დამფუძნებელი კრების“ მოწვევის შესახებ სპანდარიანმა დამცინავად უწოდა „რევოლუცია ჭიქა წყალში“ და ამ სათაურით დაბეჭდილ სტატიაში განმარტა მისი კონტრრევოლუციური არსი. „შეგნებული სომეხი პროლეტარიატი, — წერდა სპანდარიანი, — გულგრილია ამ „რევოლუციისადმი“. მის წინ დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობაა: გაერთიანებული ძალებით, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გააჩაღოს ულმობელი ბრძოლა დესპოტიზმის წინააღმდეგ. ეს

---

[1] С. Спандарян, Статьи, письма, документы, Ереван, 1958, გვ. 45.

[2] იქვე, გვ. 46.

ისეთი უდიდესი როლია, რომელიც ჩვენს წმინდა სომხურ „რევოლუციას“ ნამდვილად ნულს უთანასწორებს“[1].

ს. სპანდარიანის სტატია „სასკოლო საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ ამხილებდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, აგრეთვე დაშნაკების ნაციონალისტურ პოზიციას სასკოლო საკითხებში და სომეხ მკითხველს პოპულარულად და გასაგებად უხსნიდა ბოლშევიკების მიერ დასახულ პოლიტიკას ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე.

ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ მთელი რიგი სტატიებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. მუშათა შეგნებულობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის სტატიას „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რომელშიც პოპულარულად განმარტავდა პროლეტარული პარტიის მსოფლმხედველობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ი. სტალინმა მარქსის, ენგელსისა და ლენინის ფილოსოფიურ შეხედულებებზე დაყრდნობით დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა და გარდუვალობა, მებრძოლი პროლეტარული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის საჭიროება პროლეტარიატის გამარჯვების მოპოვებისათვის, გააშუქა პროლეტარული პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლები. ამავე დროს გამანადგურებელი პასუხი გასცა ოპორტუნისტებს და განსაკუთრებით ქართველ ანარქისტებს, ფედერალისტებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, გაილაშქრა რა პროლეტარიატის ორგანიზაციების (პარტია, პროფკავშირები, კოოპერატივები) ფედერალისტური დაქუცმაცების წინააღმდეგ, სტალინმა დაიცვა ამ ორგანიზაციების ინტერნაციონალური წყობის აუცილებლობა. ნაშრომში ნათქვამია, რომ მუშათა განთავისუფლება არის არა ნაციონალური საკითხი, არამედ სოციალური, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართველი პროლეტარისათვის, ისე რუსი და სხვა ერის პროლეტარებისათვის და რაც უფრო მჭიდროდ შეერთდებიან სხვადასხვა ერის პროლეტარები, რაც უფრო საფუძვლიანად დაინგრევა მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები, მით უფრო ძლიერი იქნება

---

1 С. Спандарян, Статьи, письма, документы, Ереван, 1958, зз. 64.

პროლეტარიატის პარტია, მით უფრო გაადვილდება პროლეტარიატის დარაზმვა ერთ განუყოფელ კლასად. ამიტომ საჭიროა ინტერნაციონალიზმის პრინციპები (ცენტრალიზმი და დემოკრატიზმი) გატარდეს პროლეტარიატის ორგანიზაციებში „სულ ერთია იქნება ეს ორგანიზაციები პარტია, კავშირები თუ კოოპერატივები"[1].

ამავე დროს ბოლშევიკებმა ბრძოლა გააჩაღეს მუშების გასაერთიანებლად პროფესიულ კავშირებში და მათზე იდეური გავლენის გასაძლიერებლად. ეს ბრძოლა წარიმართა მენშევიკებისა და დაშნაკების წინააღმდეგ. მენშევიკები, როგორც ცნობილია, მოითხოვდნენ, რათა პარტიას ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა პროფკავშირების მიმართ, ხოლო დაშნაკები სომეხი მუშებისათვის განსაკუთრებულ პროფესიულ კავშირებს ქმნიდნენ. ბოლშევიკები აქტიურად ერეოდნენ პროფკავშირების მშენებლობის საკითხებში და მათ აწყობდნენ იმავე საფუძველზე, როგორც იყო მოწყობილი პროლეტარიატის მარქსისტული პარტია — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობაში ბოლშევიკების დიდი წარმატება აღნიშნა ლენინურმა „პროლეტარმა".

ინტერნაციონალიზმის პრინციპების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა, რომელთა ქსელი რევოლუციის უკუქცევის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თბილისში ამ პერიოდში ერთმანეთს ცვლიდნენ გაზეთები — „ახალი ცხოვრება", „ახალი დროება", „მნათობი", „ჩვენი ცხოვრება", „დრო". სომხურ ენაზე გამოდიოდა „კაიწი" („ნაპერწკალი"). ამავე პერიოდში ბაქოში გამოდიოდა: „ბაკინსკი რაბოჩი", „გუდოკი", „ბაკინსკი პროლეტარიატი"—რუსულ ენაზე, „კოჩლევეტი" („მოწონება")—აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, „ორერი" („დღეები")—სომხურ ენაზე და სხვები. მეფის მთავრობა ამ გაზეთებს ხშირად ხურავდა „მავნე მიმართულებისათვის", მაგრამ ერთი დახურული გაზეთის მაგივრად კვლავ და კვლავ იქმნებოდა ახალი, რომელიც აგრძელებდა წინა გაზეთების მიერ დაწყებულ საქმეს. ზოგიერთი აქ ჩამოთვლილი გაზეთი იმ დროისათვის უდიდესი ტირაჟით გამოდიოდა და ვრცელდებოდა არა მარტო ქალაქებში, არამედ აღწევდა ჩამორჩენილ სოფლებამდეც.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 327.

ამ გაზეთების მიმართულებას განსაზღვრავდნენ და მათში სისტემატურად თანამშრომლობდნენ ს. შაუმიანი, ი. სტალინი, მ. დავითაშვილი, მ. ცხაკაია, ს. სპანდარიანი და სხვები, რომლებიც თავიანთ სტატიებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მგზნებარე პროპაგანდისთან მოხერხებულად ათავსებდნენ მშრომელი მასების პრაქტიკულ-რევოლუციური საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სტატიებს, რომლებსაც სისტემატურად ბეჭდავდნენ აღნიშნული გაზეთები. ეწეოდნენ რა შეურიგებელ ბრძოლას რევოლუციის უკუქცევით გააქტიურებული ნაციონალისტური პარტიებისა და რევოლუციის სხვა მტრების წინააღმდეგ, ეს გაზეთები ხშირად მიმართავდნენ ლენინს, ბეჭდავდნენ მის წერილებს თავიანთ სარედაქციო წერილებსა და მოწინავეებში, იმოწმებდნენ ლენინის სტატიებს, მოჰყავდათ მაგან ვრცელი ამონაწერები. რევოლუციის უკუქცევის პერიოდში კვლავ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მოიპოვა ვ. ი. ლენინის იმ სტატიებმა, რომლებშიც პროლეტარიატის დიდი ბელადი რევოლუციის ხასიათს, მის მამოძრავებელ ძალებსა და პროლეტარიატის პარტიის ტაქტიკის საკითხებს, განსაკუთრებით სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხებს არკვევდა. ამ პერიოდში სათათბიროს ტაქტიკის საკითხი გახდა „პოლიტიკის... ცენტრალური საკითხი"[1], ამიტომ სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხში, როგორც ფოკუსში მოჩანდა თითოეული კლასის, თითოეული პარტიისა და მიმდინარეობის ხასიათი და მისწრაფება.

სათათბიროსაკენ ჰქონდა მიპყრობილი თვალი ყველა ჯურის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს. ამ გზით მოელოდნენ ისინი „ეროვნული საკითხის" გადაწყვეტას. ამ საკითხში ვ. ი. ლენინის სტატიები ნათლად განმარტავდნენ, რომ სათათბირო არ იყო ისეთი ორგანო, რომელსაც შეეძლო უკეთესით შეეცვალა ხალხთა მძიმე მდგომარეობა, მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: საბოლოოდ აღმოეფხვრა რუსეთში რევოლუციური სულისკვეთება და შეუძლებელი გაეხადა ახალი რევოლუციის განმეორება. ბოლშევიკების ეს თვალსაზრისი ნათლად იყო ჩამოყალიბებული I სახელმწიფო სათა-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 12, გვ. 140.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის პროექტში, რომელიც ვ. ი. ლენინმა სათათბიროში გამოსაქვეყნებლად დაწერა[1] (სათათბიროს ს-დ. ფრაქციამ უარყო ეს პროექტი და მის მაგივრად მენშევიკურ ცეკასთან შეთანხმებით გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც სათათბირო „რევოლუციური მოქმედების ცენტრად“ გამოაცხადა). ბოლშევიკურმა გაზეთებმა — ქართულმა „ახალმა ცხოვრებამ“ და სომხურმა „კაიწმა“ („ნაპერწკალი“) გამოაქვეყნეს დეკლარაციის ლენინური პროექტი და ამით თავიანთ მკითხველებს საშუალება მისცეს თვითონ განესაჯათ თუ რა ძალაუფლების მქონე იყო სათათბირო. გაზეთ „ახალი ცხოვრების“ რედაქციამ დეკლარაციის ლენინურ პროექტს დაურთო შენიშვნა, რომელშიც გადმოსცემდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების თვალსაზრისს და მკითხველებს სთხოვდა თვითონ გამოეტანათ დასკვნა, „თუ რომელი მათგანი უფრო გარკვევით გამოხატავს პროლეტარიატის პოზიციას და რომელ მათგანშია თავიდან ბოლომდე შეურყეველად დაცული და გატარებული კლასთა ბრძოლის თვალთახედვის ისარი“[2].

ახალ ვითარებაში სწორი ორიენტირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ რსდმპ (ბ) V ყრილობისათვის დაწერილ რეზოლუციას „ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ“[3]. ამ რეზოლუციის პროექტი 1907 წლის 15—18 თებერვალს წინასწარ განიხილა და მოიწონა პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების, მოსკოვის საოლქო კომიტეტის, ცენტრალური სამრეწველო რაიონის, საოლქო ბიუროსა და გაზეთ „პროლეტარის“ რედაქციის წარმომადგენელთა კრებამ. ბოლშევიკურმა გაზეთმა „ჩვენმა ცხოვრებამ“, რომელიც ტაქტიკის ძირითად საკითხებში პოლემიკას ეწეოდა მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, 1907 წლის 28 თებერვალს დაბეჭდა ეს პროექტი, ხოლო მომდევნო სტატიებში ოთხჯერ მოიყვანა მისგან ამონაწერი. ვინაიდან კამათი გაგრძელდა, რეზოლუციის აღნიშნული პროექტი ხელახლა დაიბეჭდა გაზეთ „დროში“.

გაზეთ „დროს“ მოწინავე სტატიაში „კადეტები და ნაროდნი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 11, გვ. 23—29.
[2] გაზ. „ახალი ცხოვრება“, № 9, 1906.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 12, გვ. 150—153.

კები“ მენშევიკური ჟორების გასაფანტავად ვ. ი. ლენინის 5 შრომა არის დასახელებული („სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევნები“, „პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა“, „სოციალ-დემოკრატია და საარჩევნო შეთანხმებანი“ და სხვა[1].).

გაზეთმა „დრომ“ გერმანულ ჟურნალ „დი ნოიე ცაიტიდან“ თარგმნა ვ. ი. ლენინის სტატია „სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“[2] და დაბეჭდა თავის 24-ე და 25-ე ნომრებში (1907 წლის 8 და 9 აპრილი). ამ სტატიას იმ მხრივაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ იგი ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის ბრძოლის მაღალ შეფასებას იძლეოდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების დიდი გამარჯვება იყო აგრეთვე ის, რომ რსდმპ V ყრილობის დელეგატებად მათ აირჩიეს ს. შაუმიანი, ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. კახოიანი და ამიერკავკასიის ხალხთა უანგარო მეგობარი, სახელგანთქმული პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი.

ამრიგად, ამიერკავკასიის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, იცავდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ამიერკავკასიის ექსპლოატირებულ ხალხებში სოციალისტური შეგნების შეტანისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მტკიცე და ურღვევი საფუძველი ჩაუყარეს ხალხთა მეგობრობას, რომელიც ვერ შეარყია რეაქციის პერიოდის ვერავითარმა ძალებმა.

---

[1] გაზ. „დრო“, № 30, 1907, 14 აპრილი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 12, გვ. 225—239.

თავი IV

ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობისათვის 1907—1917 წლებში

1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ ეროვნული საკითხი მთელ რუსეთში თვალსაჩინო ადგილს იკავებს, რევოლუციის თანამგზავრთა რიგებში დაშლა და რღვევა დაიწყო, ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში წარმოიშვა რწმენის უქონლობა, ოპოზიციური მიმდინარეობანი კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდა. თანამგზავრთა უდიდესმა ნაწილმა რევოლუციურ მოძრაობაზე გული აიცრუა, დაივიწყა სოციალური საკითხები და პირველ რიგში „ეროვნული საკითხი“ დააყენა.

ეროვნულ მოძრაობას იმპულსი მისცა სერიოზულმა ცვლილებებმა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში: სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ გააძლიერა გლეხობის ფენებად დაყოფა და სოფლად კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება; კაპიტალიზმს დიდი ბიძგი მიეცა განაპირა მხარეებში, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია რუსეთის ეროვნებათა გამოღვიძება და ამოძრავება.

ამავე მიმართულებით მოქმედებდა პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა: სხვადასხვა კავშირისა და კულტურული საზოგადოების „ლეგალური“ არსებობა, ეროვნული ლიტერატურის განვითარება, სათათბიროს ტრიბუნა და საარჩევნო კამპანიები.

რეაქციის ზეიმის საერთო ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად გამხეცდა მებრძოლი დიდმპყრობელური შოვინიზმი და ნაციონალიზმი, რასაც თავის თავში განასახიერებდა თვითმპყრობე-

ლობა და მისი შავრაზმული პარტიები; დიდმპყრობელური ნაციონალიზმი წალეკვით ემუქრებოდა რუსეთის მცირე ერებს, რომლებმაც რევოლუციის პერიოდში ღირსეული კავშირი შეკრეს რუსეთის გმირ პროლეტარიატთან.

„რუსეთში ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი თავაშვებული დევნა ცარიზმის მხრივ, — წერდა ვ. ი. ლენინი 1912 წლის მარტში. — სახრჩობელებმა ამ ხუთი წლის მანძილზე რუსეთის ისტორიის სამი საუკუნის რეკორდს გადააჭარბეს. გადასახლების ადგილები, კატორღა და საპყრობილეები გაივსო პოლიტიკურებით, როგორც არასოდეს, და დამარცხებულთადმი არასდროს არ გამოუყენებიათ ისეთი ტანჯვა-წამება, როგორც ნიკოლოზ II-ის დროს“[1].

მეფისნაცვალი კავკასიაში გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი გულმოდგინედ ანხორციელებდა სტოლიპინური სასტიკი ტერორისა და მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების განადგურების პოლიტიკას. გადასახლება, კატორღა, სიკვდილით დასჯა პირველ რიგში თავს ატყდებოდა რევოლუციურ პროლეტარიატსა და მის მოწინავე რაზმს — ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

სამხედრო-საველე სასამართლოები 1911 წლამდე განაგრძობდნენ მუშაობას და უმეტესად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენები.

სტოლიპინი აფრთხილებდა ამიერკავკასიაში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ მთელი სისასტიკით გამოეყენებინა ის რწმუნებანი, რომლებიც მას რუსეთის მეფემ მიანიჭა. ვორონცოვ-დაშკოვი კი, თავის მხრივ, ამწმუნებდა სტოლიპინს, რომ იგი ეცდება „მისი უდიდებულესობის“ ნება-სურვილის შესრულებას. „უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უფლებებსა და რწმუნებებს ვიყენებ ნამდვილ მოთხოვნილებებთან შესაბამისად, — წერდა ვორონცოვ-დაშკოვი სტოლიპინს. — როცა აუცილებელი იყო, ჩემს მიერ ადგილებზე ტარდებოდა სამხედრო წესები: ამასთანავე მოსახლეობის მიმართ, რომელიც კი წინააღმდეგობას გამოიჩენდა სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროებისადმი, — მიღებულ იქნა მთელი სისრულით ზომები, გათვალისწინებული სამხედრო წესების მუხლებით: ადმინისტრაციული გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში... საეგზეკუციო რაზმების გაგზავნა... მარტო ორი გუბერნიიდან — თბი-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 17, გვ. 607.

ლისისა და ქუთაისის გუბერნიიდან ადმინისტრაციული წესით გაიგზავნა 1906 წელს — 1525 კაცი, ხოლო 1907 წელს — 3704 კაცი"[1].

რეაქცია განსაკუთრებით მძვინვარებდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრში — თბილისში, სადაც 1909 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით ნიკოლოზ მეორემ კვლავ ძალაში დატოვა სამხედრო წესები. „უკვე რამდენიმე წელია ქალაქში საალყო წესები არ მოუხსნიათ, — წერდა ამის გამო „ბაკინსკი რაბოჩი", — ეს კლავს საზოგადოებრივ თვითმოქმედებასა და ინიციატივას... დაპატიმრებები, გაჩხრეკები, ჯარიმები, გადასახლებები... აი თბილისის ცხოვრების ჩვეულებრივი ქრონიკა"[2].

რეაქციის გაძლიერებით გათამამებულმა კაპიტალისტებმა იერიში მიიტანეს რევოლუციის სახელოვან დღეებში მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ მიღწევებზე და გააქარწყლეს ისინი. გააუქმეს სამცვლიანი მუშაობა და შემოიღეს ორცვლიანი, ე. ი. 8-საათიანი სამუშაო დღე ერთბაშად აიყვანეს 12 საათამდე; განთავისუფლებული მუშახელი ქუჩაში გამოყარეს, აღადგინეს მუშაობა ზედმეტ საათებში, კვირა-უქმე დღეებში და ღამით; შეამცირეს ხელფასი; გააუქმეს ხელშეკრულებები, რომელნიც აგრეთვე რევოლუციის მონაპოვარი იყო, შემოიღეს ჯარიმები და სხვ.

მაგრამ მეფისნაცვალი ამით როდი დაკმაყოფილდა. რეაქციის პერიოდში მან კიდევ მეტად გააძლიერა კავკასიის კოლონიზაცია, საუკეთესო მიწებზე ასახლებდა რუსეთის შიდაგუბერნიებიდან მოწვეულ კულაკებს, რათა ადგილობრივი ხალხი ცუდ რაიონებში გაეძევებინა. კავკასიის მეფისნაცვალი არწმუნებდა ნიკოლოზ მეორეს, რომ ამ ღონისძიებებს თამამად შეიძლებოდა დაკისრებოდა „დიადი ამოცანა" — დაემკვიდრებინა მხარეში „რუსული სახელმწიფოებრიობა".

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხები მიწის უდიდეს საჭიროებას განიცდიდნენ, კავკასიის ხელისუფლებამ ამჯერადაც მიწების უდიდესი საკოლონიზაციო ფონდი შექმნა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ადგილობრივი გლეხები იძულებული ხდებოდნენ იჯა-

---

[1] საქ. სსრ ცსია არქივი, ფ. 46, ს. 370.

[2] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", № 5, 6, 1908.

რით აეღოთ ის მიწები, რომლებიც გადმოსახლებულთ ეძლეოდათ, ე. ი. იჯარა ეხადათ გადმოსახლებული კულაკებისათვის.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „გადასახლების საკითხი", რომელიც 1912 წლის ივნისში დაიბეჭდა, ამხილა და სასტიკად გააკრიტიკა ცარიზმის ეს რუსიფიკატორული და ნაციონალისტური პოლიტიკა.

„თუ მცირემიწიანობის მხრივ კავკასიელ გლეხთა მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, — წერს ლენინი ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, — მაშინ საკითხავია, საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების გასახლება მოახდინონ?

გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის" კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის"[1].

რეაქციის პერიოდში ამიერკავკასიაში კვლავ მძიმე იყო ბატონყმობის ნაშთები. მემამულეებმა გლეხებს წაართვეს ყველაფერი, რაც რევოლუციის წლებში მოიპოვეს. გამრავლდა სოფლად კულაკობის რიცხვი. სტოლიპინის საადგილმამულო კანონმა გააძლიერა სოფლის პაუპერიზაცია.

რეაქციის პერიოდში ამიერკავკასიაში ბატონყმობის მძიმე ნაშთების არსებობასა და გლეხთა გამოუვალ მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებენ ოფიციალური დოკუმენტები. მაგალითად, ბატონყმობის გაუქმების 50 წლისთავზე, 1911 წელს, საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ოფიციალური ორგანო ჟურნალი „კავკაზსკოე ხოზიაისტვო" იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო დღემდე კიდევ ვერ ეღირსა კანონს მემამულეებისა და მიწათმფლობელებისადმი დროებითი სავალდებულო დამოკიდებულების მოსპობის შესახებ... ეკონომიური დამოკიდებულება ჩვენი გლეხებისა, როგორც ბატონყმობის ხანის მემკვიდრეობა, ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და დამონების ახალ ფორმებში ყალიბდებოდა"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 101.

[2] ჟურნ. „კავკაზსკოე ხოზიაისტვო", № 4, 1911, გვ. 27.

იმავე წლის 25 თებერვალს, როცა ამიერკავკასიის დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხს III სახელმწიფო სათათბირო იხილავდა, კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრს გულახდილად აცნობებდა, რომ „კავკასიაში ხალხთა მასებისათვის მთავრობის მხრივ არ კეთდება სრულებით არაფერი ისეთ უდავო საკითხშიც კი, როგორიც არის ბატონყმობის ნაშთების გაუქმება. თუ ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის გაჭიანურება ოპოზიციას უადვილებს შესაძლებლობას ხალხის მასებში თესოს ესოდენ არასასიამოვნო დაბნეულობა, სახელმწიფო სათათბიროს მომავალი არჩევნების მოახლოების გამო განსაკუთრებით სასურველი და პირდაპირ აუცილებელია დაჩქარდეს ამის შესახებ კანონის გამოცემა... არჩევნების დაწყებამდე ამ კანონის გამოცემა ოპოზიციას ხელიდან გამოაცლიდა უძლიერეს იარაღს და გლეხთა მასებში, რომლებიც ამ კანონს მოელიან, დანერგავდა რწმენას მთავრობის მხრივ მათზე კეთილსასურველი ზრუნვის შესახებ, რაც უდიდეს როლს შეასრულებს არჩევნების მსვლელობაში“[1].

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო სასწრაფოდ დაეყენებინა საკითხი ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, გლეხთა დროებითი ვალდებულების გაუქმებისა და გლეხობის განკარგულებაში არსებული მიწების ხაზინის ხარჯზე გამოსყიდვის შესახებ, მაგრამ რეაქციის წლებში მან ეს პროექტი ახლით შეცვალა, რომელიც ითვალისწინებდა მიწების გამოსყიდვას არა ხაზინის ხარჯით, არამედ თვით გლეხობის მიერ და ეს ამ პროექტის განხილვასაც მეფის მთავრობის უმაღლეს წრეებში უაღრესად აჭიანურებდნენ.

როგორც ცნობილია, დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი რუსეთში გაუქმდა 1881 წელს. ამ კანონს საქართველო და ამიერკავკასია ეღირსა მხოლოდ 31 წლის შემდეგ —1912 წლის 20 დეკემბერს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ გლეხობა ამის შემდეგ მაინც ნამდვილად განთავისუფლდა მემამულეთა კაბალისაგან. ფაქტები მეტყველებენ, რომ გლეხების მდგომარეობა კვლავ უაღრესად

---

[1] Центральный Государственный Исторический Архив в Ленинграде. ф. Канцелярия Совета Министров. д. № 84, Л. 1906.

მძიმე იყო. მიუხედავად იმისა, რომ თვით ხელისუფალთა აღიარებით გლეხებმა თავიანთი ყოველწლიური შენატანებით დიდი ხანია ზედმეტად გადაუხადეს მემამულეებს ნადელების ნამდვილი ღირებულება, 1912 წლის კანონით „ჩამონაჭრები" ისევ მემამულეებს დარჩათ, ხოლო გლეხებმა თავიანთი ნადელები მიიღეს გამოსყიდვით. კანონმა საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხებს დააკისრა მემამულეთა სასარგებლოდ კიდევ 24 მილიონი მანეთის გადახდა, ოღონდ იმ „შეღავათით", რომ იგი, როგორც გადასახადი, განაწილდა 56 წლის მანძილზე, ე. ი. ამ კანონის საფუძველზე გლეხს 1968 წლამდე უნდა განეკრძო მემამულეთა სასარგებლოდ გადასახადთა შეტანა. მოწესრიგებული არ იყო ტყით, საძოვრებითა და წყლით სარგებლობის საკითხები, გადაუჭრელი დარჩა ხიზანი გლეხების საკითხი. „ამიერკავკასიის დროებით ვალდებულ გლეხთა 55 პროცენტი 1912 წლის კანონის შემდეგაც მემამულეებისაგან დამოკიდებული რჩებოდა"[1].

ცარიზმის პოლიტიკის არსი კავკასიის ხალხებისა და საერთოდ მცირე ხალხების მიმართ დამაჯერებლად გამოხატა რეაქციულმა ჟურნალმა „ისტორიჩესკი ვესტნიკმა", რომელმაც ნაციონალიზმის გამაღვივებელ „რუს დევგმირს" მიუთითა უფრო გაბედული მოქმედების აუცილებლობაზე, „თვლემისა" და „ჰიპნოზის" დაძლევის გარდუვალობაზე. ამ ჟურნალმა სპეციალური სტატია მიუძღვნა ქუთაისის გუბერნიაში 1905—1906 წლებში რევოლუციონერების მიერ შექმნილ „უწესრიგობის" დახასიათებას და, გამოთქვა რა იმედი, რომ „მსგავსი ამბები" მომავალში არ განმეორდებაო, ამაყად განაცხადა:

„არავინ არ არის საშიში რუსი ხალხისათვის, არც საგარეო მტერი, არც სხვადასხვა წვრილმანი — ებრაელები, სომხები და სხვ. საშიშია მხოლოდ ის თვლემა, ის ჰიპნოზი, რომლითაც რუსი გმირი დატვირთულია"[2].

რომელ „რუს გმირზეა" აქ ლაპარაკი? ცხადია, იმაზე, ვინც დიდმპყრობელურ ნაციონალიზმს აღვივებდა და არარად აგდებდა

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, 1954, გვ. 39.

[2] Журн. «Исторический Вестник», № 12, 1909, გვ. 939.

ისეთ „წვრილმანებს“, როგორიც იყვნენ ებრაელები, სომხები და რუსეთის ყველა სხვა წვრილი ეროვნება.

კავკასიის ხალხებს ცარიზმის ნაფიცი ბურჯები ზიზღითა და დაცინვით იხსენიებდნენ სათათბიროს ტრიბუნიდანაც კი. მაგალითად, ჯალათი პურიშკევიჩი და მისი მეგობარი მარკოვ-მეორე, როცა სათათბიროში კავკასიის საკითხს იხილავდნენ, სიამოვნებით წარმოსთქვამდნენ მთელი კავკასიელი ხალხისათვის შეურაცხმყოფელ სიტყვებს: „ბნელი, უვიცი სომეხი ხალხი“, „ბნელი, უვიცი ქართველი ხალხი“. III სათათბიროს ტრიბუნიდან მარკოვ-მეორე კავკასიის ხალხების მისამართით ამბობდა: „ავტონომიის იმედი ნუ გაქვთ, რუსეთის მეფის წინაშე ადგილობრივმა ხალხებმა ქედი უნდა მოიხარონ, ანდა ისინი აღგვილი იქნებიან პირისაგან მიწისა“.

აქ ლაპარაკია იმ ავტონომიაზე, რომელსაც კავკასიის ხალხებისათვის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები ცარიზმის არსებობის პირობებში მოითხოვდნენ. გასაგებია, თუ როგორი იქნებოდა შავრაზმული პარტიების აღშფოთება, თუ ისინი ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ბოლშევიკურ პროგრამას მოისმენდნენ, იმ პროგრამას, რომელიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ძირითად პირობად ცარიზმის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წყობილების დამხობას თვლიდა.

იმის ტიპობრივ მაგალითს, თუ ცარიზმი როგორ აბშობდა ამიერკავკასიის ხალხთა ინიციატივას, წარმოადგენს გაუთავებელი დავა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე. ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო შვილები მრავალი ათეული წლის განმავლობაში იბრძოდნენ ასეთი კულტურული დაწესებულების შექმნისათვის. ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებმა ეს საკითხი თავიანთ მოთხოვნებში შეიტანეს. მაგალითად, შეთქმულების მონაწილე ავთანდილაშვილის ერთ-ერთ ჩვენებაში ვკითხულობთ: „საკმარისი არ არის სასწავლებლების რიცხვი საქართველოში იმ დიდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელსაც იჩენს ქართველი ახალგაზრდობა, მთავრობამ უნდა დააარსოს თბილისში გიმნაზიის გარდა კიდევ უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსი და სხვა სასწავლებლები“[1]. შემდეგში ამ საკითხმა სახე იცვალა იმ მხრივ,

---

1 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, 1936, გვ. 72.

რომ მძიმე მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ამიერკავკასიის ხალხთა შვილები თვითონ კისრულობდნენ სათანადო სახსრების გაღებას. ამ მიზნით სპეციალური შენობაც ააგეს. მაგრამ მეფის მთავრობა მაინც არ იძლეოდა უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას.

1912 წელს გაზეთმა „პრავდამ" სპეციალური სტატია დაბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის საკითხზე და მის მაგალითზე სასტიკად ამხილა ცარიზმის ანტიხალხური, რუსიფიკატორული პოლიტიკა. ეს სტატია საუკეთესოდ ახასიათებს, თუ როგორ ეშინოდა მეფის მთავრობას ხალხში განათლების შეტანის და რატომ წარმოადგენდა „ხალხთა სიბნელე" რეაქციის ბურჯების საიმედო მოკავშირეს.

აი ერთი ადგილი ამ წერილიდან:

„24 მაისს მინისტრთა საბჭოში განხილულ იქნა საკითხი კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. 30 წელზე მეტია კავკასიის მოსახლეობა ითხოვს თბილისში უნივერსიტეტის გახსნას. ამ მიზნისათვის უკვე შეგროვებულია 2 მილიონ მანეთზე მეტი, მაგრამ უნივერსიტეტი მაინც არ არის.

მინისტრთა საბჭოში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ამ საკითხის განხილვა. იქ ისევ უსმენენ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ბ-ნ ზუევს, რომელსაც ეშინია კავკასიის უნივერსიტეტის გახსნისა.

მემარჯვენეთა ბეჭდვითი ორგანოები მხარს უჭერენ პოლიციის დეპარტამენტს.

„კეთილსინდისიერი" „ოლოკოლი" „ცოტას და მძიმედ" რეკავს: კავკასიის უნივერსიტეტი რევოლუციის ახალი სიმაგრე იქნებაო.

„ნოვოე ვრემია" იმუქრება, რომ ფული ახალი უნივერსიტეტისათვის არ იკმარებსო და ამას სწორედ იმ დროს ამბობს, როცა 500-მილიონიან ჯიბეში ხელს უფათურებენ!

„ზემშჩინა" გოდებს პროფესორების ნაკლებობაზე, და ეს მაშინ, როცა პროფესორებს ათობით ერეკებიან.

ძველი წყობილების დამცველებს შიში იპყრობთ განათლების წინაშე, ისინი თავს ვერ ართმევენ უსუსურ საბუთებს.

განათლებისადმი შიში ყოველთვის იყო და დარჩება განმასხ-

ვავებელი ნიშანი ყველა იმათთვის, ვისთვისაც სასარგებლოა ხალხთა სიბნელე"[1].

თავისი ნაციონალისტური პოლიტიკის გასატარებლად მეფის მოავრობამ გააძლიერა შავრაზმული ორგანიზაციები, შექმნა ხულიგნებისა და ავანტიურისტების ახალი რაზმები, რომელთაც „ინოროდცების" უზომოდ დასჯის უფლება მისცა.

ასე იზრდებოდა მებრძოლი დიდმპყრობელური ნაციონალიზმი. ხოლო ზემოდან დაგორებულმა მებრძოლი ნაციონალიზმის ტალღამ და მრავალმა რეპრესიამ „ძალაუფლების მპყრობელთა" მხრივ, რომლებიც შურს იძიებდნენ განაპირა მხარეებზე მათი „თავისუფლებისმოყვარეობისათვის", გამოიწვია ქვემოდან საპასუხო ტალღა ნაციონალიზმისა, რაც ზოგჯერ უხეშ შოვინიზმში გადადიოდა: სიონიზმის გაძლიერება ებრაელთა შორის, შოვინიზმის ზრდა პოლონეთში, პანისლამიზმი თათართა შორის, ნაციონალიზმის გაძლიერება სომხებში, ქართველებში, უკრაინელებში და სხვა არარუს ერებსა და ეროვნებებში.

ქვემოდან მომდინარე ნაციონალიზმი გაძლიერდა ამიერკავკასიაშიც. აქაც, ისე როგორც რუსეთის სხვა განაპირა მხარეებში, რევოლუციის მძლავრი აღმავლობის წლებში კუთხეში მომწყვდეული ნაციონალისტური პარტიები და მიმდინარეობანი გამოცოცხლდნენ და აქტიური მოქმედება დაიწყეს. შეიქმნა ახალი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებიც.

რეაქციის წლებში გამოცოცხლდა ქართველი ფედერალისტების პარტია. როდესაც პროლეტარიატის პარტია ქუხდა და ძველ ქვეყანას ანგრევდა, ფედერალისტების პარტია შურით უყურებდა მას, მაგრამ როცა რეაქციის ქარმა დაჰბერა და ჩარხი უკუღმა დაატრიალა, ფედერალისტებმა ფერი იცვალეს და ლანძღვა დაუწყეს პროლეტარიატის პარტიას. იცავდნენ რა ძველ საპროგრამო მოთხოვნას — რუსეთის მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში საქართველოს ნაციონალურ ავტონომიას — ფედერალისტებმა ამ მოთხოვნის განხორციელების ძირითად პირობად რეაქციის წლებში წამოაყენეს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარების ამოცანა, ფედერალისტე-

---

1 გაზ „პრავდა", № 23. 1912, 26 მაისი (8 ივნისი).

ბის გაზეთმა „ამირანმა“ არაერთი სტატია დაბეჭდა „ეროვნული წარმატებისათვის სულიერი კულტურის“ უდიდეს („ერთადერთ“) „მნიშვნელობაზე“, ეგრეთ წოდებული „მყუდრო კულტურული მუშაობის“ უდიდეს როლზე და სხვ.[1]. „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგი'ის ხიდი აღმოჩნდა, რომლითაც ქართველი ფედერალისტები კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას დაუნათესავდნენ. ამ ნიადაგზე მოხდა ქართველი ფედერალისტებისა და ქართველი მენშევიკების დაახლოება.

1912—1913 წლებში საქართველოში ხელახლა გაფორმდა ნაციონალ-დემოკრატების პარტია, რომელიც ქართული ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და მიზნად ისახავდა წინააღმდეგობა გაეწია „სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის მავნე გავლენისათვის“. ნაციონალ-დემოკრატები სოციალიზმს ნაადრევად თვლიდნენ „ეკონომიურად ჩამორჩენილ ქართულ სინამდვილისათვის“, მოითხოვდნენ „პოლიტიკური მართვა-გამგეობის მრავალი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციის დაუყოვნებლივ გადმოტანას რუსეთის ცენტრებიდან პერიფერიებში“[2].

1912 წელს შეიქმნა თურქულ-აზერბაიჯანული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია — „მუსლიმანური დემოკრატიული პარტია“ — „მუსავატი“ (თანასწორობა), რომელიც გამოხატავდა ხანების, ბეგების, აღალარებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს. მუსავატის პროგრამა გამსჭვალული იყო პანისლამიზმით — მუსლიმანური სამღვდელოების იდეოლოგიით. ეს პარტია ცდილობდა ყველა იმ ხალხის გაერთიანებას, ვინც მუსლიმანურ რელიგიას აღიარებდა.

სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ რეაქციის წლებშიც ასრულებდა სომეხი ბურჟუაზიის მებრძოლი ავანგარდის, ცარიზმის პირდაპირი დამცველისა და მსაბურის როლს.

ამიერკავკასიაში მოკალათებული ეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები ცდილობდნენ დასაყრდენი მოენახათ მოსახლეობაში, ჩაეშალათ რევოლუციის აღმავლობა. ამ მიზნით ისინი

---

1 გაზ. „ამირანი“, № 56, 1908.

2 გაზ. „კომუნისტი“, № 180, 1923, 8 აგვისტო.

იჭრებოდნენ მუშათა კლასში და კვლავ ლამობდნენ მის გათიშვას.

ნაციონალიზმის შხამი შეიჭრა თეატრში, მწერლობაში, ლიტერატურისა და კულტურის სხვა დარგებში.

ამრიგად, რაც უფრო კლებულობდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ნაციონალიზმის ტალღა, მით უფრო ძლიერდებოდა და მუშათა მასების ჩათრევასაც ლამობდა.

ამ მძიმე ვითარებაში მარქსისტულ მუშათა პარტიას ევალებოდა გადამჭრელი წინააღმდეგობა გაეწია ყველა ჯურის ნაციონალიზმისათვის და დაეცვა მასები მისი მომწამლავი გავლენისაგან. განსაკუთრებით დიდი იყო მოვალეობა ეროვნულ უმცირესობათა მარქსისტებისა. რომლებიც უშუალოდ ეჯახებოდნენ ნაციონალისტურ მოძრაობას.

მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას ამიერკავკასიაში განსაკუთრებული შეუპოვრობით წინ აღუდგნენ მენშევიკები, რომლებიც როგორც ყველა სხვა პროგრამულ საკითხში, ეროვნულ საკითხშიც ლიკვიდატორობის გზას დაადგნენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, კავკასიელმა მენშევიკებმა ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის პერიოდში სათათბირო გამოაცხადეს ლეგალური მოქმედების ცენტრად და ხელი მიჰყვეს არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაციას. ეს ლიკვიდატორული საქმიანობა, რომელიც ეყრდნობოდა მუშისა და კაპიტალისტის, გლეხისა და მემამულის „საერთო ინტერესების“ ბურჟუაზიულ თეორიას, მენშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს რეაქციის პერიოდში. ქართველმა მენშევიკებმა გაილაშქრეს მუშათა გაფიცვების წინააღმდეგ და მუშებს მოუწოდეს ერთიგულად ემუშავათ კაპიტალისტურ საწარმოებში. ამ მოწოდებას მენშევიკური გაზეთი „ნაპერწკალი“ შემდეგნაირად ასაბუთებდა: „მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საუკეთესო პირობას წარმოადგენს წარმოების განვითარება... ასეთი განვითარების დროს მოთხოვნილება მუშახელზე მეტია“[1]. ასე მიმართავდნენ მენშევიკები გლეხებსაც, რომლებსაც ურჩევდნენ არ ებრძოლათ მემამულეთა წინააღმდეგ. ამ „საერთო ნიადაგმა“ ქართველი მენშევიკები კვლავ მიიყვანა ე. წ. „ძველი საკითხების“ გამოცოცხლებამდე.

ქართველმა მენშევიკებმა რეაქციის პერიოდში გარკვევით განაც-

1 გაზ. „ნაპერწკალი“, № 11, 1908, 8 ივნისი.

ხადეს, თითქოს რუსეთის რევოლუციის მთავარ საკითხს წარმოადგენდა არა სოციალური, არა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისა და კაპიტალიზმის დამხობის საკითხი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა მიიჩნიეს ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტის ძირითად პირობად. არ იყო შემთხვევითი, რომ ქართველი ფედერალისტები ბევრ საერთოს პოულობდნენ ქართველ მენშევიკებთან. იმის მტკიცება, რომ „საერთო არაფერი გვაქვს, მტკნარი სიცრუეა, — წერდა ფედერალისტების გაზეთი „ამირანი", — დიდი რამ გვაქვს საერთო და ეს საერთო სწორედ ისაა, რისი დანახვაც არ სურთ ჩვენს მოპირდაპირეებს, სახელდობრ — ეროვნება. ეს ეროვნებაა სწორედ, ასეთ ქსელს რომ აბამს ჩვენსა და „დასაწყისის"[1] მიმდევართა შორის, რომელიც ნებას არ გვაძლევს დავშორდეთ ერთმანეთს"[2].

ქართველი ფედერალისტების ბელადმა ა. ჯორჯაძემ იმის იმედით, რომ მენშევიკებთან გაერთიანება მართლაც მოხდებოდა, 1909 წელს დაწერა წერილების სერია საერთო სათაურით „შეთანხმების იმედი", რომელშიც მენშევიკებთან შეერთებას, თუ ეს მართლაც მოხდებოდა, უწოდა „დიდი ეროვნული საქმე"[3].

პერსპექტივის თვალსაზრისით ჯორჯაძის ვარაუდი მართალი გამოდგა. როგორც ცნობილია, მენშევიკები და ქართველი ფედერალისტები შემდეგში მართლაც გაერთიანდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი ერთად ებრძოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და საბჭოთა რუსეთს.

„საერთო ნიადაგის" ნაციონალისტურმა თვალსაზრისმა მენშევიკები იქამდე მიიყვანა, რომ მათ რეაქციის პერიოდში სავსებით შეაქციეს ზურგი თბილისში მყოფ რუს მოწინავე მუშებს, რომლებიც „თბილისის ორგანიზაციის სიმამაცეს წარმოადგენდნენ"[4]. ზურგი შეაქციეს მათ იმიტომ, რომ რუსი მუშები მოწინავე ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მუშებთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ აღმავლობას.

---

1 „დასაწყისი" მენშევიკური გაზეთი იყო.

2 გაზ. „ამირანი", № 26, 1908, 1 აპრილი.

3 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, გვ. 270.

4 გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 16.

1910 წლის გაზაფხულიდან მთელ რუსეთში კვლავ იწყება მუშათა გაფიცვები, დემონსტრაციები, სტუდენტთა გამოსვლები. „პროლეტარიატი, რომელიც უკან იხევდა — თუმცა დროის დიდი შუალედებით—1905—1909 წლებში, ძალ-ღონეს იკრებს და შეტევაზე გადასვლას იწყებს“[1].

ითვალისწინებდა რა ქვეყანაში მომხდარ ახალ ძვრებს, ბოლშევიკური გაზეთი „თბილისის პროლეტარი“ 1910 წლის 5 იანვარს წერდა:

„რუსეთის დიდი რევოლუცია არ მომკვდარა, იგი ცოცხალია, მან მხოლოდ უკან დაიხია და იკრებს ძალებს მომავალში უფრო მძლავრი შეტევებისათვის.

რევოლუციის მამოძრავებელი ძალები — პროლეტარიატი და გლეხობა — ცოცხალი და უვნებელია, მათ არ შეუძლიათ უარი სთქვან თავიანთ მოთხოვნილებებზე...

ჩვენ ვცხოვრობთ ახალი აფეთქების მოლოდინში, ჩვენ ვდგავართ ძველი ამოცანის, მეფის ხელისუფლების დამხობის წინაშე... ჩვენი ვალია, მოწინავე მუშების ვალია — ღირსეულად შევხვდეთ მომავალ სახელოვან ბრძოლებს...“

რევოლუციური მოძრაობა ყველაზე მეტად იმ სამრეწველო ცენტრებში იგრძნობოდა, სადაც მძიმე კრიზისი იყო და დაქვეითების შემდეგ გამოცოცხლება იწყო მრეწველობამ და შესამჩნევი გახდა მისი აღმავლობა. ამიერკავკასიაში ასეთი ცენტრი იყო ბაქო, სადაც 1909 წელს ნავთის ამოღება გაიზარდა 500 მილიონ ფუთამდე და მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს 1905 წლის შემდეგ. ნავთის მრეწველობის ზრდამ კვლავ გამოაცოცხლა ურთიერთობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ორგანიზებას იწყებენ ბაქოს მუშები. ბაქოს კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებისა და მუშებს შორის მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ბაქოს კომიტეტმა განიხილა და მიიღო თბილისის კომიტეტის წინადადება ოთხ ენაზე — რუსულ, თათრულ, ქართულ და სომხურ ენებზე საერთო ორგანოს გამოცემის შესახებ. ეს შესანიშნავი იდეა არ განხორციელდა, მაგრამ ამ ღონისძიების დასახვის თვით ფაქტშიც კარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 445.

ვად მოჩანს ახალ ვითარებასთან შეფარდებით მუშაობის გარდაქმნის დაუცხრომელი სურვილი. ბაქოს კომიტეტმა აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება და წინადადებით მიმართა მთელ პარტიას საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევისა და საერთო-რუსული ორგანოს გამოცემის შესახებ. ეს იყო ადგილობრივი ინიციატივა, რომელიც საუკეთესოდ ეხმაურებოდა ვ. ი. ლენინის ბრძოლას არალეგალური პარტიის აღდგენის, განმტკიცებისა და პარტიის ახალი ცენტრის შექმნისათვის, რაც შემდეგ კიდევაც განხორციელდა პრაღის კონფერენციის მოწვევისა და საერთო-რუსული გაზეთის — ჯერ „ზვეზდისა“ და შემდეგ „პრავდის“ გამოცემის სახით.

ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრე გახდა. მაგრამ იგივე მდგომარეობა როდი იყო თბილისში. თუმცა თბილისშიც, ისე როგორც ჭიათურაში, ბათუმში, სოხუმში და სხვაგან, შესამჩნევი გახდა გამოცოცხლება. მაგრამ თბილისში, ბოლშევიკური ორგანიზაციების სისტემატური დარბევის გამო, რეაქციის პერიოდში შედარებით ძლიერი პოზიციები შეინარჩუნეს მენშევიკებმა, რომლებიც ყოველმხრივ აფერხებდნენ მუშათა გათვითცნობიერებას და უბიძგებდნენ მათ კაპიტალისტებისადმი მონური მორჩილებისაკენ. გაუკეთა რა ანალიზი ბაქოსა და თბილისში არსებულ ვითარებას თავის ცნობილ „წერილებში კავკასიიდან“, რომელიც 1910 წლის 7 ივნისს „სოციალ-დემოკრატის“ დამატებაში („დისკუსიონი ლისტოკში“) დაიბეჭდა, ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, რომ „ის, რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია“, თბილისში ცხადი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად, — ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს დიდი სიძნელით ინელებენ“. ამასთან დაკავშირებით ნათელი ხდებოდა, რომ თბილისის პროლეტარიატის სოციალისტური განათლებისათვის წარმოებული მუშაობა ძალიან ხშირად და გარდაუვალად მიიღებდა „მენშევიზმთან იდეური ბრძოლის ფორმას“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები შეუდგნენ ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ბაქოს, თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქთა პროლეტარიატის სოციალისტური განათლებისათვის ბრძოლას, რაც შეფერხდა რეაქციის მძიმე წლებში.

ამ საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ს. ორჯონიკიძემ, ს. შაუმიანმა, ს. სპანდარიანმა, ე. სტასოვამ, ს. ბუაჩიძემ და სხვებმა.

ბაქოს კომიტეტი და თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია,

რომელიც ხელახლა იქნა აღდგენილი 1911 წლის აპრილში, მუშებში ავრცელებდნენ მოწოდებებს, პროკლამაციებს, აღადგენდნენ ძველ ორგანიზაციებს და ქმნიდნენ ახალს, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მზარდ რევოლუციურ მოძრაობას.

მაგრამ რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას აბრკოლებდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, ტროცკისტები და შემთანხმებლები. ამიტომ საჭირო გახდა გადამწყვეტი ზომების მიღება მათ წინააღმდეგ, მათი ჩამოცილება პარტიისაგან და იზოლირება მუშათა მოძრაობისაგან, რათა ბრძოლას ცარიზმის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ მეტი გაქანება მიეღო.

ვ. ი. ლენინის მეთაურობით პარტიის მტრებთან — მენშევიკებთან, ტროცკისტებთან, შემარიგებლებთან — გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში დაიწყო მზადება მეექვსე საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის, რომელსაც უნდა განედევნა მენშევიკები პარტიიდან და საფუძველი ჩაეყარა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობისათვის.

ამ ისტორიული კონფერენციის მოწვევის საქმეში ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით თბილისისა და ბაქოს ორგანიზაციებმა, უდიდესი როლი შეასრულეს. ვ. ი. ლენინის დავალებით გ. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით 1911 წლის ოქტომბერში შეიქმნა საერთო-პარტიული კონფერენციის მომწვევი სრულიად რუსეთის საორგანიზაციო ცენტრი, რომლის სხდომები ბაქოსა და თბილისში მიმდინარეობდა. „კონფერენციის მომწვევი რუსეთის (ე. ი. რუსეთში მომუშავე, რუსეთის ორგანიზაციების მიერ შექმნილი) საორგანიზაციო კომისია,—წერდა ლენინი, — ...შექმნეს კიევის, ეკატერინოსლავის, თბილისის, ბაქოსა და ეკატერინბურგის ორგანიზაციებმა, რომელთაც მალე შეუერთდა კიდევ 20 ორგანიზაცია“[1]. ამრიგად, თბილისისა და ბაქოს ორგანიზაციები იმ ორგანიზაციების რიცხვში შევიდნენ, რომლებმაც გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები პარტიული ორგანიზაციების აღსადგენად და საერთო-პარტიული კონფერენციის მოსაწვევად.

ცნობილია, რომ პრაღის კონფერენციამ (1912 წლის 18—30 იანვარი), რომელმაც პარტიიდან განდევნა მისი დაუძინებელი მტრები,

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 17, გვ. 651.

გამოიწვია ყველა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის გააფთრება. ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ლიკვიდატორები და ვპერიოდელები, ბუნდელები, ტროცკისტები და სხვ.

ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ეს იყო „დიდი ბრძოლა კონფერენციის გამო“.

ბოლშევიკური პარტიის მოწინააღმდეგეთა დამარცხება, პრაღის კონფერენციის შესახებ შეთხზულ ცილისწამებათა გაფანტვა შეეძლო მხოლოდ რუსეთის ადგილობრივ ორგანიზაციათა ერთსულოვან შემჭიდროებას პრაღის კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ვ. ი. ლენინის გარშემო.

ამ დიდი ბრძოლის დროს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს.

თბილისში დაიბეჭდა ჩვენი პარტიისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც იყო ვ. ი. ლენინის „რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა“ (მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში), რომელიც გამოვიდა ცალკე ფურცლად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და ვრცელდებოდა ფურცელთან ერთად — „პარტიისათვის“.

თუ რამდენად მრავალფეროვანი იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა ამ პერიოდში, ჩანს იმ მიწერ-მოწერიდან, რაც 1912 წლის ივნისში თბილისის ორგანიზაციის არქივთან ერთად ხელში ჩაუვარდა მეფის ოხრანკას. თბილისის ორგანიზაციის არქივში აღმოჩნდა: ვ. ი. ლენინის მიერ პარიზიდან თბილისში გამოგზავნილი წერილი „გ. კ. ორჯონიკიძეს და რუსეთის ბიუროს სხვა წევრებს“, ვ. ი. ლენინის „რსდმ პარტიის საარჩევნო პლატფორმა“ (5 ცალი), ი. ბ. სტალინის „პარტიისათვის“ (2 ცალი, ერთი ხელნაწერი), „გაუმარჯოს პირველ მაისს“ (2 ცალი), ბროშურა „პრაღის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია 1912 წელს“, „რუსეთის საორგანიზაციო კომისიის რეზოლუციები საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ“, „რსდმპ ლონდონის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები“, „რსდმპ პარიზის ჯგუფის რეზოლუციები“, „რსდმპ კიევის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რეზოლუციები“, „რსდმპ ლატვიის

სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის რეზოლუციები", ცენტრალურ ორგანოს „სოციალ-დემოკრატიის" რამდენიმე ნომერი და სხვა[1].

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა ერთგვარ პუნქტს, საიდანაც ვ. ი. ლენინი კავშირს ამყარებდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მაგალითად, 1912 წლის 29 აპრილს ე. სტასოვა, რომელიც 1911—1912 წლებში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ვ. ი. ლენინს აცნობებდა: „ვამყარებ კავშირს ურალთან და როგორც კი სწორ ურთიერთობას მივაღწევ, მაშინვე დავაკავშირებ თქვენთან"[2]. თბილისის ბოლშევიკების არქივში ნაპოვნი საბუთების გამო თბილისის პოლიციის განყოფილება პეტერბურგის, კიევის, როსტოვისა და მოსკოვის ჟანდარმთა განყოფილებებს აცნობებდა იმ წერილების შესახებ, რაც ე. სტასოვას გაგზავნილი ჰქონდა იქაური ორგანიზაციებისათვის. აი ერთი ადგილი ამ დოკუმენტიდან: „ქ. თბილისში, ვინმე მღებროვის ბინაზე, რუს. ს.-დ. მუშ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის ლიკვიდაციისას ჩატარებული ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა პარტიული მიწერ-მოწერა თავად ელენე დიმიტრის-ასულ სტასოვასი, რომელიც ასრულებდა ზემოხსენებული კოლექტივების მდივნის მოვალეობას და ცნობილია პარტიული მეტსახელით — „ზელმა". მიმოწერებში ნახულ იქნა დაზღვეულ გზავნილებათა უამრავი ქვითარი პეტერბურგის, კიევის, როსტოვისა და მოსკოვის მისამართებით ისე, რომ ჩემდამი რწმუნებულ საამმართველოში ზემოხსენებული კოლექტივის საქმიანობის (ლაპარაკია რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივზე, რომელიც 1911 წელს შეიქმნა. ვ. ს.) მოკვლევის დროს გამოირკვა, რომ სტასოვა ფოსტით ამანათების სახით აგზავნიდა პროკლამაციებს, სხვა ორგანიზაციების მოღვაწეებს წერილებით უგზავნიდა მოწოდებათა დედნებს"[3]. ამასთანავე თბილისის პოლიციის განყოფილებამ მარტო პეტერბურგის განყოფილებას გაუგზავნა 5 ქვითარი, რათა

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფ. 8. აღწ. № 5, ს. 266, ფურც. 12.

2 იქვე, ფურც. 25.

3 იქვე.

თვალყური ედევნებინათ თბილისიდან გაგზავნილი ამანათების მიღებისათვის.

ეს დოკუმენტები გარკვევით ლაპარაკობენ იმ ფართო ურთიერთობის შესახებ, რითაც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია დაკავშირებული იყო ვ. ი. ლენინთან, ცენტრალურ ორგანოსა და რუსეთის სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

რუსეთისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კავშირის აღდგენამ განაპირობა ორივე ქვეყნის მუშათა კლასის კავშირის ზრდა, რაც შესანიშნავად გამოიხატა რევოლუციურ აღმავლობაში. 1911 და 1912 წლებში ბაქოსა და თბილისის პროლეტარიატმა დიდი აღფრთოვანებით აღნიშნა საპირველმაისო დღესასწაულები. ე. დ. სტასოვა წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი ხაზს უსვამდა იმ ერთიანობას, რაც რევოლუციური აღმავლობის პერიოდში კვლავ დამყარდა მუშათა მოძრაობაში. „საკმარისი იყო მუშებს პარტიული ორგანიზაციის არსებობა გაეგოთ, — წერდა სტასოვა, — რომ მაშინვე იწყეს ლტოლვა მისკენ. ორგანიზაციის შემდგომმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო აამაღლა განწყობილება მასებისა, რომლებიც რუსეთის მზარდი მუშათა მოძრაობის სახით მძლავრ თანამოსაგრეს ხედავენ"[1]. ბაქოს, თბილისის, ჭიათურის, ბათუმის მუშებში პროტესტის მძლავრი ტალღა გამოიწვია ლენაზე მომხდარმა სისხლისღვრამ, ლენაზე თოფის გასროლამ აქაც, როგორც მთელ რუსეთში, დაამსხვრია მდუმარების ყინული და დაძრა სახალხო მოძრაობის მდინარე.

იმ დროს, როცა თბილისის, ბაქოსა და სხვა ბოლშევიკური ორგანიზაციები თვითმპყრობელობამ არაერთხელ დაარბია, თითქმის განუწყვეტლივ არსებობდნენ და დეზორგანიზატორულ მუშაობას განაგრძობდნენ ამიერკავკასიის საოლქო და თბილისის, ბაქოსა და სხვა მენშევიკური კომიტეტები, რომლებიც არავის მიერ არ იყვნენ არჩეული. ეს თვითმარქვია კომიტეტები რევოლუციის შეუძლებლობისა და ბურჟუაზიისადმი მორჩილების რწმენას ნერგავდნენ მშრომელებში.

ქართველმა მენშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის საქა-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი. ფ. 8, აღწ. 5, ს. 237, ფურც. 37—38.

ლაქო თვითმმართველობის არჩევნებში და მიაღწიეს თავიანთი ორგანიზაციის 5 წევრის გაყვანას ხმოსნად. ხელმძღვანელობდა რა „საერთო ნიადაგის“ თეორიით, მენშევიკურმა საოლქო კომიტეტმა, რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა, ამ 5 წევრის საშუალებით საქალაქო გამგეობაში ჩამოაყალიბა „დემოკრატიული ჯგუფი“, რომელშიც მათთან ერთად შევიდნენ მსხვილი ვაჭრები, თავადაზნაურობის წინამძღოლი და სხვები. ჯგუფმა თავი იმით გამოავლინა, რომ იგი ქალაქის გამგეობასთან ერთად ენერგიულად იბრძოდა „წესრიგის“ დამყარებისათვის თბილისის საწარმოებში[1].

ბაქოში მენშევიკების საქმიანობის შესახებ პარტიის ცენტრალური ორგანო „სოციალ-დემოკრატი“ იუწყებოდა: „გაფიცული სარეწების რწმუნებულ დელეგატთა კრებებზე კავკასიელი თვალსაჩინო მენშევიკები (ლიკვიდატორები) წინადადებას იძლეოდნენ უკან წაეღოთ ნავთის მრეწველებისადმი წაყენებული მუხლები და ამოეშალათ იქიდან მოთხოვნები — 8 საათის სამუშაო დღე, პირველი მაისის უქმობა, საქარხნო კომისიების ცნობა (საქმე შეეხებოდა მუშების მიერ არჩეული კომისიების ცნობას ადმინისტრაციის მიერ — ვ. ს.)... არწმუნებდნენ დელეგატებს, რომ ეს მოთხოვნები ატარებენ პოლიტიკურ ხასიათს, ხოლო ჩვენ რომ არ წავაგოთ გაფიცვა, პოლიტიკას უნდა მოვერიდოთ“[2].

„საერთო ნიადაგის“ თეორიის პრაქტიკული დაცვა იყო ის საფუძველი, რომელმაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოიწვია ქართველ მენშევიკებთან ქართველი ფედერალისტების დაახლოება. მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართველ მენშევიკებთან დაახლოება შეძლეს არა მარტო ფედერალისტებმა, არამედ „მემარცხენე“ კადეტებმა (პროგრესისტებმა) და... დაშნაკებმაც კი, რომლებმაც მათთან ბლოკი შეკრეს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

მეფის მთავრობა სხვა კონტრრევოლუციურ ღონისძიებებთან ერთად შეეცადა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებიც გამოეყენებინა რევოლუციის ძალთა გასათიშავად. ამ მიზნით მან გააუქმა მუშათა კურიები და შემოიღო ეროვნულ-კურიალური სისტემა

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, № 26, 1912, გვ. 6.

[2] იქვე.

რუსი მოხელეებისა და საერთოდ რუსი ამომრჩეველების დიდი უმრავლესობით.

ეს ღონისძიებაც, ისე როგორც მრავალი სხვა, გაანგარიშებული იყო ეროვნული შუღლის გასაძლიერებლად ადგილობრივ მოსახლეობაში.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში თავიანთი პლატფორმებით მთელ რუსეთში იბრძოდა „სამი მთავარი პარტია: 1) შავრაზმელები, 2) ლიბერალები, 3) სოციალ-დემოკრატები“[1]. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იყო სხვა პლატფორმებიც, მაგრამ ისინი ამ პლატფორმების ნაირსახეობას წარმოადგენდნენ.

ამიერკავკასიაში არჩევნებთან დაკავშირებით ხუთი პლატფორმა ჩამოყალიბდა. საკუთარი პლატფორმებით გამოვიდნენ: „რუსული პატრიოტული საზოგადოება“, „რუსთა საზოგადოება ამიერკავკასიაში“, „რუსული ნაციონალური პარტია“, „პროგრესისტების ჯგუფი“ (რომელშიც პროგრესისტებთან ერთად შევიდნენ სექტანტები და ქართველი მენშევიკები[2]) და რსდმპ (ბოლშევიკების) ორგანიზაცია. მაგრამ მიუხედავად მრავალრიცხოვანებისა, აქაც სამ პარტიასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან პირველი, მეორე და მესამე პლატფორმა წარმოადგენდა ერთ პარტიას — შავრაზმელთა პარტიას, მეოთხე—პროგრესისტთა ჯგუფი, რომელშიაც ქართველი მენშევიკებიც შედიოდნენ, ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიას შეადგენდა, ხოლო მეხუთე პარტია, რომლის საარჩევნო პლატფორმა ნამდვილად ასახავდა მშრომელთა ინტერესებს, იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკების) პარტია.

„პროგრესისტებს“ თავიანთ თავს უწოდებდნენ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და, ნაწილობრივ, გლეხთა წარმომადგენლები. ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ეს იყო „გაურკვეველი უპარტიო ტერმინი“, რომელსაც IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ბურჟუაზია ეფარებოდა „საერთოდ და პროვინციაში განსაკუთრებით“[3]. ამიერკავკასიაში პროგრესისტებად მოჰქონდათ თავი მემარცხ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 17, გვ. 612.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 3, აღწ. 3, ს. 205, ფურც. 48—49.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 17, გვ. 81.

ხენე კადეტებს, ე. წ. „უპარტიო პროგრესისტებს“, რომლებმაც 1912 წლის 5 და 9 მაისს, აგრეთვე 4 ივნისს სპეციალურად განიხილეს მენშევიკებთან საარჩევნო ბლოკში შესვლის საკითხი და მიიღწიეს კიდეც ამ ბლოკის შექმნას[1].

ქართველი მენშევიკები არ დაკმაყოფილდნენ „პროგრესისტების“ ჯგუფთან ბლოკში შესვლით და იმ მიზნით, რათა არჩევნებში სრული „გამარჯვების“ გარანტია ჰქონოდათ, არჩევნების მეორე საფეხურზე მოლაპარაკება გამართეს და შემდეგ ბლოკშიც შევიდნენ იმ დროისათვის საკმაოდ ნიღაბახდილი დაშნაკური პარტიის თბილისის ორგანიზაციასთან. ამასთან დაკავშირებით კავკასიის პოლიციის ბაქოს დაცვის განყოფილების უფროსი მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი შენიშნავდა: „ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს (იგულისხმება მენშევიკები) არჩევნების მეორე საფეხურზე განზრახვა აქვთ შევიდნენ ბლოკში „დაშნაკცუთიუნის“ პარტიასთან. ამას საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: თბილისში დაშნაკცაკანები იმდენად ძლიერი არ არიან, რომ თავიანთი კანდიდატი გაიყვანონ, ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) მათზე ბევრად ძლიერია, მაგრამ მათ (მენშევიკებს) შორის არის იმის შიში, რომ შეიძლება დამარცხებულ იქნან მემარჯვენეთა კანდიდატების მიერ. ამ გარემოებამ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შევიდნენ ბლოკში დაშნაკცაკანებთან, რომლებმაც უკვე მისცეს თანხმობა მხარი დაუჭირონ სოციალ-დემოკრატიას თბილისში იმ პირობით, თუ ბაქოს სოციალ-დემოკრატი ამრჩევლები ეხარს დაუჭერდნენ დაშნაკცაკანებს ელისაბედპოლის გუბერნიაში (ელისაბედპოლის და ბაქოს გუბერნია ირჩევენ სათათბიროს ერთ წევრს)“[2].

საარჩევნო კამპანიის პროცესში მენშევიკებმა სცადეს თავიანთ მხარეზე მიეზიდათ ბოლშევიკების ხმებიც. ამ მიზნით მათ მოლაპარაკება გამართეს ბოლშევიკებთან და ბოლშევიკების მიერ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ „რსდმპ თბილი-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 8. ს. აღწ. 5, ს. 237, ფურც. 26.

[2] იქვე, ფ. 8, აღწ. 3, ს. 196, ფურც. 21—22.

სის არჩევნების“ ბიუროსთან. მაგრამ თბილისელმა ბოლშევიკებმა ერთობლივი მოქმედების საფუძვლად წამოაყენეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“, რაზედაც მენშევიკებმა უარი განაცხადეს[1].

კავშირმა ანტიპროლეტარულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიასთან განაპირობა ქართველი მენშევიკების გამარჯვება IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

1912 წლის ივლისში ქართველი მენშევიკების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ ქართულ ლეგალურ გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში“ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიაც თავის ადრინდელ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებების, ბუნდისა და ე. წ. „ავსტრო-მარქსისტების (ბაუერის, შპრინგერისა და სხვ.) ყალბ დებულებათა შერწყმის საფუძველზე სცადა აღედგინა პარტიის მიერ არაერთხელ დაგმობილი „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ანტიმარქსისტული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორია, რომელიც მოითხოვდა უტერიტორიო ავტონომიების შექმნას ენის, სასკოლო საქმეთა და კულტურის სხვა ნიშნების მიხედვით.

ჟორდანიას მიერ აღდგენილი „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ მოთხოვნა გაიზიარა ამიერკავკასიის ლიკვიდატორთა ქუთაისის კონფერენციამ. ამ „წვლილით“ ამიერკავკასიელი ლიკვიდატორები 1912 წლის აგვისტოში დაესწრნენ ტროცკის მიერ მოწვეულ ლიკვიდატორულ კონფერენციას, რომელმაც გააფორმა ანტიპარტიული „აგვისტოს ბლოკი“ და ყველა საკითხში პრაღის კონფერენციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი მიიღო. კავკასიელი ლიკვიდატორები აგვისტოს ბლოკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილენი გახდნენ.

აგვისტოს ტროცკისტულ-ლიკვიდატორულმა კონფერენციამ, რომელმაც მოიწონა კავკასიელი ლიკვიდატორების პოზიცია ეროვნულ საკითხში, ე. ი. მოიწონა „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ლოზუნგი, აშკარად არ გაილაშქრა რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ, არამედ

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 3, აღწ. 3, ს. 196, ფურც. 12.

შიუთითა, რომ „ასეთი განმარტება (ე. ი. II ყრილობაზე მიღებული ნაციონალური პროგრამის შეცვლა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით — ვ. ს.) პარტიული პროგრამის იმ მუხლისა, რომელიც აღიარებს თვითგამორკვევის უფლებას თვითეული ეროვნებისათვის, არ ეწინააღმდეგება ამ პროგრამის ზუსტ აზრს". ეს იყო ეროვნულ საკითხში მარქსიზმის წინააღმდეგ მიმართული რევიზია, რომელიც ცდილობდა გახვეულიყო მარქსიზმის სამოსელშივე. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის თეორიის ხელახალი გამოცოცხლება დაემთხვა რეაქციისა და რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ეროვნული საკითხის საერთო გააქტიურებას. ვ. ი. ლენინმა მოგვცა სწორი მარქსისტული ახსნა იმ მიზეზებისა, თუ რამ გამოიწვია ეროვნული საკითხის გააქტიურება ამ პერიოდში. ეს მიზეზები იყო: „შავრაზმული ნაციონალიზმის თავაშვებულობა, ნაციონალისტური ტენდენციების ზრდა ლიბერალურ ბურჟუაზიაში, ნაციონალისტური ტენდენციების გაძლიერება დაჩაგრულ ეროვნებათა ზედაფენებში"[1]. ამ ტენდენციების შედეგი იყო, რომ ხელახლა წამოტივტივდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ყალბი თეორია და სხვა სიმახინჯენი ეროვნულ საკითხში.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მიმართული იყო მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის წინააღმდეგ, იგი მიზნად ისახავდა მათ დანაწილებას ენისა და სასკოლო საქმეთა მიხედვით, რაც სასარგებლო იყო მხოლოდ კაპიტალისტებისათვის, რომლებიც თავის მხრივ არათუ არ ნაწილდებოდნენ რაიმე ნიშნის მიხედვით, არამედ ერთიანდებოდნენ საარეიო საზოგადოებებში, კარტელებში, ტრესტებში, მრეწველთა საზოგადოებებში და მუშათა კლასის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოდიოდნენ. კაპიტალისტთა საამებლად კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას მუშათა კლასი მიჰყავდა ეროვნულ კურიებად გამიჯვნისაკენ, მაშინ როცა მათი ინტერესები გაერთიანებას მოითხოვდა. კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის წამოყენებით ბურჟუაზიული ნაციონალისტები იმავე საქმეს აკეთებდნენ, რასაც კაპიტალისტები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც ლენინი მიუთითებდა, კაპიტალისტები „უფრო უხეშ ხერ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამომც., ტ. 19, გვ. 505.

ხებს იყენებდნენ მუშების დასაყოფად"[1]. კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კი იყო ნაკლებად უხეში, მაგრამ უაღრესად თვალთმაქცური ხერხი, რომელსაც კაპიტალისტების თვალში მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე სხვა რომელიმე ხერხს, ვინაიდან იგი გამოგონებული იყო არა კაპიტალისტების მიერ, არამედ წარმოიშვა წვრილი ბურჟუაზიის წრეში. ლენინი მიუთითებდა, რომ იგი იყო „უბადრუკი წვრილმან კინკლაობით (უფრო უარესიც: შფოთით, ცემა-ტყეპით)... სასოწარკვეთილი წვრილი ბურჟუაზიის იდეა"[2].

ცხადი იყო, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დაცვით მენშევიკები თვალთმაქცი ბურჟუა-ლიბერალების საქმეს აკეთებდნენ.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ნაციონალიზმის შხამით მოწამლავდა ხალხთა გონებას, ეროვნებათა ბრძოლის ასპარეზზე გადაჰყავდა მრავალეროვანი ხალხები, ნაციონალურ-ორგანიზაციულ და „კულტურულ" ზღუდეებს აღმართავდა მუშებს შორის, ხელოვნურად ქმნიდა და ამაგრებდა იმ საზღვრებს, რომლებიც მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პროცესში ინგრეოდა და არავისათვის საჭირო არ იყო.

კერძოდ, ამიერკავკასიისათვის კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ნიშნავდა, რომ ავტონომია ენიჭებოდა ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ტერიტორიის გარეშე, იმის მიუხედავად, თუ ამიერკავკასიის რომელ კუთხეში იცხოვრებდნენ ისინი. ამ ყბადაღებული „თეორიის" მიხედვით საქართველოში უნდა შექმნილიყო სულ მცირე სამი ავტონომია — ქართველებისა, სომხებისა და აზერბაიჯანელებისა. ასევე სომხეთი და აზერბაიჯანი უნდა დანაწილებულიყო ნაციონალურად გამიჯნულ თვითმმართველ კორპორაციებად, რომლებიც ცარიზმის საყრდენებზე ხელუხლებლად „მოაწესრიგებდნენ" თავიანთ „კულტურულ" (ენის, სკოლის და სხვ.) საქმეებს.

კულტურულ-ნაციონალური ავტონომია იყო ლიბერალური ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ანარეკლი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ენის საკითხს, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 604.

[2] იქვე.

ლიბერალები უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები: ცალ ხელს (აშკარად) უწვდიან დემოკრატიას და მეორე ხელს (ზურგს უკან) — მეფის მთავრობას და პოლიციას. „ყ ვ ე ლ ა ერის ბურჟუაზია, „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგით ს ი ნ ა მ დ ე ი ლ ე შ ი ატარებს მუშების დაქუცმაცებას, დემოკრატიის დასუსტებას, მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ“[1].

ამ პერიოდში ლენინი გაძლიერებით მუშაობდა ეროვნულ საკითხზე. ველიკორუსული შოვინიზმის თარეში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის ყველა სფეროში, ნაციონალიზმის გაძლიერება ჩაგრული ერების ბურჟუაზიასა და წვრილბურჟუაზიულ ფენებს შორის, ბუნდელებისა და ლიკვიდატორების (მათ რიცხვში კავკასიელი ლიკვიდატორების) გამოსვლები „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ლოზუნგით. ყოველივე ეს იმის საფრთხეს ქმნიდა, რომ ერთა შორის გაღვივებულიყო მტრობა, რომელსაც შეეძლო დაერღვია პროლეტარიატის რიგების ინტერნაციონალური ერთიანობა. ამიტომ ბოლშევიკების წინაშე მთელი სისრულით დადგა ამოცანა — გაენადგურებინათ ნაციონალიზმი ყველა მისი გამოვლინებით, თეორიულად დაესაბუთებინათ მარქსისტული პროგრამა ეროვნულ საკითხში.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა. მან დაწერა მთელი რიგი სტატიები და პროგრამული შრომები („კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“, „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და სხვ.), რომლებშიაც გააფართოვა ეროვნული საკითხის სფერო, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა დაუკავშირა იმპერიალიზმის დამხობის ამოცანას, დაასაბუთა, რომ ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ ნიშნავს ერთა გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. ამასთანავე ლენინმა ჩამოაყალიბა ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია აყენებდა ეროვნულ საკითხში: ყველა ერისა და ენის სრული თანასწორუფლებიანობა, ფართო საოლქო ავტონომია, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა.

საოლქო ავტონომია წამოყენებულ იქნა საოლქო თვითმმართვე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 418.

ლობების მაგივრად, რომელიც პარტიის პროგრამაში რსდმპ II ყრილობაზე იქნა შეტანილი. საოლქო ავტონომია უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა ხალხებს, ვიდრე საოლქო თვითმმართველობა, რადგან სამეურნეო-ადმინისტრაციული ფუნქციებისაგან განსხვავებით, რასაც საოლქო თვითმმართველობა შეიცავდა, საოლქო ავტონომიას ენიჭებოდა საკანონმდებლო ფუნქციები. ეროვნულ საკითხში ჩვენი პარტიის პროგრამის გაფართოება იმას ნიშნავდა, რომ პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს, უაღრესად მხურვალე მზრუნველობას იჩენდა ცარიზმის მიერ ჩაგრული ერების მშრომელებისადმი.

ჰქმნიდა რა ეროვნულ საკითხში ახალი ვითარებისათვის საჭირო პროგრამას, ვ. ი. ლენინი ცდილობდა ამ საქმეში ჩაება პარტიის გამოჩენილი მუშაკები, რომელთაც ნაციონალურ-პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნდათ და ეროვნული საკითხის დამუშავებაშიც სერიოზული წვლილი ჰქონდათ შეტანილი. ასეთ მუშაკთა რიცხვს მიეკუთვნებიან ი. ბ. სტალინი, ს. შაუმიანი, ფ. მახარაძე და სხვები.

ი. ბ. სტალინი 1912 წლის ბოლო თვეებში ორჯერ ჩავიდა ლენინთან კრაკოვში და პარტიის ბელადისაგან მითითებები მიიღო ბოლშევიკების წინაშე წამოჭრილი ამოცანების შესახებ ახალ რევოლუციურ აღმავლობასთან დაკავშირებით.

1912 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) ლენინი პეტერბურგში მყოფ ვასილიევს (სტალინს) უგზავნის წერილს, რომელშიც იძლევა დავალებას, რომ 9 იანვრის წლისთავთან დაკავშირებით მომზადდეს ფურცელი „სამი ძირითადი რევოლუციური ლოზუნგის (რესპუბლიკა, 8-საათიანი სამუშაო დღე და მემამულეთა მიწის კონფისკაცია) აღნიშვნით. ამასთანავე მიუთითებს, რომ ფურცელში „განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი „ქვეყნის შემარცხვენელი“ რომანოვთა დინასტიის 300 წლისთავს“[1]. დეკემბერში ი. ბ. სტალინმა 9 იანვრის წლისთავთან დაკავშირებით მართლაც, დაწერა ფურცელი „რუსეთის ყველა მუშას და მუშა ქალს!“, რომელიც 1913 წლის იანვრის დამდეგს გამოიცა ცალკე პროკლამაციად. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „1913 წლის 9 იანვარს ჩვენ ისე კი არ შევხვდებით, როგორც

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 522.

ქედმოხრილი, დამცირებული მონები, არამედ შევხვდებით წელში გამართულნი, — როგორც იმ მებრძოლთა შემჭიდროებული არმია, რომლებიც გრძნობენ, რომლებმაც იციან, რომ კვლავ იღვიძებს ხალხური რუსეთი, რომ კონტრრევოლუციის ყინული დამსხვრეულია, რომ კვლავ დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე, რომ „ჩვენ მოგვყვება ახალ მებრძოლთა მწყობრი"[1].

1912 წლის დეკემბრის ბოლოს ი. ბ. სტალინი მეორედ ჩავიდა კრაკოვში და მონაწილეობა მიიღო 1913 წელს „თებერვლის" თათბირში, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია „ნაციონალიზმის გზით (წერილი კავკასიიდან)", რომელიც 1913 წლის 25 (12) იანვარს დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ დემოკრატში". აღნიშნულ სტატიაში ი. ბ. სტალინმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კავკასიელი ლიკვიდატორების ეროვნული „პროგრამა" და დაასაბუთა, რომ კავკასიელი ლიკვიდატორების მობრუნება ნაციონალიზმისაკენ შემთხვევითი კი არა, არამედ სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო. იგი მიუთითებდა, რომ კავკასიელმა ლიკვიდატორებმა საქმე დაიწყეს პროგრამა-მინიმუმის „სოციალური ნაწილის" გაუქმებით, შემდეგ გააუქმეს „პროლეტარიატის ჰეგემონია", არალეგალური პარტია გამოაცხადეს ლეგალურ ორგანიზაციებთან არსებულ დამხმარე ორგანიზაციად. „ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი რამაა, — აღნიშნა ი. ბ. სტალინმა, — ახლა ჯერი ნაციონალურ საკითხზე მიდგა"[2].

ამავე პერიოდში, ი. ბ. სტალინმა დაწერა ცნობილი სტატია „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი", რომელშიც ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით ღრმად არის დამუშავებული ბოლშევიკური პარტიის თეორია და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, მკაცრად არის გაკრიტიკებული ყოველგვარი გადახრები ამ მხრივ, გაკრიტიკებული და დაგმობილია ეგრეთ წოდებული ავსტრიული სკოლის თეორია და პრაქტიკა, ბუნდელთა და მათ კავკასიელ თანამოაზრეთა საქმიანობა. შრომაში ნათლადაა მითითებული, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რომელიც უვარგისი იყო საერ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 285.

[2] იქვე, გვ. 308.

თოდ, კიდევ უფრო უაზრო და სულელური იქნებოდა კავკასიის პირობების თვალსაზრისით, რადგან კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობდა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით, რომელთა გარეშე ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავდა, უაზრობად იქცეოდა. მაგრამ კავკასიაში იყვნენ მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განუვითარებელი ენა ჰქონდათ და მშობლიურ ლიტერატურას მოკლებული იყვნენ; იყვნენ ისეთი ხალხებიც, რომლებიც ნაწილობრივ ასიმილაციას განიცდიდნენ, ნაწილობრივ შემდგომ ვითარდებოდნენ, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია კი ასეთ ხალხებს მხედველობაში არ იღებდა. იგი ამწვავებდა და ხლართავდა ეროვნულ საკითხს, ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს მუშების ეროვნებათა მიხედვით განკერძოებისათვის, მათ შორის შუღლის წარმოქმნისათვის.

უჩვენა რა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის სრული უვარგისობა, ი. ბ. სტალინმა ამ შრომაში ლენინიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მიუთითა იმ უპირატესობაზე, რასაც შეიცავდა ტერიტორიული საოლქო ავტონომია, რომელიც ჩვენს პარტიას მიაჩნდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმად სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ი. სტალინის სტატია ამასთანავე მიუთითებდა, რომ, კერძოდ, კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმა იქნებოდა კავკასიის საოლქო ავტონომია, რომლის უპირატესობა წინააღმდეგ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისა ის იყო, რომ მას შეეძლო ჩამორჩენილი ერები ჩაება საერთო-კულტურულ განვითარებაში, დახმარებოდა მათ მოეშორებინათ ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობა, წინ წაეწია ისინი და გაეადვილებინა მათთვის უმაღლესი კულტურის საფეხურზე ასვლა.

ი. ბ. სტალინის აქტიური მოქმედება ამჯერად შეუნიშნავი არ დარჩენია ცარიზმს და 1913 წლის 23 თებერვალს ის კვლავ დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ სტალინმა გადასახლებაშიც განაგრძო მუშაობა ეროვნულ საკითხზე და დაწერა სტატიები: „ნაციონალური მოძრაობა და მისი განვითარება“, „ომი და ნაციონალური საკითხი“, რის შესახებაც აცნობებს საზღ-

ვარგარეთულ პარტიულ ცენტრს[1]. ეს სტატიები, რომლებიც გადასახლებაში მყოფმა სტალინმა ლენინს გაუგზავნა, დააკავა მეფის ცენზურამ და დღემდე არაა აღმოჩენილი.

ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ი. ბ. სტალინის შრომას „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, დაახასიათა იგი როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი მარქსისტულ თეორიულ ლიტერატურაში და გადაჭრით წინ აღუდგა „პროსვეშჩენიეს“ რედაქციის ზოგიერთი წევრის განზრახვას სადისკუსიოდ ჩაეთვალათ ეს ნაშრომი და ამით ეპვის ქვეშ დაეყენებინათ უდავო მარქსისტული დებულებანი. „რა თქმა უნდა, ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ, — წერდა ლენინი ამის გამო, — სტატია ძ ა ლ ი ა ნ კ ა რ გ ი ა. საკითხი აქტუალურია და ჩვენც ოდნავადაც არ დავუთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელ არამზადებს“[2]. ამავე საკითხზე, როცა სტატიის ავტორი უკვე დაპატიმრებული იყო, 1913 წლის მარტში, ლენინი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციას სწერდა: „... აჭ საშინელი დაპატიმრებებია. კობა წაყვანილია... კობამ მოასწრო დიდი სტატიის დაწერა („პროსვეშჩენიეს“ სამი ნომრისთვის) ნაციონალურ საკითხზე. კარგია! უნდა ვიბრძოლოთ ჭეშმარიტებისათვის ბუნდელი და ლიკვიდატორი სეპარატისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ“[3].

ამავე დროს ვ. ი. ლენინმა თვითონაც გააჩაღა ბრძოლა კავკასიელი ნაციონალისტ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

1913 წლის 28 ნოემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ“, ლენინი აღნიშნავს, რომ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, რასაც თავგამოდებით იცავდნენ კავკასიელი მენშევიკები, არის „დახვეწილი ნაციონალიზმი“[4], რომელიც რუსეთში მიიღეს მხოლოდ ებრაელების ბურჟუაზიულმა პარტიებმა, სხვადასხვა ერის წერილბურჟუაზიული მემარცხენე ნაროდნიკული პარტიების კონფერენციამ (1907 წელს),

---

[1] Исторические записки. Издательство Академии наук СССР, № 30, 1949, გვ. 102.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 708.

[3] იქვე.

[4] იქვე.

მარქსისტებთან ახლო მდგარ ჯგუფთა მეშჩანურმა, ოპორტუნისტულ-მა ელემენტებმა და ლიკვიდატორებმა. „შემთხვევითი როდია, — წერს შემდეგ ლენინი, — რომ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მ ხ ო ლ ო დ ნაციონალიზმით შეპყრობილი ნახევრად ლიკვიდატორი ჩხენკელი და წვრილი ბურჟუა კერენსკი ლაპარაკობდნენ „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე"[1]. ლენინმა „შორიახლო სოციალ-დემოკრატი" უწოდა მენშევიკ ჩხეიძეს, რომელიც, შედიოდა რა IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკურ შვიდეულში, „როდესაც ლიკვიდატორული და ანტილიკვიდატორული პრესა ყალიბდებოდა (1911 წელი და 1912 წლის დამდეგი), ... ა რ ყ ო ფ ი ლ ა ა რ ც ა ქ, ა რ ც ი ქ"[2], ე. ი. ჩხეიძემ აიღო საშუალო ხაზი, რაც იმ ვითარებაში ნიშნავდა ბრძოლას ბოლშევიკური ექვსეულის წინააღმდეგ და დიდი დახმარების აღმოჩენას ლიკვიდატორებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის. როდესაც ჩხეიძის დაცვას ლიკვიდატორმა გოლოსოემა მოჰკიდა ხელი, ლენინმა კვლავ გაილაშქრა ჩხეიძისა და მისი დამცველის წინააღმდეგ და ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერა სტატია „ცუდი საქმის ცუდი დაცვა", რომელშიც ნიღაბი ახადა იმ უპრინციპო ბრძოლას, რასაც სათათბიროში მენშევიკური შვიდეული ბოლშევიკური ექვსეულის წინააღმდეგ აწარმოებდა.

ლიკვიდატორებთან ეროვნულ საკითხზე კამათში ლენინი სპეციალურად ეხება ნ. ჟორდანიას გამოსვლებს და ასაბუთებს, რომ მას ლიკვიდატორობა სოციალიზმიდან ნაციონალიზმისაკენ ეწეოდა. სტატიაში „კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით" ლენინმა გაანადგურა ჟორდანიას ყველა საბუთი და დაიცვა პარტიის პროგრამის მე-8 პუნქტი, რომელიც აღიარებდა ენათა სრულ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას, სასტიკად გმობდა „სასკოლო საქმის ერებისათვის გადაცემას", „ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფას". „ჩვენ არ გვინდა პროგრამის დარღვევა. ჩვენ არ გვინდა ნაციონალიზმს სოციალიზმი შევუგუოთ, — წერდა ლენინი, — ...ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები (ლენინს ზევით მოყვანილი აქვს ამონაწერი ჟორდანიას სტატიიდან, რომელიც მოითხოვდა ერების მიხედვით სკოლების დაყოფასა და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 604—605.

[2] იქვე, გვ. 525.

ეროვნებათა გამიჯვნას სახალხო განათლების სფეროში. — ვ. ს.) ნათლად ააშკარავებს, თუ ბ-ნ ანს როგორ აშორებს ლიკვიდატორობა სოციალიზმს და აახლოებს ნაციონალიზმს"[1].

მაგრამ ვ. ი. ლენინმა არ ჩათვალა საკმარისად ეს სტატიები, მოინდომა უფრო მაგრად მოეკიდა ხელი კავკასიელი ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმისათვის და ამ მიზნით მასალების შეგროვებას შეუდგა. აი რას სწერდა ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1913 წლის 24 აგვისტოს ასტრახანში გადასახლებულ ს. შაუმიანს: „აუცილებლად გამომიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში (რაკი თქვენ, ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, არ შეგიძლიათ თვითონ დაწეროთ) და კ ო ს ტ რ ო ვ ი ს სტატია და მისი წიგნები, დელეგატების მოხსენებები რუსულ ენაზე თარგმანით (იმედია იშოვნით ვინმეს, რომ დაავალოთ) და კავკასიის ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა და მასალა ეროვნებათა ურთიერთობაზე კავკასიაში, სპარსეთში, თურქეთსა და რუსეთში, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც არის და რის შეგროვებაც შეგიძლიათ, გამოგზავნეთ. არ დაგავიწყდეთ აგრეთვე მ ო ძ ე ბ ნ ო თ კავკასიელი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ სტატიები ეროვნულ საკითხზე კავკასიაში"[2].

იმავე წლის 7 სექტემბერს ს. შაუმიანმა ვ. ი. ლენინს შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „ღრმად პატივცემულო ვლადიმერ ილიას ძე! გიგზავნით დაპირებულ ბროშურებსა და ორი მოხსენების თარგმანს სომხების საქმეთა შესახებ. ერების სტატისტიკას გამოგიგზავნით. საერთო ციფრები, რომლებიც მე ახლა შემიძლია გაცნობოთ — იმის მსგავსი, რომ მუსლიმანები არიან 5 მილიონი, სომხები — 2 მილიონი, ქართველები — 2 მილიონი და სხვ., თქვენთვის, რასაკვირველია, არ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გვქონდეს სტატისტიკური მონაცემები ცალკე ქალაქების (თბილისი, ბაქო, ბათუმი, ელისაბედპოლი და სხვ.) მიხედვით ნაციონალური შემადგენლობის შესახებ, აგრეთვე მაზრებისა და გუბერნიების მიხედვით. ამ ციფრების პოვნა მე ვფიქრობ შეიძლება „კავკაზსკი კალენდარში",

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 659—660.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 99.

რომელსაც ყოველწლიურად სცემს კავკასიის მეფისნაცვალი. როგორც კი ამ კალენდარს მივიღებ, ან ამოვკრებ ამ ციფრებს ან გამოგიგზავნით მთლიანად". ამავე წერილში ს. შაუმიანი ვ. ი. ლენინს აცნობებს, რომ კავკასიაში ეროვნულ საკითხზე და სხვა მრავალ საკითხზე მისთვის „მნიშვნელოვანი იქნება კავშირი ფილიპე მახარაძესთან, ბაქოს ქართულ გაზეთ „წყაროს" რედაქტორთან". თუ მასთან დაკავშირება უშუალოდ ვერ შეძლოთ, — ნათქვამია წერილში, — ეს შეიძლება მოხდეს ჩემი ან აბელის[1] საშუალებით"[2].

1913 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პორინინოში (კრაკოვის ახლოს) ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შედგა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირი პარტიულ მუშაკებთან ერთად, რომელმაც, ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი პარტიის წინაშე მდგომ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ეროვნულ საკითხზეც. თათბირმა აღნიშნა, რომ შავრაზმული ნაციონალიზმის თავაშვებულებამ, ეროვნული ტენდენციების ზრდამ ლიბერალურ ბურჟუაზიასა და ჩაგრულ ეროვნებათა ზედაფენებში, ეროვნული საკითხი თვალსაჩინო ადგილას დააყენა. თათბირის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი, მიუთითებდა ერთიანი სახელმწიფო ენის გაუქმების აუცილებლობასა და ყველა ერისა და ენის თანასწორუფლებიანობაზე როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის უმთავრეს ფაქტორზე, მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფაზე სკოლებით, სადაც სწავლება მოეწყობოდა ადგილობრივ ენებზე, ისეთი კონსტიტუციის შემუშავებაზე, რომელიც სავალდებულო წესით დაადგენდა, რომ გაუქმებულიყო ერთი ერის ყოველგვარი პრივილეგია და აღკვეთილიყო ეროვნული უმცირესობის უფლებათა ყოველნაირი დარღვევა.

„განსაკუთრებით აუცილებელია, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — ფართო საოლქო ავტონომია და სავსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა ისე, რომ თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვრები დადგინდეს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლო-

---

[1] იგულისხმება ა ბ ე ლ ე ნ უ ქ ი ძ ე.

[2] Г. С. А к о п я н, Переписка В. И. Ленина и С. Туманяна по национальному вопросу, журн. «Вопросы Истории», № 8, 1956.

ბისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ"[1]; თათბირმა სასტიკად გააკრიტიკა „კულტურულ-ნაციონალური" ავტონომია და მიუთითა, რომ „მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს მოცემული სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად—პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებად". თათბირმა დაიცვა ცალკეულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება და პარტიულ ორგანიზაციებს მიუთითა, რომ შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხთან. „ეს უკანასკნელი საკითხი, — ნათქვამი იყო რეზოლუციაში, — სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თვითეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით"[2].

ეს იყო ეროვნულ საკითხში ბოლშევიკური პარტიის გაშლილი პროგრამა. იგი მკვეთრად დაუპირისპირდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ანტიმარქსისტულ თეორიასა და ყველა სხვა პროგრამებს, რომლებიც გაანგარიშებული იყვნენ მშრომელთა ერთიანობის გასათიშავად. ამ პროგრამამ ბოლშევიკებს ჩაგრულ ხალხთა დიდი სიმპათია მოუპოვა, რამაც მკვეთრად იჩინა თავი ჩაგრული ერების მშრომელ ხალხთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით.

1913 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინმა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის „ზაფხულის" თათბირის რეზოლუციები გაუგზავნა ს. შაუმიანს თხოვნით—გასცნობოდა მათ და ეცნობებინა მისთვის თავისი შეხედულებანი რეზოლუციაში აღძრულ საკითხებზე. შაუმიანის საპასუხო წერილი ლენინის ამ წერილზე ჯერჯერობით ცნობილი არაა, მაგრამ ლენინის შემდგომი წერილიდან ჩანს, რომ შაუმიანი არ დაეთანხმა მას სახელმწიფო ენის, საოლქო ავტონომიისა და

---

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწილი I, 1954, გვ. 397.

[2] იქვე, გვ. 398.

სხვა საკითხებში, რომელთაც მაშინ ჩვენი პარტიის პროგრამისათვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდათ. შაუმიანი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ენას „ჰქონდა და ექნება დიდი პროგრესული მნიშვნელობა". მაგრამ მან მხედველობიდან გაუშვა, რომ სახელმწიფო ენას — რუსეთის იმპერიის სინამდვილეში რუსულ ენას — მეფის მთავრობა ძალით ნერგავდა ადგილობრივ ენათა აღმოფხვრის მიზნით. ამ მომენტს სერიოზული ყურადღება მიაქცია ვ. ი. ლენინმა და თავის მორიგ წერილში შაუმიანისადმი აღნიშნა: „რუსულ ენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უამრავი წვრილი და ჩამორჩენილი ერისთვის — ეს უდავოა. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას მეტი პროგრესული მნიშვნელობა ე ქ ნ ე ბ ო დ ა, იძულება რომ არ ყოფილიყო?"[1] ამავე წერილში ლენინი იმოწმებს „პრავდაში" გამოქვეყნებულ თავისივე სტატიას, რომელშიც მან შემდეგი სიტყვებით გამოხატა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დემოკრატიული გზა: „სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, — წერდა ლენინი, — არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე. ი. მათი სახელმწიფო გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი, დემოკრატიული გზით..."[2]

როგორც ვ. ი. ლენინის ამავე წერილიდან ჩანს, შაუმიანი იცავდა აგრეთვე პარტიაში უკვე მოძველებულ შეხედულებას საოლქო თვითმმართველობაზე და არ ცნობდა საოლქო ავტონომიას, ამასთანავე არ ხედავდა განსხვავებას გამოყოფის უფლებასა და გამოყოფის აუცილებლობას შორის. თავის პასუხში ლენინმა დაასაბუთა, რომ „ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ჩვენი გეგმა"[3]. ამავე დროს, ლენინმა მკვეთრად განასხვავა „გამოყოფის უფლება" და ფაქტიური გამოყოფა. „გამოყოფა სრულიადაც არ არის ჩვენი გეგმა, — აღნიშნა ლენინმა, — ჩვენ სრულიად არ ვქადაგებთ გამოყოფას. საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამოყოფისა. მაგრამ ჩვენ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ თ გამოყოფის **უფლებისა**..."[4].

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა რუსეთში მომუშაკე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 596.

[2] იქვე, გვ. 419.

[3] იქვე, გვ. 598.

[4] იქვე.

ამხანაგებთან მიმოწერას. „უნდა იცოდეთ, — აღნიშნავდა ლენინი იმავე წერილში შაუმიანისადმი, — რომ ჩემს მდგომარეობაში საშინლად აფასებს ადამიანი ამხანაგების აზრს რუსეთიდან, განსაკუთრებით დაკვირვებული და ამ საკითხით დაინტერესებული ამხანაგებისას. ამიტომ თქვენ რომ მალე გამომეხმაურეთ, ეს ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. უფრო ნაკლებ დაშორებულად გრძნობ თავს, როცა ასეთ წერილებს იღებ"[1].

1913—1914 წლებში ს. გ. შაუმიანმა, იმყოფებოდა რა ბაქოში, სომხურ ენაზე გამოსცა ბროშურა „ეროვნულ-კულტურული ავტონომიის შესახებ", რომელიც წარმოადგენდა პასუხს სომეხი ბურჟუაზიული ნაციონალისტის დ. ანანუნის (ან-ნის) სტატიაზე „ეროვნული საკითხი და დემოკრატია". ვ. ი. ლენინმა, როცა გაიგო აღნიშნული ბროშურის გამოსვლა, წერილი გაუგზავნა ს. შაუმიანს და ურჩია, რომ ამ ბროშურის შესახებ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მიეცა ავტორის ცნობა ან შინაარსი „პროსვეშჩენიეში". „გირჩევთ კიდევ შემდეგ გეგმას, — წერს ვ. ი. ლენინი, — „კულტურულ-ეროვნული ავტონომისტების" სისულელესთან საბრძოლველად საჭიროა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ"[2]. აქვე ლენინი იძლევა ისეთი გეგმის მონახაზს, რომელიც მოითხოვს სავალდებულო წესით უკლებლივ ყველა ადგილას ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებას პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ყველა ერის თანასწორუფლებიანობის დაწესებას, საერთო-სასკოლო საბჭოების არჩევას დემოკრატიულ საწყისებზე, თვითეული მოქალაქის უფლების აღიარებას — აღძრას საქმე სასამართლოში მშობლიურ ენაზე, აგრეთვე მიიღოს პასუხი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილი იყო მიმართვა და ა. შ. და დაასკვნის: „ვფიქრობ, რომ ამ გზით შეიძლება პოპულარულად განვმარტოთ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის სისულელე და საბოლოოდ მოვკლათ ამ სისულელის მომხრეები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც. ტ. 19, გვ. 596.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამომც., ტ. 35, გვ. 135.

კანონპროექტი შეიძლება შეიმუშაონ რუსეთის ყველა, ან ძალიან ბევრი, ერის მარქსისტებმა.

მომწერეთ ახლავე თანახმა ხართ თუ არა დამეხმაროთ"[1].

არ არის ცნობილი, ს. შაუმიანმა შეძლო თუ არა ამ საკითხში დახმარების აღმოჩენა ვ. ი. ლენინისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ კანონპროექტის გეგმა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო წერილში ს. შაუმიანისადმი, შემდეგში საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილ „პროექტს კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ"[2], რომელიც ბოლშევიკურ ფრაქციას უნდა შეეტანა სახელმწიფო სათათბიროში. აღსანიშნავია, რომ ამ ძვირფასი დოკუმენტის ერთი პირი ლენინის დავალებით გამოგზავნილ იქნა თბილისშიც ქართველი კომუნისტებისათვის გასაცნობად (ამჟამად ინახება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივში). დოკუმენტი ლენინის დავალებით გამოგზავნა მ. დავითაშვილმა, რომელიც იმ დროს პარიზში იმყოფებოდა და დაკავშირებული იყო ლენინთან[3].

აღნიშნული კანონპროექტის შეტანა სათათბიროში არ მოხერხდა, მაგრამ ეს ძვირფასი ლენინური დოკუმენტი თავის დროზე წარმოადგენდა ბასრ იარაღს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მქადაგებელთა წინააღმდეგ, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის პირობებში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4, გამოც., ტ. 35, გვ. 136.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4, გამოც., ტ. 20, გვ. 336—339.

[3] მ. დავითაშვილი თავის წერილებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ხშირად აცნობდა ლენინის მითითებებსა და დავალებებს. ერთ მის წერილში აღნიშნულია, რომ მან „გადაწყვიტა წერილი და ლენინის მიერ დაწერილი „პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ" გაუგზავნოს ფ. მახარაძეს და ამას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ თავის ადრესატსაც—მ. ტოროშელიძეს თხოვდა თავის მხრივ მასაც გაეგზავნა ამ საკითხზე წერილი ფ. მახარაძისათვის, რათა ეს უკანასკნელი უფრო „ხალისიანად გამოხმაურებოდა". „მაგას დიდი მნიშვნელობა ექნება, — წერდა მ. დავითაშვილი. — კარგი იქნება ლადოსთან (ამ სახელით დავითაშვილი იხსენიებს ვ. ი. ლენინს—ვ. ს.) პირდაპირი მიწერ-მოწერა დავაქვრინოთ. მაგის პოზიციას ილიჩი აუცილებლად უნდა გაეცნოს რაც შეიძლება დაწვრილებით" (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, მ. დავითაშვილის ფონდი).

ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლის შედეგად შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნა ამიერკავკასიის პროლეტარიატის ინტერნაციონალური დარაზმულობა.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირმა, რომელიც 1913 წლის იანვარში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეიკრიბა, მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების საქმეში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობა ჩათვალა სანიმუშოდ. თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ“ ნათქვამია: „თათბირი დაჟინებით მოუწოდებს რუსეთის ყველა ეროვნების მუშებს უაღრესად გადაჭრით გაუწიონ წინააღმდეგობა რეაქციის მებრძოლ ნაციონალიზმს, ებრძოლონ ნაციონალისტური სულისკვეთების ყველა და ყოველგვარ გამოვლენას მშრომელ მასებში და უმჭიდროესად შეაკავშირონ და შეაერთონ სოციალ-დემოკრატი მუშები ადგილებზე რსდმ პარტიის ერთიან ორგანიზაციებად, რომლებიც ეწევიან მუშაობას ადგილობრივი პროლეტარიატის თვითეულ ენაზე და ნამდვილად ანხორციელებენ ერთიანობას ქვემოდან, როგორც ეს დიდი ხანია წარმოებს კავკასიაში“[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ინტერნაციონალურ წყობასა და ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის სხვადასხვა ერის მშრომელთა ურთიერთთან ძმური თანამშრომლობის ფაქტს ვ. ი. ლენინი თვლიდა ეროვნული საკითხის პროლეტარულ გადაწყვეტად და ამ ფაქტს ხშირად იმოწმებდა როგორც ნიმუშს, სხვებისათვის მისაბაძ მაგალითს.

მაგალითად, მოხსენებაში „თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა“, რომელიც 1913 წლის 18 აპრილს კრაკოვში იქნა წაკითხული, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენთვის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს კავკასიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ერთ და იმავე დროს ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე“[2]. იმავე წლის მაისში ა. მ. გორკისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი, ხაზს უსვამდა რა ეროვნული საკითხის აქტუალობასა და ამ საკითხში პარტიის შეიარაღების აუცილებლო-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. I, 1954, გვ. 375—376.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 37.

ბას აღნიშნავდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ა თ წ ე ლ ი წ ა დ ზ ე მ ე ტ ხანს[1] მუშაობდნენ ე რ თ ა დ ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა"[1].

ამავე საკითხზე 1913 წლის 8 მაისს სტატიაში „სეპარატისტები რუსეთში და სეპარატისტები ავსტრიაში" ვ. ი. ლენინი გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე წერდა: „მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში"[2].

1913 წლის ივნისში ვ. ი. ლენინმა დაწერა „თეზისები ნაციონალურ საკითხზე", რომლის საფუძველზე 9, 10, 11 და 13 ივლისს წაიკითხა რეფერატები შვეიცარიის ქალაქებში — ციურიხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში. თეზისებში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი იმ მუშაობის განზოგადებას, რომელიც ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთიანობისათვის გასწიეს. ლენინი იმოწმებს სტოკჰოლმის (მეხუთე) ყრილობის დადგენილებას და ყველა ორგანიზაციისაგან მოითხოვს დაგმონ ფედერაციის პრინციპი და მხარი დაუჭირონ ტერიტორიულ ავტონომიას, ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას ადგილებზე. „ეს პრინციპი, — წერს ლენინი, — მრავალი წელიწადია ტარდება კავკასიაში, ტარდება ვარშავაში (პოლონელი მუშები და რუსი ჯარისკაცები), ვილნოში (პოლონელი, ლატვიელი, ებრაელი, ლიტველი მუშები), რიგაში...

რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშები პოლონეთისაც, ლატვიის მხარისაც და კავკასიისაც წინანდებურად დგანან ტერიტორიული ავტონომიისა და ყ ვ ე ლ ა ერის სოციალ-დემოკრატი მუშების ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს თვალსაზრისზე"[3].

იმპერიალისტური ომის წინა დღეებში, 1914 წლის ივლისში, ბრიუსელის თათბირზე, რომელიც საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა ბოლშევიკებისა და ლიკვი-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 76.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 19, გვ. 84.
3 იქვე, გვ. 289.

დატორების „შესარიგებლად“ მოიწვია, ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის სახელით წარდგენილ მოხსენებაში ლენინმა მოითხოვა დაგმობა ეროვნულ-ებრაული სეპარატიზმისა ბუნდის მხრივ, რომელიც უარს ამბობდა განეხორციელებინა ადგილებზე ს.-დ. მუშების ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპი, „ის პრინციპი, რომელიც ასე ბრწყინვალედ არის ნაცადი კავკასიაში 1898 წლიდან“[1].

ამიერკავკასიის მაგალითზე პრაქტიკულად გამოიცადა მუშების ინტერნაციონალური შეკავშირების პრინციპი, როგორც აუცილებელი პუნქტი ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად.

ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მთელი ისტორია იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ მეგობრულად მუშაობდნენ და იბრძოდნენ აქ სხვადასხვა ეროვნების მშრომელები. ურთიერთანამშრომლობისა და ერთად ბრძოლის ტრადიცია მტკიცედ დაინერგა თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ელისაბედპოლში, ალექსანდროპოლში. ეს იყო ის საფუძველი, რამაც 1905 წელს შესაძლებელი გახადა მეფის მთავრობის მიერ ბაქოში, თბილისსა და ელისაბედპოლში პროვოკაციულად გამოწვეული ეროვნული შუღლის უსწრაფესად ჩაქრობა, ამავე მიზეზებმა განაპირობეს იმპერიალისტებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების მიერ 1919—1920 წლებში გამოწვეული ეროვნული შუღლის მავნე შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია.

ბოლშევიკების პარტიის ინტერნაციონალური წყობა ძირითადი პირობა იყო, რამაც უზრუნველყო ამიერკავკასიის მრავალეროვანი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ყველა ეროვნების მუშებსა და გლეხებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

* * *

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის მონაწილე თვითეული ქვეყნის მშრომელთა ინტერესს ამ ომში წარმოადგენდა საკუთარი იმპერიალისტური მთავრობის დამხობისათვის ბრძოლა. სწო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 20, გვ. 642.

რედ აქეთკენ მოუწოდებდნენ ბოლშევიკები მშრომელებს. იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე ბოლშევიკებმა წამოაყენეს „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ ლოზუნგი. მაგრამ მენშევიკები, ისევე როგორც II ინტერნაციონალის ოპორტუნისტები, იმპერიალისტური ომის წლებში სოციალ-შოვინისტებად იქცნენ. სოციალ-შოვინისტები, მათ შორის რუსი მენშევიკები და ესერები, ქადაგებდნენ ქვეყნის შიგნით მუშების კლასობრივ ზავს ბურჟუაზიასთან, ხოლო თავისი ქვეყნის გარეთ ომს სხვა ხალხების წინააღმდეგ. ისინი ატყუებდნენ მასებს, არ ეუბნებოდნენ მათ, თუ ნამდვილად ვის მიუძღოდა ბრალი ომის წარმოშობაში და აცხადებდნენ, რომ მათი ქვეყნის ბურჟუაზია ამ მხრივ უდანაშაულოა.

მენშევიკები სოციალ-შოვინისტთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდნენ. ეს იყო „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ლოგიკური შედეგები, რადგან აღნიშნული თეორია ტოვებდა ხვრელებს, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის მარქსისტულ ლოზუნგს აქცევდა „ანექსიების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღიდან ანექსიების გამართლების იარაღად“[1].

ომის დაწყებისთანავე ქართველი მენშევიკების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ მოწოდებით მიმართა მენშევიკურ პარტიას „სამშობლოს საკეთილდღეოდ“ ომში მონაწილეობის მიღების შესახებ. იგი ძოიოთხოვდა, რათა IV სახელმწიფო სათათბიროს ხმა მიეცა სამხედრო კრედიტების დამტკიცებისათვის. 1915 წლის 4 ოქტომბერს ახალ სენაკში (ახლა ქალაქი მ. ცხაკაია) მოწვეულ იქნა ქართველ მენშევიკთა კონფერენცია, რომელიც სავსებით დაადგა მემამულეებისა და ბურჟუაზიის იმპერიალისტური პოლიტიკის დაცვის თვალსაზრისს. ომმა სავსებით გამოააშკარავა, რომ ფორმალური და მორევნებითი იყო ქართველი მენშევიკების „წინააღმდეგობა“ ისეთ „სოციალისტურ“ და „დემოკრატიულ“ პარტიებთან, როგორიც იყვნენ „დაშნაკცუთუნი“ და „მუსავატი“. ომის საკითხში, ისე როგორც შემდეგ. მთელ რიგ სხვა საკითხებშიც, ისინი სავსებით ერთნაირ თვალსაზრისს ადგნენ.

„სომხეთის ნაციონალურმა ბიურომ“, რომელსაც დაშნაკები მეთაურობდნენ, ნიკოლოზ მეორეს დეკლარაციით მიმართეს დარ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 161.

დანელის დაპყრობის თაობაზე. დაშნაკები შეიარაღებულ რაზმებს ადგენდნენ და მეფის არმიის დასახმარებლად რუსეთ-თურქეთის ფრონტზე გზავნიდნენ. ცარიზმისადმი დახმარება გააძლიერეს მუსავატელებმაც. მუსავატელების ლიდერი რასულ-ზადე იმპერიალისტური ომის წლებში აგიტაციას ეწეოდა „ჩვენი საერთო სამშობლოს— რუსეთის ბედ-იღბალზე“, „პატიოსან მიზნებსა“ და „მგზნებარე პატრიოტიზმის“ გრძნობებზე. „ჩვენ ყველა მოქალაქესთან ერთად, — წერდა ის ერთ-ერთ სტატიაში, — უწინარეს ყოვლისა რუსეთს ვუსურვებთ წარმატებასა და გამარჯვებას“.

თვითმპყრობელობა ბურჟუაზიის დახმარებით შეეცადა იმპერიალისტური ომი ხალხისათვის მოეჩვენებინა როგორც „საყოველთაო-სახალხო ომი“. ყუმბარებით, ზარბაზნებით, თოფებით, ვაზხებით ფრონტის მომარაგების გასაუმჯობესებლად იგი ქმნიდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებს, ხოლო ბურჟუაზია, რათა ხელი შეეწყო ხსენებული კომიტეტების მუშაობისათვის, აარსებდა „მუშათა წარმომადგენლების ჯგუფებს“ ამ კომიტეტებთან. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იყო თვალი აეხვიათ მუშებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ „სამშობლოს დაცვისათვის“ ბეჯითად ემუშავათ — გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება, მეტი საჭურველი და საომარი მასალა დაემზადებინათ. მენშევიკები, ისე როგორც დაშნაკები და მუსავატელები, სიხარულით შეეგებნენ ბურჟუაზიის ამ წამოწყებას და ყოველმხრივ დაეხმარნენ მას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებთან „მუშათა ჯგუფების“ ორგანიზაციის საქმეში.

ასრულებდნენ რა მუშათა კლასში ბურჟუაზიის გავლენის გამტარებელთა როლს, საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალისტურ-ნაციონალისტური პარტიები გამცემლურად დადიოდნენ ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ჭიათურისა და სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოებში და „ამშვიდებდნენ“ იმპერიალისტური ომით აღშფოთებულ მუშებს, მოუწოდებდნენ მათ ენერგიულად ემუშავათ თვითმპყრობელობის „თავდაცვითს“ საწარმოებში.

იმპერიალისტური ომის წლებში გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა დამატებითმა გადასახადებმა, მოუსავლიანმა წლებმა და ომში გლეხობის მასობრივმა გაწვევამ. გლეხობაში ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით პროტესტის ხმა ძლიერდებოდა, გლეხობა ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ გამოსვლი-

სათვის ემზადებოდა, მაგრამ ნაციონალისტური პარტიები სოფლადაც განაგრძობდნენ თვითმპყრობელობისადმი სამსახურს, მემამულეთა მხარეზე გამოდიოდნენ. მემამულეებისაგან მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ ამ უკანასკნელთ „ძალიან მკაცრად“ არ დაესაჯათ გლეხები და „კულტურული ზომებისათვის“ მიემართათ. მენშევიკური გაზეთი „ფიქრი“ გლეხებს ურჩევდა გადამწყვეტი ზომები კი არ მიეღოთ მემამულეთა წინააღმდეგ, რომლებიც მათ აწიოკებდნენ, სარჩო-საბადებელს ართმევდნენ, არამედ მათაც, გლეხებსაც, „კულტურული ზომებისათვის“ მიემართათ—განცხადებები შეეტანათ მეფის მთავრობის დაწესებულებებში, თუნდაც გაზეთის საშუალებით[1].

ბოლშევიკები ამხილებდნენ მენშევიკების ყოველგვარ ცდებს—დაემორჩილებინათ მუშები და გლეხები ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესებისათვის, ჩაებათ ისინი თვითმპყრობელობის თავდაცვითს ორგანიზაციებში. იბრძოდნენ რა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშების მონაწილეობის წინააღმდეგ, ბოლშევიკები მუშებს ამჭიდროებდნენ თავიანთი ორგანიზაციების ირგვლივ.

ვ. ი. ლენინის მითითებით და ს. შაუმიანის და ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით 1915 წლის ოქტომბერში ბაქოში ჩატარდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირი, რომელმაც მიმართულება მისცა კავკასიის ბოლშევიკების მთელ მუშაობას იმპერიალისტური ომის წლებში. თათბირმა განიხილა ომისა და მიმდინარე მომენტის, აგრეთვე ეროვნული საკითხი, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირა კავკასიის ეროვნებათა ურთიერთთანამშრომლობის საკითხს.

თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ომისა და მიმდინარე მომენტის შესახებ აღნიშნული იყო, რომ „ამჟამად საყოველთაოსახალხო ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მეფის მონარქიის დასამხობად და მისი შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით“. გზა ამ მიზნისაკენ, როგორც რეზოლუცია მიუთითებდა, იყო მეფის მონარქიის დამარცხება და „გარდუვალი სამოქალაქო ომი“[2].

ეროვნულ საკითხზე ბაქოს თათბირის მიერ მიღებულ რეზოლუ-

---

1 გაზ. „ფიქრი“, № 9, 1914.

2 საქ. სსრ ცსია, ფ. 2, ს. 3671, ფურც. 13.

ციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იმპერიალისტური ომის პერიოდში ამიერკავკასიის გაბატონებული კლასები გაძლიერებით აღვივებდნენ შუღლს ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. როგორც წინათ, ამჟამადაც მათ სურდათ მასების ყურადღება ჩამოეცილებინათ მზარდი რევოლუციური მოძრაობისაგან. აურაცხელი სამხედრო მოგებითა და აღვირახსნილი სპეკულაციით უსაზღვროდ გამდიდრებულ სომეხ ბურჟუაზიას იმპერიალისტური ომის წლებშიც განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი. ამის გამო აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ქართველი და მუსლიმანი თავადაზნაურობა, „რომლებიც მიჩვეული იყვნენ კავკასიაში რუსული ხელისუფლების პირველი ლაქიების როლს... და ურთიერთშორის ბლოკის შეკვრით ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ სომხებისათვის“...[1] ამ წმინდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჭიდილში ნაციონალისტური პარტიები, ერთი მხრივ, დაშნაკები, რომლებიც აშკარად გამოხატავდნენ სომხეთის ბურჟუაზიის ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, მუსავატელები და მენშევიკები, რომლებიც მუსლიმანი და ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების დამცველთა როლში გამოვიდნენ, ითრევდნენ მასებს და ცდილობდნენ ამიერკავკასია მოძმე ერების ბრძოლის ასპარეზად გადაექციათ.

ნაციონალისტური პარტიების ვერაგ მიზნებს — „თავიანთი“ ბურჟუაზიის გავლენაში მოექციათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პროლეტარიატი და „თავისივე“ ბურჟუაზიის საამებლად წაეჩხუბებინათ ისინი — ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს ინტერნაციონალიზმის ნაცადი დროშა. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბაქოს თათბირი თავისი რეზოლუციით ეროვნულ საკითხზე, რომელშიც კვლავ გმობდა წინათ არაერთხელ გაკიცხულ „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას“, პარტიის ყველა წევრს აიარაღებდა ბოლშევიკური ეროვნული პროგრამის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შეგნებით. თათბირის მიერ მიღებული რეზოლუცია ურჩევდა პარტიის ყველა წევრს უპირველეს ყოვლისა უფრო ფართოდ გაეცნო ეროვნულ საკითხზე არსებული პარტიული ლიტერატურა (ლენინის სტატია „ერთა თვითგამორკვევის უფლების

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 2, ს. 3671, ფურც. 16.

შესახებ“ და სტალინის შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“)[1].

თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიისა და მემამულეებისადმი მენშევიკების მონურ სამსახურს ყველგან უპირისპირდებოდა ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი სასტიკი რეპრესიებით უმასპინძლდებოდა რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და გლეხებს, მათ ხელმძღვანელებს, ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ფართოვდებოდა. რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ამიერკავკასიის ბოლშევიკების მეთაურობით ფეხზე დგებოდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა ამიერკავკასიის პროლეტარიატი და გლეხობა. იზრდებოდა საგაფიცვო მოძრაობა საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში.

1913 წლის 5 ივნისს დაიწყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელიც 55 დღეს გაგრძელდა. გაფიცვაში 10 000 კაცი მონაწილეობდა. მუშები მოითხოვდნენ 8-საათიან საშუშაო დღეს, კვირა და უქმე დღეებში მუშაობის გაუქმებას, ბავშვთა შრომის აკრძალვას, ხელფასის გადიდებას, საცხოვრებელი ბინების აშენებას და სხვ.

ხელისუფალნი იძულებული იყვნენ შეეცვალათ თავიანთი გადაწყვეტილება გაფიცვის სამხედრო ძალით ჩახშობის შესახებ და წინადადება მისცეს შახტის მფლობელთ დაეკმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნები. ამ დღეს საგაფიცვო ბიურომ გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიც აღნიშნა მუშების შესანიშნავი გამარჯვება და მოაგონა მუშებს, რომ მათი ძალა ერთობასა და სოლიდარობაშია.

ჭიათურის სამთამადნო მრეწველობის მუშათა გაფიცვიდან ცოტა ხნის შემდეგ გაიფიცნენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროთა მუშები, რომლებმაც მოითხოვეს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება. მიუხედავად რეპრესიებისა, მუშებმა მიაღწიეს ხელფასის 10 პროცენტით მომატებას და 9-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას.

სულ 1913 წელს საქართველოში გაფიცული იყო 15 ათასი კაცი.

1914 წელს გაფიცვები საქართველოში კიდევ უფრო გახშირდა, გაზაფხულზე გაფიცვებმა მოიცვეს საქართველოს თითქმის ყველა

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 2, ს. 3671, ფურც. 14.

სამრეწველო ცენტრი (თბილისი, ბათუმი, ჭიათურა, ტყიბული, ფოთი და სხვ.).

1916 წელს ამიერკავკასიის მუშებმა პოლიტიკური გაფიცვებით აღნიშნეს 9 იანვრისა და ლენინის მუშების დახვრეტის წლისთავი. პროლეტარიატის ბრძოლამ უმაღლეს დონეს მიაღწია ოქტომბერში, როდესაც მუშები ყველგან გამოდიოდნენ ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა", „ძირს ომი".

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის მუშათა კლასი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუდამ გამოდიოდა როგორც რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. პირველი მსოფლიო ომის წინ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბაქოს მუშების გაფიცვა. 1914 წლის ივნისში ბაქოში გაფიცული იყო 29 ათასი მუშა. ბაქოს მუშების გაფიცვას მეთაურობდა საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც რსდმპ (ბ) ბაქოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად გაფიცულები გამოდიოდნენ ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!" „გაუმარჯოს სოციალიზმს!" იმპერიალისტური ომის წლებში ბაქოს პროლეტარიატი კვლავ რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში იმყოფებოდა.

1915 წელს ბაქოში აღრიცხული იყო 14 გაფიცვა; 1916 წელს გაფიცულთა რიცხვმა 12 ათას კაცს გადააჭარბა. ნუხაში გაფიცული იყვნენ ძაფსახვევი ფაბრიკის მუშები. თბილისში ამ დროს გაფიცვაში მონაწილეობდნენ ტრამვაის, თამბაქოს და ტყავის ფაბრიკების მუშები, ტყიბულში კი—ქვანახშირის მაღაროების მუშები. გაიფიცნენ აგრეთვე ჭიათურის, ფოთის, ბათუმის, სოხუმის, სამტრედიისა და სხვა ქალაქების მუშები.

ომის გამოცხადების დღიდან ყველა რკინიგზა გასამხედროებული იყო და ოხრანკისა და პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. რკინიგზელები სამხედრო რეჟიმის მეტისმეტად მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. მაგრამ ვერც მოსყიდვამ, ვერც მთავრობის რეპრესიებმა, ვერც მენშევიკების გამცემლობამ ვერ შეაჩერეს რკინიგზელი მუშების გარევოლუციურება. ბოლშევიკები დიდ საგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მათ შორის. დეპოსა და მთავარი სახელოსნოების მუშებმა უკვე 1915 წლის ოქტომბერში მოაწყვეს გაფიცვა და პოლიტიკური მოთხოვნებით გამოვიდნენ. ეკო-

ნომიური ბრძოლის პოლიტიკურ ბრძოლად გადაზრდის მაგალითი თბილისის ტრამვაის მუშებმა გვიჩვენეს. თბილისის ტრამვაის მუშების მიერ 1916 წლის 1 მაისისათვის გამოშვებულ მოწოდებაში ნათქვამი იყო:

„...გავიფიცოთ 1 მაისს... ამ დღეს მუშები უარს ამბობენ მუშაობაზე და ერთდღიურ გაფიცვას აცხადებენ. ასე ხდება საზღვარგარეთ, ასე ხდება მთელს რუსეთსა და კავკასიაში. ჯერი თქვენზეა, ამხანაგებო! შარშანდელი გაფიცვით ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჩვენმა მტრებმა ქედი მოიხარეს მუშათა საქმისათვის ჩვენი ერთსულოვანი გამარჯვების წინაშე... ამხანაგებო, ჩვენ ვერ გავჩუმდებით, როდესაც მთელი რუსეთი გაფიცულია პეტერბურგისა და მოსკოვის მუშების მეთაურობით. ჩვენ ვერ გავხდებით მუშათა საერთო საქმის მოღალატენი. გავიფიცოთ, ამხანაგებო. რუსი მუშების სასიხარულოდ და მჩაგვრელი კაპიტალისტებისათვის შიშის ზარის დასაცემად"[1].

ქალაქად მუშათა კლასში და სოფლად გლეხებს შორის ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფრონტზე მიმდინარე მუშაობასთან. ბოლშევიკური სულისკვეთებით გამსჭვალულ მუშებს, რომლებიც საწარმოებში გაფიცვებს ხელმძღვანელობდნენ ან მასში მონაწილეობდნენ, აგრეთვე გლეხებს, რომლებიც მემამულეებთან და მთავრობის ადგილობრივ ორგანოებთან ურჩობას ეწეოდნენ, თვითმპყრობელობა რიგგარეშე გზავნიდა ფრონტზე. ამ ღონისძიებამ რევოლუციური განწყობილება გადადო ჯარისკაცებს. ჯარისკაცებად გაგზავნილი მუშები და გლეხები პროპაგანდას ეწეოდნენ თვითმპყრობელობის სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ გაზეთებს, პროკლამაციებს, ფურცლებს. ბოლშევიკების მიერ ფრონტზე გაჩაღებული მუშაობის შედეგი იყო, რომ ამიერკავკასიაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბანაკებული ჯარისკაცები იყვნენ ყველაზე რევოლუციური ელემენტები.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ენერგიული მეცადინეობით რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ თურქეთის ფრონტის ჯარისკაცები, რომელთა შორის ათეულ ათასობით იყვნენ რუსები, ქართველე-

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 63, ს. 2763.

ბი, სომხები, აზერბაიჯანელები და ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლები. უკვე 1916 წელს ამიერკავკასიაში დაბანაკებული ჯარის თითქმის ყველა ნაწილში შექმნილი იყო მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ ჯარისკაცებს და რაზმავდნენ მათ რეაქციული სამხედრო ოფიცრობის წინააღმდეგ.

თურქეთთან ბრძოლების პერიოდში თბილისი ლაზარეთებით იყო მოფენილი. ეს ლაზარეთები გადააქციეს ბოლშევიკებმა საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის მთავარ უბნებად. ლაზარეთებიდან ფრონტებზე გაწერილ ჯარისკაცებს მიჰქონდათ ბოლშევიკური განწყობილება, დავალებები, ფურცლები. ბოლშევიკები ფართო მუშაობას აჩაღებდნენ ფრონტის გადამწყვეტ უბნებზედაც. გამოჩენილი ბოლშევიკი ა. ჯაფარიძე რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობას ეწეოდა ტრაპეზუნდის წითელი ჯვრის საზოგადოებაში, რომელიც ფრონტის რამდენიმე უბანთან იყო დაკავშირებული. ირანში — ხოის, დილმანის, შერენხანესა და ურმიის პროვინციებში შექმნილი იყო პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თბილისის ბოლშევიკებთან. აღსანიშნავია, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ დილმანში შექმნილ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. დიდი გავლენა მოიპოვეს ბოლშევიკებმა აგრეთვე შერენხანეში. ბოლშევიკების მუშაობის შედეგად 1916 წელს, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიის მუშათა კლასისა და გლეხობის მღელვარება ყოველთვის პოულობდა ჯარისკაცებში გამოხატულებას. ეს იყო ცარიზმისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ საერთო-სახალხო შეტევის დასაწყისი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების ამ პერიოდის თანმიმდევრული ინტერნაციონალური მუშაობის მაღალი შეფასება მოცემულია გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" ფურცლებზე. 1916 წლის 29 თებერვალს გაზეთი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესახებ წერდა, რომ ისინი „დღევანდელ მძიმე დროსაც კარგად და წარმატებით იცავენ რევოლუციური მარქსიზმის დროშას კავკასიაშიო".

„ჩვენ გვაცნობებენ.—ნათქვამია „სოციალ-დემოკრატის" იმავე სტატიაში, — რომ სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკებმა კავკასიელი ინტერნაციონალისტების — რუსების, ქართველების, სომხებისა და

თათრების სახელით გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიაც გამოთქმულია მათი თვალსაზრისი ომზე. დოკუმენტი „მთლიანად დგას რსდმპ ცკ-ის მანიფესტის ნიადაგზე და, სხვათა შორის, გმობს კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას". „სოციალ-დემოკრატმა" ამ დოკუმენტს უწოდა უაღრესად მნიშვნელოვანი, „რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი სიცხადით".

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საერთო მუშაობის შესახებ „სოციალ-დემოკრატი" წერდა:

„არალეგალური პარტიული მუშაობა ძლიერ იზრდება კავკასიის ყველა კუთხეში.

მოძრაობა იქმნება და მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა ლოზუნგებით... მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა. კავკასიაში ბოლშევიკური მიმდინარეობა შესამჩნევად იზრდება. ისეთი დიდი სამრეწველო ცენტრები, როგორიცაა ბაქო და გროზნო, თითქმის განსაკუთრებით ბოლშევიკური მიმდინარეობის ჰეგემონიაში იმყოფებიან.

თბილისსა და რამდენიმე სხვა პუნქტში ბოლშევიკები მცირე გავლენით როდი სარგებლობენ. მოწყობილია არალეგალური სტამბები, იბეჭდება ფურცლები და მოწოდებები"[1].

ბოლშევიკების უდიდესი მუშაობის შედეგად 1917 წლის იანვარსა და თებერვალში გაიფიცნენ ბაქოს სარეწების მუშები. ამ გაფიცვას თანაგრძნობით შეხვდა ამიერკავკასიის პროლეტარიატი. მან დიდი გამოხმაურება პოვა სოფლებში და ფრონტებზე. იგრძნობოდა ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მოახლოება.

ბაქოს მუშების იანვარ-თებერვლის გმირული გამოსვლები გადაიქცა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისად.

* * *

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც მეფის

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", № 51, 1916.

მთავრობის დამხობის შემდეგ შეიქმნა, „განაგრძობდა იმპერიალისტურ ომს. ახორციელებდა ანტიხალხურ პოლიტიკას. მას არ სურდა და არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მუშებისა და გლეხების სასიცოცხლო საჭიროებანი“[1]. კერძოდ, საქართველოში კაპიტალისტები და მემამულეები ძველებურად განაგრძობდნენ ბატონობას და მუშებისა და გლეხების მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა.

მიუხედავად ამისა, თებერვლის რევოლუცია დიდი პროგრესული მოვლენა იყო. დაამხო რა მეფის მთავრობა, რომელიც დიდი ხანია აფერხებდა რუსეთის ხალხთა განვითარებას, თებერვლის რევოლუციამ დაამთავრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი ეტაპი და გზა გაკაფა მეორე ეტაპზე გადასვლისათვის — სოციალისტური რევოლუციისათვის. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იატაკქვეშეთიდან გამოვიდა ბოლშევიკური პარტია და სათავეში ჩაუდგა მშრომელ მასებს რევოლუციის მეორე ეტაპზე გამარჯვების მოპოვებისათვის. თუმცა პარტია მაშინ მეტად მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ იგი ერთადერთი ჩაუდგა სათავეში პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოღვიძებული მრავალმილიონიანი მშრომელი მასების ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიაში „წესრიგის დასამყარებლად და მხარის მოსაწყობად“ 1917 წლის 9 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა სახელმწიფო სათათბიროს 5 წევრი მემარჯვენე კადეტ ხარლამოვის თავმჯდომარეობით. „დემოკრატიიდან“ ამ კონტრრევოლუციურ მთავრობაში შეყვანილ იქნა სახელმწიფო სათათბიროს წევრი მენშევიკი ა. ჩხენკელი, რომელიც როგორც მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ბეჯითად ემსახურებოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასების ინტერესებს.

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავის (1917—1957)“, თბილისი, 1957, გვ. 8, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

1917 წლის 6-დან 10 მარტამდე ამიერკავკასიის ყველა დიდ ქალაქში — ბაქოში, თბილისში, ბათუმში და სხვაგან შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებშიც დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა მენშევიკებმა, ესერებმა და სხვა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა დაიკავეს. ცარიზმმა დაარბია ბოლშევიკური ორგანიზაციები, დააპატიმრა და გადაასახლა მისი ხელმძღვანელები, ხოლო მოსახლეობის ყველაზე რევოლუციური ნაწილი, რომელიც რეპრესიებს გადარჩა, ჯარში გაიწვია და ფრონტზე დაქსაქსა. ყოველივე ეს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს — მენშევიკებს, ესერებს, ფედერალისტებს და სხვ., რომლებსაც თავიანთ ოპორტუნისტულ შეხედულებათა გამო მეფის ოხრანკის კლანჭები არ შეხებიათ. ისინი თავისუფლად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ობორონცულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში, საერობო კავშირებში, ქალაქის გამგეობებში და ა. შ. ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მასების თვალში ეს წვრილბურჟუაზიული პარტიები ჯერ კიდევ არ იყვნენ სავსებით ნიღაბახდილი, მათ მოახერხეს დეპუტატთა ადგილების დატაცება საბჭოებში.

ვ. ი. ლენინი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიის მოსვლას ხელისუფლების სათავეში ორი მიზეზით ხსნიდა: პირველი მიზეზი ის იყო, რომ გამოიღვიძეს და პოლიტიკას დაეწაფნენ პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანები. ესენი მეტწილად იყვნენ წვრილი მეპატრონეები, გლეხები, გლეხთა წრიდან ახლახან გამოსული მუშები, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შუა მდგომი ადამიანები. „გიგანტურმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, — ამბობს ლენინი, — წალეკა ყველაფერი, დათრგუნა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი რიცხვით, არამედ იდეურადაც, ესე იგი მუშათა ძალიან ფართო წრეებს გადასდო წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე და მოიცვა ისინი ამ შეხედულებებით"[1]. მეორე მიზეზად ლენინს მიაჩნდა პროლეტარიატის არაასაკმაო შეგნებულობა და ორგანიზებულობა რევოლუციის დასაწყისში. ომის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით პროლეტარიატის შემადგენლობაში. კადრის მუშათა დაახლოე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 53.

ბით 40 პროცენტი მობილიზებული იყო არმიაში. ომის წლებში მობილიზაციისაგან თავის არიდების მიზნით, საწარმოებში მოხვდა ბევრი წვრილი მესაკუთრე, შინამრეწველი, მედუქნე, რომელთათვისაც პროლეტარული ფსიქოლოგია უცხო იყო. ეს მიზეზები კიდევ მეტი ძალით მოქმედებდნენ ამიერკავკასიაში, სადაც რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან შედარებით მუშათა კლასი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს, რომელიც მუდამ იდგა რევოლუციური ბრძოლების ავანგარდში, სუსტი იყო.

ამრიგად, ისე როგორც რუსეთში, ამიერკავკასიაშიც შეიქმნა ორხელისუფლებიანობა: ერთი მხრივ, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა რუსეთის დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას და, მეორე მხრივ, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც მათი მენშევიკურ-ესერული უმრავლესობით ბრმად მიჰყვებოდნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კონტრრევოლუციურ გზას.

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა — მენშევიკებმა, ესერებმა, დაშნაკებმა, მუსავატელებმა ყველა ზომა მიიღეს, რათა მასების ყურადღება გადაეტანათ „კლასობრივ ზავზე“ და „საერთო-ეროვნულ“ დაწესებულებათა შექმნაზე, შეეცადნენ ერთა თვითგამორკვევის უფლება გაესაღებინათ როგორც ხელისუფლების დაპატრონებისადმი ბურჟუაზიის „წმინდა“ უფლება. ამ მიზნით, ისევე როგორც რუსი მენშევიკები და ესერები, ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის საშინაო (მუშათა და გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება) და საგარეო (იმპერიალისტური ომის გაგრძელება) პოლიტიკას. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიებიც (მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები და სხვ.) მხარში ამოუდგნენ საქართველოს თავადაზნაურობის, აზერბაიჯანის და სომხეთის ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველ ახალ ხელისუფლებას — ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს და მიზნად დაისახეს საშინაო პოლიტიკის ხაზით ამიერკავკასიის შრომელი ხალხების ექსპლოატაციის გაძლიერება, ხოლო საგარეო პოლიტიკის ხაზით ომის გაგრძელება „ძლევამოსილ გამარჯვებამდე“. ამ პარტიებმა, როგორც ამბობდა მათში ყველაზე უფრო გავლენიანი პარტიის — მენშევიკური პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანია, თავიდანვე

დასახეს იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი დაქვემდებარებულ ვითარებაში „მუშათა საკითხის“ და „გლეხთა საკითხის“ გადაწყვეტის რეფორმისტული გზა. ამ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ნ. ჟორდანიას განცხადება ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან მოწვეულ თათბირზე 1917 წლის მარტში. „რაც შეეხება მუშათა საკითხს, — ამბობდა ჟორდანია იქ, — მისი გადაწყვეტა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა მიენდოს შემარიგებელ კამერებს. გლეხობის საკითხიც უნდა იქნეს გადაწყვეტილი შეთანხმებით, ესე იგი სოფლებში შემარიგებელი კამერების შექმნით“[1]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ომის გაგრძელების ინტერესებისათვის მუშათა კლასი უნდა შეთანხმებოდა ბურჟუაზიას, გლეხობა— მემამულეებს და მორჩილად ეტარებინათ მათი უღელი.

ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს და ჯარისკაცთა კომიტეტებს მათში მოკალათებული მენშევიკებისა და ესერების გავლენით გამოჰქონდათ მენშევიკური დადგენილებანი ომის გაგრძელებისათვის მხარდაჭერის შესახებ.

უკეთებდა რა ანალიზს თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებას, ვ. ი. ლენინი თავის განთქმულ „აპრილის თეზისებში“ წერდა: „მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მ ე ო რ ე ეტაპზე გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ი, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს“[2].

ამიერკავკასიაში ლენინის მითითებათა საფუძველზე რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები — ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია და სხვები. ისინი ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის „გიგანტური წვრილბურჟუაზიული ტალღისაგან“ (ლენინი), ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ მათი დარაზმვისათვის.

ამიერკავკასიის მშრომელებისათვის მალე ნათელი გახდა, რომ

---

[1] ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მოხსენებები და სიტყვები, 1917, გვ. 6—7.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 24, გვ. 4.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური განსაკუთრებული კომიტეტი ,,შრომელთა ისეთივე დაუძინებელი მტერია, როგორც ცარიზმის სატრაპები იყვნენ. შექმნილ მდგომარეობაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თანდათან ერკვევა მუშათა კლასი. სოფლად გლეხებს შორის და არმიაში ჯარისკაცებს შორის კვლავ გამოცოცხლებას იწყებს რევოლუციური მოძრაობა.

ბოლშევიკების ამოცანა ამ პერიოდში არ იყო აჯანყებისაკენ პირდაპირი მოწოდება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მოცემულ მომენტში საბჭოების ნდობით სარგებლობდა. ბოლშევიკები არ მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის დამხობას, არამედ ცდილობდნენ ახსნა-განმარტებისა და დარწმუნების გზით მოეპოვებინათ უმრავლესობა საბჭოებში, შეეცვალათ საბჭოების პოლიტიკა, ხოლო საბჭოების საშუალებით — მთავრობის შემადგენლობა და პოლიტიკა. ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეზი.

ბოლშევიკებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ამ გეზის განხორციელებაში. მასები მოითხოვდნენ საბჭოების გადარჩევას და ღეპუტატებად ბოლშევიკების არჩევას. მაგრამ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ მიღებულმა რეაქციულმა ზომებმა, კერძოდ, მის მიერ ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის მიმართ სისხლიანმა ანგარიშსწორებამ, ბოლშევიკების დევნამ შეუძლებელი გახადა ამ გეზის შემდგომი განხორციელება და ბოლშევიკებმა კურსი შეცვალეს — შეუდგნენ შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისათვის მზადებას. ბოლშევიკების გავლენით მშრომელმა მასებმა ამოძრავება იწყეს; გაისმა პირველი პროტესტები.

მუშათა კლასის გამოფხიზლების საქმეში ბოლშევიკებს დიდი დახმარება გაუწიეს პროფკავშირებმა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში სწრაფად დაიწყო რევოლუციამდე არსებული პროფესიული ორგანიზაციების აღდგენა და ახლის შექმნა. პროფესიულმა ორგანიზაციებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი მუშათა და მოსამსახურეთა ეკონომიური, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას და ყოველნაირად ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ პროფესიული კავშირები ბურჟუაზიის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტისაგან, შეძლეს გამძვრალიყვნენ მთელ რიგ საწარმოოდაწესებულებათა პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში და შეეცადნენ პროფკავშირები გადაექციათ „ნეიტრალურ" ორგანიზაციად, ხელიდან გამოეცალათ მათთვის მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ძირითადი ფუნქციები.

მუშათა და გლეხთა საბჭოების სამხარეო ყრილობას, რომელიც 1917 წლის 21 მაისს (3 ივნისს) ჩატარდა, მენშევიკებმა სათანადო დადგენილებაც მიაღებინეს, რომელიც კრძალავდა მუშათა კონტროლს წარმოებაზე, მაგრამ ამ დადგენილებამ ვერ შეაჩერა მუშები. ბოლშევიკების გავლენით თბილისის მთელ რიგ საწარმოებში (ტრამვაი, სტამბები და სხვ.) მუშებმა თვითნებურად 8-საათიანი სამუშაო დღე შემოიღეს. ჭიათურის მუშებმა მრეწველებს წარუდგინეს 22 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა და მიაღწიეს მათ დაკმაყოფილებას. ბათუმში პიტოევის იარაღ-შემკეთებელ ქარხანაში, სადაც ბოლშევიკებს ძრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაცია ჰქონდათ, მუშებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს წარმოებაზე.

საქართველოს გლეხობამ ზურგი შეაქცია მოლოდინისა და მოტყუების პოლიტიკას და იწყო მემამულეების მიწების თვითნებური დატაცება.

სოფლად გლეხთა გამოსვლების გახშირებასთან დაკავშირებით მენშევიკები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ გლეხები, რომ ყველა საკითხის გადასაჭრელად შემარიგებელი კამერებისათვის მიემართათ, მაგრამ აგრარული მოძრაობის შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი მოძრაობა გაჩაღდა კავკასიაში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში. თბილისის გარნიზონის ჯარისკაცები განსაკუთრებული ხალისით ესწრებოდნენ მიტინგებს, რომლებიც თბილისში ალექსანდრეს (ახლა კომუნარების) ბაღში იმართებოდა. ბოლშევიკების მიერ წამოყენებული ლოზუნგები —

„ძირს ომი“, „მიწა გლეხებს“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და სხვ. — ჯარისკაცებში მხურვალე გამოძახილს პოულობდა.

საქართველოს ბოლშევიკებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებში პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად და განსამტკიცებლად. პარტიული ორგანიზაციების დიდი გავლენა ჯარისკაცებზე იმით გამოიხატა, რომ ეს უკანასკნელნი თანდათანობით ზურგს აქცევდნენ იმპერიალისტების მოკავშირე ბურჟუაზიულ მთავრობას და ბრძოლას უცხადებდნენ მას. არმიაში ბოლშევიკების გავლენის ზრდა შიშის ზარს სცემდა არა მარტო დროებით მთავრობას, არამედ მათ მოკავშირე მენშევიკებსაც.

ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდობაშიც. მენშევიკებმა თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე შექმნეს ახალგაზრდობის „მარქსისტული ორგანიზაციები“, რომლებიც მენშევიკური პარტიის კვალს მისდევდნენ. ახალგაზრდობა ამ ორგანიზაციებში პოლიტიკურად იხრწნებოდა, ეჩვეოდა ბურჟუაზიისა და მემამულეებისადმი მლიქვნელურ სამსახურს. ბოლშევიკების ამოცანას შეადგენდა ახალგაზრდობის განთავისუფლება ამ ორგანიზაციების გავლენისაგან, ზრუნვა მათი შეგნებულობის ამაღლებისათვის, მათგან ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის რეზერვების მომზადება.

ახალგაზრდებს შორის მუშაობა განსაკუთრებით გაფართოვდა პარტიის VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც სპეციალური რეზოლუცია მიიღო ამ საკითხზე. VI ყრილობამ აუცილებლად ჩათვალა ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნა და მათზე პარტიის იდეური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება. ეს რეზოლუცია 1917 წლის 21 აგვისტოს დაიბეჭდა „კავკაზსკი რაბოჩში“, 25 აგვისტოს „ბრძოლაში“ და იგი საფუძვლად დაედო ახალგაზრდებს შორის შემდგომ მუშაობას საქართველოში.

მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოში აღდგენილ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციები. მათ მრავალი ახალი წევრი შეემატა. ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია შეიქმნა თბილისში, სადაც ყოველდღიური მუშაობა უხდებოდათ პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძეს, ა. მიქოიანს, ს. ქავთარაძეს, ა. ათარბეგოვს და სხვებს.

პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა რსდმპ (ბ) VI ყრილობის შემდეგ, რომელმაც ამოწურულად ჩათვალა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობანი და კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე.

პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებისა და მხარის ერთიანი ცენტრის შექმნის ინიციატივა ხელში აიღეს რსდმპ (ბ) თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა. 22 აგვისტოს თბილისის კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ბაქოს კომიტეტიდან ა. ჯაფარიძე ესწრებოდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კავკასიის სამხარეო ყრილობის მოწვევის შესახებ.

კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 2 (15) ოქტომბერს და მისი მუშაობა გაგრძელდა 7 (20) ოქტომბრამდე. საქართველოდან ყრილობას ესწრებოდნენ თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხიდისთავ-ერკეთის პარტიული ორგანიზაციების მიერ წარგზავნილები, აგრეთვე მეტყვიამფრქვეველთა ასეულის და სხვა დელეგატები.

ყრილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს მენშევიკებთან დამოკიდებულების მკაცრი განსაზღვრა. ეს საკითხი ყრილობამ განიხილა იმასთან დაკავშირებით, რომ მენშევიკების ყრილობამ, რომელიც თბილისში ამ ყრილობის პარალელურად მიმდინარეობდა, წინადადებით მიმართა ბოლშევიკების ყრილობას „გაერთიანებისა და შეთანხმებული მუშაობის შესახებ". მენშევიკები ხედავდნენ, რომ დრო ბოლშევიკების სასარგებლოდ მუშაობდა, რომ მენშევიკები თავიანთ დაპირებათა სისტემატური შეუსრულებლობის გამო თანდათან კარგავდნენ მშრომელი მასების ნდობას და ამიტომ შეეცადნენ ბოლშევიკების მზარდი ავტორიტეტი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ყრილობამ გადაჭრით გაილაშქრა მენშევიკებთან „გაერთიანების" ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ და „ცალკეული ორგანიზაციე-

ბისა და ჯგუფების“ კომუნისტურ პარტიასთან შეერთების უმთავრეს პირობად აღიარა „გადაჭრით კავშირის გაწყვეტა ობორონცელობასთან“[1].

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად ისტორიაში საფუძველი ჩაუყარა იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებას, შექმნა პირობები სოციალისტური ერების წარმოქმნისა და გაფურჩქვნისათვის.

საქართველოს მშრომელი მასები აღფრთოვანებული შეეგებნენ ოქტომბრის რევოლუციას. ამ მსოფლიო-ისტორიული მოვლენის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისში, ბათუმში, ფოთში, საქართველოში დაბანაკებული ჯარის ნაწილებში შედგა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებმაც მოითხოვეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება[2]. აღფრთოვანებული შეეგებნენ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებიც.

მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში, როცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება დიდი რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე შეუჩერებლივ ვრცელდებოდა, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას წინ აღუდგნენ კონტრრევოლუციის დიდი ძალები, რომლებმაც რევოლუციის წინააღმდეგ შექმნეს ბურჟუაზიისა და მემამულეთა ინტერესების გამომხატველი კონტრრევოლუციური ბლოკი.

1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიაში მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერის ე. გეგეჭკორის მეთაურობით შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიციური მთავრობა — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელშიც გარდა მენშევიკებისა შევიდნენ ესერების, მუსავატელებისა და დაშნაკების წარმომადგენლები. ამ „მთავრობის“ ერთ-ერთმა თათბირმა, რომელსაც უცხოელი იმპერიალისტების წარმომადგენლებიც

---

[1] რსდმპ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო ყრილობის რეზოლუციები, თბილისი, 1917, გვ. 15.

[2] გ. სიხარულიძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 22.

ესწრებოდნენ, მიიღო გადაწყვეტილება, რათა არ ეცნო სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლება ამიერკავკასიაში.

მთელ ამიერკავკასიაში დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

1917 წლის 4 ნოემბერს თბილისში შეიქმნა ქართული ბურჟუაზიულ-მემამულური ეროვნული საბჭო. შეძლებული კლასების წარმომადგენელთაგან შეიქმნა აგრეთვე რუსული, სომხური, თურქული, ბერძნული, ოსური და სხვა ეროვნული საბჭოები, ხოლო მათი საქმიანობის კოორდინაციისათვის — საეროვნებათაშორისო საბჭო. ამ საბჭოებმა დაიწყეს შეიარაღებული ბანდების მომზადება რევოლუციურად განწყობილი მასების წინააღმდეგ.

ამიერკავკასია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადაიქცა. აქ იყრიდნენ თავს რუსეთის ცენტრებიდან გამოქცეული ანტისაბჭოთა ძალები, დამარცხებული ექსპლოატატორული კლასების წარმომადგენლები. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა კომისარიატმა კავშირი შეჰკრა საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტრებთან — თეთრგვარდიელ გენერლებთან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიასა და დონში მოქმედებდნენ, იკისრა მათი ბანდებისათვის დახმარების აღმოჩენა სურსათით, ტანსაცმლითა და იარაღითაც კი. ამასთანავე იგი შეუდგა „ეროვნული თავდაცვისათვის“ ეროვნული პოლკების შექმნას. მაგრამ არც თეთრგვარდიელი გენერლების დასახმარებლად და არც თავისი პოლკებისათვის მას საკმაო იარაღი არ გააჩნდა. ამიტომ იარაღის შოვნის მიზნით 1918 წლის იანვრის დასაწყისში ამიერკავკასიის კომისარიატისა და მენშევიკური პარტიის ლიდერების ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის პირდაპირი განკარგულებით გაუგონარი ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი: თავიანთი ბანდების საშუალებით მათ სადგურ შამქორთან მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებზე, რომლებიც თურქეთთან საზავო მოლაპარაკების შემდეგ რუსეთში ბრუნდებოდნენ. ამ მხეცური აქტით რამდენიმე ათასი ჯარისკაცის სიცოცხლე იქნა მოსპობილი.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატის გვერდით შეიქმნა ამიერკავკასიის

კონტრრევოლუციური სეიმი, რომელიც ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების მიერ გარეკილი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა (ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.). ამასთანავე მზადდებოდა თაღლითური ნაბიჯი — სეიმისათვის ხელისუფლების გადაცემა, რაც მხოლოდ იმისათვის იყო გამოგონებული, რომ საბოლოოდ გაეფორმებინათ საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა და ხელისუფლების უკანასკნელი ნაშთები წაერთმიათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის. სეიმის ხელში ძალაუფლების „გადასვლის“ სამზადისი აღინიშნა ბოლშევიკური გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩის“ აკრძალვითა და დარბევით, ხოლო სეიმის გახსნის დღე—1918 წლის 10 თებერვალი — ალექსანდრეს (ახლანდელი 26 კომისრის სახელობის) ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვრეტით. ეს მიტინგი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს და ტარდებოდა ლოზუნგით — „ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორული სეიმი“.

1918 წლის 2 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატი და ამიერკავკასიის სეიმი გერმანია-თურქეთის სარდლობასთან სრული თანხმობით ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად“ იქცა, რომელშიც პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შევიდნენ მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების წარმომადგენლები. მაგრამ სახელის გამოცვლამ ვერ დაფარა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ კონტრრევოლუციურ ბლოკში არსებობდა. ჯერ კიდევ „ფედერაციის“ შექმნამდე „საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებში“ საქართველოს „ეროვნული საბჭო“ ფარულად უთანხმდებოდა გერმანიის სარდლობას, ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები—თურქთა სარდლობას. ამ „შეთანხმებებში“ უკვე იყო მოცემული ინტერესთა ის წინააღმდეგობა, რომელიც შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურმა მთავრობებმა ძმათა სისხლისმღვრელ ბრძოლებად გადააქციეს.

შინაგან წინააღმდეგობათა გამო ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი ფედერაცია“ თავისი არსებობის 35 დღის შემდეგ დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს გერმანიის კონსულის თანდასწრებით შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა ქართველი მენშევიკების

მეთაურობით. 27 მაისს თურქეთის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტით დაარსდა აზერბაიჯანის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა მუსავატელების ხელმძღვანელობით, 28 მაისს იმავე თურქეთის მთავრობასთან კონსულტაციის ნიადაგზე შეიქმნა სომხეთის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა დაშნაკების მეთაურობით.

გერმანია-თურქეთის იმპერიალისტები დაინტერესებული იყვნენ ამიერკავკასიის დაქუცმაცებით, ამიერკავკასიაში სუსტი სახელმწიფოების შექმნით, რადგან ეს მათ გაუადვილებდა ამ მხარის, განსაკუთრებით ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებას და ამიერკავკასიის გადაქცევას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების შექმნის შემდეგ ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ძველ „საქმეს“ — ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, დაემატა ახალი „საქმე“ — ბრძოლა ერთმანეთს შორის. „ნაციონალური სიძულვილი, ურთიერთინტრიგები, ურთიერთძარცვა და მოტყუება დაშნაკების, მუსავატელებისა და მენშევიკების პოლიტიკური სიბრძნის საფუძველი გახდა“[1].

ამიერკავკასიის სამივე ნაციონალისტური მთავრობა მიისწრაფოდა თავისი საზღვრების გაფართოებისაკენ ერთმანეთის ტერიტორიების მიტაცების გზით.

ამ მიზეზების გამო დაიწყო ძმათამჭელტი ომი, რომელმაც თავისი სიმკაცრითა და ბარბაროსული მეთოდებით დაჩრდილა თვითმპყრობელობის მიერ 1905 წელს მოწყობილი საშინელებანი.

სისხლიან ბრძოლებთან ერთად წარმოებდა გააფთრებული შოვინისტური პროპაგანდა. სამივე „დემოკრატიული რესპუბლიკის“ გაზეთები აივსო ნაციონალისტური და შოვინისტური წერილების ნიაღვრით, რომლებიც წამლავდნენ მუშებისა და გლეხების გონებას. მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ყოველგვარ ბინძურ მეთოდს მიმართავდნენ ამიერკავკასიის მშრომელებს შორის მტრობისა და სიძულვილის გასაღვივებლად.

ამიერკავკასიის ნაციონალისტური მთავრობების პოლიტიკამ მოშალა ამ ქვეყნების ეკონომიკა, დაარღვია მათ შორის საუკუნეების მანძილზე დამყარებული ურთიერთობა. გაწყდა ამიერკავკასიის ურ-

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 249.

თიერთობა რუსეთთან. ამიერკავკასიის ხალხები ჩრდილო კავკასიის პურით იკვებებოდნენ, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო „რევოლუციური ჩრდილოეთი კავკასია გადაჭრით აცხადებს უარს იმაზე, რომ კონტრრევოლუციური თბილისი ჰკვებოს“[1].

ამიერკავკასიის ხალხებს შორის აიგო სასაზღვრო კორდონები თავისი საბაჟო და შემავიწროებელი სისტემებით, გაწყდა ეკონომიური ურთიერთობა.

მაგრამ კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა ვერ შეძლეს ამიერკავკასიის მშრომელთა დამორჩილება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მშრომელი მასებისათვის უფრო ნათელი გახდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების პოლიტიკის კრახი. ეკონომიური კრიზისის გამწვავება, მუშათა გაღატაკება და უმუშევრობის ზრდა, რაც შედეგად მოჰყვა ამ პარტიების პოლიტიკას, იწვევს რევოლუციური მოძრაობის ზრდას, ბოლშევიკების გავლენის გაძლიერებას ამიერკავკასიის მშრომელებში.

მუშები და ღარიბი გლეხები მალე დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირში და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად შეუძლიათ მათ მიიღონ მიწა, პოლიტიკური თავისუფლება და განთავისუფლდნენ უცხოეთის იმპერიალისტების მონობისაგან. ამით აიხსნება, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკისა და უცხოელ იმპერიალისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ[2].

ბრძოლის ავანგარდში იყო პროლეტარული ბაქო, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ამ ბრძოლაში „ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა“[3].

ოქტომბრის რევოლუციის გავლენა მძლავრად შეიჭრა ამიერ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

[2] მ. ცერცვაძე, ოქტომბრის რევოლუცია და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბილისი, 1954, გვ. 7.

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 66.

კავკასიის სოფლებში, სადაც ისევ ხელუხლებელი იყო ცარიზმის დროინდელი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები. სოფლებში ყველაზე რევოლუციურ ელემენტებს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები წარმოადგენდნენ.

გლეხობის სიძულვილმა მათი საუკუნეობრივი მჩაგვრელებისადმი გამოხატულება პოვა მემამულეთა კარ-მიდამოების მასობრივი განადგურებით და მემამულეთა წინააღმდეგ მიმართული ტერორით.

1918 წლის დასაწყისში შესანიშნავი სიტუაცია შეიქმნა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში ბოლშევიკური აჯანყების მოწყობისათვის. ბაქოს ბოლშევიკებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს ეს სიტუაცია და ს. შაუმიანის, ი. ფიოლეტოვის, ა. ჯაფარიძის, მ. აზიზბეგოვის მეთაურობით 1918 წლის აპრილში მიაღწიეს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ბაქოში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი ამიერკავკასიაში წარუმატებლად დამთავრდა. გერმანელი, თურქი და ინგლისელი ინტერვენტების მოშველიებით ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა დროებით დაამარცხეს ბაქოს კომუნა, სისხლში ჩაახშვეს გლეხთა მასობრივი შეიარაღებული აჯანყებანი საქართველოსა და სომხეთში, მკაცრი რეპრესიული ზომებით დროებით მოახერხეს სისხლიანი დიქტატურის დამყარება[1].

მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღაშფოთა მაშინ ინგლისელი ინტერვენტების მხეცობამ. ესერებისა და მენშევიკების თანამონაწილეობით მათ შეიპყრეს და 1918 წლის 20 სექტემბერს იმპერიალისტის ქვიშრობში მხეცურად დახვრიტეს ბაქოს 26 გმირი კომისარი.

იმპერიალისტების მხეცობით აღშფოთებული ბაქოს პროლეტარიატი ბაქოს 26 კომისრის მხეცური მკვლელობის ნახევარ წლისთავზე, 1919 წლის 20 მარტს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით აწყობს ძლიერ პოლიტიკურ გაფიცვას. ბაქოს პროლეტარიატმა მოწოდებით მიმართა ამიერკავკასიის მშრომელებს, რათა ერთიანი რევოლუციური ფრონტი შეექმნათ დენიკინის წინააღმდეგ, რომელიც თავისი შეფერთხილი ნაწილების აღსადგენად „მო-

---

1 ა. სურგულაძე, ამიერკავკასიის ხალხთა ტრადიციული მეგობრობა, თბილისი, 1958, გვ. 25.

ხალისეებს“ კრებდა. ბათუმის მუშები ერთი პირველთაგანნი გამოეხმაურნენ ბაქოელთა მოწოდებას. თავის მიმართვაში ბაქოს მუშებისადმი ბათუმის მუშათა პროფკავშირის საბჭო წერდა: „ბათუმის პროლეტარიატი, პროფკავშირთა საბჭოს სახით, აღტაცებაში მოჰყავს ბაქოს პროლეტარიატს — ამიერკავკასიაში რევოლუციის ამ დასაყრდენს, მის გმირულ გადაწყვეტილებას — იბრძოლოს იარაღით ხელში შავი რეაქციის, „მოხალისეთა“ არმიის წინააღმდეგ. გულწრფელად გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას და გაძლევთ საზეიმო დაპირებას ყოველმხრივ ხელი შეგიწყოთ და შესაძლებელი დახმარება აღმოგიჩინოთ ამ ბრძოლაში“[1].

მიუხედავად სასტიკი ტერორისა და მუქარისა, რომელსაც მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები მიმართავდნენ, გლეხთა მოძრაობა მთელ ამიერკავკასიაში სულ უფრო იზრდებოდა.

ამიერკავკასიის ნაციონალისტურმა მთავრობებმა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ და დაქირავებულ ჯარებს უსევდნენ სოფლებს, ვერ მოახერხეს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლების ლიკვიდაცია. დუშეთის გლეხთა მძლავრ შეიარაღებულ გამოსვლას, რომელმაც 1918 წლის ზაფხულში მენშევიკური მთავრობის არსებობა კითხვის ქვეშ დააყენა, მოჰყვა ძლიერი გამოსვლა საჩხერეში. საჩხერის რაიონის გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად მენშევიკებს კვლავ დასჭირდათ თავისი არმიის და გვარდიელთა რაზმების გამოყენება. მოძრაობა ისევ გრძელდებოდა რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, სამეგრელოში, საქართველოს სამხრეთ რაიონებში, ოსეთში.

1918 წლის თებერვალში აჯანყდა ლეჩხუმის მთელი მაზრის მოსახლეობა. იმავდროულად დუშეთის რევოლუციურმა გლეხობამ სავსებით განდევნა მენშევიკური ხელისუფლება მაზრიდან, შექმნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ინარჩუნებდა. 1919 წლის ნოემბერში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლის თავზე გურიაში მოეწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები თანდათან მასობრივ ხასიათს იღებდა სომხეთში. დაშნაკურ მთავრობას სომხეთის მშრომელები იმთავითვე სიძულვილით შეხვდნენ. აგვისტო-სექტემბერში

---

[1] გაზ. „ეოლნა“, № 5, 1919.

სომხეთის რიგ მაზრებში იფეთქა გლეხთა გამოსვლებმა. ოქტომბერში მძლავრ შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ნორბაიაზეთის მაზრაში. დაშნაკებმა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნეს მაუზერისტები და რეგულარული ნაწილები. მაზრის კომისარი შეშფოთებული აცნობებდა მუსავატისტური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გლეხობა არ ცნობს მთავრობას, ანიარაღებს ჯარის ნაწილებს, რომ აჯანყების ჩაქრობას ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს, და თხოულობდა ზარბაზნებით დახმარებას.

ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა სომხეთში, დაშნაკური ხელისუფლების უმკაცრესი რეპრესიების მიუხედავად, კვლავ აღმავლობას იწყებდა. დიდ დახმარებას უწევდა მათ ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი.

რევოლუციური ბრძოლის ტრადიციებს აგრძელებდა აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობა. 1918 წლის მეორე ნახევარში გლეხთა მასები შეუპოვრად იბრძოდნენ თურქი დამპყრობლებისა და მათი დამქაში მუსავატური რეჟიმის წინააღმდეგ. მასობრივი ხასიათი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას განჯისა და ყაზახის მაზრებში.

განჯის გუბერნატორი მუსავატური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვდა დამატებით ჯარების დაუყოვნებლივ გაგზავნას. „გთხოვთ ფრიად სასწრაფოდ გამოგზავნოთ განჯაში ქვეითი ბატალიონი, არტილერიის ოცეული, ცხენოსანთა ასეული“[1], — წერდა იგი. მძლავრ აგრარულ მოძრაობას ჰქონდა ადგილი ტაუზის, შამქორის, დედაბექის რაიონებში, ზაქათალის ოლქში. კომუნისტების მეთაურობით გლეხთა მასები სასტიკად უმასპინძლდებოდნენ თურქ ასკერებს, რომლებიც ბეგების მამულებს იცავდნენ. ყარაბახის რაიონებში მშრომელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა კომუნისტი სალამან ალიბეკოვი.

თურქი ოკუპანტები აპატიმრებდნენ და წამებით ჰკლავდნენ კომუნისტებს, რომლებიც სათავეში ედგნენ აზერბაიჯანელი გლეხე-

---

[1] Г. Б. Гарибджанян, Коммунистические организации Армении в борьбе за победу Советской власти, Ереван, 1957, გვ. 172—173.

ბის შეუპოვარ ბრძოლას ინტერვენტებისა და მუსავატური რეჟიმის წინააღმდეგ[1].

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, უშედეგო გამოდგა მუსავატური ხელისუფლების ყველა ღონისძიება ჩაექრო გლეხთა მოძრაობანი ყაზახის, განჯის, ნუხის, ლენქორანის, ყუბის და სხვა მაზრებში, სადაც გლეხები ბაქოს პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირში მოქმედებდნენ.

ყოველივე ეს იყო იმ რევოლუციური წრთობის შედეგი, რომელიც ამიერკავკასიის მშრომელებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიარეს.

1919—1920 წლები ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის მძიმე წლები იყო. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობები არა მარტო ყოველმხრივ ეხმარებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, არამედ აძლიერებდნენ ბრძოლას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგაც. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ ანტანტის ძალები დაამარცხებდნენ საბჭოთა რუსეთს, მაგრამ მოხდა პირიქით, წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს ანტანტის ძალები.

1920 წლის გაზაფხულზე წითელი არმიის ნაწილების მიერ დენიკინის ურდოების განადგურებამ, კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციის რკალის გარღვევამ, რასაც მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დაღესტანსა და თერგის ოლქში, საბოლოოდ დაამსხვრია ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერების იმედი, ამიერკავკასიას კიდევ უფრო დაუახლოვა „ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა რევოლუციის ტალღა“ (სტალინი).

ერთი მხრივ, ამ „რევოლუციური ტალღის“ მოახლოების, ხოლო, მეორე მხრივ, ანტანტის მიერ მიტოვების გამო საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებულია იცნოს საბჭოთა რუსეთი და თხოვნით მიმართოს მას დათანხმდეს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე.

საბჭოთა რუსეთმა, რომელიც თავიდანვე განუხრელად იცავდა

---

[1] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, ნაწ. II, 1961, გვ. 237—238.

მშვიდობის პოლიტიკას და ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს, 1920 წლის 7 მაისს მენშევიკურ მთავრობასთან ხელშეკრულება დადო. ხელშეკრულება მენშევიკურ მთავრობას ავალდებულებდა ხელი აეღო რეპრესიულ ზომებზე საქართველოში მომუშავე ბოლშევიკების წინააღმდეგ. ხელშეკრულების მიხედვით ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალური არსებობისა და მოღვაწეობის, კრებების მოწვევის, საკუთარი გაზეთისა და გამომცემლობის უფლება მიეცათ. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მენშევიკების მხრივ ეს იყო თაღლითური ნაბიჯი.

1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში. ეს თავზარდამცემი ამბავი იყო ერთმანეთთან კინკლაობაში გართული ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიებისათვის და აგრეთვე ანტანტის სახელმწიფოებისათვის. აზერბაიჯანის განთავისუფლებით საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებით გამწარებულმა ანტანტამ დახმარება აღუთქვა დაშნაკურ სომხეთს და მიუსია იგი თურქეთს, გამოიწვია რა მათ შორის სისხლისღვრელი ომი, შემდეგ კი სომხეთი ბრძოლის ველზე მიატოვა. დაშნაკური სომხეთი მარტო აღმოჩნდა უფრო ძლიერი მტრის — თურქეთის წინააღმდეგ. სომეხმა ხალხმა რუს ხალხთან კავშირით და მისი დახმარებით ბოლო მოუღო დაშნაკურ ხელისუფლებას. 1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა სომხეთში.

1921 წლის დამდეგს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ქართველ ხალხს, ისე როგორც აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს, იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში უდიდესი დახმარება აღმოუჩინა დიდმა რუსმა ხალხმა. ლენინის მითითებით აჯანყებული ქართველი ხალხისათვის დახმარების გასაწევად გამოეშურა სახელოვანი მე-11 არმია, რომელსაც ს. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი მეთაურობდნენ.

1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით დაამარცხა მენშევიკური ხელისუფლება და გამარჯვების დროშა აღმართა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-

აულტურულ და სამეურნეო ცენტრში — თბილისში. იმავე დღეს ს. ორჯონიკიძე დეპეშით ატყობინებდა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“[1].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება კონტრრევოლუციურ-ბურჟუაზიული რეჟიმისაგან, აღდგენილ იქნა ამიერკავკასიის მოძმე ხალხების კავშირი დიდ რუს ხალხთან. დაიწყო ახალი ერა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

---

1 ს. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1939, გვ. 98.

თ ა ვ ი V

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ამიერკავკასიაში. ვ. ი. ლენინის დირექტივები სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში

სოციალისტური რევოლუცია და სოციალიზმის გამარჯვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ისე როგორც ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელი ისტორია, მტკიცედ არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან.

ლენინი მუდამ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინტერესებს. დიდი ლენინის ყურადღების შედეგი იყო, რომ აქ, ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ, შეიქმნა მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებმაც მრავალეროვანი ამიერკავკასიის ხალხები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზარდეს და დარაზმეს რუსეთის ხალხთა საერთო მტრის — ცარიზმის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერკავკასიის ხალხთა აღზრდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით იყო უმთავრესი პირობა, რამაც შესაძლებელი გახადა 1905—1907 წლების რევოლუციის დიდი წარმატება ამიერკავკასიაში, ხოლო 1917—1921 წლებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა და მათი დამხმარე იმპერიალისტ-დამპყრობთა განადგურება და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში შედეგი იყო რუს და ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე ინტერნაციონა-

ლური კავშირისა, რომელიც 1917—1921 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში მძლავრ სამხედრო კავშირად იქცა.

აფასებდა რა რუსი ხალხის, საბჭოთა რუსეთის როლს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში, ამიერკავკასიის ბოლშევიკების გამოჩენილი ხელმძღვანელი ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა:

„საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, თავიანთ განთავისუფლებას საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მშრომელი მასები სავსებით უმადლიან რუსეთს. საბჭოთა რუსეთი რომ არ ყოფილიყო — არ იქნებოდა საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა სომხეთი, და ისინი დღესაც ინგლისის იმპერიალიზმის ქუსლქვეშ იქნებოდნენ მოქცეულნი.

მხოლოდ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან კავშირით, რუსეთის წითელ არმიასთან კავშირით მიაღწიეს თავიანთ განთავისუფლებას აზერბაიჯანელმა მუშებმა და გლეხებმა, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, სომეხმა მუშებმა და გლეხებმა“[1].

1920 წლის 30 სექტემბერს დაიდო „სამოკავშირო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“ რსფს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის, 1921 წლის 21 მაისს — რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, 1921 წლის 30 სექტემბერს — რსფს რესპუბლიკასა და სომხეთს შორის. ეს ხელშეკრულებები სამხედრო ძალების გაერთიანებასთან ერთად ითვალისწინებდნენ აღნიშნული რესპუბლიკების სამეურნეო თანამშრომლობას, რაც აუცილებელი პირობა იყო ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა საუკუნეობრივი კავშირი დიდ რუს ხალხთან, რაც დარღვეული იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების მიერ, აღდგენილ იქნა. ამ კავშირის შემდგომი განმტკიცება და განვითარება კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი თვითონ განიცდიდა ეკონომიურ სიძნელეებს, მან დიდი ეკონომიური და ფინანსური დახმარება გაუწია ამიერკავკასიის განთავისუფლებულ ხალხებს. საბჭო-

---

1 გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 325.

თა რუსეთიდან შემოვიდა აქ პური, მანუფაქტურა, მოწყობილობა სამრეწველო საწარმოთათვის, სამშენებლო მასალები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ა. შ.

საბჭოთა რუსეთის დახმარებით იქნა აღდგენილი ბაქოს ნავთის სარეწები და ქარხნები, რომლებიც მოშლილი და გაპარტახებული მიატოვეს კაპიტალისტებმა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აზერბაიჯანის (განსაკუთრებით ბაქოს) მუშები და გლეხები საჭიროებდნენ სერიოზულ სასურსათო დახმარებას. სურსათის ნაკლებობის გამო კვალიფიციური მუშები გარბოდნენ საწარმოებიდან, სოფლად შიმშილი მძვინვარებდა, დიდი გასაქანი ჰქონდა სპეკულაციას. გაითვალისწინა რა აზერბაიჯანის მშრომელთა მძიმე მდგომარეობა, რუსეთის საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ვ. ი. ლენინმა ნება დართო აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობას დაემზადებინა საკმაო რაოდენობის პური ჩრდილოეთ კავკასიაში. 1920 წლის 12 ივნისის ტელეგრამით ლენინი კავკასიის შრომითი არმიის საბჭოსა და სასურსათო საქმეთა კომისარიატის წარმომადგენელს ჩრდილო კავკასიაში ავალებს ყოველ ხუთ დღეში მიაწოდონ ამომწურავი ცნობები სასურსათო საქმეთა კომისარიატს და პირადად მას ბაქოში ტვირთების გაგზავნისა და ადგილზე მათი მიღების შესახებ. ამ ღონისძიების შედეგად მხოლოდ მაისის დღესასწაულიდან 9 ივნისამდე ბაქოში რამდენიმე ასეული ვაგონი პური გაიგზავნა[1]. 1920 წლის 27 ნოემბერს რკპ (ბ) პოლიტბიურომ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „სასურსათო საქმეთა კომისარიატს როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანა დაევალოს აუცილებლად და აკურატულად ბაქოს მომარაგება სურსათით, ასპროცენტიანი ნორმით. შემსუბუქდეს სასურსათო პოლიტიკა აზერბაიჯანში: გლეხობაში პური არ იქნას დამზადებული მუღანის გარდა, ხოლო მუღანში დამზადებულ იქნას უაღრესად ფრთხილად“[2].

კერძოდ, მუღანის სარწყავი სისტემის აღსადგენად ვ. ი. ლენინის წინადადებით გაღებულ იქნა 100 ათასი მანეთი ოქროთი, იმავე მუღანისათვის გაიცა აგრეთვე 800 ათასი მანეთი ოქროთი, რომლითაც

---

[1] აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ისტორია, ბაქო, 1958, გვ. 385.

[2] Ленинский сборник, т. XXXIV, გვ. 384.

150 ტრაქტორი იქნა შეძენილი საზღვარგარეთ[1]. უწევდა რა მზრუნ-ველობას მთელ აზერბაიჯანს, ლენინი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ბაქოს, რადგან მის წარმატებებზე დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი რუსეთის მრეწველობაც. 1921 წლის 27 მაისს ლენინი შემდეგ დირექტივას აძლევდა „გლავტოპსა“ და „გლავნეფტს“:

„საჭიროა გაძლიერდეს ბაქოსადმი ყურადღება და მზრუნვე-ლობა.

გთხოვთ შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი შემო-იტანოთ ბაქოსადმი დახმარების სისტემატურ ღონისძიებათა პროგ-რამა...

უნდა დავაწესოთ მუდმივი „მეთვალყურეობა“ იმისადმი, თუ **რა ხდება ბაქოში და ჩვენ რით ვეხმარებით“[2].**

იმ დიდმა ღონისძიებებმა, რაც ლენინმა ბაქოს მიმართ დასახა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაქოს მუშათა მდგომარეობის გაუმ-ჯობესებას. იგრძნო რა მშობლიური პარტიის მზრუნველობა, ასობით კვალიფიციური მუშა დაუბრუნდა თავის საყვარელ სამუშაოს. ბაქო-სადმი ამ გულისხმიერმა მზრუნველობამ და დახმარებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვე-ბიდან (1920 წლის 28 აპრილი) 1921 წლის 10 იანვრამდე ბაქოს მუ-შებმა მიწის წიაღიდან ამოიღეს და საბჭოთა რუსეთში გაგზავნეს 160 მილიონი ფუთი ნავთობი, რომლის საშუალებითაც საბჭოთა რუსეთ-ში მუშაობა განაახლა ათობით ქარხანამ, გააძლიერეს ტვირთზიდვა და მოძრაობა რკინიგზებმა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონ-და სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრებისათვის. „160 მილიონ-მა ფუთმა ნავთობმა, — ამბობდა ს. ორჯონიკიძე 1921 წ. 14 იან-ვარს, — რომელიც ბაქოს პროლეტარიატმა მიწის წიაღიდან ამოიღო და საბჭოთა რუსეთში გაგზავნა, მძლავრი დარტყმა აგემა მსოფლიო ბურჟუაზიას. ეს დარტყმა, თითქმის, ყველა სხვა დარტყმაზე ძლიერია. და ბაქოს პროლეტარიატს შეუძლია თამამად თვლიდეს თავის თავს

---

1 გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 345.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 528.

მებრძოლად არა მარტო აზერბაიჯანისა და საბჭოთა რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი მსოფლიო რევოლუციისათვის"[1].

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მიიღო ყველა ზომა დამშეული მოსახლეობისათვის მიეწოდებინა პური და სხვა სასურსათო პროდუქტები. მაგრამ პირველ ხანებში დახმარების მიწოდება გაძნელდა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა გაეტარებინა სურსათით დატვირთული მატარებლები საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთის მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებაში (1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება) იყო სპეციალური პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთის ტვირთების ტრანზიტს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გზებზე. ამის თაობაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არაერთხელ გამართა მოლაპარაკება მენშევიკურ მთავრობასთან, მიმართა მას წერილებით, დეპეშებით, მაგრამ გაბოროტებულმა მენშევიკებმა თავისი მაინც არ დაიშალეს (სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ დაიწყო დიდი აჯანყება სომხებით დასახლებულ „ნეიტრალურ ზონაში", იგი გადაედო ქართველ მოსახლეობასაც და ბოლოს გადაიქცა დიდ ნიაღვრად, რომელმაც წალეკა საქართველოს მენშევიკური მთავრობა)[2]. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა დაემხო, საბჭოთა რუსეთის მიერ გამოგზავნილი სურსათი, რომელიც თვეების განმავლობაში აზერბაიჯანში იყო შეჩერებული, მიიღო სომხეთმა. ვ. ი. ლენინის წინადადებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა სომხეთისათვის 1,5 მილიონი მანეთით (ოქროთი) დახმარების შესახებ. ამას გარდა, სომხეთს კვლავ მიეცა სურსათი, სამრეწვე-

---

1 გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 180.

2 ეხებოდა რა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ამ მუხანათურ დამოკიდებულებას სომეხი ხალხის ინტერესებისადმი, ვ. ი. ლენინი 1921 წ. თებერვალში მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომაზე ამბობდა: „არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებანი და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო" (ვ. ი. იმის გამო, რომ სომხეთში გასაგზავნ ტვირთებს არ ატარებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე — ვ. ს. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც. ტ. 32, გვ. 176).

ლო საქონელი, თესლი და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. 1920—1922 წლებში დახმარებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. 1922 წლის ოქტომბერში რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭომ ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიიღო ახალი გადაწყვეტილება — საბჭოთა სომხეთს დახმარების სახით მიეცა 1,5 მილიონი მანეთი ოქროთი სახალხო მეურნეობის აღსადგენ სამუშაოთა საწარმოებლად. სომხეთს მიეცა 640 ათასი მანეთი ოქროთი მებამბეობის გასავრცელებლად.

რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატმა სომხეთისათვის უზრუნველყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. მოსკოვის ლაზარევის ყოფილი ინსტიტუტის ფონდიდან სომხეთში გაიგზავნა 100 ათასზე მეტი წიგნი. ივანოველმა მუშა-ფეიქრებმა საბჭოთა სომხეთს საჩუქრად გაუგზავნეს საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობანი, რომლის საფუძველზედაც შემდეგ შეიქმნა ლენინაკანის (ყოფილი ალექსანდროპოლის) საფეიქრო კომბინატი[1].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე თბილისში ჩამოდგა პურითა და სამრეწველო საქონლით დატვირთული ვაგონები. ისინი საბჭოთა რუსეთმა გამოგზავნა. ვ. ი. ლენინის ინიციატივით რუსეთის საბჭოთა მთავრობამ დახმარების სახით იმდროისათვის ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგურის — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) მშენებლობისათვის საქართველოს ჯერ 750 ათასი მანეთი, ხოლო შემდეგ მილიონი მანეთი მისცა ოქროთი. 1923 წელს მოსკოვის მუშებმა საქართველოს მშრომელებს საჩუქრად გამოუგზავნეს მაუდის ფაბრიკა, რომელიც ქუთაისში დამონტაჟდა. ფაბრიკის ნაწილებს ქუთაისში ჩამოყვნენ რუსი ოსტატები, ინჟინრები და ტექნიკოსები. მათი ხელმძღვანელობითა და დახმარებით მომზადდა კადრები ქართველი მუშებისა, რომლებმაც წარმატებით აითვისეს მაუდის წარმოების ტექნიკა და მალე დამოუკიდებლად დაიწყეს მუშაობა. ასე გაჩნდა „ქართული მაუდის“ წარმოება.

1921—1922 წლებში ამიერკავკასიის ხალხთა საჭიროებისათვის გაღებულ იქნა 10 მილიონზე მეტი მანეთი ოქროთი. ამავე წელს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკამ, რომლის შემოსავალი 5590 ათას მა-

---

[1] დიდი საბჭოთა ენციკლოპედია., მე-2 გამოც., ტ. 3, 1950, გვ. 67.

ნეთს უდრიდა, მიიღო 9939 ათასი მანეთი. აბასთანავე ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მიერ აკრეფილი მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ძირითადად მათ ხელშივე დარჩა[1].

ამავე პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზამ მიიღო 380 ათასი შპალი ძველი შპალების შესაცვლელად, 60 მძლავრი ორთქლმავალი, 200 ამერიკული ტიპის და ერთი ათასი ჩვეულებრივი ცისტერნი[2].

1922 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე ს. ორჯონიკიძე სამართლიანად ამბობდა:

„განა საბჭოთა რუსეთის მატერიალური დახმარების გარეშე განმტკიცდებოდა (ამიერკავკასიაში—ვ. ს.) საბჭოთა ხელისუფლება აქ... ამ საერთო რეზერვუარიდან — რუსეთიდან — ვიღებთ ყველაფერს, რის აღებაც კი შეიძლება"[3].

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, უწევდა რა დახმარებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, საბჭოთა რუსეთი თვითონ განიცდიდა დიდ ეკონომიურ სიძნელეებს. მძიმე სამოქალაქო ომმა მოშალა მთელი სახალხო მეურნეობა. არ იყო გარედან დახმარების იმედი, რადგან იმპერიალისტებმა ეკონომიური ბლოკადა გამოუცხადეს საბჭოთა რუსეთს.

ამიტომ ვ. ი. ლენინი, ეხმარებოდა რა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ამავე დროს იძლეოდა ბრძნულ მითითებებს ადგილობრივი რესურსების გამონახვის აუცილებლობის შესახებ. „... უნდა გაგაფრთხილოთ, — სწერდა ვ. ი. ლენინი 1921 წლის 9 აპრილს ს. ორჯონიკიძეს, — რომ აქ ძალიან გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგეხმაროთ. დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელ ამიერკავკასიისათვის, მთელი ძალებით დააწვეთ კონცესიებს, განსაკუთრებით საქართველოში; შეეცადოთ იყიდოთ თუნდაც საზღვარგარეთ და წინ წასწიოთ რწყვა აზერბაიჯანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რათა განვითარდეს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, აგრეთვე შეეცადოთ განავითაროთ საქონელგაცვლა ჩრდილოეთ კავკასიასთან"[4].

---

1 გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 419.

2 იქვე, გვ. 415—416.

3 იქვე, გვ. 324—325.

4 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 510.

ვ. ი. ლენინის სიტყვები „აქ ძალიან გვიჭირსო“ ცოცხალ სინამდვილეს ეყრდნობოდა. საბჭოთა რუსეთს ძლიერ უჭირდა იმ ჭრილობების გამო, რაც მას იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა მიაყენეს, განადგურების პირას იყო მისული მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მთელი სახალხო მეურნეობა. მუშები და გლეხები მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იყვნენ, რასაც 1921 წელს დაემატა ახალი, კიდევ უფრო დიდი უბედურება — მკაცრი გვალვა, რამაც გამოიწვია მოსავლის მკვეთრი დაცემა და ალაგ-ალაგ სრული მოუსავლიანობა. 1922 წლის გვალვა ისეთი ძლიერი იყო, როგორიც რუსეთს არ განუცდია უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში. გვალვამ მოიცვა 23 გუბერნია 23 მილიონი მცხოვრებით (რუსეთის ფედერაციის მცხოვრებთა 20 პროცენტი), მან გამოაშრო 20 მილიონი ჰექტარი ფართობი, რაც რუსეთის ფედერაციის მთელი სათესი ფართობის 40 პროცენტს შეადგენდა[1]. გვალვამ განსაკუთრებით დააზარალა ვოლგისპირეთი, სადაც მოსახლეობა თითქმის სრულიად ულუკმაპუროდ დარჩა. ჩვენს ქვეყანაში რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ყოფილიყო, მილიონობით ადამიანი შიმშილის მსხვერპლი გახდებოდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაარჩინა ისინი დაღუპვას. საბჭოთა ხელისუფლებას დამშეული მოსახლეობის დასახმარებლად არ დაუშურავს თავისი რეზერვები. მაგრამ რეზერვები საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო სხვა სახის ღონისძიების დასახვა და ეს ღონისძიებაც ნაპოვნი იქნა ურთიერთდახმარების იმ სისტემის სახით, რაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რუსეთში მტკიცედ დამკვიდრდა. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოწოდებით მიმართეს მთელ საბჭოთა ხალხს დახმარება აღმოეჩინათ დამშეულთათვის და საბჭოთა ხალხმა, განსაკუთრებით იმ რაიონებისა და ოლქების მცხოვრებლებმა, რომლებსაც გვალვის სიმწვავე მძიმედ არ განუცდიათ, თავიანთი ძმური დახმარებით იხსნეს დამშეულთა სიცოცხლე.

და ამ მძიმე ვითარებაში საბჭოთა რუსეთი მატერიალურ დახმარებას უწევდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს.

მიუხედავად იმისა, რომ ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა „აქ

---

[1] გაზ. „ზარია ვოსტოკა“, № 115, 1922, 2 ნოემბერი.

ძალიან გვიჭირს და ვერ დაგეხმარებითო“, ეს დახმარება, როგორც დავინახეთ, მაინც მატულობდა და თანდათან უფრო დიდ მასშტაბებს ღებულობდა.

* * *

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე დიდმა ლენინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ და სამხედრო განმტკიცებას, თითოეულ რესპუბლიკაში მუშათა და გლეხთა მძლავრი კავშირის შექმნას, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის საკითხის მოგვარებას, დიდ რუს ხალხთან ამ ხალხთა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კავშირის განმტკიცებას.

ვ. ი. ლენინის აზრით, ყველაზე მთავარი, რასაც მთელ სოციალისტურ რუსეთსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაყრდნობოდა, ეს იყო ადგილობრივი მუშებისა და გლეხების ურთიერთკავშირი, აგრეთვე ამიერკავკასიისა და რუსეთის მშრომელების მტკიცე მეგობრობა. ვ. ი. ლენინის ეს მითითება მკაფიოდ არის გამოთქმული მის დეპეშაში აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებისადმი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით 1920 წლის 5 მაისს ლენინი მხურვალედ მიესალმა „აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს... აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს“ და მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ „აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრ-სთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსისხლე მტრისაგან — იმპერიალიზმისაგან“[1].

1920 წლის 2 დეკემბერს კი დეპეშაში სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კასიანისადმი ლენინი მიესალმა იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს და იმედი გამოთქვა, რომ რევოლუციური კომიტეტი ყოველ ღონეს იხმარდა „ძმური სოლიდარობის დასამ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 31, გვ 152.

ყარებლად სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა 'მორის"[1].

. 1920 წლის 22 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე მოხსენებაში სახალხო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ ვ. ი. ლენინი ახლად შექმნილ ბუხარის საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად კვლავ მიესალმა აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს და ამ რესპუბლიკების მაგალითზე გააკეთა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დასკვნა იმის შესახებ, რომ „საბჭოთა ხელისუფლების იდეები და პრინციპები მისაწვდომი და დაუყოვნებლივ განსახორციელებელია არა მარტო მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, არა მარტო ისეთი სოციალური დასაყრდენით, როგორიც პროლეტარიატია, არამედ ისეთი საფუძვლითაც, როგორიც გლეხობაა. გლეხთა საბჭოების იდეამ გაიმარჯვა"[2]. ამასთანავე ლენინმა გლეხური საბჭოთა რესპუბლიკების არსებობის უმთავრეს პირობად აღიარა მათი „მეგობრული ურთიერთობა რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან".

ადგილობრივი მუშებისა და გლეხების კავშირის შეკვრა, მათი მჭიდრო დაახლოება მთელი რუსეთის მშრომელებთან უპირველესი პირობა იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისათვის. მაგრამ ამასთან ერთად ვ. ი. ლენინს გარდუვალ აუცილებლობად მიაჩნდა მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. მართალია, სახელოვანი XI არმია, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ამიერკავკასიის ეროვნებათა შვილები შეადგენდნენ, საიმედოდ იცავდა საბჭოთა ამიერკავკასიის საზღვრებს, მაგრამ რთული საერთაშორისო პირობები, საზღვარგარეთ გავრცელებული პროვოკაციული ხმები ამ არმიის ვითომდა „დაპყრობითი" მიზნების შესახებ აყენებდა საკითხს, რათა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ჰყოლოდათ საკუთარი სამხედრო ნაწილები.

XI არმიამ, როგორც აზერბაიჯანსა და სომხეთში, ისე საქართველოში, ბრწყინვალედ შეასრულა მის წინაშე მდგარი ამოცანა. იგი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც თავის მხრივ ასეთივე პატივისცემით უპასუხებდა მას, ხედავდა რა მასში თავისი ინტერესების დამცველსა და მეგობარს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 31. გვ. 536.

[2] იქვე, გვ. 602.

მაგრამ ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობა მოითხოვდა, რათა აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს ჰყოლოდათ საკუთარი ბრძოლისუნარიანი არმიები, რომლებსაც შეეძლებოდათ დაეცვათ თავიანთი ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. იმ მრავალ საკითხთა შორის, რომლებსაც ვ. ი. ლენინის მითითებები შეიცავდნენ, მაშინ ყველაზე მთავარსა და პირველ რიგში შესასრულებელს წარმოადგენდა წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა, ვინაიდან მათზე იყო დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლების დაცვა ამიერკავკასიაში.

წითელი არმიის ეროვნული ნაწილები ამიერკავკასიაში იქმნებოდნენ XI არმიის ნიმუშის მიხედვით და არსებითად მის ბაზაზე. ამ არმიაში მებრძოლმა აზერბაიჯანელმა, სომეხმა და ქართველმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, რომლებიც ზოგჯერ ცალკე დანაყოფებადაც კი იყვნენ გაფორმებული, შეადგინეს ეროვნული ნაწილების პირველი კადრები და მათ გარშემო მალე შეიკრიბა მუშებისა და გლეხების ძლიერი სახალხო რაზმები.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში შეიქმნა ისეთი რაზმები, რომლებიც წითელი არმიის აზერბაიჯანული ნაწილების ჩანასახი გახდნენ.

აზერბაიჯანის რევკომის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა. ბაქოში, განჯასა და სხვა ადგილებში შეიქმნა სპეციალური სამხედრო კურსები და სკოლები, რომლებმაც მოკლე დროში თვალსაჩინო რაოდენობით მოამზადეს აზერბაიჯანელი ოფიცრებისა და პოლიტმუშაკების კადრები. აზერბაიჯანის ერთ-ერთ პირველ მსროლელთა პოლკს, რომელიც თავის რიგებში აზერბაიჯანელებთან ერთად კავკასიის მრავალი ეროვნების შვილებს აერთიანებდა, ეწოდა ლენინის სახელი, შეიქმნა აგრეთვე მსროლელთა პოლკი „წითელი აღმოსავლეთი“ და სხვა წითელარმიული ნაწილები, რომელთა ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებით დაინტერესებული იყო ვ. ი. ლენინი. წითელი არმიის აზერბაიჯანელმა ნაწილებმა დიდი როლი შეასრულეს აზერბაიჯანის სხვადასხვა მაზრაში მუსავატელების მიერ შეკრებილი მძარცველური ბრბოების განადგურების საქმეში (კონტრრევოლუციური აჯანყება 1920 წლის მაისში განჯაში, ივლისში — კარაბახში, ზაქათალაში, ყუბაში და სხვაგან).

საბჭოთა სომხეთს დარჩა ძველი არმია. გადაწყდა, რომ ის არ დაშლილიყო და ხელახლა აღეზარდათ საბჭოთა სულისკვეთებით[1]. ეს მუშაობა კარგად დამთავრდა. ყოფილი დაშნაკცაკანური არმია, რომელიც გაწმენდილ იქნა მძიმე დანაშაულით სახელგატეხილი პირებისაგან და შეივსო საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ადამიანებით, სამოქალაქო ომის დღეებში გმირულად იბრძოდა დაშნაკური ბანდების წინააღმდეგ, სომხურმა პოლკებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს ზანგეზურთან დაშნაკების განდევნის საქმეში, სადაც მათ კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყვეს. ეს პოლკები სომეხი ხალხის საიმედო დამცველები გახდნენ.

წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა იმ პერიოდის უაღრესად გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო მდგომარეობის ეს გართულება მნიშვნელოვანწილად განაპირობა შედარებით ძლიერმა ემიგრანტულმა მენშევიკურმა ინტელიგენციამ (წერეთელი და სხვ.), რომელმაც ხმა შეუერთა რეაქციის საერთო ხმაურს და ზეპირი გამოსვლებით თუ პრესის საშუალებით გაავრცელა პროვოკაციული ხმები, თითქოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოხდა არა შინაგანი ძალების საშუალებით, არამედ საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ქვეყნების „დაპყრობის" გზით. საზღვარგარეთ გადახვეწილი ქართველი მენშევიკები რეაქციის ძალებს საქართველოს „განთავისუფლებისაკენ" მოუწოდებდნენ. ამ ვითარებაში წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა იყო არა მარტო საქართველოს დაცვის საიმედო საშუალება, არამედ საგნობრივი კონტრაგიტაციაც საზღვარგარეთელ ცილისმწამებელთა წინააღმდეგ.

მართლაც, იმ დიდი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდან გაიშალა, უკვე მარტის ბოლო რიცხვებში გაჩნდა რეგულარული ჯარის ნაწილები — ორი ქვეითი და ერთი საკავალერიო ბრიგადა. აპრილში ჩამოყალიბდა მეთაურთა სამხედრო სკოლა და შეიქმნა პირველი ქართული დივიზია. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და საქართველოს კომუნისტური პარტია, პირადად ს. ორ-

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 244.

ჯონიკიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წითელი არმიის ქართული ნაწილების მშენებლობას. ლენინმა იცოდა ამის შესახებ მაგრამ მაინც არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, რადგან საზღვარგარეთელი ცილისმწამებლები, რომლებიც რეაქციის ძალებს საქართველოს „განთავისუფლებისაკენ“ მოუხმობდნენ, კიდევ უფრო მეტად ანთხევდნენ გესლსა და შხამს, კვლავ მოითხოვდნენ XI არმიის გაყვანას საქართველოდან, რეფერენდუმის მოწყობასა და სხვ. ამიტომ ვ. ი. ლენინი არ თვლიდა საკმარისად ჩატარებულ მუშაობას და მოითხოვდა საქართველოს წითელი არმიის შემდგომ გაძლიერებას. ამის თაობაზე 1922 წლის 13 თებერვალს, როცა მოახლოებული იყო საქართველოს სსრ საბჭოების პირველი ყრილობის გახსნა, ს. ორჯონიკიძეს უგზავნის სპეციალურ წერილს და მას ასეთ დავალებას აძლევს:

„ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს...

საქმით რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია“. იმავე წერილში ლენინი განსაზღვრავს, თუ რამდენად უნდა გადიდდეს საქართველოს წითელი არმია. „თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ესაჭიროგახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია“[1].

ვ. ი. ლენინის ამ წერილში შემდეგ ნათქვამია:

„შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ მხარეზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგაგდებთ მოურიდებლად. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია, და როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 226.

კომიტეტი პასუხს აგებს ამისათვის მთელი პარტიის წინაშე". აქვე ლენინი ს. ორჯონიკიძეს ასეთ დარიგებას აძლევს: „მოვუწოდოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს და მთელ მშრომელ მასებს იმუშაონ ამ საქმეზე და სხვ".

ვ. ი. ლენინის ამ წერილს აქვს ი. ბ. სტალინის შემდეგი მინაწერი: „ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას"[1].

საქართველოს სსრ საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა, ყოველმხრივ განიხილა ვ. ი. ლენინის მითითებები და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ. ამასთანავე, მიიღო რა მხედველობაში რთული საერთაშორისო ვითარება, სთხოვა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, რათა წითელი არმიის ის ნაწილები, რომლებიც მაშინ საქართველოში იდგნენ, არ გაეყვანა საქართველოს საზღვრებიდან. ამავე დროს ყრილობამ მიიღო სპეციალური მიმართვა, რომელშიც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა წითელი არმიის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისაკენ. ამ მოწოდებას მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა, რამაც შესაძლებელი გახადა წითელი არმიის ახალი შენაერთების შექმნა.

საქართველოს წითელმა არმიამ, რომელიც მის ტერიტორიაზე მოსახლე მრავალი ეროვნების შვილებს აერთიანებდა, გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღო საქართველოში თავშეფარებული თუ საზღვარგარეთიდან შემოგზავნილი ბანდების (ჩოლოყაშვილისა და სხვ.), კულაკურ და სხვა ანტისაბჭოთა გამოსვლების განადგურებაში და დიდი დახმარება აღმოუჩინა ქართველ ხალხს. 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციის საქმეში წითელი არმიის ქართულმა, სომხურმა და აზერბაიჯანულმა ნაწილებმა არაერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ორგანიზებულება და საბრძოლო თვისებები, უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მათი სახით შეიქმნა მრისხანე ძალა, რომელიც, შევიდა რა წითელი არმიის სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 227.

ერთო შემადგენლობაში, იმპერიალისტებს საბჭოთა ამიერკავკასიაზე თავდასხმის მადას უკარგავდა.

გარდა ამისა, წითელი არმიის ნაწილებმა როგორც ყველგან, ისე ამიერკავკასიაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსახლეობის პოლიტიკური დონისა და კულტურის ამაღლების საქმეში. წითელ არმიაში წასული წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდები, სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, ახალი ცხოვრებისათვის სავსებით მომზადებული, განათლებული და სწავლული ბრუნდებოდნენ და წამყვან როლს თამაშობდნენ საწარმოებში, ტრანსპორტზე, სოფლად, ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას. წითელი არმია გახდა თავისებური მასობრივი სახალხო სკოლა.

* * *

ვ. ი. ლენინის დირექტივებისა და მითითებების არსებით მხარეს წარმოადგენს ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრების თავისებურებათა ღრმა ცოდნა და ამ თავისებურებათა გათვალისწინება კომუნისტური პარტიის სამოქმედო ტაქტიკის განსაზღვრისათვის.

რა თავისებურებანი ჰქონდა ვ. ი. ლენინს მხედველობაში?

ლენინი, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ რუსეთსა და ამიერკავკასიაში ერთნაირ პირობებში როდი გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას არ ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, იგი მთელი წლობით მარტოდმარტო იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ. მართალია, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ეხმარებოდნენ „განაპირა ქვეყნების“ მშრომელები თავიანთი შეუპოვარი ბრძოლით ადგილობრივი ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ, რაც ასუსტებდა იმპერიალიზმის ჯაჭვს, მაგრამ ეს არ იყო პირდაპირი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. სულ სხვა პირობებში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის მაგალითით ბრწყინვალედ დადასტურდა ლენინის სიტყვები, რომ მსოფლიოს არც ერთი შემდგომი მუშათა რევოლუცია არ დაიწ-

ყება ისეთ მძიმე პირობებში, რა პირობებშიაც რუსეთის რევოლუცია დაიწყო[1]. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ მას ჰქონდა მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება საბჭოთა რუსეთის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების მოპოვება, მისი შენარჩუნება, სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიაში მტკიცედ განაპირობა რუს ხალხთან ურღვევმა კავშირმა, მისმა უანგარო დახმარებამ.

მ ე ო რ ე თავისებურებად ლენინი თვლიდა იმ ხელსაყრელ პირობებს, რაც საერთაშორისო ვითარებაში 1921 წელს შეიქმნა. 1918—1919 წლებში ანტანტა ძალებს არ ზოგავდა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის, ასაზრდოებდა რუსეთის შინაგან კონტრრევოლუციას. მაგრამ 1921 წელს, სამი დიდი ლაშქრობის მარცხის შემდეგ, ანტანტა ძალაგამოლეული იყო, მან „ხელები მოიწვა“ რუსეთზე, რამაც აიძულა იგი უფრო ფრთხილად მოპყრობოდა საბჭოთა რუსეთს. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებსაც. „ახლა აღარ უნდა გეშინოდეთ იმისა, — სწერდა ლენინი კავკასიელ კომუნისტებს, — რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ, დაღისტნელ და მთიელ თეთრგვარდიელებს“[2]. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს მართლაც დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა მოუხდათ. იყო შემთხვევები, როცა კლასობრივი მტერი აწყობდა ბანდებს, აშკარა შეტევაზე გადმოდიოდა. მაგრამ ის მოკლებული იყო ანტანტის სახელმწიფოების მხრივ სერიოზულ დახმარებას, რის გამოც მისი განადგურება ადვილად მოხერხდა. ამ თავისებურებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის დაწყებისა და მისი შემდგომი გაშლის საქმეში.

ამიერკავკასიის ხალხების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მ ე ს ა მ ე თავისებურება გამომდინარეობდა მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობად მიღებული ეკონომიური ჩამორჩენილობიდან. როგორც ცნობილია, განაპირა მხარეებს მეფის რუსეთი აქცევდა ნე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 28, გვ. 151.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 398.

ლლეულის წყაროდ, მეტროპოლიის აგრარულ დანამატად. ასეთ მდგომარეობაში იყო მაშინდელი ამიერკავკასიაც.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაქოს, რომელსაც უმთავრესად გარეშე კაპიტალი ამოძრავებდა, ამიერკავკასია წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით ზღვების ნაპირებზე და პირწმინდა ბატონყმური წყობის მტკიცე ნაშთებით ცენტრში. თბილისის, ელისაბედოპოლის, ბაქოს გუბერნიებში თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობდნენ, შეიარაღებული ბანდებით იცავდნენ თავიანთ საკუთრებას, მათ დიდი ხნის განმავლობაში ხელთ ეპყრათ თათარ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედი. საბჭოთა ხელისუფლებას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ამიერკავკასიის გლეხობის მძიმე მდგომარეობა და მიეღო მკვეთრი ზომები მის გამოსასწორებლად.

ამიერკავკასიის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურება — მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა ლენინმა მეტად სხარტად და მოხდენილად გამოხატა სიტყვებით: „კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი“[1]. ცხადია, ამ თავისებურების გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა დიდ ოჯახში ამიერკავკასიის მშრომელთა მომავალი განვითარებისათვის.

მ ე ო თ ხ ე თავისებურება, ისე როგორც პირველი და მეორე, ამიერკავკასიას ხელსაყრელად განასხვავებდა საბჭოთა რუსეთისაგან. ეს თავისებურება ის იყო, რომ ამიერკავკასიას „უფრო სწრაფად და უფრო ადვილად“ შეეძლო მოეგვარებინა „თანაცხოვრება“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან, ვინაიდან სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო. დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნები საბჭოთა რუსეთში საქონლის ნაცვლად გზავნიდნენ ტანკებითა და ქვემეხებით დატვირთულ ეშელონებს, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცთა დიდ შენაერთებს, რათა სისხლში ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. 1921 წელს კი, როცა დიდი ლენინი კავკასიის კომუნისტებს თავის ისტორიულ წერილს სწერდა, ასეთი მდგომარეობა აღარ იყო. ანტანტამ შეიარაღებული ინტერვენციის

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 398.

განზრახვაზე ხელი აიღო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გადადგმული რეალური ნაბიჯები ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენად კაპიტალისტურ დასავლეთთან. ამასთან დაკავშირებით ლენინი წერდა: „ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან“.

„ეს არაა ყველა განსხვავება, — აღნიშნავდა იქვე ლენინი, — მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა“[1].

ითვალისწინებდა რა ამ თავისებურებებს, ლენინი საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთისაგან განსხვავებული ტაქტიკის გამოყენებას ამიერკავკასიაში.

ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციების შესახებ XI არმიის სარდლობისა და პირადად ს. ორჯონიკიძისათვის მოცემული მითითებები მოწმობენ ლენინის განსაკუთრებულ გულისხმიერ, უაღრესად ფრთხილ დამოკიდებულებას ადგილობრივი პირობებისადმი, მოსახლეობის სუვერენული უფლებებისადმი, მათდამი დაქვემდებარებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თვით სამხედრო ოპერაციების წარმოებასაც. კერძოდ, ეს ჩანს ვ. ი. ლენინის დეპეშაში კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსა და XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოსადმი. როდესაც ჩრდილო კავკასიაში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება კვლავ საერთო საზღვრით დაუკავშირდა აზერბაიჯანს, ვ. ი. ლენინი 1920 წლის 17 მარტს ს. ორჯონიკიძეს სწერს იმ დიდი მნიშვნელობის შესახებ, რაც ბაქოს საბჭოთა რუსეთისათვის აქვს, მაგრამ უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს არა ბაქოს, არამედ ადგილობრივი პირობების მომზადებას. „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა“ და „მთელი ღონისძიებანი აქეთ უნდა წარმართოთ,“ — აღნიშნავს ლენინი ამ დეპეშაში. — „მაგრამ „აუცილებელია... მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 398.

ყროდ"[1]. რატომ სვამს ვ. ი. ლენინი ასე საკითხს? იმიტომ, რომ მხოლოდ სამხედრო ოპერაციაზე დაყრდნობით ბაქო რომც აეღოთ საბჭოთა ჯარებს, თუ მოსახლეობა მომზადებული არ იყო საბჭოთა ხელისუფლების მისაღებად, ე. ი. თუ ის მხარს არ დაუჭერდა ამ ახალ წყობილებას, სულერთია, არაფერი გამოვიდოდა და დაიღუპებოდა როგორც საბჭოთა ხელისუფლება, ისე თვით ბაქოც. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნებოდა საქართველოშიც.

ვ. ი. ლენინის ეს ფრთხილი დამოკიდებულება ადგილობრივი პირობებისადმი უფრო მკვეთრად აისახა მის 1921 წლის 10 მარტის დეპეშაში XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელზე, რომლის პირი გაეგზავნა საქართველოს რევკომსა და ს. ორჯონიკიძეს.

ამ დეპეშით ლენინი მოითხოვს, რომ XI არმიის სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც ქართველი ხალხის დასახმარებლად მის ტერიტორიაზე შევიდნენ, შ ი შ ვ ე ლ ი სამხედრო ოპერაციები კი არ განავითარონ, არამედ კონტაქტი დაამყარონ საქართველოს რევკომთან და მასთან შეთანხმებით იმოქმედონ, მისი თანხმობის გარეშე არ განახორციელონ არავითარი ღონისძიება, არ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებით პატივისცემით მოეკიდონ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ქართველი მოსახლეობის მიმართ. ამასთანავე ლენინი კატეგორიულად მოითხოვს სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ყველა ისინი, ვინც ამ დირექტივას დაარღვევს[2].

ეს იყო სრულიად ახალი დამოკიდებულება არმიასა და იმ ხალხს შორის, რომელიც ამ არმიის დახმარებით ის-ის იყო თავიდან იცილებდა მონობის უღელს და იწყებდა თავისი ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას.

ვ. ი. ლენინის ამ პერიოდის დირექტივებსა და მითითებებში მოცემულია გასაღები იმ ტაქტიკისა, რომლითაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკა-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 470.

2 იქვე, 506.

სიის პარტიული და საბჭოთა ორგანოების სამოქმედო პროგრამა ვ. ი. ლენინმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა მხარის ხელმძღვანელ მუშაკებთან საუბრებშიც ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ იქმნებოდა და კიდევ უფრო ადრეც. ამ საუბრებში ლენინის მიერ გამოთქმული აზრები არ არის შესული მის შრომებში. მაგრამ ისინი შემონახულია ხსენებულ ხელმძღვანელ მუშაკთა მოგონებებში და მკვლევრისა თუ მკითხველის შეუნელებელ ინტერესს იწვევენ, რადგან მოგონებები ლენინზე — ეს ძირითადად ისევ ლენინის სიტყვები და აზრებია, ოღონდ სხვისი სანდო ხელით ჩაწერილი.

ერთ-ერთი ასეთი პირველი საუბარი ვ. ი. ლენინს ჰქონდა ნარიმან ნარიმანოვთან 1920 წლის მაისის პირველ რიცხვებში, ამ უკანასკნელის მოსკოვიდან აზერბაიჯანში (სადაც ის რევკომის პირველ თავმჯდომარედ იყო არჩეული) გამომგზავრების წინ. საუბარი შეეხებოდა ხელმძღვანელობის იმ მეთოდებს, რაც კომუნისტურ პარტიას უნდა გამოეყენებინა აზერბაიჯანში. „არ დაუშვათ ის შეცდომები, რაც დაშვებული იყო რუსეთის შიგნით, ფრთხილად მიუდექით ადგილობრივ ყოფა-ქცევას, ჩვეულებებს, ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ რწმენას — ეს იყო ვ. ი. ლენინის ჩვეულებრივი გაფრთხილება ადგილობრივ მუშაკებთან საუბრებში“, — წერდა რამდენიმე წლის შემდეგ ნარიმანოვი თავის მოგონებაში („ლენინი და აღმოსავლეთი“). ამავე მოგონებაში ნარიმანოვი, ეხება რა ლენინის დიდ ყურადღებასა და გულისხმიერ დამოკიდებულებას აღმოსავლეთისადმი, კერძოდ კავკასიისადმი, აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკები ლენინს მიაჩნდა აღმოსავლეთის წინაკარად, თვლიდა, რომ „ყველაფერი, რაც მათში კეთდება, ეხოსებურად გადაეცემა მეზობელ სახელმწიფოებს და ამ ქვეყნების ჩაგრულთ ეცოდინებათ და ისინი იგრძნობენ ყველაფერს, რაც ჩვენს არსებას შეადგენს“[1].

ერთი ასეთი საუბარი ვ. ი. ლენინს ჰქონდა აგრეთვე ფილიპე მახარაძესთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

---

[1] Воспоминания о В. И. Ленине, часть II, Государственное издательство политической литературы, Москва, 1957, გვ. 174.

წინ, როცა ფილიპე მოსკოვიდან მიემგზავრებოდა საქართველოში, სადაც ის რევკომის თავმჯდომარედ იყო არჩეული.

„... ეს იყო 1921 წლის 18 თებერვალს[1],—იგონებს ამ ღირსსახსოვარ შეხვედრას მისი ერთ-ერთი მონაწილე გ. მეავანაძე, რომელიც მაშინ მოსკოვში იმყოფებოდა. — საქართველოდან წამოსული ყველა ბოლშევიკი, რომლებიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდნენ, დაგვიბარეს კომინტერნში ამხ. მიხა ცხაკაიასთან. იქ ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით გავიგეთ, რომ საქართველოში მუშები და გლეხები აჯანყდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და შექმნეს რევოლუციური კომიტეტი. ჩვენ წინადადება მოგვცეს გავმგზავრებულიყავით საქართველოში ფილიპე მახარაძის მეთაურობით" (ფ. მახარაძე ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა და მუშაობდა კომინტერნში).

იმავე დღეს, ე. ი. გამომგზავრების წინ დელეგაციას ესაუბრა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინთან შეხვედრისა და მისი დარიგებების შესახებ გ. მეავანაძე შემდეგს მოგვითხრობს: „ლენინმა გულმხიარულად მიგვიღო საღამოთი თავის სამუშაო ოთახში. გაჩაღდა საუბარი იმ უახლოესი ამოცანების შესახებ, რაც კომუნისტების წინაშე იდგა განთავისუფლებულ საქართველოში. დაგვილოცა რა გზა, ვლადიმერ ილიჩმა თქვა:

საქართველოში თქვენ განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოგიხდებათ მუშაობა. მენშევიკების მიერ იქ მოწამლულია მთელი ატმოსფერო. უნდა იმუშაოთ მეტისმეტად ფრთხილად. უსათუოდ შექმენით ქართული წითელი არმია. ეს აუცილებლად საჭიროა. ლოიალურ ადამიანებთან იყავით მეტისმეტად თავმდაბალი, დამთმობი. არ გაიხადოთ ჩვენი გამოცდილება შაბლონად. გაითვალისწინეთ ადგილობრივი პირობები"[2].

ფ. მახარაძე ყოველთვის დიდი სიხარულით იგონებდა ამ გულთბილ შეხვედრას. ერთ-ერთ მოგონებაში იგი აღნიშნავს, რომ ლე-

---

1 ფ. მახარაძე თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინი მან ინახულა 1917 წლის 15 თუ 16 თებერვალს (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. მახარაძის ფონდი № 2914, ს. 438, აღწ. № 1, გ3. 23).

2 გაზ. „ზარია ვოსტოკა", № 93, 1957, 19 აპრილი. გაზ. „კომუნისტი", № 236, 1957, 5 ოქტომბერი.

ნინმა მას შემდეგი დარიგება მისცა: ძალიან ფრთხილად უნდა იმოქმედოთ. საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა და იქ ძლიერი არიან მენშევიკები. უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოთ ეროვნული და აგრარული საკითხის გადაჭრას, თქვენ ახლა იცით რუსეთის მაგალითი, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს. შაბლონურად არ უნდა მიმართოთ რსფსრ გამოცდილებას. ჩვენი გამოცდილება ნიმუშად აიღეთ და გამოიყენეთ თქვენი პირობების შესაბამისად[1].

ფ. მახარაძე და მასთან ერთად საქართველოში მომავალი კომუნისტების ჯგუფი 1921 წლის 18 თებერვალს გამოემგზავრნენ მოსკოვიდან, მაგრამ ტრანსპორტის მოშლილობის გამო მათი მგზავრობა 16 დღეს გაგრძელდა და ისინი მხოლოდ 6 მარტს ჩამოვიდნენ თბილისში. 3 მარტს კი ი. ბ. სტალინმა პირდაპირი მავთულით გადასცა ს. ორჯონიკიძეს ვ. ი. ლენინის წერილი, რომელშიც ლენინი მოითხოვდა შეეტყობინებინათ მისთვის იყო თუ არა სრული თანხმობა მასსა და ქართველ კომუნისტებს შორის იმის შესახებ, რომ „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შეექმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“[2]. ს. ორჯონიკიძემ იქვე სთხოვა ი. ბ. სტალინს მოეხსენებინა სასიხარულო ცნობა ლენინისათვის, რომ წითელი არმიის შექმნის საკითხში ლენინსა და ქართველ კომუნისტებს შორის, არამცთუ თანხმობა არის, არამედ საქართველოში „მუშები და უღარიბესი გლეხები უკვე იარაღდებიან“[3]. იმავე დღეს ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აგრეთვე აღნიშნა: „თქვენ მიერ შითითებულ საკითხებზე შემიძლია გაცნობოთ, რომ ქართველ კომუნისტებს სრული ერთსულოვნება აქვთ ჩვენთან.

მუშები და უღარიბესი გლეხები იარაღდებიან. ქართველ ინტელიგენციასთან კონტაქტისა და ურთიერთგაგებისათვის ყველაფერი კეთდება, რაც კი შესაძლებელია“[4]. აქედან ცხადია, რომ ვ. ი. ლენინს სხვა ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, შესაძლებელია, თვითონ ორჯონიკიძისათვის, მოუცია ანალოგიური დარიგება და მის შესასრუ-

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. მახარაძის ფონდი, აღწ. № 1, ს. 438. ფურც. 24—25.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 189.

3 გაზ. „კომუნისტი“, № 6, 1921, 8 მარტი.

4 გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 211.

ლებლად საკმაო მუშაობაა ჩატარებული საქართველოში ფ. მახარაძის დაბრუნებამდე.

1921 წლის აპრილის შუა რიცხვებში ვ. ი. ლენინს ამავე საკითხზე ვრცელი და ყოველმხრივი საუბარი ჰქონდა ა. ფ. მიასნიკოვთან, ამ უკანასკნელის სამუშაოდ საბჭოთა სომხეთში გამომგზავრების წინ (ა. ფ. მიასნიკოვი დანიშნული იყო სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო საქმის კომისრად). მიასნიკოვი თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ ლენინი მას ესაუბრა, თუ როგორი მუშაობაა საჭირო კავკასიაში და როგორ გამოიყენოს რუსეთის რევოლუციის გამოცდილება. იგი აღნიშნავს, რომ ლენინმა ურჩია ყოფილიყვნენ ფრთხილი და გულისხმიერი აღმოსავლეთის ხალხების მიმართ, რომლებიც უკვე იღვიძებდნენ. „ერთი სიტყვით, მან მაშინ ჩამოაყალიბა ის ხაზი, რომელსაც ჩვენ ვატარებდით 1921 წლიდან ამიერკავკასიაში და აღმოსავლეთთან". „მაშინვე ნათელი გახდა, — განაგრძობს შემდეგ მიასნიკოვი, — რომ აღმოსავლეთში მუშაობა — უაღრესად რთული და საპასუხისმგებლოა და ამიტომ მე ვთხოვე ამხანაგ ლენინს მოკლედ ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი ქაღალდზე, წერილის სახით, რათა ეს წერილი მიმეტანა კავკასიელი ამხანაგებისათვის და მათ შეძლებოდათ ეხელმძღვანელათ მით თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. ლენინი კმაყოფილებით დამეთანხმა ამაზე"[1]. ასე გაჩნდა ვ. ი. ლენინის ისტორიული წერილი კავკასიელი კომუნისტებისადმი — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და ძთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს", რომელშიც შეჯამებულია ყველა ის მითითებანი და დარიგებანი, რაც ლენინს მანამდე მიეცა ზეპირი საუბრებისა თუ წერილობითი დირექტივების სახით, ისინი შეზავებულია კავკასიაში არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზთან და დასმულია როგორც ყოველდღიური სახელმძღვანელო პროგრამა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის.

ცალკეულ საკითხებს, რომლებმაც დასრულებული სახე ამ წერილში მიიღო, ლენინი, როგორც აღვნიშნეთ, ეხებოდა ადრინდელ

---

[1] Воспоминания о В. И. Ленине, часть II, Государственное издательство политической литературы, Москва, 1957. გვ. 154—155.

სადირექტივო წერილებშიც. მაგალითად, წერილში ს. ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:

„გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული"[1].

ცხადი გახდა, რომ ეს „თავისებური", „მოხერხებულად და მოქნილად" შემუშავებული ტაქტიკა საჭირო იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვისაც. და აი, უკვე 1921 წლის 14 აპრილს წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს" ლენინი კვლავ უბრუნდება კომუნისტების სამოქმედო ტაქტიკის საკითხს და გვაძლევს მის ყოველმხრივ და ამომწურავ განსაზღვრას. „... ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, — აღნიშნავს ლენინი, — რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას...

მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ"[2].

ლენინი თვლიდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა ამიერკავკასიაში მოითხოვდა უფრო მეტ მოსამზადებელ მუშაობას. ამიტომ იგი დარიგებას იძლეოდა:

„უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკებისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიგნოთ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით"[3].

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 190.

2 იქვე, გვ. 397—398.

3 იქვე, გვ. 399.

იმ დროს, როცა ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბატონობა დაემხო, საბჭოთა რუსეთი გამოდიოდა ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან და იწყებდა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლას. კომუნისტური პარტია ცდილობდა აღმოეფხვრა სამხედრო კომუნიზმის ნაშთები და გადასულიყო დიდი ლენინის მიერ შემუშავებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელიც 1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობამ მიიღო. ამ პოლიტიკის საფუძველზე დაიწყო სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება, გაჩაღდა ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ („ვინ-ვის?") სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სამხედრო კომუნიზმის პერიოდის ეკონომიური პოლიტიკა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს არ შეხებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზერბაიჯანს, სადაც იგი მოკლე ხანს მოქმედებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში უფრო მეტ სიძნელეებს ხვდებოდა, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, ვინაიდან სამხედრო კომუნიზმის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა რუსეთში მოქმედებდა, იცავდა ღარიბი და უღარიბესი გლეხის ინტერესებს, თავისი მახვილით მიმართული იყო ყოფილი თავად-აზნაურებისა და კულაკების წინააღმდეგ, მაშინ როცა ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ეკონომიური პოლიტიკა იცავდა თავადაზნაურობასა და კულაკობას და აჩანაგებდა მთელ მშრომელ გლეხობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისას ამიერკავკასიაში უფრო მეტი სიძნელეები იყო, რასაც ს. ორჯონიკიძე განსაზღვრული მნიშვნელობით სამხედრო კომუნიზმის ნაშთებსაც კი უწოდებდა და თვლიდა, რომ ამიერკავკასიაში „ეს ნაშთები გაცილებით მეტი მოიპოვებოდა, ვიდრე რუსეთში"[1].

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ თავისებურებას და დაბეჯითებით მოითხოვდა, რათა ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში უფრო მეტი დამთმობლობის ვითარებაში და სიფრთხილით გაეტარებინათ. ამასთან დაკავშირებით 1921 წლის

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 505.

9 აპრილს ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს სწერდა: „თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა შეითვისეთ თუ არა მნიშვნელობა ჩვენი ახალი პოლიტიკისა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და უფრო ხშირად მიგზავნეთ ცნობები; წაიკითხეთ ჩემი წერილი, რომელიც სერებროვსკის[1] ბაქოში მივწერე"[2]. ვ. ი. ლენინის წერილი სერებროვსკისადმი, რომელიც იმ პერიოდში აზერბაიჯანის ნავთის კომიტეტის თავმჯდომარე იყო, უსათუოდ შეეხება აზერბაიჯანში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების საკითხებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წერილი ჯერ გამოქვეყნებული არაა.

დიდი ლენინის გენიალური დირექტივები განიხილეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებიც მაშინვე შეუდგნენ ბრძოლას მათი შესრულებისათვის, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირად მოწყობის შემდეგ ამ დირექტივების განხორციელება გახდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის საბრძოლო ამოცანა.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვ. ი. ლენინი დიდ ინტერესს იჩენდა ამიერკავკასიის ხალხებისადმი. ა. ფ. მიასნიკოვი, რომელმაც 1922 წლის დეკემბერში კვლავ ინახულა ლენინი, მოგვითხრობს, თუ რა დიდი მზრუნველობის გრძნობით ეკითხებოდა მას ავადყოფი ლენინი კავკასიის საქმეებზე: გამოსწორდა თუ არა გაპარტახებული სომხეთის მდგომარეობა, როგორ არის იქ ბამბის, მორწყვის, სურსათის საქმე, საკმაოდ ძლიერია თუ არა ეროვნული წითელი არმია, განაწყენებული ხომ არ არიან „უბრალო ადამიანები", ეწევა თუ არა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ხომ არ ლაპარაკობენ ისინი „რუსულ ხიშტზე" და ა. შ.—აი საკითხები, რომლებითაც ლენინი დაინტერესდა. მიასნიკოვი შემდეგ აღნიშნავს, რომ იგი ლენინიდან წამოვიდა იმ შთაბეჭდილებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია და ლენინის მიერ მაშინ დასახული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი კიდევ უფ-

---

1 ა. სერებროვსკი — აზერბაიჯანის ნავთის კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგში „აზნეფტის" მმართველი.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 510.

რო განამტკიცებს საეროვნებათაშორისო მეგობრობას და გააძლიერებს საბჭოთა ხელისუფლებას[1].

* * *

ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობა.

მამია ორახელაშვილი, რომელიც ჩვენი პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად უშუალოდ ღებულობდა და ასრულებდა ლენინის მითითებებსა და დირექტივებს, 1924 წლის 23 აპრილს წერდა: „ამხ. ლენინი ახლო მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში. ეს მონაწილეობა გადამწყვეტი და ყოველთვის კეთილმყოფელი იყო, რადგან განსვენებულ ბელადს ჰქონდა განსაკუთრებული უნარი, რომლის წყალობით თვით შორეული მანძილიდან, დეტალებთან და საქმესთან დაწვრილებით გაუცნობლად, სწრაფად, ერკვეოდა მდგომარეობაში, მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა ამოცანებიდან ირჩევდა და თავის ყურადღებას აჩერებდა მხოლოდ ამა თუ იმ მომენტში უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე და პოულობდა მის გამოსახატავად ყველაზე ელემენტარულ, ნათელ და მკაფიო ფორმულირებას“[2].

ამიერკავკასიის ფედერაციის ჩასახვისა და განვითარების საკითხზე მ. ორახელაშვილი ამავე სტატიაში წერს: „მშობლის უფლება ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოშობაზე უდაოდ ეკუთვნის ამხ. ლენინს. ლენინმავე შეიყვანა ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, ამ ძლიერ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ერთ-ერთ მეოთხე შემადგენელ ნაწილის სახით; ამ სახელმწიფოს დაარსების იდეა ეკუთვნის მასვე“.

---

[1] Воспоминания о В. И. Ленине, часть II, Государственное издательство политической литературы. Москва, 1957, გვ. 154—155.

[2] მ. ორახელაშვილი, ლენინი და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (გაზ. „კომუნისტი“, № 92, 1924, 23 აპრილი).

კომუნისტურ პარტიას ჯერ კიდევ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამდე შემუშავებული ჰქონდა ხალხთა თანაცხოვრების ის ფორმები, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაუყოვნებლივ განხორციელდა და უზრუნველყო ყველა ეროვნების ხალხთა თავისუფალი განვითარება. ეს ფორმები, რომლებმაც ძიებისა და სრულყოფის გზა განვლეს, იცვლებოდნენ, მაგრამ მათი შინაარსი მტკიცე იყო და გამოხატავდა კაცობრიობის სანუკვარ მიზანს — შექმნილიყო ისეთი სახელმწიფო, სადაც სოციალისტური და ეროვნული საკითხი სწორად გადაწყდებოდა, განხორციელდებოდა ერთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობა, ჩამორჩენილ ერებს საშუალება მიეცემოდათ მიეღწიათ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის და ამაღლებულიყვნენ მოწინავე ერების დონემდე.

ერთ-ერთ ასეთ ფორმად პარტიამ დიდი ლენინის ჩანაფიქრის მიხედვით შეიმუშავა ტერიტორიული საოლქო ავტონომია. ეს საკითხი ჩვენი პარტიის პროგრამაში შევიდა 1913 წელს რსდმპ აგვისტოს თათბირზე და მან შეცვალა პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის ის პუნქტი, რომელიც მოითხოვდა საოლქო თვითმმართველობას საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავებული ადგილებისათვის. ტერიტორიული საოლქო ავტონომია აფართოებდა ხალხთა უფლებებს, თვით ადგილობრივ მოსახლეობას ანდობდა თავისი ტერიტორიის საზღვრების დადგენას სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვა პირობათა გათვალისწინებით. პროგრამა მიუთითებდა, რომ ავტონომიურად მოწყობილ ხალხთა ხელმძღვანელი ორგანოები მიიღებდნენ საკანონმდებლო ფუნქციებს, იზრდებოდა მათი პასუხისმგებლობისა და გამგებლობის სფერო.

ამ ფორმამ — ტერიტორიულმა საოლქო ავტონომიამ საუკეთესოდ გაამართლა თავისი დანიშნულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, იგი დაუყოვნებლივ განხორციელდა რუსეთის მთელ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ავტონომია მიენიჭათ ბაშკირელებს, ურალის თათრებს, ჩუვაშებს, მარიელებს, დაღესტნისა და სხვა ხალხებს.

ამასთან ერთად კომუნისტურმა პარტიამ ხალხთა სახელმწიფოებრივ. წყობის უფრო მაღალ ფორმად აღიარა საბჭოთა პრინცი-

პების მიხედვით შექმნილი ფედერაცია „როგორც ერთ-ერთი გარდამავალი ფორმა სრული ერთიანობის გზაზე“[1] და 1918 წლის 18 (31) იანვარს შექმნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა (რსფსრ), რომელშიც ავტონომიური უფლებით შევიდნენ წინათ ჩაგრული მთელი რიგი ხალხები. „საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელა... შეუდარებლად უფრო ფართოდ, ვიდრე სადმე სხვაგან, ადგილობრივი და საოლქო თვითმმართველობა, ყოველგვარ ზემოდან დანიშნულ ხელისუფალთა გარეშე“[2].

როდესაც ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი დადგა დღის წესრიგში, საბჭოთა პრინციპების მიხედვით მოწყობილი ფედერაცია, ისე როგორც ავტონომია და ოლქი, არა მარტო ნაპოვნია ამ დროს, არამედ პრაქტიკულადაცაა გამოცდილი. ამიერკავკასიაში საქმე შეეხებოდა მხოლოდ ფედერაციის ფორმის შერჩევას. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის ფორმის შერჩევაში გამოხატულება პოვა როგორც რუსეთის ფედერაციის დადებითმა გამოცდილებამ, ისე იმ ისტორიულად ჩამოყალიბებულმა ერთობამ, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთთან კავკასიის ხალხებს. ეს ოდითგანვე მომდინარე ერთობა, რომელიც გულწრფელი ძმობისა და მეგობრობის ტრადიციად გადაიზარდა, შექმნა მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ, მჭიდრო ეკონომიურმა და კულტურულმა ურთიერთობამ, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეერთებული ძალებით ბრძოლამ.

ვ. ი. ლენინი თავისი ადრინდელი შრომებიდანვე კავკასიას განიხილავს როგორც ერთიან სამეურნეო მთელს. კერძოდ, ასეა წარმოდგენილი კავკასია შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომლითაც ლენინმა დაამთავრა ნაროდნიკების იდეური განადგურება, მოგვცა რუსეთის საზოგადოებრივი ეკონომიური წყობილების ღრმა მეცნიერული ანალიზი და დაასაბუთა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი დაწყებულ რევოლუციურ მოძრაობაში. ასევეა წარმოდგენილი. კავკასია ლენინის ყველა შემდგომ შრომებშიც.

სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების ერთობამ განაპირობა ჯერ ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების, ხოლო შემდეგ

---

1 რკპ (ბ) VIII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა.

2 სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 526.

ერთიანი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ექვემდებარებოდნენ კავკასიის ერთიან ცენტრს, ეს უკანასკნელი კი თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანოდ თვლიდა.

„ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ მტრებს — ასეთი იყო პარტიული ცხოვრების სურათი"[1].

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ამ ინტერნაციონალურმა ერთობამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში მობინადრე სხვადასხვა ერისა და ტომის ხალხთა კიდევ უფრო დაახლოებასა და ერთობას, რასაც ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და იგი ეროვნული საკითხის პროლეტარულ გადაწყვეტად მიაჩნდა. სწორედ ამის თაობაზე 1913 წელს ვ. ი. ლენინი ა. მ. გორკის სწერდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა"[2].

კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გამაერთიანებელ ცენტრს, ისე როგორც მასში შემავალ კომიტეტებს, მეფის თვითმპყრობელობა, ხოლო მისი დამხობის შემდეგ ბურჟუაზიული მთავრობა სისტემატურად არბევდა, მაგრამ კავკასიის ბოლშევიკების გამაერთიანებელი ცენტრი შეიძლება ისეთ ხელმძღვანელ ცენტრებს მივაკუთვნოთ, რომელთაც, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, „მუდამ აპატიმრებენ და ისინი მუდამ კვლავ წარმოიშვებიან"[3]. მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ ასეთი ცენტრი შეიქმნა 1917 წლის ოქტომბერში. ეს იყო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც 1919 წლის დასაწყისში განახლებულ იქნა. 1920 წლის აპრილიდან მის საქმეს განაგრძობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელიც პარტიულ ორგანიზაციებს, მშრომელებს ხელმძღვანელობას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში. ამ ცენტრებმა, რომელ-

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 308—309.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 76.

3 ვ. ი. ლენინი., თხზ., მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 119.

თაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის უკანასკნელ წლებში მოჰყვა იმავე პრინციპების საფუძველზე კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირების შექმნა და მათი გაერთიანება, პროფესიული ორგანიზაციების შექმნა და სხვ., დიდი ბრძოლა ჩაატარეს ამიერკავკასიის ხალხთა შორის ინტერნაციონალური კავშირის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ამ ბრძოლას ზოგჯერ დიდი ეფექტიც ჰქონდა (ერთიანი ფრონტის შექმნა დენიკინის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევის მოთხოვნა და სხვ.), მაგრამ მმართველი პარტიების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ, პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ზემოქმედების მათ მიერ მიღებულმა ზომებმა მაინც გამოიღო თავისი შესაბამისი ნაყოფი.

ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში მოხდა ისეთი რამ, რისი გათვალისწინება ადრე არავის არ შეეძლო.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობებმა, რომლებიც 1917—1920 წლებში ამიერკავკასიას დაეპატრონენ და უცხოელი იმპერიალისტების სურვილებს ასრულებდნენ, მოშალეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა და შუღლი და მტრობა დათესეს ამიერკავკასიის ხალხებს შორის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ქართველი მენშევიკები, რომლებიც 1917—1920 წლებში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიის მართვის საქმეში, აგრეთვე სხვა პოლიტიკური მიმდინარეობანიც, რომლებიც თავიანთ თავს „სოციალისტურს“ უწოდებდნენ, იცავდნენ რუსეთთან ერთიანობას, ძალიან ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ კავკასიისა და რუსეთის მუშათა დემოკრატიის საერთო ინტერესებზე, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მათში მოხდა მკვეთრი გარდატეხა გერმანია-თურქეთის იმპერიალიზმის სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან და აქ სუსტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბება შეადგენდა გერმანია-თურქეთის იმპერიალისტების დიდი ხნის ოცნებას, რომლის განხორციელებასაც ისინი ახერხებდნენ 1918 წლის თებერვალში. გერმანია-თურქეთის იმპერიალისტების გეგმა—დაენაწილებინათ ამიერკავკასია და შეექმნათ აქ სუსტი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები — დაემთხვა ქართველი თავადაზნაურობისა და წვრილი ბურჟუაზიის, სომხეთის ბურჟუაზიისა და აზერბაიჯანელი ფეო-

დალური არისტოკრატიის მიზნებს, რომლებიც ამაში რუსეთის მიერ დიდი ხნის წინათ ჩადენილი „უსამართლობის“ გამოსწორებას ხედავდნენ. თუმცა, მართალია, მათში და მათი ინტერესების დამცველ პარტიებში — ქართველ მენშევიკებში, აზერბაიჯანელ მუსავატელებში, სომეხ დაშნაკებში აღმოჩნდნენ ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები, რომლებიც ამ „დამოუკიდებლობაში“ გარეშე ძალის უხეშ ჩარევას ხედავდნენ, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა მათ აიძულებდათ ასეთი ჩარევა ნაკლებ ბოროტებად ჩაეთვალათ.

ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან, აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხთა დანაწილება და ერთმანეთისაგან „დამოუკიდებლობა“, რაც გერმანია-თურქეთის პოლიტიკოსების კარნახით იქნა განხორციელებული, წინააღმდეგობაში აღმოჩნდა იმ ეკონომიურ ერთობასთან, რომელიც დიდი ხნიდან დამყარებული იყო და თითოეული ხალხის განვითარებას განაპირობებდა. რუსეთისაგან ჩამოშორებამ ამიერკავკასიას მოაკლო რუსეთის პური და მისი ხალხები საშინელი შიმშილის წინაშე დააყენა, ხოლო ამიერკავკასიის ერების ერთმანეთისაგან „დამოუკიდებლობამ“ ძირეული არევდარევა გამოიწვია მათ შიგნით. ამიერკავკასიას ჰქონდა ერთიანი რკინიგზა, რომლის ცენტრალური სახელოსნოები და სამმართველო თბილისში იყო განლაგებული, მაგრამ კავკასიის ერებს შორის კავშირის დარღვევამ შეუძლებელი გახადა საერთო რკინიგზით ნორმალური სარგებლობა. ბაქოს ნავთის შემყურე საქართველოსა და სომხეთს მოაკლდათ ნავთი. შეფერხდა ნავთობის გატანა ბაქოდან იმის გამო, რომ ნავთსადენი ბაქო-ბათუმი საქართველოზე გადიოდა, ბაქოს ნავთობის მრეწველობის რეზერვუართა ჯგუფები და ბიდონების სახელოსნოები მდებარეობდა ბათუმში. აფხაზეთში დაეცა თამბაქოს მოყვანა, ვინაიდან შეწყდა მისი გატანა რუსეთში, საქართველოსა და სომხეთში. მძიმე ლახვარი ჩაეცა ისედაც დაქვეითებულ სოფლის მეურნეობას. ამიერკავკასიის ქვეყნებს დიდი ხნიდან ჰქონდათ საერთო საძოვრები, წყალი, ტყეები, რომელთა სარგებლობის წესის შეცვლამ გამოიწვია შეხლა-შემოხლა და სისხლისღვრაც. აზერბაიჯანის გლეხთა დიდი ნაწილი უწყლობის გამო ადრე გაზაფხულზე აიყრებოდა და ზაფხულის მიწურულამდე სომხეთის მთებში მომთაბარეობდა. მაგრამ დაშნაკებმა, რომლებიც სომხეთის ბატონ-პატრონი გახდნენ, აზერ-

ბაიჯანელ გლეხებს უარი განუცხადეს საძოვრებით სარგებლობაზე, რითაც შეილახა არა მარტო აზერბაიჯანელი გლეხების, არამედ სომეხი გლეხების ინტერესებიც. სომეხი გლეხი დაზარალდა იმიტომ, რომ მას წაერთვა მომთაბარე აზერბაიჯანელებისაგან მატყლის და ერბო-კარაქის ყიდვის შესაძლებლობა. დავისა და ჩხუბის საგანი გახდა წყალი (აზერბაიჯანის გლეხები სარგებლობენ იმ მდინარეთა წყლით, რომელთაც სათავე სომხეთში აქვთ), ტყის მასივები და სხვ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნიადაგზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ატყდა დაუნდობელი ომი, რომელიც გადაიქცა სომხების ხოცვა-ჟლეტად აზერბაიჯანში და აზერბაიჯანელებისა — სომხეთში. აზერბაიჯანელებსა და სომეხთა შორის მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ კაცთმოძულეობის შხამით მოწამლა ამიერკავკასიის ატმოსფერო და რესპუბლიკათა შორის საბაჟოების ჩინური კედელი აღმართა.

სომხეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია არ იცნობდა შეიარაღებულ შეტაკებებს ამ ხალხთა შორის. მაგრამ 1918 წელს, როცა სომხეთს დაშნაკები დაეპატრონენ, ხოლო საქართველოს—მენშევიკები, მათ შორის „სადაო ტერიტორიის" ნიადაგზე გაჩაღდა ისეთივე შუღლი და მტრობა, როგორც აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის.

ხოცვა-ჟლეტას, რაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობებმა ამიერკავკასიაში გააჩაღეს, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუღო ბოლო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მაინც დარჩა ეროვნული განკერძოებულობისა და ეროვნული შუღლის მძიმე ნაშთები.

ი. ბ. სტალინი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პირველად 1921 წლის ივლისში ჩამოვიდა, გაოცებული დარჩა იმ არანორმალური მდგომარეობით, რაც შექმნილი იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბატონობის შედეგად. ეს დამოკიდებულება სრულიად არ წააგავდა იმას, რაც ამიერკავკასიაში ნათლად იგრძნობოდა 1905—1907 წლებში, როცა ცალკეულ ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელებს შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო. ძმური კავშირი ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს. „ახლა — თქვა მაშინ ი. ბ. სტალინმა, —

თბილისში ჩამოსვლისას, გამოცა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავისი სხვატომელი ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია"[1]. ამავე მოხსენებაში ი. ბ. სტალინმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩათვალა—„გასრისოს ნაციონალიზმის გველეშაპი და შექმნას ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად"[2].

მაშასადამე, თვით სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება დამოკიდებული იყო ეროვნული მშვიდობიანობის შექმნაზე, ისე როგორც ამ უკანასკნელის მოპოვებისათვის საჭირო გახდა სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება, ამიერკავკასიის ხალხთა ძალების ერთი მიზნისაკენ, სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისაკენ წარმართვა.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ფედერაციული გაერთიანების იდეა, როგორც საშინელი კოშმარიდან თავის დაღწევის უებარი საშუალება, წარმოიშვა თვით ხალხში და ამ იდეამ გამოხატულება პოვა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მთელ რიგ დოკუმენტებში ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა. ჰქონდათ რა რუსეთის საბჭოთა ფედერაციის დიდებული მაგალითი, სხვადასხვა ეროვნების მეგობრული ურთიერთობის ნიმუში, ამიერკავკასიის მშრომელი მასები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აძლიერებდნენ ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების დასამხობად და აყენებდნენ საბჭოთა პრინციპების მიხედვით მოწყობილი ფედერაციის შექმნის აუცილებლობას.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104.

[2] იქვე, გვ. 109.

ვ. ი. ლენინი, შეშფოთებული ამიერკავკასიაში ეროვნული შუღლის გაღვივებით, იწონებდა აქაური ხალხის წიაღში წარმოშობილ იდეას, რომ ამიერკავკასიის ხალხები გაერთიანებულიყვნენ ფედერაციის საფუძველზე. ამას ადასტურებს „გოელროს“ გეგმა, რომელიც ამიერკავკასიას მთლიანობაში განიხილავს, და ლენინის 1921 წლის 21 თებერვლის წერილი „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“, რომელშიც კავკასია აღებულია მთლიანად[1].

„ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველი დღეებიდანვე,—ამბობდა ს. ორჯონიკიძე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-2 ყრილობაზე 1923 წლის 19 მარტს,—ჩვენ წინაშე წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ მოგვესპო ის მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ მიერ აქედან გარეკილი მტრებისაგან—მენშევიკების, მუსავატისტებისა და დაშნაკებისაგან მივიღეთ, როგორ აღმოგვეფხვრა ის ეროვნული შუღლი, რომელიც ამიერკავკასიაში დაგვხვდა“. ს. ორჯონიკიძე ამასთანავე აღნიშნავდა: „მშვენივრად ვიცოდით, რომ ვერც სამეურნეო მშენებლობაში, ვერც სხვა რომელიმე დარგში ერთ ნაბიჯსაც კი ვერ წარვსდგამდით წინ, თუ ამიერკავკასიაში ეროვნულ ზავს არ ჩამოვაგდებდით. ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილში (ლაპარაკია ვ. ი. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილზე—„აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ — ვ. ს.), რომელიც აქ ამხ. მიასნიკოვმა ჩამოგვიტანა, ვ. ი. ლენინი ამ საკითხს აყენებს როგორც ცენტრალურს და მიგვითითებს, რომ კავკასიელ კომუნისტთა საქმეა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მივაღწიოთ ეროვნულ მშვიდობას“[2].

ამიერკავკასიის გაერთიანების ამოცანა დღის წესრიგში დადგა მაშინვე, როგორც კი მთელ კავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს პროცესი დაიწყო სამეურნეო ღონისძიებათა და სამეურნეო ორგანოების გაერთიანებით და დამთავრდა სახელმწიფო-ადმინისტრაციული ორგანოების ფედერაციული კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის ერთიანი ორგანოების შექმნით.

ვ. ი. ლენინის პირველ პრაქტიკულ მითითებას ამიერკავკასიის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 163.

[2] გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 333.

საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ორგანოების შექმნაზე ვხვდებით მის 1921 წლის 2 აპრილის წერილში „აზნეფტის“ მმართველ სერებროვსკისადმი. ამ წერილში ლენინი ბაქოსა და ბათუმის ნავთის საწარმოებს განიხილავს როგორც კოოპერირებულს და მათზე ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით საჭიროდ თვლის „საოლქო სამეურნეო ცენტრის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბაქო-ბათუმისათვის და... რომელიც დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად გაუძღვება საქმეს“[1]. ერთი კვირის შემდეგ, 1921 წლის 9 აპრილის წერილში ს. ორჯონიკიძის სახელზე ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვს, შექმნან „საოლქო სამეურნეო ცენტრი მთელი ამიერკავკასიისათვის“, ხოლო 1921 წლის 14 აპრილის წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, მიუთითებს რა კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა და ურთიერთკავშირის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, იმედს გამოთქვამს, რომ „კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“[2].

ამიერკავკასიის სამეურნეო ორგანოთა დაწყებული გაერთიანების პროცესის დასაჩქარებლად 1921 წლის ივლისში თბილისში ჩამოვიდა ი. ბ. სტალინი და მონაწილეობა მიიღო რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც 2—7 ივლისს მიმდინარეობდა. პლენუმმა განიხილა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური საკითხები, მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისათვის კომისიის შექმნის შესახებ, განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზების მდგომარეობის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ფულის ნიშნების მიმოქცევის, მთის ყარაბაღის ავტონომიის, აჭარის, აფხაზეთის მდგომარეობისა და სხვა საკითხები.

1921 წლის 6 ივლისს ი. ბ. სტალინმა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება „კომუნიზმის მორივ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რომელშიც ლენინის მითითებათა საფუძველზე ცხადყო, რომ საქართველოს, აზერ-

---

[1] Ленинский сборник, т. XX, გვ. 178.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 397.

ბაიჯანსა და სომხეთს არ შეეძლოთ უერთმანეთოდ და ყველას კი საბჭოთა რუსეთის დაუხმარებლად ცხოვრება როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი თვალსაზრისითაც.

„... საქართველო, რომელსაც სურსათ-სანოვაგე აკლია,—თქვა ი. ბ. სტალინმა, — საჭიროებს რუსეთის პურს, თავს ვერ გაიტანს უმისოდ.

....საქართველო, რომელსაც თხევადი სათბობი არა აქვს, ცხადია, ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროებს აზერბაიჯანის ნავთობის პროდუქტებს, თავს ვერ გაიტანს უიმათოდ.

...საქართველო, რომელსაც აკლია საექსპორტო ფონდები, საჭიროებს რუსეთის მხრივ ოქროთი დახმარებას საქონლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად“[1].

ი. ბ. სტალინმა ცხადყო, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო წარმატებაც შეუძლებელი იყო საქართველოს წვლილის გარეშე, ისევე როგორც ყოველი მათგანისათვის აუცილებელი იყო დიდი რუსი ხალხის დახმარება.

„... გაერთიანების განუხორციელებლად, — თქვა შემდეგ ი. ბ. სტალინმა, — შეუძლებელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, მეტადრე საბჭოთა საქართველოს, სამეურნეო წარმატება“[2].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს საგარეო ვაჭრობის ხაზით ცალ-ცალკე მოუხდათ გასვლა საზღვარგარეთ და პირველი ურთიერთობის დამყარება დასავლეთ ევროპასთან. მაგრამ არ ჰქონდათ რა მჭიდრო კავშირი ერთმანეთთან, „ჩვენი საგარეო ვაჭრობანი არათუ არ დაეხმარნენ ერთმანეთს, არამედ კონკურენტები იყვნენ, რაც ძალიან ხელსაყრელი იყო უცხოელი ვაჭრებისათვის“[3].

კიდევ უფრო არახელსაყრელი აღმოჩნდა რკინიგზის მეურნეობათა არსებობა ცალ-ცალკე. იგი პირდაპირ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ხალხთა ურთიერთდახმარების სისტემასთან და თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნებასთან, რომელიც უსათუოდ გულისხმობს ასეთი სისტემის შექმნას.

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 102, 103.

2 იქვე, გვ. 105.

3 გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 232.

ამიტომ ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე 1921 წელსვე ამიერკავკასიის ფარგლებში გაერთიანდა რკინიგზები და საგარეო ვაჭრობა, რამაც საგრძნობლად წასწია წინ ხალხთა დაახლოების საქმე და დააჩქარა მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გაერთიანება.

1921 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს ყარსის კონფერენციაში, რომელმაც ძოაწესრიგა საზღვრები და ურთიერთდამოკიდებულება თურქეთთან. ქემალისტური თურქეთის ცდა —ცალ-ცალკე მოლაპარაკებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს და თავს მოეხვია მათთვის უთანასწორო ხელშეკრულება, მარცხით დამთავრდა. სარგებლობდნენ რა საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით, ამიერკავკასიის რესპუბლიკები შეთანხმებული გამოვიდნენ კონფერენციაზე, გადაჭრით უკუაგდეს თურქეთის პრეტენზიები და 13 ოქტომბერს ერთად მოაწერეს ხელი მათთვის მისაღებ ხელშეკრულებას.

ამრიგად, როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობები მოითხოვდნენ რესპუბლიკების გაერთიანებას ფედერაციის ფორმით.

სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების პროცესის გაძლიერებასთან ერთად მწიფდებოდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების საკითხი. დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ამ მხრივ რკპ (ბ) კავბიუროს პლენუმის 1921 წლის 3 ნოემბრის დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ამიერკავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული სახელმწიფოებრივი არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე, მჭიდრო პოლიტიკური კავშირი კი მტკიცე გარანტია იქნება კონტრრევოლუციური ძალების ყოველგვარი ხელყოფისაგან და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკებს საქმით დაამყარონ ერთმანეთს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირი, რომლის შეკვრის ცდები არაერთხელ იყო. ამავე დროს რესპუბლიკების განკერძოება აღრმავებდა ამიერკავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხთა მასების სიღარიბესა და გაღატაკებას და გამოიწვია მთელი რიგი გაუგებრობანი რესპუბლიკებს შორის.“

გამოდიოდა რა აქედან, კავკასიის ბიუროს პლენუმს მიაჩნდა:

1) გადაუდებლად და აუცილებლად შეიქმნას რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირი, უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში;

2) აუცილებლად იქნას აღიარებული ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ეკონომიური საბჭოს (სამოკავშირეო საბჭოს) შექმნა[1].

რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილება ასახავდა ამიერკავკასიის მშრომელი მასების, პირველ რიგში ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ალექსანდროპოლის, ერევნის მშრომელთა განწყობილებას, რომლებმაც იგი ერთსულოვნად მოიწონეს.

ეყრდნობოდა რა რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს ამ გადაწყვეტილებას, რომელიც მასების უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობდა, ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 28 ნოემბერს შეადგინა წინადადების პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

პროექტში ნათქვამი იყო:

„1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებულ იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვემოდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და მ უ შ ა თ ა დ ა გ ლ ე ხ თ ა მ ა ს ე ბ ი ს წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს“[2].

1921 წლის 29 ნოემბერს ვ. ი. ლენინის პროექტი მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

---

1 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 8, აღწ. 3, ს. 343, ფურც. 40.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 134.

ვ. ი. ლენინის წინადადების შესაბამისად 1921 წლის დეკემბერში საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ფართო მზადება დაიწყო საბჭოების ყრილობის მოსაწვევად. მშრომელთა დიდი აქტივობისა და მხარდაჭერის პირობებში ჩატარდა საბჭოების ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების არჩევნები. 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა სრულუფლებიანმა კონფერენციამ შექმნა ამიერკავკასიის ფედერაცია — ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი.

ფედერაციის კავშირის განმტკიცების გზაზე დიდ მოვლენას წარმოადგენდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელიც 1922 წლის თებერვალში თბილისში შეიკრიბა. ამ ყრილობაზე რკპ (ბ) კავკასიის ბიურო, რომელიც აურჩეველი ორგანო იყო, შეცვალა ყრილობის მიერ არჩეულმა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მხარის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოს, რომელიც წარმართავდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების მუშაობას. სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე გ. კ. ორჯონიკიძე.

მხარის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნამ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში დიდად წასწია წინ სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობა, რამაც თავის მხრივ წამოაყენა ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის შემდგომი განვითარების საკითხი — პოლიტიკური კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება.

ეს ისტორიული საქმე დააგვირგვინა 1922 წლის 10—13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ (ჩატარდა ბაქოში). აქ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი გარდაიქმნა ამიერკავკასიის ერთიან ფედერაციულ რესპუბლიკად, მასში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. რამდენიმე დღის შემდეგ (1922 წლის 30 დეკემბერს) ამიერკავკასიის სფსრ, რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრა-

ინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თანაბრად შეევიდა დიდ კავშირში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრულ ოჯახში, რომლის სულისჩამდგმელი იყო ვ. ი. ლენინი.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა გადაიქცა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობისა და ძმური თანამშრომლობის მძლავრ იარაღად, სოციალისტური მშენებლობის საქმეში მათ ღონისძიებათა გაერთიანების ორგანოდ. ფედერაცია ამიერკავკასიის ხალხთა შორის მშვიდობის აღდგენისა და მისი განმტკიცების მძლავრი ინსტრუმენტი გახდა.

ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ელემენტების, შოვინისტური და თავადაზნაურული ინტელიგენციის და განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების, ნამსხვრევების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში, რომლებსაც ჩვენი პარტიის შიგნით აღმოაჩნდათ დასაყრდენი ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიციის სახით.

რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმის ზემომოყვანილ დადგენილებაში არის მითითება, რომ არაერთხელ იყო ცდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური კავშირის შექმნისა, მაგრამ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში თვით სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების იდეის წარმოშობიდანვე მოქმედებდნენ საწინააღმდეგო ძალები, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჯერ სამეურნეო ორგანოთა გაერთიანებას და შემდგომ ფედერაციული კავშირის შექმნას. ამასვე ასახავს ვ. ი. ლენინის მითითება ფედერაციის გატარების საკითხში „დიდი ოპოზიციის“ შესაძლებლობაზე. ასეთი ოპოზიცია მართლაც იყო და იგი სერიოზულად აფერხებდა ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობას.

ჯერ კიდევ სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების პროცესში ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, კერძოდ საქართველოსა და აზერბაიჯანში, თავი იჩინა ნაციონალისტურ-სეპარატისტულმა გადახრამ, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ფედერაციის შექმნის შემდეგ. მაგალითად, ცნობილია, რომ აზერბაიჯანის კომპარტიაში კომუნისტების მცირე ჯგუფმა (რ. ახუნდოვმა და სხვ.) წინააღმდეგობა გაუწია ფედერაციის შექმნას, მისწ გატარება ნაა-

ღრეევად მიიჩნია. იქ იყვნენ ფედერაციის უფრო გულახდილი მოწინააღმდეგენიც, რომლებიც მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებასა და აზერბაიჯანის უშუალოდ შესვლას სსრ კავშირის შემადგენლობაში. ნაციონალ-უკლონიზმმა უფრო საშიში სახე მიიღო საქართველოში, სადაც სეპარატისტულ-ნაციონალისტურ ტენდენციას სათავეში ედგა ბ. მდივანი და მისი ჯგუფი. ამ ჯგუფმა უმრავლესობა მოიპოვა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და ფედერაციის მშენებლობაში საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, რომელსაც ს. ორჯონიკიძე და მ. ორახელაშვილი მეთაურობდნენ.

მოითხოვეს რა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშუალოდ შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში ფედერაციის გაუვლელად, ქართველი უკლონისტები შეეცადნენ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორიც არის თბილისი და ბათუმი, რომლებიც გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენენ საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიური განვითარებისათვისაც. ნაციონალ-უკლონისტებს სურდათ ქართველებისათვის შეექმნათ და განევითარებინათ პრივილეგიები საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე. ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულების საკითხში ქართველი ნაციონალ-უკლონისტები დაადგნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის გზას, ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს ეროვნულ უმცირესობათათვის (სამხრეთ ოსეთი, აჭარა, აფხაზეთი) აკტონომიის მინიჭების წინააღმდეგ. ნაციონალ-უკლონისტური გადახრა გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ზეგავლენას ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცალკეულ წევრებზე. ამ გადახრას, როგორც ეს ჩვენი პარტიის XII ყრილობის მასალებშია მითითებული, კვებავდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კერძო კაპიტალი.

ნაციონალ-უკლონისტურმა გადახრამ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში თავი იჩინა ჩვენი პარტიისა და სამშობლოსათვის ძალიან კრიტიკულ მომენტში, როცა ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია, საზღვარგარეთ გადახვეწილი მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, მთელი თეთრგვარდიული პრესა გაბოროტებით ესხმოდ-

ნენ თავს საბჭოთა რუსეთს მისი „დაპყრობითი“ გეგმებისათვის. განსაკუთრებით გესლსა და შხამს ანთხევდა მენშევიკური ემიგრანტული პრესა, რომელიც ავრცელებდა ცრუ ხმებს საბჭოთა რუსეთის მიერ „საქართველოს დაპყრობის“ შესახებ და მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მის ვითომდა განსათავისუფლებლად. საქართველოში ამ დროს ჯერ კიდევ ლეგალურად არსებობდნენ ანტისაბჭოთა პარტიები მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ესერების, ფედერალისტების სახით, რომლებიც აყოლილი იყვნენ ამ საერთო ღრიანცელს. ყოველგვარი შეცდომა ეროვნული პოლიტიკის საკითხში მათთვის ძვირფას მასალას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ვითარებაში ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიცია ჩვენი პარტიის შიგნით, მიუხედავად ამ ოპოზიციის ცალკეულ წევრთა სუბიექტური განწყობილებისა, წარმოადგენდა მტრის აგენტურის საიმედო დასაყრდენს. ეს იყო ერთ-ერთი არსებითი პირობა იმისა, რომ ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მთელ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, უაღრესად შეუპოვარ და გადამწყვეტ ხასიათს ატარებდა.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის და ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ საგრძნობლად გააჭიანურა იმ შეცდომებმა, რომლებიც დაშვებულ იქნა, ერთი მხრივ, თვით ფედერაციის მშენებლობის საკითხში და, შეორე მხრივ, ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფედერაციის მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ადგილი ჰქონდა გაერთიანებისადმი ზედმეტად გამოდევნებას, გაერთიანებული ორგანიზაციების არასაჭირო ცენტრალიზაციას, რაც იწვევდა რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა შეზღუდვას. შეცდომები ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ლენინი მიუთითებდა, გამოიხატა, რაც საჭირო არ იყო, სიმკაცრეში მათ მიმართ. სამხარეო კომიტეტის პოზიცია პრინციპულად სწორი იყო, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში იგი იდეურ ბრძოლას ცვლიდა ადმინისტრირებისა და დაშინების მეთოდით, რის გამოც ზოგჯერ პატიოსანი ქართველი კომუნისტებიც გადადიოდნენ უკლონისტ ბ. მდივნის მხარეზე და ეს საკითხის გადაწყვეტას კიდევ უფრო ართულებდა.

ვ. ი. ლენინი გაეცნო ამ მომენტში საქართველოს ვითარებას

და, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, დაუყოვნებლივ მიიღო სასწრაფო ზომები საქართველოში ჩვენი პარტიის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტიისადმი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დამოკიდებულებაში ლენინმა დაინახა მეტისმეტი ცენტრალიზაცია და გადაჭრით გამოვიდა მის წინააღმდეგ. ქართველი ნაციონალ-უკლონისტების საქციელი შეაფასა როგორც „პოლიტიკური დანაშაული", მაგრამ დაუშვებლად ჩათვალა ადმინისტრირება, რის მიდრეკილებასაც ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ნაციონალ-უკლონისტების მიმართ იჩენდა.

ნაციონალ-უკლონიზმი, როგორც მიმდინარეობა, დაგმობილი, დამარცხებული და განადგურებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის II და III ყრილობებზე, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II და III ყრილობებზე და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) XII ყრილობაზე.

ნაციონალ-უკლონიზმი მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა არა მარტო ამიერკავკასიის ფედერაციაში, არამედ ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ამასთან დაკავშირებით რკპ (ბ) XII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ, აზერბაიჯანული შოვინიზმი (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ, უზბეკური შოვინიზმი (ბუხარასა და ხორეზმში), მიმართული თურქმენებისა და ყირგიზების წინააღმდეგ, სომხური შოვინიზმი და სხვ., — ყველა ამ სახის შოვინიზმი, რასაც ამასთანავე ხელს უწყობდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და კონკურენციის პირობები, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის. რაღა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა აფერხებს ერთიან სახელმწიფო კავშირად ხალხთა ფაქტიური გაერთიანების საქმეს"[1].

დაძლიეს რა ნაციონალ-უკლონიზმი, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც გახდა აქაურ ხალხებს შორის მშვიდობის აღდგენისა და მა-

[1] სკკ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 921.

თი განმტკიცების, თანამშრომლობისა და სოციალიზმის მშენებლობის მძლავრი იარაღი.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და განმტკიცების საკითხი იმ პერიოდში იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების უპირველესი საკითხი. „საბჭოთა ხელისუფლებას რომ ვერ მოეხერხებინა ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შეძლებდა უთანხმოებათა და კონფლიქტთა მოწესრიგებას, ჩვენ დაუბრუნდებოდით ცარიზმის ეპოქას ან დაშნაკების, მუსავატელების, მენშევიკების ეპოქას, როდესაც ადამიანები წვავდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს[1].

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა სამი სრულუფლებიანი წევრის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკების მონაწილეობით. მაგრამ მასში, ისე როგორც რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თავისუფალი განვითარება პოვა მის ტერიტორიაზე მობინადრე ყველა ერისა და ეროვნების ხალხებმა, რომელთა შორის უფრო კომპაქტური მოსახლეობა შევიდა ფედერაციის წევრ საბჭოთა რესპუბლიკებში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სახით. საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკების უფლებით შევიდა აფხაზეთისა და აჭარის მოსახლეობა (აფხაზეთის ასსრ შეიქმნა 1921 წლის 4 მარტს, აჭარის ასსრ — ამავე წლის 16 ივნისს), ავტონომიური ოლქის უფლებით — სამხრეთ ოსეთი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1922 წლის 20 აპრილს). აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში შეიქმნა ნახჭევანის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა (1924 წლის 9 თებერვალს) და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი (1923 წლის 7 ივლისს).

ამრიგად, თვითგამორკვევის უფლება, რისთვისაც ამიერკავკასიის ხალხები რუს ხალხთან ერთად შეუპოვრად იბრძოდნენ, განხორციელდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ხალხებს, ისე როგორც რუსეთის ყველა ხალხს, განვითარების ყველა პირობა შეუქმნა. ფედერაცია სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ორგანი-

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 278.

ზაციის საუკეთესო ფორმა აღმოჩნდა, რომელმაც უზრუნველყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის მშვიდობის აღდგენა, თანამშრომლობა, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება.

ამიერკავკასიის ფედერაციას რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისაგან განსხვავებით ახასიათებდა ზოგიერთი თავისებურებანი. იმ დროს, როცა ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები ამიერკავკასიის ფედერაციაში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახით შევიდნენ, რუსეთის ფედერაციაში ისინი ძესული არიან უწუალოდ. ამიტომ კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის და, მეორე მხრივ, ამ რესპუბლიკებს, ოლქებსა და ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს შორის არ არის იგივე, რაც ამიერკავკასიის ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის იყო, რომელთაც ფედერაცია ხელმძღვანელობდა მასში შემავალი რესპუბლიკების საშუალებით. რუსეთის ფედერაცია შექმნილი იყო როგორც რუსეთში მცხოვრებ მრავალმილიონიან ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობის უკეთესი ფორმა ხანგრძლივი არსებობისათვის, მაშინ როცა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა გაანგარიშებული იყო მოკლე პერიოდისათვის როგორც საგანგებო ღონისძიება ამიერკავკასიაში შექმნილ სპეციფიკურ პირობებთან დაკავშირებით.

ფედერაციის შექმნა აუცილებელი იყო როგორც სამხედრო, ისე მეურნეობრივი თვალსაზრისითაც. საჭირო იყო მენშევიკების ბატონობისდროინდელი ნაციონალიზმის ძლიერი ნაშთების მოსპობა. ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დაისახა გაენადგურებინა ნაციონალიზმი და შეექმნა ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად.

იდეა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა ეკუთვნის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს ვ. ი. ლენინს.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა. 1921 წლის 28 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ეს პროექტი და დაიწყო ფედერაციის პრაქტი-

კული მშენებლობა. ამიერკავკასიის ფედერაციამ, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გააერთიანა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკები. ფედერაცია შეიქმნა 1922 წლის 12 მარტს. იმავე წლის დეკემბერში იგი გარდაიქმნა ფედერაციულ კავშირად[1].

ამიერკავკასიის ფედერაცია იყო დიდი ნაბიჯი სსრ კავშირის შექმნის გზაზე. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად გაჩაღდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ შექმნის დიდი ხნის წინ დაწყებული პროცესი.

ერთ ფედერაციულ კავშირად გაერთიანებულ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღდგენა-განვითარება ხდებოდა საერთო ძალებით, ურთიერთდახმარების იმ სისტემის საფუძველზე, რაც სსრ კავშირის ხალხებს შორის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ დაამკვიდრა.

1922 წლის 30 დეკემბერს შედგა საბჭოების სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა, რომელმაც განიხილა საკითხი საბჭოთა სოციალისტური კავშირის შექმნის შესახებ, მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ოთხი სრულუფლებიანი რესპუბლიკის — რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ამ დღეს შეიქმნა სსრ კავშირი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, წინათ ჩაგრული ხალხების მოწინავე, სოციალისტურ ერებად გარდაქმნისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ გაიმარჯვა ერთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის და ძმობის საბჭოთა იდეოლოგიამ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რომელმაც მრა-

---

1 ვ. სიხარულიძე, „ვ. ი. ლენინი სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი სოციალისტური მშენებლობისა საქართველოში", ჟურნ. „მნათობი", № 6, 1967, გვ. 149.

ვალ განსაცდელს გაუძლო, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცა.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ეროვნული ურთიერთობის დარგში. ისტორიაში პირველად გადაიჭრა ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აღიზარდნენ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები, ყოველმხრივ განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა[1].

ამიერკავკასიის ფედერაციამ 1936 წლამდე იარსება. შეასრულა რა მის წინაშე მდგომი ამოცანები, იგი საბჭოების სრულიად საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობის დადგენილების საფუძველზე გაუქმებულ იქნა. მის შემდეგ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები უშუალოდ შედიან სსრ კავშირის შემადგენლობაში.

---

1 რ. გ ო ძ ე ლ ი ძ ე, ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლება, ჟურნ. „მნათობი“, № 6, 1967, გვ. 147.

თავი VI

სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით წინ, კომუნიზმისაკენ

განსაზღვრა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული განმტკიცების გზა, კომუნისტების საშოქმედო ტაქტიკა, მმართველობის ფორმები, ლენინმა იმავდროულად ამიერკავკასიის კომუნისტებს დაუსახა გრანდიოზული ამოცანები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დარგში. ეს ამოცანები გამომდინარეობდა მის მიერვე შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამიდან, რომელიც გულისხმობდა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევას მოწინავე მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის კოოპერაციულ გარდაქმნას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გეგმას, პარტიის X ყრილობამ, რომელმაც მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება მორიგ ამოცანებზე ეროვნულ საკითხში, თავის რეზოლუციაში აღნიშნა:

„ახლა, როდესაც მემამულეები და ბურჟუაზია დამხობილი არიან... პარტიის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს — დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ: ა) განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ

ხალხების ნაციონალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს შეესაბამებიან; ბ) განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში დედაენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომელთაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და ფსიქოლოგია; გ) განავითარონ თავის ქვეყანაში პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე; დ) შექმნან და განავითარონ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი დედაენაზე ... კვალიფიციურ მუშათა და საბჭოთა პარტიულ მუშაკთა ადგილობრივი კადრების დაჩქარებით მოსამზადებლად მართვა-გამგეობის ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა განათლების დარგში"[1].

პარტიის X ყრილობამ მიუთითა, რომ პროლეტარული რევოლუციის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ეროვნულ უთანასწორობათა ყველა ნაშთის თანმიმდევრული ლიკვიდაცია საზოგადოებრივი და სამეურნეო-კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

X ყრილობის მიერ ეროვნულ საკითხზე მიღებულ დადგენილებას მიზნად ჰქონდა ჩამორჩენილი ხალხების განვითარების დონის ამაღლება მოწინავეთა დონემდე და უკვე საკანონმდებლო წესით განმტკიცებული უფლებრივი თანასწორობის განმტკიცება ფაქტიური თანასწორობით. უფლებრივი უთანასწორობა ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებში. ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის კი საჭირო იყო საკმაოდ ბევრი დრო და პროლეტარიატის ღონისძიებანი ჩამორჩენილი მოძმე ხალხებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში. ჩამორჩენილ ეროვნულ განაპირა მხარეებს ქმედითად უნდა დახმარებოდნენ, რათა ისინი ცენტრალურ რუსეთს დასწყოდნენ. ყრილობამ მიუთითა, რომ აღნიშნულ მხარეებში უპირველესად დანერგილიყო მრეწველობის კერები უშუალოდ ნედლეულის წყაროებთან, აღზრდილიყო ადგილობრივი კადრები. მაგრამ ამ დროს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებას ხელს უშლიდა დიდმპყრობელური შოვინიზმი და ადგილობრივი ნაციონალიზმი. ყრილობამ მოითხოვა გადამწყვეტ

---

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 719.

ბრძოლაზე გადასვლა პირველ რიგში დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, რადგან იგი ჩაფუშვას უქადდა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დარაზმული ხალხების ერთიანობასა და ძმობას[1].

პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეებით უდიდესი დატვირთვის მიუხედავად, ლენინი პოულობდა დროს და თვალყურს ადევნებდა იმას, თუ როგორ იწყებდნენ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ოჯახში სოციალიზმის შენობის აგებას ამიერკავკასიის მშრომელები, განუწყვეტლივ ეხმარებოდა მათ, ახარებდა მათი მიღწევები.

მაგრამ ლენინის სიცოცხლეში მხოლოდ დაიწყო სოციალიზმის მშენებლობის მის მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელება. ეს ისტორიული მნიშვნელობის პროგრამა პარტიამ განახორციელა ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ გააქტიურდნენ სოციალიზმის მტრები — ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, მაგრამ პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიცვა ლენინიზმი და აიღო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსი.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სოციალიზმის მტრები აქტიურად ამოქმედდნენ ამიერკავკასიაშიც, სადაც ისინი ხელს უშლიდნენ სოციალიზმის მშენებლობის გზით ადგილობრივი მოსახლეობის ძალთა კონსოლიდაციის საქმეს.

ამიერკავკასიას განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ხალხის საზიზღარმა მტერმა ბერიამ. იგი აფერხებდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას, მათ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ამიერკავკასიის ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებაზე — ევლოთ ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით და დიდი რუსი და სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ აეშენებინათ სოციალიზმი. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობასა და დახმარებას პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისაგან ღებულობდნენ,

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 438.

გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება და სათავეში ჩაუდგნენ მასე-ბის მზარდ აქტივობას სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ მიზან-დასახულობათა შესასრულებლად.

რა ძირითად ამოცანებს აყენებდა ლენინი კომუნისტური მშენებ-ლობის დარგში ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე და როგორ სრულდებოდა ეს ამოცანები?

ცნობილია, რომ იმპერიალისტურმა ომმა, ხოლო შემდეგ ბურ-ჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და უცხოელი იმპერიალის-ტების ბატონობამ კატასტროფამდე მიიყვანა ამიერკავკასიის ეკო-ნომიკა.

ომის წლებში ბაქოს ნავთობის ამოღება ნავთობის გამსაღებელი ბაზრებისაგან მისი მოწყვეტის გამო იკვეცებოდა. 1920 წელს ბაქოს ნავთობის წლიური მოპოვება 1913 წლის 7,7 მილიონი ტონიდან დაცემული იყო 2,4 მილიონ ტონამდე, ხოლო მოქმედი ჭაბურღი-ლების რიცხვი—3 540-დან 874-მდე. კიდევ უფრო კატასტროფულ მდგომარეობამდე იყო მისული ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა. იქ მადნის ამოღება 1913 წლის 965,8 ათასი ტონიდან 1920 წელს 185,5 ათას ტონამდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, როგორც ბაქო-ში, ისე ჭიათურაში დაგროვდა პროდუქციის დიდი მარაგი, რაც კი-დევ უფრო ამცირებდა წარმოებას. ტყიბულის მაღაროები, ბარიტის, ტყვია-თუთიისა და სპილენძის საბადოები, აგრეთვე ათობით სხვა წვრილი და შედარებით მსხვილი საწარმო, რომლებიც ამიერკავკა-სიაში მეფის მთავრობის დროს შეიქმნა, გავერანებული და გაპარტა-ხებული დატოვეს ამიერკავკასიის მშრომელების მოსისხლე მტრებ-მა — მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობა. საირიგაციო-სარწყავი სისტემის სრული მოშლილობის გამო, გაპარ-ტახებული აღმოჩნდა 200 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა. ბამბის ნათე-სები შეადგენდა 1913 წლის დონის მხოლოდ 2,5 პროცენტს, ხოლო თამბაქოს კულტურის მოშენება, რომელსაც ომამდე თვალსაჩინო როლი ეკავა სოფლის მეურნეობაში, სავსებით შეწყდა. განადგურე-ბის პირას იყო მისული სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნე-ლოვანი დარგი, როგორიცაა მეცხოველეობა. განსაკუთრებით საგრ-ძნობი ზიანი მოუვიდა სოფლის მეურნეობის მრავალწლიან დარ-გებს—მევენახეობასა და მებაღეობა-მეხილეობას. იმპერიალისტუ-

რი ომის წლებში ვენახსა და ხეხილს მომვლელი მოაკლდა, არ ტარ-
დებოდა აგროტექნიკური ღონისძიებანი. მაგრამ უფრო დიდი ზიანი
მიუვიდა მათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბატო-
ნობის წლებში, როცა ამიერკავკასია მისი მაშინდელი კონტრრევოლუ-
ციონერი მმართველების წყალობით საბჭოთა რუსეთიდან მოწყვე-
ტილი აღმოჩნდა. შეწყდა რუსეთიდან პურის შემოტანა და შიმშილი-
საგან გამწარებული გლეხები, რომელთაც „მეფე შიმშილი" სულის
ამოხდით ემუქრებოდა, იძულებული გახდნენ გაეჩეხათ ვენახი, აგრე-
თვე ხეხილის ბაღები და მათ ადგილას პური და სიმინდი დაეთესათ.
ამ ნიადაგზე, მაგალითად, მარტო საქართველოში 41 ათასი ჰექტარი
ვენახი და კიდევ უფრო მეტი ხეხილის ბაღი განადგურდა.

საჭიროა აგრეთვე მოვიგონოთ სოფლის მეურნეობის დაბალი
ტექნიკური დონე. საბჭოთა წყობილების დამყარებამდე სოფლებში
გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები იშვიათი გამონაკლისი იყო, იგი
მხოლოდ „კულტურულ" (ზოგიერთი მემამულის, საუფლისწულო
და სხვ.) მეურნეობებს თუ გააჩნდათ. კერძოდ, საქართველოში ჭარ-
ბობდა „ცალხარიანი" და სავსებით უხარო გლეხური მეურნეობანი,
რომელთაც არამცთუ გუთანი, არამედ უფრო ფართოდ გავრცელე-
ბული პრიმიტიული კავისა და სახნისის გამართვაც კი არ შეეძლოთ.
საშუალოდ 15 კომლზე ერთი სახნისი — აი ამიერკავკასიის სოფლის
მეურნეობის „ტექ[illegible]იკური შეიარაღება" 1920 წელს.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას სა-
ხალხო მეურნეობის ყველა დარგის პროდუქცია 1913 წელთან შედა-
რებით 18—20 პროცენტს ძლივს შეადგენდა.

მიუხედავად ამ მძიმე მემკვიდრეობისა, საქართველოს, აზერბაი-
ჯანის, სომხეთის მოსახლეობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავისი
მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელახალ შექმნასა და
განვითარებას. დაიწყო ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური და
კულტურული აღორძინება.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა ითვალისწინებდა
მხარის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენას ომამდელ დონემდე
და მის შემდგომ განუხრელ წინსვლას; ახალ ბუნებრივ სიმდიდრეთა
გამოვლინებასა და მათ ბაზაზე მძლავრი მექანიზებული საწარმოების
მოწყობას; ტექნიკის ფართოდ გამოყენებას სოფლის მეურნეობაში

და მის განუხრელ აღმავლობას; მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატურ ზრდას.

ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტების ყურადღებას უწინარეს ყოვლისა მიაქცევდა წიაღისეულ სიმდიდრეთა გამოყენებაზე.

„ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია"[1], — სწერდა ლენინი თავის სადირექტივო წერილში კავკასიის კომუნისტებს.

ამ მითითებას არა მარტო ამიერკავკასიისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ნავთობსა და მარგანეცზე, რომელთა მოპოვება იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების წლებში კატასტროფულად შემცირდა. ამიტომ დიდი ლენინის დავალებით ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ დარგებს მოჰკიდეს ხელი და მალე დიდ წარმატებასაც მიაღწიეს.

თავდაპირველად განზრახული იყო ბაქოს ნავთობის სარეწების აღდგენა კონცესიის წესით, ამერიკული კომპანიებისათვის დროებით მათი გადაცემის გზით. მაგრამ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულმა ლენინისეულებმა, ბაქოს მუშების ენთუზიაზმმა და პატრიოტიზმმა შესაძლებელი გახადა სარეწების აღდგენა საკუთარი ძალით; ამერიკის კომპანიებთან მხოლოდ ტექნიკური დახმარების ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ მალე იმის გამო, რომ ბაქოს ნავთობის სარეწთა მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა საუკეთესოდ აითვისეს ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკა, ეს ხელშეკრულებაც გაუქმებულ იქნა.

ბაქოს ნავთის სარეწების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ბაქო-თბილისი-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობა. 1921 წლის მარტში ნავთსადენი უკვე მოყვანილი იყო თბილისამდე, რის შესახებაც პარტიის X ყრილობაზე ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული ამბობდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 398.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 329.

მართლაც, ბაქო-თბილისი-ბათუმის ნავთსადენის საშუალებით, რომელიც მალე გაიხსნა, გაძლიერდა ნავთობის გადატუმბვა ბათუმში და მისი გამოყენება როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე გატანა მსოფლიო ბაზრებზე, რასაც მაშინ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ბაქოს ნავთობის მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ს. მ. კიროვმა, რომელიც 1921—1925 წლებში აზერბაიჯანის ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა შედეგად ბაქოს ნავთობის სარეწების მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდებოდა. აღმოჩენილ იქნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საბადოები: ილიჩის ბუხტა, კარაჩუხური, ლოკ-მადანი, კალა და სხვები. 1928 წელს ბაქომ ნავთობის ამოღების დარგში ომამდელ დონეს მიაღწია (ამოღებულ იქნა 7,7 მილიონი ტონა ნავთობი), ხოლო საბჭოთა აზერბაიჯანის 10 წლისთავზე (1930 წ.) ეს რიცხვი 13,5 მილიონ ტონამდე იქნა აყვანილი.

ბაქოს მენავთობეებმა 1931 წლის მარტისათვის, ესე იგი ორნახევარი წლის განმავლობაში, შეასრულეს პირველი ხუთწლიანი გეგმა. ბაქოელებს მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა ქვეყნის მშრომელები. ამ წარმატებისათვის საბჭოთა მთავრობამ ბაქოს მენავთობეები ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ბაქოს მენავთობეების დახმარებით საქართველოში დაიწყო ნავთსაძიებო სამუშაოები (შირაქი, ნორიო, სუფსა და სხვ.). საქართველოს ნავთი ხარისხით ჩამოუვარდება ბაქოსას, მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა დაიკავა რესპუბლიკის ეკონომიკაში.

ჭიათურის მარგანეცისადმი ვ. ი. ლენინის განსაკუთრებული ყურადღების შესახებ მოგვითხრობს ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი. „როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კავკასიის შესახებ, — ნათქვამია მის ერთ-ერთ მოგონებაში, — იგი (ვ. ი. ლენინი—ვ. ს.) ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჭიათურის მარგანეცის დამუშავებას, უწინასწარმეტყველებდა მას დიდ მომავალს“[1].

ჭიათურის მაღაროები კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში

---

[1] ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. ი. ლენინი პეტროგრადსა და მოსკოვში, 1956, გვ. 47.

მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ ძვირფას საგანძურს მეფის ქ(თაე-
რობის დროს 25-მდე კერძო კაპიტალისტური კამპანია ფლობდა
საკუთრების უფლებით. მადნის მფლობელი კაპიტალისტები კი
უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ მის მტაცებლურ ექსპლოატაციასა
და უცხოეთში გაზიდვას. მეცხრამეტე საუკუნის ბატონობის წლებშიც ჭია-
თურის მარგანეცის სამადნოები უცხოეთის კაპიტალის (უმთავრესად
გერმანელების) ხელში რჩებოდა, ხოლო მადნის ამოღება კატა-
სტროფულად მცირდებოდა მადნის გატანის შემცირებასთან დაკავ-
შირებით[1]. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მარგანეცის მაღაროე-
ბის ნაციონალიზაცია, ხოლო იქ მოკალათებული კაპიტალისტები
სცადა გადაეყვანა საკუთრების უფლებიდან მოიჯარადრის უფლე-
ბაზე[2]. ამ ღონისძიებამ ნაყოფი არ გამოიღო და რამდენიმე წლის
განმავლობაში ჭიათურის ბატონ-პატრონად ისევ კაპიტალისტები
დარჩნენ. ამის გამო 1924 წლის 13 მაისს ამიერკავკასიის კომუნის-
ტური ორგანიზაციების მე-3 ყრილობაზე ს. ორჯონიკიძე გულის-
ტკივილით ამბობდა: „ეს (ჭიათურის—ვ. ს.) მრეწველობა, რომელსაც
საქართველოს ცხოვრებაში, ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავ-
შირის ცხოვრებაში უაღრესად თვალსაჩინო როლის შესრულება
შეუძლია, დღემდე თითქმის მთლიანად კერძო კაპიტალის ხელშია და
დღესაც ვერ ვიტყვით ჭიათურა საბჭოთა ქვეყანაშია, თუ კაპიტა-
ლისტთა ოაზისს წარმოადგენს“[3].

იქვე ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ საქართველოს კომპარ-
ტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ბოლო დროს გადამჭრელი ნაბი-
ჯები გადადგა მარგანეცის მრეწველობის დასაუფლებლადო. მაგრამ
სათანადო საკუთარი კადრების უყოლობისა და ტექნიკის უქონლო-
ბის გამო ვერც ამ დროს მოხერხდა ჭიათურის მარგანეცის მრეწვე-
ლობის ათვისება. ამიტომ 1925 წლის ივლისში იგი საკონცესიოდ
მიეცა ამერიკელ ა. ჰარიმანს ბიზნესმენ პარტნიორთა ჯგუფთან
ერთად. ეს კონცესია 3 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მან ერთხელ

---

1 ჭიათურის მაღაროებიდან 1913 წელს ამოღებულ იქნა 965,8 ათასი ტონა
მარგანეცი, 1920 წელს კი—125,5 ათასი ტონა, ე. ი. შემცირდა დაახლოებით
რვაჯერ (საქართველოს სსრ 20 წელი, თბილისი, 1941, გვ. 41).

2 Ленинский сборник, т. XX, გვ. 179.

3 გ. კ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, 1957, გვ. 411—412.

კიდევ ნათელყო ვ. ი. ლენინის არაერთი მითითება იმის შესახებ, რომ ეს გზა დროებითი იყო საბჭოთა ქვეყნისათვის. კონცენსიონერი სისტემატურად არღვევდა ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ცდილობდა, რათა თანხების დაუბანდებლად, მუშებისათვის დაბალი ხელფასის შენარჩუნებით, მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების დაქვეითებით თითქმის მუქთად მიეღო ძვირფასი მადანი.

1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ თავის ხელში აიღო ჭიათურის მაღაროების ექსპლოატაციის საქმე. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იღებდნენ ჭიათურაში მარგანეცს, მაგრამ ამ მადნის ადგილობრივ გამოყენების ცდებიც კი არ ყოფილა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა ეს საკითხი. ჭიათურის ახლოს, ზესტაფონში, 1928 წელს დაიწყო და 1939 წელს დამთავრდა ფერომარგანეცის დიდი ქარხნის მშენებლობა, რომელიც ელექტროლიზური წესით იძლევა მარგანეცისა და რკინის შენადნობს — მაღალი ხარისხის რკინა-ფოლადს. ზესტაფონის ქარხანა ამ ძვირფასი პროდუქციით საბჭოთა ჯავშირის მრავალ საწარმოს ამარაგებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მარგანეცის მრეწველობამ სრული რეკონსტრუქცია, ტექნიკური შეიარაღება განიცადა, იგი წვრილი კუსტარული წამოწყებიდან მსხვილ ინდუსტრიულ საწარმოდ იქცა. საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებმა უკვე 1930 წელს მოგვცა თვალსაჩინო შედეგი. მისი წიაღიდან ამოღებულ იქნა და სხვადასხვა ქარხანაში გაიგზავნა 723 ათასი ტონა მადანი. 1937 წელს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციამ 1650 ათას ტონას მიაღწია.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების სახითაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ჩამორჩენილი კუსტარული საწარმო. როგორც ცნობილია, 1920 წელს ბაქომ შეუწყვიტა ნავთის გზავნა მენშევიკურ საქართველოს. ქართველი მენშევიკების ერთადერთი იმედი ტყიბულის ქვანახშირი გახდა; მას იყენებდნენ რკინიგზებზე (ორთქლმავლების გასახურებლად), აგრეთვე ქარხნებში; მაგრამ მენშევიკებმა ვერ შეძლეს ტექნიკური გაუმჯობესების შეტანა წარმოებაში და, მიუხედავად მუშებისათვის დაწესებული კატორღული შრომისა, 1919 წელს მხოლოდ 36 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღეს, მაშინ

როცა 1913 წელს ამოღებული იყო 70 ათასი ტონა[1]. ქვანახშირის ნაკლებობის გამო ხშირად ოროქლმავლებს შეშით ახურებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ტყიბულის მაღაროების საკვლევით აღდგენა და მათი შეიარაღება უახლესი ტექნიკით, რამაც შედეგად მოგვცა ქვანახშირის ამოღების სისტემატური ზრდა. უკვე 1925 წელს ტყიბულის მაღაროებიდან ორჯერ მეტი ქვანახშირი იქნა ამოღებული, ვიდრე 1920 წელს. 1931 წელს ტყიბულის მაღაროებიდან ამოიღეს 142 ათასი ტონა ქვანახშირი — ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1920 წელს და ორჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

ტყიბულის მაღაროების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ქვანახშირის ახალი მძლავრი კერების შექმნა ტყვარჩელში, რომელიც 1937 წლიდან შევიდა სრულ ექსპლოატაციაში. ქვანახშირის ახალი კერები შეიქმნა აგრეთვე გელათსა და ახალციხეში, რომელთაც ზრდის დიდი პერსპექტივა აქვთ. 1940 წელს საქართველოს შახტებში 625,1 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღეს, ე. ი. 8,9-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, და 17,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1920 წელს.

მიუთითებდა რა სპილენძზე, ვ. ი. ლენინს უმთავრესად მხედველობაში ჰქონდა სომხეთის მთების მდიდარი საბადოები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლო წლებიდან უცხოეთის (უმთავრესად საფრანგეთის) კაპიტალმა ჩაიგდო ხელში და მის მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწეოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მადნეულის დამუშავებას, უწინარეს ყოვლისა აღადგინა და გააფართოვა კატარის სპილენძის საბადოები, აგრეთვე ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხნები. კატარის საბადოებიდან წინათ სპილენძს სახედრებითა და ურმებით ეზიდებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში კი რკინიგზა იქნა მიყვანილი მადნებამდე. ფართოდ გაიშალა მუშაობა სხვა წიაღისეულის — მაგნიტური რკინაქვის, გოგირდის, ალმადნის, კეთილშობილი ლითონების, ფიქლების, მინერალური საღებავებისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა მოსაპოვებლად.

სამადნოებსა და საწარმოებში ჩატარდა მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია, გაუმჯობესდა მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

---

[1] ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბილისი, 1958, გვ. 106.

სრული რეკონსტრუქცია განიცადა დაშქესანის (აზერბაიჯანი) შადნის მაღაროებმა. შემდეგში დაშქესანი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბაზად იქცა.

ვ. ი. ლენინის სადირექტივო წერილში კავკასიელი კომუნისტებისადმი ნათქვამი იყო:

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა...

ერთბაშად ეცადეთ გაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები, მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“[1].

ეს სიტყვები იმ დროს იწერებოდა, როცა უკვე ძალაში იყო შესული რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა („გოელრო“), რომელსაც ლენინი პარტიის მეორე პროგრამად თვლიდა.

სოციალისტური წყობილების პირობებში ელექტროფიკაცია არ ნიშნავს ცალკეული, ერთიმეორისაგან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან იზოლირებული ელექტროსადგურების მშენებლობას, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში (და ახლა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებშიც) ელექტროფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, ერთიან სამეურნეო გეგმასთან, რომელიც მთელ ქვეყანას მოიცავს და მიზნად ისახავს მოწინავე მანქანური ინდუსტრიის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას. ელექტროფიკაციის ასეთი სახით დანერგვას ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში იგი სწავლულებს მოუწოდებდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტროფიკაციისა და მიწათმოქმედებაში ელექტრონის გამოყენებისათვის.

ქვეყნის ელექტროფიკაციად ლენინი გულისხმობდა არა ცალკეული ელექტროსადგურების იზოლირებულად აგებას, არამედ იმას, რომ თანდათანობით გადაგვეყვანა ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მ ა ს-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 398, 399—400.

თან მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანაჰედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც, ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებულია ელექტროფიკაციის საქმესთან.

როცა კავკასიის კომუნისტებს აძლევდა დირექტივას ელექტროფიკაციისა და მორწყვის „დიდი სამუშაოების შესახებ", ლენინს იმთავითვე მხედველობაში ჰქონდა მთელი მხარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ ტექნიკურ საფუძველზე. ამიერკავკასია წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ გეგმაში.

ასრულებდნენ რა დიდი ლენინის დავალებებს, 1922 წლის ნოემბრის ერთ შესანიშნავ დღეს თბილისის მშრომელებმა მოაწყვეს შაბათობა და საფუძველი ჩაუყარეს ზემო ავჭალის იმ დროისათვის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ამით დაიწყო ელექტროფიკაციის დარგში ლენინის მითითებათა განხორციელება ამიერკავკასიაში.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, არის ელექტროფიკაციის პირმშო ამიერკავკასიაში.

ზაჰესის პარალელურად მიმდინარეობდა ელექტროსადგურების მშენებლობა აჭარის წყალზე, მდინარე აბაშაზე, ბორჯომში, სოხუმში და სხვ. ვ. ი. ლენინის წინადადებით საბჭოთა მთავრობამ ელექტროფიკაციის საქმისათვის საქართველოს დახმარების სახით მისცა 1 მილიონ 750 ათასი მანეთი ოქროთი. დიდმა კაპიტალდაბანდებებმა ელექტროფიკაციის დარგში მალე გამოიღო ნაყოფი. უკვე 1928 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა სამშობლოს მისცეს 41,2 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1932 წელს — 119,7 მილიონი კილოვატსაათი, ეს იმ დროს, როცა 1913 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა მხოლოდ 19,8 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გამოიმუშავეს.

სომხეთში ელექტროფიკაციის პირველი მერცხლები იყო მეგრინის და კარაკლისის ელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე პირველ ხანებში 70 ათას ცხენის ძალას აღწევდა. ამ ელექტროსადგურებს მოჰყვა სევანის კასკადის ელექტროსადგურები—კანაკერჰესი, გიუმუშჰესი, აგრეთვე შორაჰესი, იჯევანჰესი, დელიჟანჰესი, შაკჰესი,

გერიუსჰესი, ერევნის პირველი და მეორე ქვესადგური და სხვ. სომხეთში უკვე 1928 წელს 1913 წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება.

აზერბაიჯანში, მიუხედავად იმისა, რომ დიდია ჰიდროენერგეტიკული რესურსები, პირველ ხანებში ენერგეტიკის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ნავთობი და მისი თანამგზავრი ბუნებრივი გაზი. რესპუბლიკის ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში — ბაქოში რევოლუციამდეც მოქმედებდა რამდენიმე წვრილი ელექტროსადგური, რომლებიც მუშაობდნენ უშუალოდ ნავთობის ბაზაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი საფუძველი ჩაეყარა და მალე ამუშავდა მძლავრი თბოელექტროსადგურები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ გადამუშავებული ნავთობის ნარჩენებსა და გაზზე. ერთ-ერთი პირველი ასეთი ელექტროსადგური იყო ბაქოს თბოსადგური „კრასნაია ზვეზდა", სალიან-მუღანლოს თბოსადგური და სხვები. შემდეგ წლებში აზერბაიჯანში ფართო გაქანება მიიღო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამ. აღსანიშნავია, რომ ელექტროფიცირებული წევა საბჭოთა კავშირში პირველად აზერბაიჯანში განხორციელდა — ელექტროფიცირებული რკინიგზებით ბაქო შეუერთდა აზერბაიჯანის სამრეწველო რაიონებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება 1931 წელს მთელ ამიერკავკასიაში ავიდა 198,3 ათას კილოვატსაათამდე, მაშინ როცა 1922 წელს იგი უდრიდა 92 ათას კილოვატსაათს.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად დიდი სახალხო მშენებლობის სახით მიმდინარეობდა სარწყავი სისტემებისა და არხების მშენებლობა, ჭაობიანი მიწების ამოშრობა. ვ. ი. ლენინის უშუალო დახმარებით აზერბაიჯანში აღდგენილ იქნა და გაფართოვდა მუღანის სარწყავი სისტემა, რომელმაც სიცოცხლე დაუბრუნა 135 ათას ჰექტარ გაველურებულ მიწას. სარწყავი არხებით დაისერა მილის, შირვანის, სამურ-დივიჩის ველები.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში აღადგინეს ეჩმიაძინის, მეგრაინის, კარჩევანის, სარდარაბადის და სხვა არხები, აშენდა ევჯილარის და კარჩევანის არხები. საქართველოში აღდგენილ იქნა ან ხელახლა აშენდა: სამთავისის, ტირიფონის, მათხოჩის, კეხვის, სოღანლუღის, დიღმის, ქუთაისის არხები. სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებმა ერთობლივი ძალებით

ააგეს დიდი სარწყავი სისტემა შირაქში. ათეულ ათასობით ჰექტარი საუკეთესო მიწები გადაეცა საექსპლოატაციოდ კოლხეთისა და კამარლოს (სომხეთი) ჭაობების ამოშრობის შედეგად.

1924 წელს საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიაში საირიგაციო სამუშაოებისათვის გაიღო 2.600 ათასი მანეთი, ეს თანხა არ შეღიოდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ბიუჯეტში[1].

სარწყავი სისტემების შექმნა და ჭაობების ამოშრობა წინ სწევდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობას და კიდევ ერთხელ აქარწყლებდა ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ შეთხზულ ლეგენდას „მიწის სიმცირის“ შესახებ. იგრძნეს რა საბჭოთა ხელისუფლების მამობრივი მზრუნველობა, გლეხებს მოემატათ ხალისი და აღფრთოვანება. ამან განაპირობა ის, რომ სარწყავი არხების მშენებლობამ სახალხო მოძრაობის ხასიათი მიიღო, გლეხები ძალის დაუზოგავად, დროისთვის ანგარიშის გაუწევლად გამოდიოდნენ სამუშაოზე, ამ მიზნით იყენებდნენ თავიანთ ყველა საშუალებას, გამოჰყავდათ ურმები, ცხენები. 1922 წელს გლეხებმა ახლად მორწყული მიწის ნაწილზე დათესეს პირველი ყანები და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „მორწყული მიწების ნაწილზე დათესილმა პურეულმა და სიმინდმა, ბაღჩამ, ბოსტნეულმა და სხვ. დიდი სიხარული მოგვარა გლეხებს, ასე რომ, მათ გადაწყვიტეს კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და გატაცებით მოჰკიდონ ხელი მუშაობას“[2].

სარწყავი სისტემების შექმნისა და ჭაობების ამოშრობის გზით მიწის დიდი ფონდების შექმნამ შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის არა მარტო ცნობილი კულტურების გაფართოება, არამედ მისი ახალი დარგების შექმნა და განვითარება. გაფართოვდა ბამბისა და თამბაქოს პლანტაციები, შავი ზღვის სანაპიროზე მნიშვნელოვანი მასშტაბით გაიშალა ჩაის, ციტრუსოვანი და სხვა კულტურების განვითარება. ყოფილ სახელმწიფო, საუფლისწულო, მემამულეებისათვის ჩამორთმეულ და აგრეთვე ამოშრობილ მიწებზე ეწყობოდა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სოფლის მეურნეობის დიდ მექანიზებულ ფაბრიკებად იქცეოდნენ.

---

1 გაზ. „ზარია ვოსტოკა“, № 88, 1925.

2 იქვე, № 167, 1925.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წინასწარ პირობას წარმოადგენდა მძლავრი სოციალისტური მრეწველობის შექმნა და მისი წარმატებანი.

ამიერკავკასია ერთ-ერთი ის „განაპირა" მხარე იყო, სადაც მეფის მთავრობა განგებ აფერხებდა მრეწველობის განვითარებას, სურდა იგი მეტროპოლიის აგრარულ დანამატად დარჩენილიყო[1]. მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს თავიანთი ბატონობის პერიოდში არათუ ახალი საწარმოები არ შეუქმნიათ, არამედ მათ განადგურებამდე მიიყვანეს ცარიზმის დროს შექმნილი კუსტარული საწარმოებიც. ამიტომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

მართლაც, ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური გაერთიანების წლებში დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით საფუძველი ჩაეყარა და შემდგომ მძლავრი განვითარება მიიღო მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის ისეთმა დარგებმა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ამ მხარისათვის.

აზერბაიჯანში ნავთობის მრეწველობისა და კასპიის ზღვის წყლის ბაზაზე შეიქმნა მძლავრი ქიმიური მრეწველობა (აგებულ იქნა კრეკინგის, პარაფინის, ნაფტალინის, საპნის, საჭმელი მარილისა და სხვა ქარხნები). აიგო აგრეთვე მაუდის ფაბრიკა და საფეიქ-

---

[1] ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში მრეწველობა მართლაც ვერ განვითარდა. კაპიტალიზმისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის განვითარება არ ექვემდებარება ამა თუ იმ მთავრობისა თუ კერძო პირის სუბიექტურ მიზნებს. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენელი ეგნატე ნინოშვილი სავსებით სამართლიანად წერდა: „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ, თუნდაც ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებ და... არც სასურველია მისი შეყენება" (ე. ნინოშვილი, თხზ., ტ. 3, გვ. 57). მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა ცდილობდა ამიერკავკასიაში მრეწველობა არ განვითარებულიყო და იგი აგრარულ ქვეყნად დარჩენილიყო, აქ მრეწველობა მაინც საკმაოდ განვითარდა და როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს „ბაქოში, თბილისში და ბათუმში შეიქმნა მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტარიატით (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 400—401). ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სუბიექტურ ფაქტორს არავითარი როლის თამაში არ შეეძლოს, თუნდაც კაპიტალიზმის განვითარების დროს, ეს ნათლად ჩანს კოლონიური ქვეყნების მაგალითზეც.

რო კომბინატი კიროვაბადში, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ნუხაში, საკონსერვო ქარხნები ხაჩმასში, ნახჩევანში, ორდუბადში და სხვაგან. აზერბაიჯანის მრეწველობის პროდუქციამ 1932 წელს 1 121,6 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც 1,5-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს და თითქმის 4-ჯერ—1914 წლის დონეს. 1939 წელს აზერბაიჯანის მრეწველობის პროდუქცია 2 555,6 მილიონ მანეთს შეადგენდა (1926—1927 წლების უცვლელი ფასებით). ამასთან, მთელი პროდუქციის 90 პროცენტი მიღებული იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი ან რეკონსტრუირებული საწარმოებიდან[1].

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის სომხეთი ყველაზე მეტად იყო ჩამორჩენილი ჯერ კიდევ ომამდე. მაგრამ ომიც ყველაზე მწვავედ განიცადა ამ ქვეყანამ. 1919 წელს სომხეთის მრეწველობის პროდუქცია 1913 წლის დონის მხოლოდ 8 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია 17,2 პროცენტს შეადგენდა. სომხეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე 1926—1929 წლებში საბჭოთა მთავრობამ 100 მილიონი მანეთი გაიღო, ეს 5-ჯერ აღემატებოდა იმ თანხას, რაც 1921—1925 წლებში იქნა დაბანდებული. საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე ხანში აღადგინა სომხეთის მრეწველობის ომამდელი დონე, განაახლა მრეწველობის თითქმის ყველა ძველი საწარმო და შექმნა ახალი დარგები — ქიმიური, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ცეცხლგამძლე მასალებისა და მინის, საფეიქრო-სატრიკოტაჟო, კარაქ-ცხიმისა და სხვ. 1913 წელს სომხეთის სახალხო მეურნეობის პროდუქციაში $^3/_4$-ზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდიოდა, უკვე 1932 წლიდან ეს შეფარდება მრეწველობის სასარგებლოდ შეიცვალა, ხოლო 1940 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პროდუქციაში ყველაზე მეტს მრეწველობის, უპირატესად მსხვილი მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1940 წელს 23-ჯერ სჭარბობდა 1913 წლის დონეს[2].

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლეს რამდენიმე წლის განმავლობაში მრეწველობის აღდგენა, ხელახლა შეიარაღება და წელში გამართვა. პირველი

---

1 აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 1949, გვ. 450.

2 სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, 1950, გვ. 74.

ხუთწლედის დასაწყისისათვის ჩვენი მრეწველობა ბევრად უფრო მძლავრი იყო, ვიდრე 1913 წელს.

ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის წინ დაიწყო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მშენებლობა. მოეწყო თბილისის აბრეშუმსაქ-სოვი ფაბრიკა, აშენდა მთელი რიგი აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრი-კები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

პირველი ხუთწლედის წინა ხანებში (1927 წელს) ამუშავდა ზაჰესი, რომელიც მაშინ უდიდესი იყო საბჭოთა კავშირში. იაფმა ელექტროენერგიამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს მრეწვე-ლობის განვითარების ტემპები. პირველ ხუთწლედში როგორც საერ-თოდ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიც გაიშალა დიდი სამრე-წველო მშენებლობანი.

პირველ ხუთწლედში (1928—1932 წლები) დაიწყო რიონჰესის, ზესტაფონის ფერომარგანეცის, თბილისის კიროვის სახელობის დაზ-გათმშენებელი, ქუთაისის საკონსერვო ქარხნებისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მშენებლობა, დამთავრდა 26 კომისრისა და ორჯო-ნიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების რეკონსტრუქცია, ამუშავდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი მაღარო, მარგანეცისა და ბარიტის საბადოები, დაიწყო გუმბრინის ამოღება.

პირველი ხუთწლედის ბოლოს მრეწველობის საერთო პრო-დუქციის ხვედრითმა წონამ საქართველოს სახალხო მეურნეობაში მიაღწია 46 პროცენტს. თუ 1927 წელს საქართველოს მრეწველობამ გამოუშვა 76 მილიონი მანეთის პროდუქცია (1926—27 წლების უცვლელი ფასებით), 1931 წელს გამომუშავებულ იქნა 427 მილიო-ნი მანეთის პროდუქცია.

მეორე ხუთწლედში (1933—1937) საქართველოში ამუშავდა 2 მძლავრი ტურბინი რიონჰესში, სამი ღუმელი ზესტაფონის ფეროშე-ნადნობთა ქარხანაში, დაიწყო ლითონის დნობა ავჭალის ფოლად-თუჯის ჩამომსხმელმა ქარხანამ; ამუშავდა აგარის შაქრის ქარხანა, ჩაის 6 ფაბრიკა; დაიწყო მშენებლობა ტყვარჩელის თბოელექტრო-სადგურისა, ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებისა, ბათუმის მანქა-ნათმშენებელი ქარხნისა, ახალი გამაუხვეველი ქარხნისა ჭიათურაში, ავტოსარემონტო ქარხნისა თბილისში, ლიტოპონის ქარხნისა ქუთაის-ში, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნისა თბილისში, ენგურის ქაღალ-

დის ქარხნისა, ხრამჰესისა და რიგი სხვა დიდი სამრეწველო ობიექ-ტებისა.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს მრეწველობას შეემატა სრულიად ახალი დარგები — კვების, მსუბუქი მრეწველო-ბისა და საშენი მასალების საწარმოები.

მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს მრეწველობის წლიურმა პროდუქციამ 427 მილიონი მანეთიდან (პირველი ხუთწლე-დის ბოლოს) 907,7 მილიონ მანეთს მიაღწია.

არსებული საწარმოების რეკონსტრუქციამ და მთელი რიგი ახალი საწარმოების შექმნამ გამოხატულება პოვა სახალხო მეურნეო-ბის მთელ შემოსავალში მრეწველობის პროდუქციის განუწყვეტელი ზრდით. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის მრეწველობის პროდუქცია მთელი სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავალში მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენდა, 1931 წელს იგი უდრიდა 48 პროცენტს[1]. 1931 წლისათვის მრეწველობის პროდუქ-ცია 1922 წელთან შედარებით თითქმის ათჯერ გადიდდა. ამასთან შესამჩნევი იყო უფრო მეტი შემოსავალი (2-ჯერ და უფრო მეტი) მძიმე ინდუსტრიიდან და ნაკლები — მსუბუქი მრეწველობიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მრეწველობა აწარმოებდა უფრო მეტ საწარ-მოო საშუალებებს, ვიდრე მოხმარების საშუალებებს.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა ან მრეწველობის დარგებიდან მსუბუქი მრეწველობა დაქვეითდა. პირიქით, მძიმე მრეწველობის ზრდა სოფლის მეურნეობისა და მსუ-ბუქი მრეწველობის განუხრელი აღმავლობის პირობებში ხორციელ-დებოდა, მაგრამ მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის პროცესში სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას წინ უსწრებდა მძიმე მრეწველობა, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ამიერკავკა-სიის საბჭოთა რესპუბლიკები განუხრელად ადგნენ ინდუსტრიულ ქვეყნებად გადაქცევის გზას.

მრეწველობის აღდგენასა და განვითარებასთან ერთად ინტენ-სიური მუშაობა მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე წვრილი გლეხური სოფლის მეურნეობის სო-ციალისტური გარდაქმნისათვის.

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი", № 60, 1932, 12 მარტი.

ლენინის კოოპერაციული გეგმა სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. წვრილი გლეხური სოფლის მეურნეობის გადაყვანა სოციალიზმის რელსებზე იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ყველაზე არსებითი მოვლენა, რომელსაც ახორციელებდა ხელისუფლების სათავეში მყოფი მუშათა კლასი. ხელმძღვანელობდა რა ლენინური კოოპერაციული გეგმით, კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წინასწარ პირობას წარმოადგენდა მძლავრი სოციალისტური მრეწველობის შექმნა, ხოლო მისი განვითარების საფუძველს — საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა.

ჩაუდგა თუ არა სათავეში ერთადერთ სოციალისტურ სახელმწიფოს, კომუნისტური პარტია მაშინვე შეუდგა წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნისათვის მზადებას. უმნიშვნელოვანესი ღონისძიება ამ გზაზე იყო მიწის ნაციონალიზაცია. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებით საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი სერიოზული ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიულ-მემამულურ კერძო საკუთრებას, რომელიც მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის საფუძველს შეადგენს. მიწის ნაციონალიზაციით ათასობით უმიწო გლეხმა მიიღო დასამუშავებელი მიწა, მაგრამ მიწის ნაციონალიზაციის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მიწის ნაციონალიზაციის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ მან გააადვილა გლეხობის გადასვლა საამხანაგო მეურნეობაზე, მოსპო გლეხის მონური ერთგულება ნაკვეთი მიწისადმი.

ატარებდა რა ინდუსტრიალიზაციის ლენინურ პოლიტიკას, პარტიას არასოდეს არ შეუნელებია ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი, დახმარებას უწევდა გლეხებს, იცავდა მათ კულაკის კლანჭებისაგან, ეხმარებოდა იარაღ-მანქანებით, თესლით, სესხით, სურსათით, აძლიერებდა გლეხებს ეკონომიურად. მაგრამ ამასთანავე ამზადებდა ნიადაგს სოფლის მეურნეობის სოციალიზმის რელსებზე გადასაყვანად, ნერგავდა მასში სოციალიზმის საწყისებს. ეს მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით.

ჯერ ერთი, პარტია ქმნიდა სანიმუშო კოლმეურნეობებს, ნერ-

გავდა მათში მოწინავე ტექნიკას და ამ კოლმეურნეობათა მუშაობას ფართოდ აცნობდა გლეხთა მასებს; მეორე, ქმნიდა და აფართოებდა საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელს, რომლებიც მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ბაზები ხდებოდნენ; მესამე, ქმნიდა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალ ქარხნებს, რომლებიც სულ უფრო მეტი რაოდენობით იძლეოდნენ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მოწყობილობას; მეოთხე, ქმნიდა და ხელმძღვანელობდა გამსაღებელი და საწარმოო კოოპერაციის, მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტების, მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობათა ქსელს, რათა კოოპერაციის ამ ფორმების საშუალებით გლეხები შეჩვეოდნენ და შეთვისებოდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებისა და გაძღოლის საქმეს; მეხუთე, აწყობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მასობრივ კონტრაქტაციას, ე. ი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გასაღების დარგში აწესებდა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და გლეხობის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რომლებიც ნერგავდა კოლექტივიზმის პრინციპებს მიმოქცევაში და იძლეოდა ბიძგს ამ პრინციპების დანერგვისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

სოციალიზმის პრინციპებზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის უმთავრესი პირობა იყო მუდმივი დახმარება სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხებისადმი, მათი დარაზმვა კულაკობის წინააღმდეგ, შეუნელებელი ბრძოლა კულაკობასთან.

ყველა ამ ღონისძიებას სოფლის მეურნეობა მიჰყავდა ერთი მიზნისაკენ — სოციალიზმის რელსებზე გადაყვანისაკენ.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში პირველი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღდგენითი პერიოდის პირველ წლებში წარმოიშვა. 1927 წელს კოლმეურნეობათა რიცხვმა მარტო საქართველოში 85-ს მიაღწია. მათ შორის იყო: 7 კომუნა, 19 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 59 მიწის საზიაროდ დამამუშავებელი ამხანაგობა[1]. ესენი იყვნენ სანიმუშო მეურნეობები, რომელთა მაგალითზე მშრომელი გლეხობა რწმუნდებოდა წვრილ გლეხურ

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პ. გუგუშვილის რედაქციით, 1967, გვ. 305.

მეურნეობათა კოლმეურნეობებად გაერთიანების უპირატესობაში. ამ მეურნეობებმა დიდი როლი შეასრულეს მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის მომზადებაში, რომელმაც 1930—1931 წლებში ფართო გაქანება მიიღო საბჭოთა ამიერკავკასიაშიც.

1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით პარტიამ სსრ კავშირის ოლქები კოლექტივიზაციის ტემპების თვალსაზრისით სამ ჯგუფად დაყო და თვითეულ მათგანს კოლექტივიზაციის დამთავრების სხვადასხვა ვადა დაუწესა.

დიდი ლენინის მითითებამ, რომ ამიერკავკასიაში საჭირო იყო „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე", გამოხატულება პოვა კოლექტივიზაციის ტემპის განსაზღვრითაც. ამიერკავკასია მიეკუთვნა მესამე ჯგუფს და აქ კოლექტივიზაციის დამთავრების ვადად დადგენილ იქნა 1933 წელი, უფრო მეტი, ვიდრე პირველი და მეორე ჯგუფის ოლქებში.

და მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკასა და ოლქში, ისე ამიერკავკასიის რესპუბლიკებშიც საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს, პარტიის ხაზის გამრუდების შემთხვევებს, კოლექტივიზაციის ტემპის აჩქარების ცდას და ზოგჯერ ლენინური ნებაყოფლობითი პრინციპების დარღვევას, საკოლმეურნეო მოძრაობაში გლეხობის ძირითადი მოსახლეობა სიხარულით ჩაება და იგი წარმატებით ჩატარდა.

საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებას მოჰყვა საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება, წარმოების ახალი, სოციალისტური წესის განმტკიცება სოფლის მეურნეობაში.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში შეიცვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურული სახე, აღიზარდნენ პარტიის საქმისადმი ბოლომდე ერთგული კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ცნობილი არიან როგორც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყნები. მაგრამ კულტურის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხოლოდ კერძო ინიციატივა თუ წარმართავდა. მეფის მთავრობა, ანდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები, რომლებიც ამიერკავკასიას თვითმპყრობელობის დაბობის შემდეგ დაეპატრონენ, სრუ-

ლიად არ აქცევდნენ ყურადღებას მოსახლეობის კულტურულ განვითარებას. მეფის მთავრობის დროს მთელ ამიერკავკასიაში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი. მართალია, მენშევიკებმა 1919 წელს თბილისში უნივერსიტეტი დააარსეს, მაგრამ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინეს მას და უნივერსიტეტმა ძლივს შეძლო მიეღწია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მოსახლეობის ძალიან მცირე რიცხვი იყო ჩაბმული დაწყებით და საშუალო სკოლებში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე წერა-კითხვის უცოდინარი იყო: საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი. აზერბაიჯანის — 90 პროცენტი, სომხეთის — კიდევ უფრო მეტი. იყო ისეთი ადგილებიც, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 98—99 პროცენტს აღწევდა (აჭარა, ნახჭევანი და სხვ.).

1914 წელს საქართველოში იყო 1765 სასწავლებელი 157 ათასი მოსწავლით, აზერბაიჯანში—942 დაწყებითი და 32 საშუალო სკოლა 73 ათასი მოსწავლით, მათ შორის აზერბაიჯანელი — მხოლოდ 23 ათასი, სომხეთში—166 დაწყებითი და საშუალო სკოლა 35 ათასი მოსწავლით. უსწავლელობა სიბნელის, ცრუმორწმუნეობის პირველი წყაროა, რაც თავიანთი ბატონობის გახანგრძლივებისათვის ესაჭიროებოდათ თვითმპყრობელობას, ექსპლოატატორულ კლასებს. მდგომარეობა არსებითად იცვლება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მშრომელთა კულტურულ აღზრდას. გააჩაღა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სკოლების რიცხვი საქართველოში ავიდა 4 200-მდე, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი 700 ათასამდე (1956 წლის ცნობებით). სომხეთში 1948—1949 სასწავლო წელს იყო 1193 სკოლა 302 ათასი მოსწავლით. გარდა ამისა, იყო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის 447 სკოლა 13 800 მოსწავლით. აზერბაიჯანის მხოლოდ სოფლებში 1948 წლამდე ათასზე მეტი სკოლა აშენდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლიდან განახლა და გაფართოვა მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბაქოსა და ერევანში დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შეიქმნა ათობით უმაღლესი პედაგოგიური და ტექნიკური სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელთა ბაზაზე ამიერკავკასიის სამივე

რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა ჯერ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები, ხოლო შემდეგ მეცნიერებათა აკადემიები. საქართველოში ამჟამად 18 უმაღლესი სასწავლებელი და 161-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა, აზერბაიჯანში —15 უმაღლესი სასწავლებელი და 80 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, სომხეთში—12 უმაღლესი სასწავლებელი და ათობით სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. კულტურის ფრონტზე კომუნისტური პარტიის ენერგიული მუშაობის შედეგად ბოლო მოეღო წარსულის ისეთ მავნე გადმონაშთს, როგორიც იყო წერა-კითხვის უცოდინარობა. 1935 წლიდან ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკებია. საბჭოთა ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ჯერ დაწყებითი სკოლის ფარგლებში, ხოლო შემდეგ შვიდწლედის ფარგლებში.

ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი — დემოკრატი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოს 20—30 ინჟინერი და აგრონომი ეყოლებოდა. მწერლის ეს ნატვრა წარმატებით ასრულდა საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში, ხოლო 1940 წელს საქართველოს ჰყავდა თავის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი 29295 სპეციალისტი (დაუსწრებელთა ჩაუთვლელად), რომელთა შორის იყო: მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინერი—6378, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინერი—2434, აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინერი — 3 766, ექიმი — 3851 და სხვა სპეციალისტები[1].

სპეციალისტების მხრივ ცუდი მდგომარეობა იყო სომხეთში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში იქაც დიდი გარდატეხა მოხდა. 1941 წლის 1 იანვრისათვის სომხეთის სს რესპუბლიკას ჰყავდა 7,3 ათასი სპეციალისტი (სამხედრო მოსამსახურეთა ჩაუთვლელად), რომელთა შორის იყვნენ სხვადასხვა დარგის ინჟინრები — 1400, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ბეითლები, მეტყევეები — 1000, ექიმები, პედაგოგები და კულტურის სხვა მუშაკები —4900[2].

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, 1959, გვ. 320.

2 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, 1956, გვ. 195.

სხვა მდგომარეობა იყო ბაქოში. ბაქოს ნავთის მრეწველობას ჰყავდა სპეციალისტები — ინჟინრები, ტექნიკოსები და სხვ. მაგრამ მათში ძალიან ცოტა იყო, ან სრულიად არ იყო ადგილობრივი სპეციალისტი (როგორც ცნობილია ბაქოს ნავთი უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო და სპეციალისტებიც უპირატესად უცხოელები იყვნენ), ხოლო რაც შეეხება აზერბაიჯანის სხვა ქალაქებსა და სოფელ ადგილებს, ისინი საერთოდ მოკლებული იყვნენ სპეციალისტებს მკვიდრი მოსახლეობიდან, განსაკუთრებით აზერბაიჯანელთა წიაღიდან სპეციალისტების აღზრდას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოჰკიდა ხელი და მალე დიდი წარმატებაც იქნა მოპოვებული ამ დარგში. 1941 წლის 1 იანვრისათვის აზერბაიჯანს ჰყავდა 20,1 ათასი სპეციალისტი (სამხედრო მოსამსახურეთა ჩაუთვლელად), რომელთა შორის იყო: სხვადასხვა დარგის ინჟინერი — 6,5 ათასი, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ბეითლები და მეტყევეები — 1,2 ათასი, ექიმები, პედაგოგები და კულტურის სხვა მუშაკები—12400[1].

1932 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ზეიმით აღინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის ათი წლისთავი.

დღესასწაულის დღეს ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს მხურვალედ მიესალმა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც, შეაჯამა რა ამიერკავკასიის მშრომელების მიერ გაწეული დიდი მუშაობა, აღნიშნა, რომ მათ „განვლეს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა“. „თქვენ, ამხანაგებო, — ნათქვამი იყო მისალმებაში, — ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებით შეასრულეთ ლენინის ანდერძი. ამ ხნის განმავლობაში ამიერკავკასია გადააქციეთ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშად, რომელიც უმაგალითოა ბურჟუაზიული წყობილების პირობებში... თქვენ, ამხანაგებო, ანმტკიცებთ რა საბჭოთა ხელისუფლებას და თქვენს ძმურ კავშირს, საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელი სისწრაფით ავითარებთ ამიერკავკასიის ქვეყნების მეურნეობას“[2].

---

1 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, 1956, გვ. 195.

2 გაზ. „კომუნისტი“, № 60, 1932, 12 მარტი.

ამ მაღალ შეფასებას ადასტურებდა დიდი წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა ამ დროს უკვე შეადგენდა 45 პროცენტს. საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძლიერი ტემპით ინერგებოდა ტექნიკური და სპეციალური კულტურები. კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო ღარიბ და საშუალო გლეხთა 38 პროცენტი.

სომხეთის სახალხო მეურნეობაში ამავე პერიოდის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 42 პროცენტამდე ავიდა. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტი.

აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ფედერაციის ათი წლისთავს შეეგება ნავთობის მოპოვების ხუთწლიანი გეგმის ორნახევარ წელიწადში შესრულებით. აზერბაიჯანის მრეწველობის პროდუქციამ 1931 წელს სამჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, სწრაფი ტემპით მიდიოდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. მებამბეობის ძირითად რაიონებში კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 60,7 პროცენტი.

1935—1937 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და შეიქმნა მტკიცე საფუძველი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის.

1936 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითმა წონამ 74,9 პროცენტს მიაღწია, სომხეთში — 63 პროცენტს, აზერბაიჯანში — 75,5 პროცენტს. ეს იმას ნიშნავდა, რომ სავსებით შეიცვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახე. ამიერკავკასიის რესპუბლიკები, „კიდეც უფრო გლეხური ქვეყნები, ვიდრე რუსეთი“[1], იქცნენ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად, რომლებსაც უკვე მაშინ ჰქონდათ განვითარებული სოფლის მეურნეობა და მოწინავე სოციალისტური კულტურა.

ამავე პერიოდში ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. საქართველოს კოლმეურნეობებში 1936

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 32, გვ. 398.

წელს გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 74,4 პროცენტი, სომხეთში—80,8 პროცენტი, აზერბაიჯანში—80,1 პროცენტი, მარცვლეულისა და მებამბეობის რაიონებში კოლექტივიზაციის დონე გაცილებით მაღალი იყო. უკვე პრაქტიკით იყო დადასტურებული ის უპირატესობანი, რაც კოლმეურნეობებს აქვთ წვრილ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. იყენებდნენ რა მდიდარ ტექნიკას (სასოფლო-სამეურნეო მანქანებს — ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვ.), რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიაწოდა, კოლმეურნეები ადიდებდნენ სათეს ფართობებს, შემოსავალს, იუმჯობესებდნენ ცხოვრებას.

სოციალიზმის მშენებლობის საქმეში—მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში შესანიშნავი მიღწევების მოპოვების გამო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები მათი არსებობის 15 წლისთავზე საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენებით.

1936 წლის 24 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის სხდომაზე ამხანაგი კ. ე. ეროშილოვი, რომელმაც საქართველოს მშრომელებს ლენინის ორდენი გადასცა და მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის ზეიმში, აღნიშნავდა: „ვდღესასწაულობთ რა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავს, ჩვენ ყველას—ბოლშევიკებს სიამოვნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, რომლებიც ვმუშაობდით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, არ გაგვიფუჭებია საქმე, რომ ჩვენ ვმუშაობდით ისე, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა“[1].

სოციალიზმის მშენებლობის პროცესში კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში დაძლეულ იქნა წარსულის მძიმე ნაშთი — ცალკეული ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. ხალხთა უფლებრივი თანასწორობა, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 46, 1936, 25 თებერვალი.

კრეტებით იქნა დაფუძნებული, განმტკიცდა ფაქტიური თანასწორობით, სსრ კავშირში შემავალი ყველა ერი, ხალხი მოწინავე გახდა.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში შეინიშნებოდა უაღრესად საყურადღებო ფაქტი, სახელდობრ ის, რომ, რაც უფრო მეტად იყვნენ წინათ ჩამორჩენილი ცალკეული ხალხები, მით უფრო დიდი იყო მათი განვითარების ტემპები. მაგალითად, 1936 წელს მრეწველობის პროდუქციამ 1913 წლის დონეს გადააჭარბა: რსფს რესპუბლიკაში — 7,8-ჯერ, ბელორუსიაში — 15,3-ჯერ, საქართველოში — 18,6-ჯერ, სომხეთში — 12-ჯერ, ტაჯიკეთში — 116-ჯერ, ყირგიზეთში — 95-ჯერ, აზერბაიჯანში — 27-ჯერ (ბაქოს ჩაუთვლელად).

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების საფუძველზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხები მჭიდროდ დაირაზმნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის. ამ გზაზე მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად ძირფესვიანად მოისპო ექსპლოატატორული კლასები, რომლებიც ერთა შორის შუღლის ძირითადი გამომწვევი არიან, ხალხთა ურთიერთდახმარება ფაქტიურად დაინერგა სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, უმაგალითოდ აყვავდა სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. ყოველივე ამან და სხვა მსგავსმა ფაქტორებმა ძირფესვიანად შეცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაქრა მათში ნაციონალისტური ელემენტების მიერ ზოგჯერ ხელოვნურად გამოწვეული ურთიერთუნდობლობის მცირედი გამოვლენაც, განვითარდა ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამრიგად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

საბჭოთა ხალხის — მისი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ძმური თანამშრომლობისა და ერთობის საფუძველზე შეიქმნენ სრულიად ახალი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამავე საფუძველზე წარმოიშვა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნების სრული დემოკრატიზაცია, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო.

დიდმა გამარჯვებებმა, რომლებიც ამიერკავკასიის მშრომელებმა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვეს, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის წარმატებით განხორციელებამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის განვითარებამ, საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკასთან მათი კავშირის გაფართოებამ და განმტკიცებამ, ეროვნული კადრების ზრდამ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის შუღლის საბოლოოდ აღმოფხვრამ და სანიმუშო მეგობრული თანამშრომლობის დამკვიდრებამ შესაძლებელი გახადეს ამიერკავკასიის ხალხთა შემდგომი სახელმწიფოებრივი განვითარება.

როგორც ცნობილია, რკპ (ბ) VIII ყრილობის მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ვ. ი. ლენინის მიერ, ხალხთა ფედერაციულ გაერთიანებას აყენებს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროებით ღონისძიებად, „როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას სრული ერთიანობის გზაზე"[1].

ამიტომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, მართალია, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციული კავშირი, მაგრამ ამავე დროს მზადდებოდა ნიადაგი მისი გაუქმებისათვის.

ფედერაციის ლიკვიდაციის გზაზე სერიოზული ნაბიჯი იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება, რომელმაც იმ დიდ მიღწევებთან ერთად, რაც ფედერაციის პერიოდში იქნა მოპოვებული, აღნიშნა ფედერაციული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ რესპუბლიკური ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში მეტისმეტი ცენტრალიზაცია, რაც ადგილობრივი ორგანოების გაუპიროვნებას იწვევდა, მიუთითა ამ ფაქტების დაუშვებლობაზე და დასახა ქმედითი ღონისძიებანი ფედერაციაში შემავალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და ინიციატივის ყოველმხრივი განვითარების შესახებ. დაშვებულ შეცდომათა აღმოფხვრამ ხელი შეუწყო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალი წარმატებების მოპოვებას და მოაახლოვა ის დრო, როცა უნდა დასმულიყო საკითხი ფედერაციის გასაუქმებლად.

ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელიც საგანგებო მდგომარეო-

---

[1] სკკპ... რეზოლუციებში, ნაწ. 1, 1959, გვ. 530.

ბის გამო იყო შექმნილი, თავისი არსებობის პერიოდში (1922—1936 წწ.) ამოსწურა ის დადებითი მნიშვნელობა, რაც მას ჰქონდა. მან ამიერკავკასიის ხალხთა სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა, ძმობა და მეგობრობა იმ დონემდე აიყვანა, რის შემდეგაც ფედერაცია საჭირო აღარ იყო და მისი არსებობა შეაფერხებდა ფედერაციაში შემავალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომ განმტკიცებას. ამიტომ 1936 წლის დეკემბერში სსრ კავშირის საბჭოების სრულიად საკავშირო VIII ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისა და მასში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ კავშირის შემადგენლობაში უშუალოდ შესვლის შესახებ, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრებისა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ყრილობის მიერ დამტკიცებულ ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში და აღნიშნა ახალი ეტაპის დაწყება მის ცხოვრებაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციაში გამოხატულება პოვა საბჭოთა სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერებამ — შეიცვალა ადმინისტრაციული მმართველობის ის ფორმა, რომელმაც ამოსწურა თავისი თავი, მმართველობის ახალი, უკეთესი ფორმით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა 1937 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუციები, რომლებმაც აგრეთვე საკანონმდებლო წესით განამტკიცეს ამიერკავკასიის ხალხთა დიადი მონაპოვარი — სოციალიზმის გამარჯვება.

* * *

ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაუქმდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ხოლო ფედერაციისა და სამხარეო კომიტეტის მუშაკებით განმტკიცდა შესაბამისი რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებმა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო განამტკიცეს მეგობრობა ურთიერთშორის, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხებთან და ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მესამე ხუთწლედის 3 წლის მანძილზე საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარებას ყოველწლიურად საშუალოდ 265 მილიონი მანეთი ხმარდებოდა. 1940 წელს საქართველოს მრეწველობის წლიური პროდუქციის ღირებულება მეორე ხუთწლედის ბოლოს მიღწეულ დონესთან შედარებით 33 პროცენტით გაიზარდა და მიაღწია 1 204 100 ათას მანეთს. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1940 წლისათვის 10,2-ჯერ, ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ 26,9-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს[1]. 1940 წელს გაჩაღდა ახალი ელექტროსადგურების, ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატისა და რიგი ახალი შახტების მშენებლობა, გაფართოვდა წიაღისეულთა დამუშავება, დაიწყო მრავალი ახალი საწარმოს აგება-მოწყობა.

ამავე პერიოდში დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 94,1 პროცენტი, სათესი ფართობის 99 პროცენტი[2]: დიდდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალური ბაზა, იგი ღებულობდა ათასობით მანქანა-იარაღს. იზრდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობა.

აზერბაიჯანის მრეწველობამ ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1940 წელს რესპუბლიკის მთელი მრეწველობის პროდუქციამ 5,9-ჯერ, ხოლო მსხვილმა მრეწველობამ 6,8-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. გამოდნობილ იქნა 23,7 ათასი ტონა ფოლადი, ნავთობის ამოღება ავიდა 22,2 მილიონ ტონამდე, რაც 2,9-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს. ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 1 826 მილიონი კილოვატსაათი ენერგია,

---

1 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, 1957, გვ. 35.

2 იქვე, გვ. 51.

17-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. სოფლის მეურნეობამ ქვეყანას მისცა 58,2 ათასი ტონა ბამბის ბოჭკო, ხოლო ამ ნედლეულით აზერბაიჯანის საფეიქრო მრეწველობამ გამოუშვა 49,1 მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილი[1]. დიდი აღმავლობით ვითარდებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც.

სომხეთის სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1940 წელს 8,7-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, კერძოდ, მსხვილმა მრეწველობამ ქვეყანას მისცა 23-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე რევოლუციამდე. ელექტროენერგიის გამომუშავება ავიდა 395,3 მილიონ კილოვატსაათამდე, საფეიქრო მრეწველობამ გამოუშვა 26,8 მილიონი მეტრი ბამბეულის, 20 მილიონი მეტრი შალისა და 200 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, კვების მრეწველობამ—17,3 მილიონი ქილა კონსერვი[2] და სხვ. მესამე ხუთწლედის სამნახევარი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ სომხეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის დააბანდა 1 მილიარდი მანეთი. დიდი სამამულო ომის წინ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები 1937 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა, მრეწველობის პროდუქცია—70 პროცენტით, მრეწველობის ხვედრითმა წონამ მთელ სახალხო მეურნეობაში მიაღწია 78 პროცენტს, ხოლო კოლმეურნეობებმა 1935 წელთან შედარებით 5-ჯერ გაადიდეს პროდუქციის გამოშვება.

ასე იზრდებოდა ამიერკავკასიის მშრომელი ხალხის შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონე. მაგრამ მესამე ხუთწლედის წარმატებითი შესრულების მსვლელობა შეწყვიტა ჩვენ სამშობლოზე გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა თავდასხმამ, რომელმაც რამდენიმე ათეული წლით მაინც შეაფერხა საბჭოთა ქვეყნის განვითარება.

* * *

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა, რომელიც 1941 წლის ივნისში დაიწყო და 1945 წლის სექტემბერში დამთავრდა, თვალნათლივ დაამტკიცა, რომ „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს,

---

[1] Достижения Советской Власти за 40 лет в цифрах, Москва, 1957, გვ. 129.

[2] Там же, გვ. 137.

რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას"[1].

დიდი სამამულო ომი საბჭოთა ხალხის ფიზიკურ და სულიერ ძალთა უდიდესი გამოცდა იყო. მან გამოავლინა საბჭოთა წყობილების სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა, სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიკის ძლიერება, მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა იდეოლოგიის ძალა და ცხოველმყოფელობა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის ხალხებმა, რომლებმაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაიგო, იგრძნო და დაინახა" კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მამობრივი მზრუნველობა. სსრ კავშირზე ჰიტლერელთა ურდოების თავდასხმისთანავე ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო შვილები ფრონტზე გაეშურნენ, ხოლო შინდარჩენილნი ფრონტული თავდადებით შრომობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა ჰიტლერელების წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეომრებისათვის მიეწოდებინათ იარაღი, საჭურველი და სურსათი.

ასრულებდნენ რა საბჭოთა არმიის სარდლობის დავალებას, ამიერკავკასიის ხალხთა შვილები რუს, უკრაინელ და სხვა ხალხთა წარგზავნილებთან ერთად მამაცურად ანადგურებდნენ მტერს მთელ ფრონტზე — შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე. ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო შვილებმა—ათეულ ათასობით ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა —მიიღეს მონაწილეობა მოსკოვის, ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის, სტალინგრადის, კურსკის, კიევის, მინსკისა და სხვა ქალაქებისათვის ბრძოლაში.

1942 წლის ზაფხულში გერმანელ დამპყრობთა ურდო კავკასიის მთავარი ქედისაკენ გამოეშურა. ჰიტლერელები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთი და ჭიათურის მარგანეცი, დაეპყროთ მთელი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 370.

ამიერკავკასია, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. 1942 წლის აგვისტოში გერმანელებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ კავკასიის ქედის რამდენიმე გადმოსასვლელი, დაიპყრეს სოფელი პსხუ და 25—35 კილომეტრით დაუახლოვდნენ შავი ზღვის სანაპიროსა და ქალაქ სოხუმს, დაბომბეს სოხუმი, ფოთი და სხვა ქალაქები.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველა ხალხს სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

თავისი ბოროტი მიზნების განსახორციელებლად მტერმა გაიხსენა მზაკვრული წარსული — ცარიზმისა და ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბატონობის პერიოდი და შეეცადა ეროვნული ხასიათის უთანხმოება გამოეწვია საბჭოთა ხალხში. განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდნენ ჰიტლერელები მრავალეროვან ამიერკავკასიაზე, შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას აამხედრებდნენ რუსი ხალხის წინააღმდეგ. 1942 წლის მძიმე ბრძოლაში საბჭოთა არმიის სარდლობამ ხელთ იგდო ჰიტლერელთა სარდლობის საიდუმლო დოკუმენტი, ე. წ. „გერინგის მწვანე საქაღალდე", რომლის ერთ-ერთ დოკუმენტ-ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „ხელი უნდა შევუწყოთ წინააღმდეგობის გაძლიერებას ადგილებზე მცხოვრებლებსა (ქართველებს, სომხებს, თათრებს და სხვ.) და რუსებს შორის და იგი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ". წინააღმდეგობის გაძლიერება მაშინ შეიძლება, როცა იგი არსებობს, მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუვდა. ასეთი წინააღმდეგობა არ არსებობდა და არც რაიმე ძალას შეეძლო მისი წარმოქმნა. ჰიტლერელთა ბარბაროსულმა შემოსევამ არამცთუ ვერ შექმნა ასეთი წინააღმდეგობა, არამედ კიდევ უფრო შეადუღაბა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა როგორც ურთიერთშორის, ისე რუს ხალხთან, რომელიც ამ დიდ ბრძოლას მეთაურობდა. ამიერკავკასიის ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება, რუს ხალხთან ერთად განეგრძოთ შეუპოვარი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა მიეყვანათ მტრის საბოლოო განადგურებამდე, მტკიცედ იქნა გამოთქმული ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგებზე, რომლებიც 1942 წლის 24 აგვისტოსა და 27 სექტემბერს თბილისში ჩატარდა და დადასტურდა თავგანწირული ბრძოლებით ფრონტზე.

ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილეებმა საბჭოთა არმიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ფაშისტი ქვეწარმავალნი გააფთრებით მოისწრაფვიან კავკასიისაკენ. მათ სურთ წაგვართვან ჩვენი მამების მიერ მოპოვებული თავისუფლება, მათ სურთ სისხლში ჩაახრჩონ, უდაბნოდ აქციონ ჩვენი აყვავებული მხარე, მათ სურთ მოსპონ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ნაციონალური კულტურა.

მაგრამ ეს არ მოხდება! მტკვარი და თერგი უფრო მალე შეწყვეტენ თავის ბობოქარ დენას, დარიალის ხეობა უფრო მალე გადაიქცევა ქვიშნარ უდაბნოდ, ვიდრე ჩვენი ხალხი გერმანელთა ხელქვეითი გახდებოდეს. მთის არწივი მონობისათვის როდია დაბადებული. არწივის მართვეები, ამიერკავკასიის შვილები, დაბადებული არიან თავისუფალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად...

გეფიცებით თქვენ, რომ ყოველ მთას, ყოველ გორაკს, ხეობას, ბუჩქს გადავაქცევთ მიუვალ ზღუდედ და შავ სამარეს განვუმზადებთ მტერს ამიერკავკასიის კარიბჭესთან, გეფიცებით, რომ დავდგებით მიუვალ სალკლდესავით და არ დავუთმობთ მტერს არც ერთ მტკაველ მშობლიურ მიწა-წყალს“[1].

ეს მშრომელთა გულებიდან ამოხეთქილი სიტყვები მალე საქმედ იქცა. კავკასიის მთების ძირას მოსულ მტერს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა არმიამ, რომლის რიგებში იბრძოდნენ ძმურად შეკავშირებული რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები და ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვა ხალხთა წარმომადგენლები.

გარდა იმისა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა შვილები წარმატებით იბრძოდნენ ყველა ფრონტზე, მონაწილეობას იღებდნენ მრავალი ქალაქისა და რაიონის დაცვაში, სამამულო ომის მსვლელობაში შეიქმნა საბჭოთა არმიის ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ეროვნული ნაწილები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ, ანადგურებდნენ და უკან ერეკებოდნენ მტერს. მათ რამდენადმე დამოუკიდებელი როლი და ცალკე ოპერაციებიც კი შეასრულეს ჩრდილო კავკასიის, ყირიმისა და სხვა ფრონტებზე. ამიერკავკასიელმა მეომ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 231, 1942, 29 სექტემბერი.

რებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებაში, აგრეთვე ევროპის სახელმწიფოთა — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, აღმოსავლეთ გერმანიისა და თვით ფაშიზმის ბუნაგის — ბერლინის განთავისუფლებაში. საგულისხმო ფაქტია, რომ ბერლინის რაიხსტაგის თავზე წვიმისებური ტყვიებისა და ყველა სახის ყუმბარების ზუზუნში გამარჯვების დროშა პირველებმა აღმართეს რუსი ხალხის შვილმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ. ამიერკავკასიელი მეომრები მონაწილეობდნენ იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებაშიც.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიელი მეომრების თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა ქვეყნის, ყველა ხალხის მუხანათი მტრების წინააღმდეგ. საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის 350-მდე ქართველს, სომეხსა და აზერბაიჯანელს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა, ათეულ ათასობით მეომარი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღზრდილმა ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა ოფიცრებმა სამამულო ომში თვალსაჩინო როლი შეასრულეს. მათი წიაღიდან აღიზარდნენ უმაღლესი თანამდებობის გენერლები, ადმირალები, დიდ საბრძოლო შენაერთთა მეთაურები.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების უმთავრესი პირობა იყო საბჭოთა ხალხის თავდადებული მუშაობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში. საბჭოთა ხალხი უგზავნიდა თავის არმიას ყველაფერს, რაც საჭირო იყო ვერაგი მტრის განადგურებისათვის—საბრძოლო იარაღ-საჭურველს, ტანსაცმელს, სურსათს. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავიანთ მაღალ მოვალეობას უაღრესად რთულ პირობებში ასრულებდნენ. ამიერკავკასია არ იყო ზურგის ჩვეულებრივი რაიონი. მას შემდეგ, რაც ბრძოლები კავკასიის მისადგომებზე გაჩაღდა, ამიერკავკასია ფრონტისპირა რაიონად იქცა. ამ პერიოდში იგი ზურგიც იყო და ფრონტიც, რომელსაც თურქეთიც უთვალთვალებდა. მართალია, საბჭოთა არმიის გმირულმა ბრძოლებმა ამიერკავკასია მალე გამოი-

ყვანა ამ მდგომარეობიდან[1] და იგი ღრმა ზურგად იქცა, მაგრამ მის ზურგს უკან მყოფი თურქეთი, ამ უკანასკნელის ორპოფული პოლიტიკის გამო, ამიერკავკასიის მშრომელებს აიძულებდა არა მარტო გმირი საბჭოთა არმიისათვის გაეწია ყოველდღიურად მზარდი დახმარება, არამედ თვითონაც მზად ყოფილიყო ბრძოლისათვის. ამ რთული პირობების მიუხედავად, ამიერკავკასია საბჭოთა არმიის მომარაგების ერთ-ერთ ძირითად ბაზად იქცა.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე შექმნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, შედიოდა რა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში, მთლიანად ემსახურებოდა ფრონტს, მტრის განადგურების საქმეს. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ ფრონტისათვის დახმარების საქმეში სამაგალითო სიმამაცე გამოიჩინეს. ძალების დაუზოგავად, დროისათვის ანგარიშის გაუწევლად მუშაობდნენ ისინი, განუწყვეტლივ უგზავნიდნენ საბჭოთა არმიის გმირ მეომრებს საბრძოლო საჭურველს, სურსათს, ტანისამოსს. მათი პირადი დანაზოგით ათობით და ასობით ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი და სხვა საბრძოლო იარაღი იქნა შეძენილი.

ის დიდი და ყოველდღიური დახმარება, რასაც საქართველოს მშრომელები უწევდნენ ფრონტს, კარგად არის მოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარის გ. სტურუას სტატიაში „როგორ და რით ეხმარება ქართველი ხალხი ფრონტს", რომელიც 1943 წელს სამამულო ომის იმ მრისხანე დღეებში გამოქვეყნდა წითელარმიულ გაზეთში „სამშობლოს სადარაჯოზე". ამ სტატიაში ვკითხულობთ: „საქართველოს მშრომელებმა ფართოდ გაშალეს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში და ინდივიდუალური წესით თანხების შეგროვება სატანკო კოლონისა და საბრძოლო თვითმფრი-

---

1 1943 წლის დასაწყისში უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმის საფუძველზე კავკასიის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, მთელი რიგი ბრწყინვალე ოპერაციებით გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და რამდენიმე თვის შეუპოვარი ბრძოლით გერმანელ დამპყრობთაგან მთლიანად გაათავისუფლეს ჩრდილო კავკასია. მას შემდეგ საბჭოთა არმიის შეტევითი ოპერაციები არ შეწყვეტილა და იგი დამთავრდა ფაშისტური გერმანიის სრული განადგურებით.

ნავების ასაშენებლად და აგრეთვე წითელი არმიისათვის სხვა საჩუქ-
რების გასაგზავნად.

სატანკო კოლონის ასაგებად საჭირო სახსრების შეგროვების საყოველთაო-სახალხო მოძრაობის შედეგად საქართველოს კოლ-მეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" ასაგებად შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 110 000 000 მანეთი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეების მიერ შეტანილი აღნიშნუ-ლი თანხის გარდა, საბჭოთა საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ, აღფრთოვანებულებმა სამამულო ომის ფრონტ-ზე წითელი არმიის გამარჯვებით, გადაწყვიტეს მიეძღვნათ წითელ არმიისათვის ახალი საჩუქარი მისი სახელოვანი XXV წლისათვის აღსანიშნავ დღეს. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სა-ქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა 10—12 დღის გან-მავლობაში შეაგროვეს და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიე-ბის შესაძენად სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 162 200 000 მანეთი.

ამგვარად, სულ სატანკო კოლონისა და საბრძოლო თვითმფრი-ნავთა ესკადრილიების ასაგებად შეგროვილია და სახელმწიფო ბანკ-ში შეტანილია 272 200 ათასი მანეთი"[1].

ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ დიდი დახმარებისა, რომელსაც ქართველი ხალხი უწევდა ფრონტს, ასევე ენერგიის დაუშურებლად ეხმარებოდნენ დიდი სამამულო ომის ფრონტებს აზერბაიჯანის, სომ-ხეთისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები.

გაჩაღებული ბრძოლის დღეებში საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საფუძველი ჩაეყარა თავდაცვითი იარაღ-საჭურვლის დიდ წარმოებას. აქ მზადდებოდა ნაღმსატყორცნები, ავტომატები, ნაღმები, ყუმბარები, ცეცხლსატყორცნები, ვაზნები და ა. შ., რომლე-ბმაც უაღრესად განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ მძიმე დღე-ებში, როცა ამიერკავკასიის ფრონტი თითქმის მოწყვეტილი იყო მომარაგების ცენტრალურ ბაზებს.

ამიერკავკასიის მშრომელების უანგარო წვლილი ფრონტის მო-მარაგებაში იარაღ-საჭურვლით და სურსათ-სანოვაგით არაერთხელ იყო აღნიშნული საბჭოთა არმიის მთავარსარდლობის ბრძანებებში.

---

[1] გ. სტურუა, როგორ და რით ეხმარება ქართველი ხალხი ფრონტს, წითელარმიული გაზეთი „სამშობლოს სადარაჯოზე", № 39, 1943, 15 აპრილი.

ერთ-ერთ ასეთ ბრძანებაში ნათქვამია: „ურალი და კუზბასი, მოსკოვი და პოვოლჟიე, ლენინგრადი და ბაქო, ყაზახეთი და უზბეკეთი, საქართველო და სომხეთი, ყველა ჩვენი რესპუბლიკა და ოლქი წითელი არმიის მძლავრ არსენალად გადაიქცა“[1].

კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკა ამიერკავკასიის ხალხებს აღაფრთოვანებდა ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მძლავრი აღმავლობის საქმეში.

კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მძიმე ინდუსტრიას — მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძველს. ომისშემდგომი ხუთწლედების მანძილზე საქართველოში შეიქმნა შავი მეტალურგიის პირმშო — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელშიც 1954 წელს დამთავრდა სრული მეტალურგიული ციკლი, რაც მოიცავს დაშქესანის მაღაროებს (აზერბაიჯანი), ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებს, აჯამეთისა და სადახლოს კარიერებს, სადაც წარმოებს მადნის ქვანახშირის, კირქვის, დოლომიტის მოპოვება მეტალურგებისათვის. სომხეთის რესპუბლიკაში თუმანიანის სახელობის აგურის ქარხანა მეტალურგებს ამარაგებს ცეცხლგამძლე აგურით. ამრიგად, ციკლში ჩართულია ამიერკავკასიის სამი მოძმე ხალხის ბუნებრივი რესურსები და თვით ქარხნის მუშაობის პროცესი ხალხთა თანამშრომლობის ნიმუშს წარმოადგენს. აქ არიან ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და საბჭოთა ქვეყნის სხვა ეროვნებათა შვილები. 1954 წელს გამოშვებულ იქნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თუჯის პირველი ნადნობი. ქარხნის პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იგზავნება.

რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდნენ ახალი სამრეწველო ცენტრები: რუსთავი, მადნეული, კვაისა... გაიზარდა ინდუსტრიის ახალი გიგანტები—ელმავალსამშენებლო ქარხანა და ჩარხსამშენებლო ქარხანა

---

[1] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1947, გვ. 130.

თბილისში, ქიმიური კომბინატი რუსთავში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი და მრავალი სხვა. რესპუბლიკის მრეწველობა ახლა კვირაში იმდენ პროდუქციას იძლევა, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე მზადდებოდა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის კარგი სახელი შორს გასცდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს. საკმარისია ითქვას, რომ იგი საზღვარგარეთის 65 ქვეყანაში იგზავნება[1].

თვალსაჩინო წარმატებები იქნა მოპოვებული ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ომისშემდგომი პერიოდის უკანასკნელ შვიდწლედში.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოს მრეწველობამ, მშენებლობამ და ტრანსპორტმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მრეწველობის პროდუქციის მოცულობა თითქმის 65 პროცენტით გადიდდა. ამოქმედდა ასეულ მილიონობით მანეთის ძირითადი საწარმოო ფონდები. გადაჭარბებით შესრულებულია შვიდწლედის დავალება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მაგისტრალური ელმავლების, ბევრი სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის, ცემენტის, ნავთობისა და სხვა წარმოების დარგში. მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება გაიზარდა 3,6-ჯერ, ელექტროტექნიკური მრეწველობისა — თითქმის 9-ჯერ, ხელსაწყოთსაშენებელისა —16-ჯერ, ქიმიური ინდუსტრიის პროდუქციის წარმოება — 3,6-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — ერთიორად და უფრო მეტად.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოში აშენდა და ამოქმედდა ასზე მეტი უმნიშვნელოვანესი ობიექტი, რომელთა შორის არის ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენი, ჰიდროელექტროსადგურები, მანგანუმის ახალი მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, 20-ზე მეტი ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი საწარმო, ქარხნები და ფაბრიკები. რესპუბლიკის ქალაქებში აშენდა 7 300 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი[2].

---

[1] ე. პ. მ ქ ა ვ ა ნ ა ძ ე, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, გაზ. „კომუნისტი", 1966, 18 თებერვალი.

[2] ნ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მთავარია ტემპი და ხარისხი, გაზ. „კომუნისტი", 1966, 27 მარტი.

თბილისის მოსახლეობამ მიიღო შესანიშნავი საჩუქარი — მეტროპოლიტენი. მეტროპოლიტენის პირველი რიგის წარმატებით აშენებისათვის „თბილგვირაბმშენის" სამმართველო დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1966 წლის თებერვლის დამდეგს კი ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის თავდადებული შრომა, რომელმაც ვადამდე შეასრულა შვიდწლიანი გეგმა, აღინიშნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

მსგავს წარმატებებს მიაღწიეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებმაც. მაგალითად, ამჟამად სომხეთში ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებენ 15-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთში, და 41-ჯერ მეტს, ვიდრე ირანში. იგი ამ მხრივ უსწრებს ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან საფრანგეთი, იაპონია და იტალია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთის მრეწველობა 90-ჯერ გაიზარდა: მის მაღალ ტექნიკურ დონეზე მეტყველებს ის, რომ სომხეთი 90-ზე მეტი დასახელების პროდუქციას გზავნის მსოფლიოს 50 ქვეყანაში[1].

ერთობ მაღალი მაჩვენებლებით აღინიშნება აზერბაიჯანის მრეწველობის განვითარება. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ 28 ახალი მსხვილი სამრეწველო ქალაქი შეიქმნა. აქედან მრავალია ომისშემდგომ აგებული სამრეწველო ქალაქი[2].

პარტიის XXI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმაც. 1913 წელთან შედარებით 1955 წელს მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა: საქართველოში 27-ჯერ, სომხეთში 41-ჯერ, აზერბაიჯანში თითქმის 12-ჯერ.

ომისშემდგომ წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აშენდა ან შენდება მრავალი ჰიდროელექტროსადგური და საწარმო. სოფ-

---

1 ე. ქ ო ჩ ი ნ ი ა ნ ი, საბჭოთა სომხეთის ზეიმი. გაზ. „კომუნისტი", 1963, 23 ნოემბერი.

2 დ. გ ო გ ო ხ ი ა, ამიერკავკასიის ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. თბილისი, 1965, გვ. 10.

ლის მეურნეობას შეემატა დიდძალი ახალი ტექნიკა. რამაც შესაძლებელი გახადა ახალ წარმატებათა მოპოვება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შედეგად სულ უფრო მაღლდება მშრომელთა ეკონომიური შეძლებულობისა და კულტურის დონე.

ასეთივე თვალსაჩინოა ამიერკავკასიის ხალხთა მიღწევები მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ამჟამად საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკებია. საქართველოში ყოველ ათას კაცზე სწავლობს სამჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3.6-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყოველ ათას კაცზე უმაღლესი და სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე პირთა რაოდენობის მხრივ. ამავე მაჩვენებლების მიხედვით აზერბაიჯანმა გაუსწრო არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ აგრეთვე ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც, როგორიც არიან ინგლისი და საფრანგეთი[1].

შესანიშნავი მიღწევები იქნა მოპოვებული ომისშემდგომ პერიოდში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. გადაჭარბებით ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს საქართველოში. განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართველმა მეჩაიებმა, რომლებმაც 1965 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 226 ათასზე მეტი ტონა „მწვანე ოქრო“ მაშინ, როცა 1921 წელს ჩაის საერთო მოსავალი 550 ტონას შეადგენდა. შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკის მეჩაიეებმა გადასამუშავებლად ჩააბარეს სახელმწიფოს 1 მილიონ 178 ათასი ტონა ჩაი — 130 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ვეგმა ითვალისწინებდა. ქართველმა მევენახეებმა სახელმწიფოს მიყიდეს 244 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 230 ათასი ტონისა. ასეთი რეკორდული მოსავალი ყველაზე ხელსაყრელ წლებშიც კი არ ყოფილა.

---

1 გ. ახუნდოვი. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, გაზ. „კომუნისტი“ № 97, 1960, 24 აპრილი.

1967 წელს რესპუბლიკამ თავისი დაბადების დღე — 46 წლისთავი აღნიშნა უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეული იყო სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადებით და აგრეთვე იმით, რომ რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნა მეორე ლენინის ორდენით, რაც მას მიეკუთვნა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობით ხასიათდება აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ომისშემდგომი პერიოდიც.

პარტიის ცხოვრებაში ამ ბოლო დროს უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა (1964 წლის) და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ წარმატებებს და შექმნეს ისეთი პირობები, რომ „ახლა კომუნისტური მშენებლობის საქმე წარმოებს ზუსტად მეცნიერულ. რეალისტურ საფუძველზე, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამ პლენუმის შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, მაგრამ დღეს უკვე იგრძნობა იმ დიდი მუშაობის შედეგები, რომელსაც ეწევა ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი"[1].

ყველა ამ მიღწევას მშრომელები უმადლიან კომუნისტური პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომლის მიზანია გეგმაზომიერად ვითარდებოდეს მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკა და კულტურა, მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს კავშირი მათ შორის. ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში ურყევად გატარების შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნამდვილი აყვავება. მისი დღევანდელი დღე რეალური განხორციელებაა ჩვენი ხალხის საუკუნოვანი იმედებისა, ტრიუმფია ლენინური მოძღვრებისა, რომელიც გამსჭვალულია კეთილშობილური მიზნით — დაა-

---

[1] ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, გაზ. „კომუნისტი", № 51, 1966, 3 მარტი.

მკვიდროს საზოგადოებაში სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპი.

ჩვენი პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის სიდიადე უფრო ნათლად რომ დავინახოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ იმ ხალხთა მიერ მიღწეული დონე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკებში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახით, რადგან, როგორც ცნობილია, ისინი კიდევ უფრო მეტად იჩაგრებოდნენ და კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყვნენ წარსულში.

ამიერკავკასიის სინამდვილეში მათ რიცხვს მიეკუთვნებიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (საქართველო), ნახჭევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი (აზერბაიჯანი).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სავსებით შეიცვალა მათი სახე, იქაც შეიქმნა მოწინავე მრეწველობა და მაღალრენტაბელური მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, აღიზარდნენ საკუთარი მუშათა კლასი და მშრომელი ეროვნული ინტელიგენცია, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებასთან.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ისევე როგორც ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკასა და მთიანი ყარაბახის ავტონომიურ ოლქში, დიდ მუშაობას ეწევიან მხატვრული და შემოქმედებითი ორგანიზაციები. იზრდება ამ ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიის მწერალთა შეხვედრა, რომელიც 1954 წელს ქ. თბილისში მოეწყო. აქ იყვნენ რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ოსი, ყარაბახელი და სხვა ეროვნებათა მწერლები და პოეტები, რომელთა გამოსვლებში ნათლად ჩანდა, თუ როგორ იზრდება და იფურჩქნება საბჭოთა ქვეყანაში მოსახლე დიდი და პატარა ხალხების ლიტერატურა, ხელოვნება და კულტურის სხვა დარგები სოციალიზმის ურყევ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ საფუძვლებზე.

„ჩვენს სამშობლოს — დიად საბჭოთა კავშირს საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობა, მეგობრობა და თანამშრომლო-

ბა, სოციალურ-ეკონომიური წყობილების, პოლიტიკური სისტემის ერთობა, ერთიანი სოციალისტური იდეოლოგია. სსრ კავშირის ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა სულ უფრო მჭიდრო და მრავალფეროვანი ხდება, მიმდინარეობს ხალხთა დაახლოების, მათი მეგობრობისა და ძმობის განუწყვეტელი კავშირის განმტკიცების, ერთიანობისა და შეკავშირების დიადი პროცესი"[1]

სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანები — კომუნიზმის მშენებლები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს შრომის პროცესში პარტიისა და ხელისუფლების დავალებათა შესრულებისას. ამ დაახლოების ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება და მოწინავე, პროგრესული მეთოდების დანერგვა, ძალების, სახსრებისა და საშუალებების გაერთიანება და თანამშრომლობა სხვადასხვა დიდი და პატარა პრობლემის ერთობლივი დამუშავებისა და გადაჭრისათვის.

დიდი ხანია სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებს საქართველოს რესპუბლიკას მოძმე აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან. საქართველოს დედაქალაქი თბილისი შეჯიბრებაშია ჩაბმული ბაქოსთან, ერევანთან, რიგასა და ტალინთან, რუსთავის მეტალურგები ურალის, დონბასისა და აზერბაიჯანის სსრ სუმგაითის მეტალურგებთან, ჭიათურის მაღაროელები ნიკოპოლის მაღაროელებთან, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები დონეცის მეშახტეებთან, ქუთაისის ავტომობილმშენებლები გორკისა და ჩელიაბინსკის ავტომობილმშენებლებთან, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ზაპოროჟიესა და ჩელიაბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნების კოლექტივებთან.

ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება თბილისისა და ერევნის დაზგათმშენებლებს შორის, სოციალისტური შეჯიბრება აკავშირებს ერთმანეთთან თბილისის, რიგისა და ერევნის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების კოლექტივებს, გორელ და ივანოველ ფეიქრებს, თბილისისა და ლვოვის მეფეხსაცმელეებს, თბილისის კამეოლ-მაუდის

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი", № 73, 1966, 31 მარტი.

კომბინატისა და ლენინგრადის ტელმანის სახ. ფაბრიკის კოლექტივებს, თბილისელ და კი

მტკიცე ძაფებით დააკავშირა დუშეთის რაიონისა და დაღესტანის ასს რესპუბლიკის გუნიბის რაიონის მეცხოველეები, მახარაძის რაიონის სოფ. გურიანთისა და სომხეთის სს რესპუბლიკის სოფ. ნალბანდიანის კოლმეურნეობები, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ცოდნისკარისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის სოფ. ფოშტიბის კოლმეურნეობები, გალის რაიონის სოფ. ოქუმისა და სომხეთის სს რესპუბლიკის არტაშატის რაიონის სოფ. ანასტასავანის კოლმეურნეობები, გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბნისა და სომხეთის სს რესპუბლიკის აშტარაკის რაიონის სოფ. ოშოკანის კოლმეურნეობათა მევენახეები, ზუგდიდის რაიონისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ლენქორანის რაიონის მეჩაიე კოლმეურნეები, მცხეთის რაიონის სოფ. წილკანისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ტაუსის რაიონის ნიზამის სახ. კოლმეურნეობები. კოლექტივების შეჯიბრის გარდა, ფართოდ დაინერგა პირადი შეჯიბრიც. მაგალითად, ჩაბმული არიან რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწინავე გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გამოჩენილი მესიმინდე კ. სანდუხაძე და კრასნოდარის მხარის კორენოვსკის რაიონის მესიმინდე ვ. გრიშინი, ტყიბულის გამოჩენილი მეშახტე შ. კუბლაშვილი და კრასნოდონელი მეშახტე ნ. მამაი, ტყვარჩელელი მეშახტის გ. გერგაიასა და დონბასელი მეშახტის კოლჩიკის კომუნისტური შრომის ბრიგადები, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი ე. სოლომონია და ივანოვის ოლქის საკინოს საფეიქრო ფაბრიკის ნოვატორი ი. ვეჩეროვა, გორის ბამბეულის კომბინატის ფეიქარი, სოციალისტური შრომის გმირი ე. გეგელაშვილი და კალინინის ოლქის ვიშნიეოლოჩეკის განთქმული ნოვატორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გაგანოვა, წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს მექანიზატორი გ. თინაშვილი და ვორონეჟის ოლქის უსმანის რაიონის მექანიზატორი ნ. მანუკოვსკი, სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის კოლმეურნეობის ფერმის გამგე გ. ჩალაბაშვილი და სტავროპოლის მხარის კოჩუბეის რაიონის სოფ. ძველი ოლგინსკოეს განთქმული მწყემსი ი. მალაშჩენკო და ა. შ.[1].

---

[1] ა. ა ღ ლ ა ძ ე, ხალხთა მეგობრობის დიდი პროგრამა, იხ. წიგნი: ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, თბილისი, 1962, გვ. 58—59.

სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო გაფართოვდა სკკპ XXIII ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივების განხორციელებისათვის, ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ახალ ხუთწლედში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მორიგ დიდ გამარჯვებებს მოიპოვებენ ამიერკავკასიის მშრომელებიც. აიგება მრავალი ახალი ელექტროსადგური და საწარმო, ამაღლდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მოსავლიანობა. ძველი არხების გაუმჯობესებისა და ახალი სარწყავი სისტემების შექმნით სიცოცხლე დაუბრუნდება მრავალ ათას ჰექტარ მიწას, კიდევ უფრო ამაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

ახალი მშენებლობის პროცესში რუს და ამიერკავკასიის ხალხთა დიადი მეგობრობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის მეგობრობა და ურთიერთობა, კიდევ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს შეხვდნენ უდიდესი გამარჯვებებით და მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ ლენინის იდეებით შუქმოფენილი კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. ისტორიული წარსულიდან 12

თავი II. ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების გაჩენა და მათი ბრძოლა მუშათა მოძრაობაზე გავლენის მოპოვებისათვის. მარქსიზმის დანერგვა ამიერკავკასიაში და მისი შეერთება მუშათა მოძრაობასთან. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისათვის 38

თავი III. ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დარაზმულობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში 90

თავი IV. ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობისათვის 1907—1917 წლებში . 151

თავი V. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ამიერკავკასიაში. ვ. ი. ლენინის დირექტივები სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში . 218

თავი VI. სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით წინ, კომუნიზმისაკენ . 266